



האזנה

6

1982



სესია

300

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

6

ი ვ ნ ი ს ი

1982

თბილისი

საბ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

შ ი ნ ა რ ს ი

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

3. ალექსანდრე კუშკინი, თეოდორ ტიუტჩინი, მიხეილ ლერმონტოვი, ანდრეი გული, ალექსანდრე გლოვი, კონსტანტინე ბალაშინი, კონსტანტინე ჩუკოვსკი, ალექსანდრე ტვარდოვსკი, სერგეი ბარსუდინი, ვანელი ფეოდოროვი, დავით სომოილოვი, ალექსანდრე კუშნერი, ევგენი ევტუშენკო, ანდრეი ვოვნენსკი, ლარისა ვასილიევა — ლექსები, თარგმნეს: შორის ფოცხიშვილმა, რომან კიკელიშვილმა, ანდრო ბუაჩიძემ, გივი ალხაიშვილმა, ვაჟა უშბუხიძემ, გივი ძნელაძემ, ელდარ კერძეაძემ, თედო ზეციშვილმა, ვახტანგ ხარჩილაძემ, შადიმან შამანაძემ

კოეზია და კროჯა

16. კოლაუ ნადირაძე — რატომ ან რისტოვიჩ — ლექსი
17. იოანე ჭიჭინაძე — ლექსები
22. პაატა ნაცვლიშვილი — ლექსები
26. გიორგი თურმანაული — ვინააღირსული. მოთხრობები
43. შალვა დავითაშვილი — ლექსები
48. მირონ ხარბიანი — დამაროვანი, მოთხრობა
75. დათო მალრაძე — ლექსები
77. გურთაყ ჩახავა — ნუ შიშობ, ჯიჯინო! მოთხრობა
89. ლევან დუშაბაძე — ლექსები
91. ჯუშუბარ ტიპარაძე — სსსრ-ის მშენებელი. რომანი. გაგრძელება

მთავარი რედაქტორი გორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ტაბუა ამირაჯიბი
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდნითელი
რისმან გორდუნიანი
გიორგი გუბლია
ნოდარ დუშაბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე

მთავარი რედაქტორის
მოდელი
ოტია პატკორია

გურამ ფანჯიკიძე
ნუგზარ შატაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
სოსო ყინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წარბაქიანი
თამაზ წიფნიაძე
ტარიელ ტანთაური
რაჭო ტიფნაძე

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

104. ვიქტორ ვიხინსკი — ლექსები. თარგმნა ჯონდი ქილარჯიანი
107. ევგენი კუტუშოვი — ლენინგრაძელები. თარგმნა მიხო ბეროშვილმა

80 — ალექსანდრე ბარამიძე — 80

112. გურამ ასათიანი — სიტუა ალექსანდრე ბარამიძის: ალექსანდრე გვახარია — ბატონო ალექსანდრე! მერი გუგუშვილი — მივინიერი, მოკალაძე, მამულიშვილი: შარვაში თენიანი — გამორჩენილი მივინიერი: ეშვარ კვიციანი — კვლავაც ასეთად გვიგულგოვდეს — მილოცეები

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

120. მარკ ჯლაბინი — გიორგო პომტინს
124. ფრიდონ სინარულიძე — „სვენიწვა“ — ქართული კულტურის კირა მოსკოვში

ბახსენაძე

130. შუკია აფრიდონიძე — გიორგი ფოცხიშვილის ხსოვნას

წერილები

133. ელგუჯა ხინთიბიძე — „შომოგადანა, მომეფონე“...
149. გურამ შორანაშვილი — გენეა და ისტორია

გურგოიუსკის ტრექტატი 200

ალექსანდრ პუშკინი

ვაკხური სიმღერა

რა მოუვიდათ სალხინო ქნარებს?
ვაკხალურ ქნარებს ვინ აწყვეტს
ლარებს?
ეს გაუმარჯოს უნაზეს ქალებს,
ნიადაგ ჩვენი ტრფიალით მთვრალებს!


ყველა სასმისი აივსოს ღვინით,
ვაშა, ღვინოში ჩაძირულ ლალებს, —
უნდა გაჩაღდეს ნანატრი ღვინი,
ვაშა, ვინც ამ ცეცხლს ბოლომდე დაღევს!

ჭიქები მალლა, ვით შთაგონება,
ვაშა, მუზებს და ვაშა, გონებას!

რაა ცრუ სიბრძნე სიმართლის
შუქთან,
სული სინათლით აივსოს უნდა, —
მზევ, აღმობრწყინდი მუდამ!

მზეს გაუმარჯოს, უკუნი ღამე
ჭირმა წაიღოს თუნდა!

თარგმნა მორის ფრცხიშვილმა



თეოდორ ტიუტჩევი

SILENTIUM!

იყუჩე, დასცხრი, დაიფარე და გადამალე
 ვნებანი შენნი და ოცნების წმინდა სავანე,
 სულის სიღრმეში ჩაკეტე და თავი ანებე,
 იქ ჩახდებიან და ნეტარად დაივანებენ.
 როგორც ნათელი ვარსკვლავები ღამის სისავსეს —
 შეეტრფე იმათ და იყუჩე უკუნისამდე.

როგორ აღმოსთქვას სანატრელი გულმა ზრახვანი?
 გული მარტოა: მდუმარე და დაუძრახავი,
 გაიგებს ვინმე, რარიგ შმაგი გწვავდა ზმანება?
 სიტყვები ფუჭი ნუთუ ვინმეს დაენანება.
 ჩაგმანულია კარები და როგორც მისანი;
 შეეტრფე იმათ და იყუჩე უკუნისამდე.

იცხოვრე შენში. შენი თმენით და შენი ნებით,
 სამყარო წმინდა: იდუმალი ფიქრის და ვნების
 მხოლოდ შენშია... შენში ფეთქავს, კივის და მღერის
 და აეანდაკებს არეკლილი სხივების ჩქერი.
 შეჰკონე სხივი... გაყინული ხორცი და ხავსი,
 შეჰკონე სხივი... და იყუჩე წამების ფასად.

თარგმანა რომან კიკალოიშვილმა

მიხეილ ლერმონტოვი

მე მიყვარს ლურჯი გრეხილი
 მთების,
 როცა ცის თალზე სინათლე კრთება,
 მეტეორივით მოცურავს მთვარე
 და სამხრეთიდან ნათლის ხნულს
 ავლებს,
 ვით დედოფალი ანდა მეუფე
 ქვეყნიერების ბნელ გარეუბნებს
 დასცქერის რისხვით და მედიდურად,

უკუნს ებრძვის და დინჯად
 მიცურავს,
 და დასავლეთით საღამოს სხივი
 ჯვრაც ღრუბლების ნეკნებზე
 ღვივის,
 თუმც არ ეთმობა პირქუში თალი
 ძალაგამოცლილს და მწარედ
 დაღლილს
 და ლელავს, მაგრამ სწრაფადვე
 კვდება...

ამოდის მთვარე და მართავს
კარავს,
ღრუბლის ნაფლეთებს გამოჰგლეჯს
წკვარამს
და მთვარის დიდი, თეთრი ხატება
ღრუბლის ზვავებში გაიხლართება.
ღამეებნათევს ან ველად გაჭრილს
ვის არ უნახავს ღრუბლების ზეგში
ჩაფლული მთვარე. ერთხელ მეც ასე
დავჯირითობდი და ქვეყნის თავზე
მბრუნავი მთვარე თეთრ ნატეებზე
აყრიდა ნათელს ცხენის ხერხემალს,
მე ვგრძნობდი, როგორ სუნთქავდა
ცხენი,

როგორ ფრთხვინავდა და კბილთა
ღრტენით
როგორ ტორავდა მინას ფლოქვებით,
ო, ვგრძნობდი, ვგრძნობდი.
თავდაოკებით
როგორ მიპყრობდა ქენების თინი
და დაოთხილმა ძრწოლვით და
ღრტენით
მე ასე დიდხანს ვიქროლე ველად,
დაბოლოს მთვარეს გავხედე ცერად
და მისი მზერა გარსშემომეგლო.
თითქოს ამბობდა, ვილაც მხედარი
მეცილებოა ჩემს სამფლობელოს.

თარგმანა ანდრო პუბლიცაძე

ანდრეი ბელი

მინდვრად

მზის კონტური ძველისძველი,
ოქრო პირმომცინარე,
ფორთოხლის და ღვინისფერი
მზე დაჰყურებს მდინარეს.

და ჰაერით მთვრალი მიწა,
მოთენთილი მინდვრები,
ციდან ოქრო ჩამოიქცა
ბრწყინავს ოქროს ზვირთები.

დავეშვები ბებერ ხევში,
ეტოვებ მზიან ხალიჩებს,
ფეხქვეშ შავი ბელტი ხვნეშის.
ძლივსძლიობით ვაბიჯებ.

ცეცხლოვან მზეს ვემალები
მობიბინე მდელოსთან,

გრილი ეარი შეღამების
ნაკადულთან მელოდა.

მზე ჩაეშვა ძველისძველი,
ზეცა დაცარიელდა,
ფორთოხლის და ღვინისფერი
ქრება დასალიერთან.

მზე ეწვია უცხო მხარეს.
გაირინდა მინდვრები,
მოეფინა შემოგარენს
იისფერი ბინდები.

დრო კი მიდის, მეთხოვება,
ვით დამშრალი ბინული,
სიზმარია ეს ცხოვრება,
უცხადესად ხილული.

თარგმანა გივი ალხაზიშვილი

ალექსანდრ ბლოკი

შორეული! ნათელი! როცა ყელს მოიღერებ
 ნუ, ნუ შემომავიციებ უსასოო ღიმილით...
 მიჰქრის მატარებელი, ვით ბოშათა სიმღერა,
 როგორც დაუბრუნებელ დღეთა ყრუ სიმძიმელი.

ძველი ნასატრფოვალი დაშთა ღამის ოვალი,
 წინ უცნობი სიზმრებით მომთვარული გზები დევს...
 დავალ დაუბრუნებელ სიხარულზე მგლოვარი.
 გვედრი: ეს ნაღვლიანი ტკივილებიც... შემინდე!

თარგმანა რომან კიკალაიშვილმა

კონსტანტინ ბალმონტი

რაისტვის

უფალო. მე ვგოდებ. ვჭმუნავ და ვიურვი,
 ვლოცულობ და ლოცვა ღამეს მიაღურსებს.
 რაისტვის მინყალობე სული ზეციური
 და მხრებით მინისგულს რატომ მიმალურსმე?
 ვსაუბრობთ წყვდიადში უჩუმარ ნაღველით,
 ვსაუბრობთ, უფალო. ცათა დამამშვენი,
 ჩვენ მოტყუებულნი. ვითარცა ბალღები.
 ვეძებთ და ვტირივართ: სად არს მამა ჩვენი?
 ო. თუნდ წამიერად გაკრთეს ღალადისი,
 ხმაი უფლისაი ჩვენდა ნეტარებად,
 ტრფობა. აღსასრული — მწარე საბრძანისით
 გარდუვალ სახებად სხეულს ეპარება...
 სამყარო ცივია და შენ კი მამაო
 დიადი. და მარად დუმილში გაისტვის.
 როგორც გალობანი. ამოდ... ამოდ...
 ჩემი სევდიანი ძახილი: „რაისტვის?“

თარგმანა რომან კიკალაიშვილმა

მიმდინარე წელს ფართოდ აღინიშნა კორნეი ივანეს ძე ჩუკოვსკის დაბადების 100 წლის თავი.

ცნობილია, რომ პოეტი, უპირველესად ყოვლისა, საკუთარი ერისთვის კმის, მაგრამ არიან ბედნიერი გამოჩაქვნიანი, რომელთა ნაღვაწი მთელი მსოფლიოს კუთვნილებად იქცევა. ერთი მათგანია კორნეი ივანეს ძე!

„ბუზი ბუზანკალი,“ „ექიმი აიბოლიტი,“ „დომხალი,“ „მოიდოდირი,“ „ნიანგი,“ „მოპარული მზე,“ „ორიდან ზუთამდე“ და სხვა მრავალი თანაბრად ეკუთვნის ყველას, ვისაც ნამდვილი პოეზია უყვარს და ვინც მის ფილტრში ფილტრავს კაცობრიობის ზვალინდელი დღის — მოპავალი თაობის უფაქიზეს ხულს.

ბუზი ბუზანკალი

1

ბუზმა, ბუზმა. ბუზანკალამ,
ფრთაკანკალამ, გულკანკალამ,
ჩაუარა საპურეს
და იხოვა საფულე,
საფულეში ფულია.
ბუზი მხიარულია.

ბუზმა ბაზარს მიაშურა,
ფული აღარ დაიშურა,
ცეცხლის ალთან ნაომარი
შეიძინა სამოვარი,
სახლს მიადგა ახალთახალს
და ტარაკნებს გადასძახა:

„ჩემთან მოდით, ტარაკნებო,
სუფრას გავშლი სანაქებოს!“

ტარაკნებმა მოირბინეს,
ჭამით ველარ მოიპირნენ,
ვფიცავ, თითომ რვა ცხლი
გადაყლაპა ნამცხვარი.

ჭიამ. ჭიამაიამ,
ჭიქა ჩაი დალია,
ხელი დაკრა დაირას:
— დიმ-დაირა, დაირა!

პანანინა რწყილებმა
შემოაღეს კარები,
ბუზს ნაღები მოუტანეს.
ოქროს შესაკრავებით.

თაფლს ფუტკარი ეზიდება
და მურაბას ბაღლინჯო,
„ხოჭო, თავს რად დამტრიალებ?
ბიჭო, გვერდი ამიარე,
ფეხი არ დამაბიჯო!“

მახრა ტკბილმა დაათრო
და სამოსი გაიძრო.
ხოჭო სუფრას თამადობს,
მასპინძელი მასპინძლობს.

2

უცბად, ურცხვმა ობობამ
ბუზს საბელი მოაბა
და იმ საბლით, ძველისძველით,
აიტაცა მასპინძელი.
დრო დაკარგა უქმად განა?
ჭერს მიაკრა ბუზანკალა.

შებოჭილი მასპინძელი
გაიძახის: „გაინძერიო!
რისთვის გაჭმევდით,
რისთვის გასმევდით,
თუ კი ამავს არ დამიფასებდით?!
ნუ გავეთ გულები ბაჭიებისა,
ნუ მიმატოვებთ გაჭირვებისას!“

მაგრამ ბუზანკალას არავინ მიხედა,
ზურგით გაიტანა, ვინც რა
მოიხელთა...

ჭიებმა სირბილით
მინდორი გავლეს,
რწყილები წივილით
მიმოიმაღენ;

ჭრიჭინამ ჭრიჭინით
გარემო შეძრა,
ტირა-ტიარაკანა
ბუხარში შეძვრა;

საფრთხეში ჩავარდნა
შეიტყო რა წამს,
ბაჯბაჯა ბაღღინჯო
სანოღში ჩანვა;

შიშისგან კინალამ
სული რომ დალია,
ფანჯრიდან გადახტა
პატარა კალია.

მტრის ხელში ჩავარდნა
არავის უნდა,
გული საგულეში
გადაუბრუნდათ.

3

ობობამ კი, სალახანამ,
ბევრი აღარ დაახანა,
ბუზს კბილები გაუყარა,
ისე მაგრად გაუყარა.
რომ სიმწრისგან ცრემლი ყარა
გულკანკალა ბუზანკალამ.

უცბად კოლომ მოირბინა,
არც აცხელა, არც აცია.
„კაცი ჭირში გაიცნობა-
ლხინში ყველა მამაცია!“

შესძახა და მოძალადეს
გონზე მოსვლაც არ აცალა,
დაუმსხვრია მუზარადი
და ხმლით თავი წააცალა.

მერე ხელში აიყვანა
ბუზანკალა, ფრთაკანკალა,
თბილ სანოღში ჩაანვინა,
გაუცინა, გააცინა,
მიეფერა, დაუყვავა,

თაქვემ ია დაუყარა
და ჩურჩულით უთხრა: „ქალო,
აღარ მინდა დაგიმალო,
შენით ვცოცხლობ,
შენით ვხარობ,
ჩემი გულის ვარდი ხარო,
მინდა ცოლად წაგიყვანო,
მინდა ერთად გავიხაროთ!“

4.

„ქორწილია! ქორწილია!“
შემოესმათ გაქცეულებს,
მორბიან და მონივიან,
მოათრევენ ნაქცეულებს.



ემატება სიხარულით
სახე გული სახე გულებს,
ათეული — ათეულებს,
ასეული — ასეულებს.

ხტიან ჭიამაიები,
ყალმით ფრთამოხატულები,
ფრენენ ციციანათელები,
ანთებული ნათურებით.

ცხრაფეხებმა ცხრა მთა-ბარი
მოიარეს, მოირბინეს,
ცაფირუზით თვალდამტკბარი
ცხრა მთა-ბარი მობიბინე.

შეაგროვებს დამკვერელები,
მოიყვანებს დამკვერელები,
შრომაშიაც დამკვერელები,
ლხენაშიაც დამკვერელები.

„საცეკვაო დაუკარით,
აბა, დოლი! აბა, ჩქარი!“
გმირი კოლო ბუზთან ცეკვავს.
ცეკვავს ნეფე-დედოფალი.

აბა, ჩქარი! აბა, ტაში!
ქორნილია სანაქებო!

ხოჭო ყვირის: „ღვინის სმაში
გამეჯიბრეთ, ტარაკებო!“

ულიმიან ყველას, ყველას,
ჭრიჭინა და ჭიაყელა,
ცეკვისაგან ჭიანჭველამ
ცერზე კანი აიჭრელა.

ემატება სუფრას ხალხი,
მოზუიან, მოწივიან,
მახრა ხარობს, გაიძახის:
„ბუზანკალას ქორნილია!“

თარგმანა ვაბა უზუზსიძემ



ალექსანდრ ტვარდოვსკი

მე რომ დავბრუნდი,
ბრძოლის ველზე რომ დარჩა ბევრი—
სამდურავ სიტყვას
ამის გამო
ვერ მეტყვის ვერვინ!..
ლაჩრად ვერ ჩამთვლით —
მათ წინაშე
მე ვარ მართალი:

მე სად შემედლო გადარჩენა
ყველა მათგანის!..
რას ვუშველიდი —
გამეწირა თუ გინდა თავიც...
ვიცი...
ეს ვიცი...
მაგრამ მაინც... მაინც... ეჰ!—მაინც!..

თარგმანა გივი ქნულაძემ

სერგეი ბარუშდინი

ადამიანისა და მისი სიტყვების შესახებ

მრავალნაირი არსებობს სიტყვა.
სიტყვა მტკიცე და
სიტყვა ნათელი.
ზოგჯერ ხმალივით
მჭრელია სიტყვა.
ზოგჯერ რბილია
როგორც სანთელი,
სიტყვა ჯიუტი
და გაბედული,
სიტყვა, რომელიც
რუტინას ანგრევს.
სიტყვა ბრძნული და
წინდახედული...

და... ყოველ სიტყვას
თან ახლავს საქმე,
მრავალნაირი არსებობს სიტყვა
და საქმეებსაც არ უჩანს ბოლო;
სიტყვა, რომელიც უსაქმოდ ითევა
ასეთი სიტყვა ქარია მხოლოდ.
მრავალთა სიტყვა ქარივით გაჰქრა
და დღეს მზესავით არის ნათელი

იმ კაცს, რომელსაც არა აქვს საქმე,
სიტყვაც არა აქვს
ქვეყნად სათქმელი!

თარგმანი ელზარ კარძეშვილი

გასილი ფეოდოროვი

მონური სისხლი

იმ სისხლთან ერთად,
ომში რომ ვლვრიდით,
სისხლთან,
რომელიც გვხდოდა გმირებად —
შერეულია მონური სისხლიც,
ისიც ჩვენს ძარღვში მიედინება.

იმ გმირულ სისხლთან,
რომლითაც ვხარობთ,
იმედი როა თანამოძმეთა —
ისე, ვით წუმპე
შეერთოს წყაროს,
მღვრიე ნაკადი მოდის, მონვეთავს.

მას ვერ იპოვის ექიმის ხელი,
უჩინარია. მაგრამ ღვიძლია...

ხანდახან ვიგრძნობ
სიფრთხილეს მხდალის
და ჩემს თავს ვეტყვი:
— ეს ის სისხლია!

სისხლი მონისა,
რომელსაც უნდა,
დაფაროს თავის ნამდვილი სახე.
ის ჩვენიც სულში
ფათურობს მუდამ,
გამცემი,
ციხეს შიგნიდან აღებს.

ის ქვემძრომია
შემძვრალი სულში

ის ტკბება,
როცა ვიეცევით მხდალად.
მას ვერ დაახლი
ცხელ ტყვიას გულში,
ვერ აზღვევინებ
საშინელ ლალატს!

მაგრამ მე ვიბრძვი
გაჩენის დღიდან,
ვერაგინ ხედავს
ბრძოლის ველს გაშლილს...
წლებს მისდევს წლები,
მე ვიბრძვი ფხიზლად,
რომ მონა მოვკლა საკუთარ თავში!

თარგმანა თედო ბაქიშვილმა

დავით სომოილოვი

პირველი თოვლი

მდინარის პირი თხლად იყინება,
აქა-იქ უკვე ვერცხლისფრად
ბრწყინავს.
წყალს მოეწყინა თითქოს დინება,
ცად ამალღება და მოსვლა წვიმად.
თითქოს მობეზრდა სიმღერა ლალი,
ღელვის სურვილით აღარ ინთება.
თითქოს მარადი დინებით დაღლილს
მოსწყურდა ძილი და გარინდება.

ღრუბლები ზეცას აუჩინარებს,
ლივლივა ტალღა ბინდმა გათალხა.
წყალს მოეწყინა ყოფნა მდინარედ.

ყინულეთს იხვევს ტანზე არტახად.
ანი სიმღერა — ბუტბუტის
ნაცვლად —
ანკრიალდება ყინული მკაცრად.

როგორც საყდარში მშვიდად,
უვნებლად —
დიდ სიჩუმეში შედის ბუნება,
ძირს დაფენილი ფოთოლთა გროვა...
აჰა, საცაა დაიწყებს თოვას,
დასრულდა გზები, ღელვა,
ცდუნება...

თარგმანა თედო ბაქიშვილმა

ალექსანდრ კუშნერი

აფრთხილდნენ მტრედები — ნაღვლიანი ნოტები.
შემოდგომის დღეები ჰგავს პუშკინის დროინდელს.
ცრიატია ამინდი. გადაყვითლდა კორდები.
უფროსი ხარ მოცარტზე. და პუშკინის ასაკსაც
უკვე უახლოვდები.

ჰარმონიის მეფენი დაულალავ მარჯვენით
დალლილობას ოდესმე განა ქედს მოუხრიან,
რომ მოასწრონ დახარჯვა, რაც აქვთ დასახარჯველი,
სწორედ იმათ არ ინდობს ბედი ბრმა და უნდობი,
შენთვის კი გულუხვია.

შენ ჯერ დიდხანს გაუძლებ. იმკურნალე. გაგივლის.
განქარდება ნალველი. ცრემლს დამალავ. იქნები
მშრალი, როგორც ყინული. და ეს გულის ფრიალიც
მალე დაიფარება ხმელ ფოთლების შრიალით.
თოვლის ცივი ფიფქებით.

შენი შეჭირვებანი ჰგვანან ღრუბლებს ნესტიანს,
შავს და სამგლოვიაროს, მობურვილს თავშალივით.
აი, ცივი ნილაბი. აი, ხელი ფერმკრთალი,
არ გულუხვობს განგება, მწუხარება მეტია —
ამ გზებს მაინც ჩავივლით.

მათ კი ვერ აიტანეს. ისინი ვერ იგებენ,
როგორ ვალწევთ სიბერეს. ჯავრს როგორ ვუმკლავდებით.
როგორ გადავიხადეთ აღებული ვალები,
ამიტომ გვიყურებენ ძველი პორტრეტებიდან
გაოცებულ თვალებით.

ვიმზირებით წყვდიადში. მიწა უნაპიროა.
თუმცა დედამიწიდან გასვლა ვერვის გვიცდია,
რომ ზეცაში თუნდ ერთხელ ლალად შევკრათ ირაო...
მაგრამ ძვირფას ლანდების თვალწინ, საბედნიეროდ,
ყოფნა გასაძლისია.

თარგმანა თეოდო ბაქიშვილმა

ვეგენი ვეტუშენკო

შავი ბანდერილები

კორიდის წესების მიხედვით მშშშარა ხართან
ბრძოლაში, ზიზლის ნიშნად, ვარდისფერის ნა-
ცვლად შავ ბანდერილებს ხმარობენ.

ფერი საბრძოლო ტოროს — არის ტრაურის ფერი,
გზა — მობრჭყვიალე არენა, ყასბის სასწორი ბოლოს.
შენ არ შეგშვენის სიმფრთხალე და ეშმაკობა მელიის,
რადგან შენ ბედმა გარგუნა დაშნით სიკვდილი, ტორო!
საშველი არ ჩანს, ძმობილო, ამაყად შეხვდი დაისს,

ღირსებით უნდა მოკვდე, რომ მტრის სიხარულს სძლიო. როგორც არ უნდა მოკვდე. შენზე ერთნაირს მაინც დაწერენ მოკლე ნეკროლოგს: „იყო ამდენი კილო“. ხორცს ცენტნერობით წონიან, სიმამაცეს კი გრამით, ხორცი სადილად წავა, სიმამაცე კი ზღაპრად. სისულელეა სწირავდე თავს, თუ საშველი არის, სისულელეა შიშობდე, თუ შემოგარტყეს ალყა. რატომ მომჩვარდი ასე? შე მშისარა და ბრიყვო, კოჭლობას რატომ იგონებ, მუხლი მაგრად გაქვს ჯერაც. სიმულიანტო ტლანქო, შენზე ეშმაკნიც იყვენენ. შედეგი: — რკინის ფარდულზე კაუჭს ჰკიდია ყველა. ბანჯგვლიანო და შეშლილო, ძალა მოიცი რქებში. ეტაკე გულხარბ ბანდას — ჩემო მამაცო ნიშავ. თორემ შავ ბანდერილებს, ამ ხროვის სანუგეშოდ, ჩაგიხლართავენ ბეჭებში, შენი სიმხდალის ნიშნად და რას მოიგებ ამით, კორიდისათვის შექმნილს პირმოთნეობა თაღლითთა ბრბოს წინ, შეშვენის განა? გარყვნილმა, სქელმა ძროხებმა, ეფენების ნაზი რეკვით სურთ გაგიტყუონ სცენიდან, ბოლოს კი მაინც დანა. თუ მაინც უნდა მოგახჩრწონ, დაე, განვალდნენ ბარემ. ყასაბმა ბალერიინებმა იცეკვონ, ოფლად იქცნენ. მფრთხალ ბუღებისგან შემდგარი ეს საცოდავი ხროვა შენს შერიგებას ნუ ნახავს ბედთან. გათავდი ისე. გადაერიე ამ ბრბოს, გმირი იქნები მაშინ. ხედავ, ედება წირთხლებს, ფარდებს და ბროლის თასებს მათ პიჯაკებში ჩასმული, ვით მოცახცახე ტყავში, ეს შავი ბანდერილები, მათი ლაჩრობის მაცნე.

ბანდერილი — ბაბთეიანი პატარა შუბი

თარგმნა ვახტანგ ხარჩილაძემ

ანდრეი ვოზნესენსკი

ტიჰეზა

მორების ქვეშ მორევი დულს
წყალი შავ-შავ დორბლებს ისვრის,
მიგვაქანებს დაღმა ენისეი,
ჰეი, — არ ვარ არავისი!
ჰეი, — არ ვარ არავისი!
ჰეი, — არ ვარ შენი!
ჰეი!

ველარ ვიტან თუ კიდეა
სადმე შენი ხმა და სახე
შენი კაბა, შენი ტანი, შენი ყელი.
სულაც ფეხებზე მკიდია
შენი მაცდური სახელი.

თუ გგონია, მომიქონე
თავი ფუჭი წერილებით,
ან ფრაზების ბრჭყვიალებით, —
ველარ გიტანი! ლობე-ყორეს
ნულა ებოდიანლები.

თუ გგონია, დიდად მიღირს
ეგ ფარჩა და აბრეშუმში
დაქარგული ქობა-ქობა, —
არც იფიქრო! — დღეის იქით
სასაცილოდ არ მეყოფა.

რის სიმშვიდე, რის კომფორტი, რის
ტელეფონ-ავტომატი,
კოლომ სახე დამიკორტნა,

გავირუჯე და ხატივით
კაცთა შემრისხავი გავხდი.

ბნედიანი ტალღა ყელში რომ არ
მეცეს,

მეც ნაპირზე მეოცნებე
მებადურთან არ გამრიყოს, —
გადავწყვიტე უარი — ცრემლს,
მამაკაცურ მკლავებს კი — „ჰო“.

„ჰო“ — გოგონებს კაპოეტებს,
მდინარეში „MA3“-ს რომ ბანენ
ცხენის ნაცვლად.
„ჰო“ — ტუმბოებს, ბრანსპოიტებს,
დარდმა სულ რომ არ გადამწვას.

თარგმანა შადიზან შამანაძემ

ლარისა ვასილიევა

დაბრუნდი,
მოდო! —
წყურვილი მახრჩობს,
კვლავ მზით ფერილი მასვი
ჩქერები...
ჩვენ ბედნიერნი ვიყავით,
მახსოვს,
და... გვეშინოდა
ბედნიერების!..

დღისით იმედის ფრთებად დამყვება
სიზმარეული,
თეთრი აფრები...
ხან —
ყველაფერი მჯერა ამქვეყნად,
ხან —
არაფერი,
სულ არაფერი!

შემოდგომის ფოთლაგი

მონყვეტაზეა ვერხვის ფოთლები,
დაყვითლებულან ვერხვის ფოთლები,
მონყენილან და ძარღვები უჩანთ
ვერხვის დაკბილულ ფოთლებს...
სულ მალე ცივი დაჰბერავს ქარი,
საშემოდგომო დაჰბერავს ქარი, —
მოთენთილ ფოთლებს,

მოღვენთილ ფოთლებს
ბალახ-ბულახში მოჰფენს...
მე ავიღებ და გულში ჩავიკრავ
იმ მოცახცახე ფოთლებს,
გამახსენდება ათასი რამე
და მერე სული წამძღვეს:

მივალ იმ ვერხვთან
(ვით შენთან ერთ დროს!)
მივალ მორჩილად, მოთნედ,
ტირილით მივალ გაძარცულ
ვერხვთან,—

შემოვეხვევი ტანზე!..
მაღე,
სულ მაღე
დაჰბერავს ქარი!..

მთაწმინდის ბინდი

მთაი, მთაწმინდა, სალამოს ბინდში
ფართქალებს, თითქოს გაფრენას
ლაშობს...

ფეხს ვერ მოიცვლის აქედან — იცის,
სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო;

ქალაქსაც უნდა მიჰბადოს
მტკვარს და
სწადს — ქალაქგარეთ იბოვოს შვება,
მონყვეტ შედგება ქალაქის კართან,—
ქალაქი ისევ ქალაქში რჩება;

ვერ მიატოვებს ქალაქი ქუჩებს
და ვერც ქუჩები დასთმობენ ბალებს...
მთაწმინდის ფერდებს ქალაქი უცებ
მიახლის სახლებს, ვითარცა
ტალღებს.

ჩამესმის ხმაი ამ წმინდა მთიდან,
შემოყოლილი შებინდულ დაისს:
ცოდვილ მიწაზე ჭეშმარიტების
მაძიებელთა ჩამესმის ხმაი;

და მე შევძახებ ყველაზე უწინ:
— არ დაიჯეროთ, ერთი მაქვს
თხოვნა, —
თქვენ რასაც ეძებთ, ხომ კარგად
უნყით,
არვის არ ძალუძს იმისი პოვნა!..

ჭეშმარიტება? — მთაწმინდის გემი
და ხსოვნის ზღვაში თქვენი
ტივტივი...

ჭეშმარიტება? — ბავშვის ტიტინი,—
დედის და მამის უკვდავი გენი!

სხვა დანარჩენი — ნისლი და ბინდი,
მოუსაველეთში
ჩაშვება
თავქვე...

რა საჭიროა კრძალვა და რიდი,
რატიომ გულლიად არ ვამბობ
სათქმელს...

...ნითლად შესულა დაღვრილი
სისხლის
მდინარე ცისფერ ცრემლების ტბაში...
მე კარგად ვიცი,
მე კარგად ვიცი
ამ სისხლისა და ცრემლების ფასი.

ნუ გეფიქრებათ, — მშვენივრად
ვიცი,
რას ნიშნავს სრბოლა უვალი გზებით:
ნისლი და ჯანლი, ჯანლი და ნისლი...
ზევით და ქვევით, ქვევით და
ზევით!..

სიტყვას გაფრენილს ვერ დაენევა
თვალბედილობა, —
მიფრინავს... მიდის...
ო, ღმერთო, — ზოგჯერ მიელენება
კლდის ქიმზე, როგორც უმწეო
ჩიტი!..

მიელენება! — და თუ (ვინ ელის!)
ჩამოვარდება თბილისის კართან,
და თუ ის სიტყვა, ანუ ფრინველი,
ყმანვილის ხელში დაიწყებს
ფართქალს,—

იმ სიტყვას, — ანუ იმ ფრინველს,—
მაღლა

აჰყვება, — სულაც
ვერ იგრძნობს დალღას, —
აღტაცებული ყმანვილი იგი
არ მიეცემა ეჭვს და რიდებას
და მიწიერი კრძალვით და რიდით
მიეახლება ჭეშმარიტებას;

დგას იგი, როგორც
უკვდავი სული,
მშობელ მიწიდან ამოზიდული,
დგას და ქათქათებს მთაწმინდას
ზედან—
თავისუფლების ამაყი დედა!..

ქრეზის ღე პრეზი

კოლაუ ნადირაძე

რატომ ან რისთვის?

გაზაფხულია! რა უცნაურად
მკვდრეთით აღმდგარი ზეიმობს მინა!
რა სასწაულით, რა ჯადოსნურად
ვილაც სიცოცხლეს მალავს და იცავს!
რატომ ან რისთვის? მესმოდეს მაინც
გამჩენი ვარსკვლავს რას ეუბნება,
ან რისთვის ცრემლი ლომ-კაცს და რაინდს
ზოგჯერ დასცემს და დაეუფლება?!
რატომ ან რისთვის? მინახავს, მუხთლად,
ჯიხვი კლდოვანში გადაჩეხილი,
და მეხ-გრიგალით მოთხრილი მუხა
უფსკრულის ნაპირს გადაწვენილი!
რატომ ან რისთვის? ერთო და კარგო,
არ ვიცი, რა ვთქვა, რა გიპასუხო!
ბედ-იღბლის წიგნის ფურცლები სდუმან...
სჯობს ფოთოლთ გაშლას ვენვიოთ სტუმრად,
ვიდრე სიტყვებით ჩუქურთმა ვქარგო!
ო, ყოველივე არ ითქმის სიტყვით!
რა ვკითხო მზეს ან მომღერალ ბალებს,
ვაზებს ან ვარდებს დარბეულს სეტყვით?
მინდვრის ყვავილნარს რა ვკითხო იმ დროს,
როცა მაისი ქარიშხლით ავდრობს?!
რატომ ან რისთვის? ნუ მკითხავ, კარგო!
რად გსურს სიტყვები ვძერწო და ვქარგო,
ზოგჯერ, სიკვდილიც არის ადვილი!..
სჯობს ფოთოლთ გაშლას ვენვიოთ სტუმრად,
რომ ამ სიცოცხლის წიგნი გაშლილი,
გადუკითხავად დავხუროთ ჩუმად!



იორამ ქემერტელიძე

ამაღლებინა

სული დიდა, სული დიდა,
სული — ერცახე ნექტრის ფიალა;
ყველაფერს იტევს — გასაყიდიან
თუ ნაყიდიან-საყიდლიანა.

გამოერიდნენ საუკუნეებს
და დედამიწას გარს შემოედნენ. —
ყოველდღე კარზე გვიკაკუნებენ
საფო,
პუშკინი,
დანტი,
გოეთე.

ო, მათი სული მართლა დიდა.
სული — ერცახე ნექტრის ფიალა;
ყველაფერს იტევს — გზიან-ხიდიან-
ტყიან-მინდვრიან-ბილიკიანა...

ბრუნავს სამყარო დაუსრულებლივ,
მთელი თავისი საწყის-სასრულით,
ქვეყნიერების დიდი სულებით
გაოგნებული და რეტდასხმული.

ბრუნავს და ბრუნავს ბროლის ციანა
თავბრუდამხვევად და თავგანწირვით,
სული — ერცახე ნექტრის ფიალა,
დიდი სამყაროს სულის ნაწილი.

აი. მოგროვდნენ,
ერთად მოგროვდნენ
და ვაკვირდებით გაფაციცებით.
რომ თვალხილულად ვიგრძნოთ
როგორმე
ხსოვნა-არხსოვნის და დავიწყების.

არც გვთაკილობენ და არც
გვწუნობენ
და უხილავი ადევთ იერი
უსასრულობის და სასრულობის,
მარადიულის და წამიერის.

ხილვა. არხილვა — ყველა ერთია.
ვით ნეტარება პოვნის, დაკარგვის,
რადგანაც სულთა სირას შერთვიან
გალაკტიონი.
ვაჟა.
აკაკი.

გულის დაგვად და სისხლის
გაშრობად
შეინარჩუნეს და შეიფერეს
დაბერებული მარად ბავშვობა,
გაბავშვებული მარად სიბერე.

შეთვისებთან ყველა თვისობრივ
გზას — ჯერ არნახულს და
არგაგონილს
ასაკოვანი მარადისობის
მარადიული უახლოვნი.

...ბრუნავს სამყარო დაუსრულებლივ...
მთელი თავისი საწყის-სასრულით —
ქვეყნიერების დიდი სულებით
გაოგნებული და რეტდასხმული.

ბრუნავს და ბრუნავს ბროლის ციანა,
თავბრუდამხვევად და
თავგანწირვით,—
სული — ერცახე ნექტრის ფიალა,
დიდი სამყაროს სულის ნაწილი.

შეხატუთი, ბაზარი, ძილი ანუ... გიორა დღა

ღამის ორამდე თუ სამამდე
წუხელ ჩემთან იყო რეზო და გივი,
პატარა ჭიქებით ვთამაშობ
ამხელა სტადიონის სტვენას და
კივილს...

ორივემ მოიგონა ბავშვობა —
(ბურნათი, ბალახვანი, საქორია,) —
გივი ცხრა ნომერს თამაშობდა
(თურმე!)

რეზოს —
ნომერი საერთოდ არ ჰქონია.

ორივეს ძალი შესწევს ქადილის,
(რა ჰქნან, თუ ბურთისთვის
შობილანს!)

გივის —
მიჩენილი ჰქონია ადგილი,

რეზო —
მოხეტიალე ფორვარდი
ყოფილა...

— ე, ბიჭო. დალიე!
— მაცალე! —
ჭამს გივი უხალისოდ
და უმადოდ...
— უნომრო რეზოს ვენაცვალე!
— ცხრა ნომერ გივის გაუმარჯოს!

ატორტმანებული
ბღღვრიალებს ეკრანი,
დგას ყურისწამლები სტვენა და
გნიასი;

გივის იმედი აქვს
მეკარის!
რეზოს — რამაზისი (შენგელიასი).

დამთავრდა თამაში, მოვიგეთ
(ღმერთმანი!)
დუმს ტელევიზორი — სუფრის
მტერი.¹

ჩვენია ახლა
ბურთი და მოედანი, —
რეზო შიგადაშიგ (რას ვხედავ!),
მღერის:

„პოეზიის კალოევი.
გიგა² ბერძინსწყაროელი...“³

* * *

...დილის თერთმეტია...
კვირაა... — შინა ვარ...
გივი — ბაზარშია...
(რეზოს ჯერ ძინავს...)⁴
...რა სასიამოვნო დილაა!
რა სასიამოვნოდ თბილა!..

¹ ოთ. მამფორია — რჩეული ფილოსოფიური თხზ., ტ. III, გვ. 361.

² გიგა — გივი ძნელადის თავდაპირველი სახელი (IX—XI სს.).

³ მ. მაკუაერიანი — დაუბეჭდავი ლექსები, ფონდი № 1/568.

⁴ (ფრჩხილები გაიხსნება გამოღვიძების შემდეგ).

ფიქრი

...და სად არ ცხოვრობდნენ,
მთებში თუ ველებში!
...და სად არ იბრძოდნენ,
თანაც — ნარმატებით! —
ჩვენი წინაპრები —
უძველესი
სკვითები,
ალანები,
სარმატები.

აუუ, — იმისიშორეს ვერ სწვდება
თვალი,
გული ანთებულა ცეცხლით
უნელებლით...
კალთას რომ იფერთხავს მოხუცი
ქალი,
ისე დაიფერთხა საუკუნეები.

ახლა ყველაფერი მათთვის ალალია...
ვისა აქვს ახლა იმის გარანტია,
რომ ჩვენში ახლა ზოგი ალანია,
ზოგი სკვითია,
ზოგი სარმატია.

უკმაყოფილო ხარ განმარტებით,
და თავს გადააქნევ დანანებით...
გამქრალან სკვითები,
სარმატები,
კიმერიელები, ალანები.

შენც გაჩნდი, ასე ვთქვათ,
ქვეყანას მოეღვინე...
იმ დროს შენც მათობას გასწევდი...
და გინდა ძალიან — იყო რომელიმე!
რომელი მათგანი ხარ?
არც ერთი?

მ თ ე ბ ი

სხედან — ათ-ათი!
სხედან — ოც-ოცი? —
გამოქცევინან ამ თაკარა მზეს. —
ვინც სად მოასწრო,
ხორხოც-ხორხოცით
ჯგროდ ჩამომსხდარან
მთები არაგვზე.

შეხორცებიან ფუძე-ლიბოებს.
თვალსანიერის სიგრძე-სიგანეს...
დაკარნახებულ წვივებს ილბობენ,
ბარში დასიცხულ ფეხებს იბანენ.

მთებო — კაცებო დარბაისლებო.
ვითომ რა მოხდა, — დიდი ამბავი! —
ნება მომეცით, თმა დავისველო
თქვენი მაგ წმინდა ფეხის ნაბანით.

არაგვისათვის

მინდია არაბულსა და ვახტანგ კიკვაძეს,
რომლებიც ჩერ ერთმანეთს არ იცნობენ

მტკვარო, რა უყავ ჩემი არაგვი,
სავსე მერცხლებით და
ვარსკვლავებით!

მე —

უსუსური და ჩაჩანაკი
შმაგი არაგვის თავს გედავები.

ჭერხო,
საფიხვნო.
ციხე-გოდოლი
ჩამოგინიდა ღვედავ-ღვედავით,
სულ ფოთოლ-ფოთოლ,
სულ ტოტ-ტოტობით
გამოვატანე ტყენი — მალნარი.

ბუზღუნ-ბუზღუნით,
ყბედობ-ყბედობით,
დგაფუნ-დგაფუნით,
თქარუნ-თქარუნით: —
სულ კურცხალ-კურცხალ,
სულ წვეთ-წვეთობით
გიგროვა სევდა და სიხარული.

ღეჭა ლოდები,
ლოკა ხარივით
და მშობლიური ფუძე-ლიბოდან
ჩამოზიდული გრილი მარილით
გამომტკნარებულ ხახას გიღობოდა.

გადაგებვია მცხეთის კარებთან,
ბერი არმაზის ციხე-ტინებთან, —
ამღვრეულ სხეულს გიანკარებდა,
გავარვარებულ გულს გიგრილებდა...

...შემოგილოკავს ორივე ნაპირი,
ბორგავს სტომაქი — მღვრიე
მორვეი;

ვეებერთელა გველეშაპივით
ტანს ვერ იკავებ და იზმორები...

მტკვარო, რა უყავ ჩემი არაგვი.
თეთრ დორბლს რომ ანთხევ ყვითელ
სილაზე...

შენი მსხვერპლია.
შენი ზვარაკი
და პასუხს აგებ შენ ჩემს წინაშე.

ლექსი ზუსტი მისამართით და ირიბი ანიმარაჟით

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული.
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“.

ხალხო, რა ხდება.

სად გინახავს.

ანდა, სად თქმულა. —

ვილაცა ბრიყვი

(ვითომ?

იქნებ არცაა ბრიყვი)

გუშინ ქართული არ იცოდა

და დღეს ქართულად

მთელ საქართველოს —

ძველსა და ახალს —

მიგინებს რიხით.

დგას, გაქებს კაცი!

და ატყობ. რომ გაქებს ქილიკით!

დგას, გლანძღავს კაცი

მამაშვილურ გულისტკივილით!

სინამდვილეში ყველაფერი

ხდება პირიეთი! —

ბორგავს ამ კაცში

მიჩქმალული სისხლის ყივილი.

ვითომ პოეტი,

ვითომ ქართველი!

ორივე ამით

გულშეძრული და ძალმოსილი —

ფეხს არ აბიჯებს (ორიგინალობს?)

ბალახს გათელილს

და სპეტაკ თოვლზე

დადის ფეხით,

ლაფით მოსვრილით.

ვთქვათ, არაფერი!

დავუშვათ და ნურც გენყინება!

მაგრამ უსმინეთ! —

საკუთარი ხმით იყიდება:

აქებს რუსთაველს —

ქება ისმის ლანძღვა-გინებად,

ლანძღავს და

ლანძღვა — ეება-დიდებად!

აი, ნამდვილი დაცინვა ბედის!

ჩვენ ხომ ყველაფერს

ვზომავთ ერთი საზომით —

მისხლით....

კაცი, რომელიც გვგონია ყბედი, —

მონაა

ტანში მიძინებულ

საკუთარ სისხლის!

და სისხლი იგი

ყარს სხეულში მისხიდან მისხით.

ფილოსოფიურად

შემომეხარჯა სიტყვის მარაგი,

შემომეფანტა ტყუილ-უბრალოდ.

რომ ვთქვა, ვის ვუთხრა?!

ღირს ლაპარაკი?

ან რომ დავმალო,

ვის დავუშალო!

დრო ასე გადის...

და თავი გამაქვს,

და თავი გამაქვს ასე ჩალიჩით:

თუ რამე იცი,

ის იცის სხვამაც,

და რაც არ იცი,

სხვამაც არ იცის.

მაგრამ ხანდახან ჟინი მოგივლის...

დიდი ბუნების წესის თანახმად —

სუყველაფერი არის ცნობილი,

მაგრამ ჭირს ხოლმე მისი დანახვა.



პაატა ნაცვლიშვილი

ნასვლის წინ

ნუგზარ ფოფხაძეს

წინ სხვა გზებია. მე აღარ მყოფნის არც ჩემი დრო და არც ჩემი სივრცე. მე ახლა უნდა გავშალო ფრთები და ჩვეულებრივ ფრინველად ვიქცე! მე უნდა ვნახო, როგორ ეხლება ვეება ტალღა ფიჯის ნაპირებს, ანდა ბერმუდის ბრმა სამკუთხედი გემის ჩაყლაპვას როგორ აპირებს. მე უნდა ვნახო. როგორ გაავსებს სველი ნორდ-ოსტი გროტსა და ბრამსელს.

შორიდან მაინც უნდა შევხედო რომსა და ლონდონს, მელბურნს და მარსელს.

მე უნდა ვნახო მონტევიდეო, ლოს-ანჯელესი, დარ-ეს-სალამი, ათენს და პარიზს, რიოს და ბალდადს პირადად უნდა ვუთხრა სალამი. არის მიზანი და ამ მიზნისთვის რაც გამაჩნია. ყველაფერს მივცემ. უნდა წავიდე, რომ დრო მოვიგო და რომ მოვიგო როგორმე სივრცეც. მე უნდა ჩემი თვალით ვიხილო, რასაც ათასგვარ წიგნებში წერენ, უნდა არსმენილ ბგერებს მივაგნო, უნდა მივაგნო არნახულ ფერებს. და ყველაფერი აქ მოვიტანო. წინ დაფულაგო მშობლიურ თბილისს. რომელსაც ესმის ჩემიც და სხვისიც. ავიც და კარგიც, მწარეც და ტკბილიც.

თბილისმა იცის, ვინა ვარ, რა ვარ, თბილისი თავის კალთაში მზრდია, ჩემი ქალაქი გულში ჩამიკრავს შინ მობრუნებულს შორეულ გზიდან... მაგრამ ეს მერე. დღეს კი არ მყოფნის არც ჩემი დრო და არც ჩემი სივრცე. მე ახლა უნდა გავშალო ფრთები და თავისუფალ ფრინველად ვიქცე!

რეზიუმე დანიშნავაშვილის განხილვაზე მადრასის აეროპორტში 1978 წლის 16 ოქტომბერს

გაფრენამდე დარჩა რამდენიმე წუთი, ხვალ დილისთვის უკვე კალკუტაში იქნები, შენი ბარგი-ბარხანით. ერთი მომცრო ფუთით — ინდოეთში ნაყიდი ინგლისური წიგნებით.

ახვალ, მოიკალათებ მეთორმეტე რიგში, ვახშამს ჩამოატარებს ინდოელი გოგონა, მოიგონებ მადრასში სეირნობას რიქშით, როცა თავი ფენჯაბის მაჰარაჯა გეგონა.

სავარძელში მშვიდად გადანვები მერე. თვალს მიაპყრობ ქვემოთ განათებულ ქალაქებს, გაიგონებ გვერდით: ერთი ქალი მეორეს რაღაც უხამსს როგორ გადაულაპარაკებს.

კალკუტისკენ მადრასით უმგზავრია სხვასაც.
მაგრამ არა „ბონინგით“, — დაფხაული ხომალდით,
და დაფლეთილ იალქნებს უბრძოლიათ ზღვასთან,
უბრძოლიათ გრიგალთან სულის ამოხდომამდე.

მერე ნავში ჩამჯდარა, გადაურჩა ვინაც
სიკვდილს, ზღვაში გარჩენილთ ტაროსი რომ დაპირდა,
და ოცი დღე ოთხ კაცს ნავში ჰქონდა ბინა,
ნიანგები არასგზით არ უშვებდნენ ნაპირთან.

შენ ნუ შიშობ! — მგზავრობა შენ მოგელის მშვიდი,
ნიანგი და შტორმი ვერ დაგაკლებს ვერაფერს.
გადაუფრენს ზემოდან „727“
უდაბნოს და ყანას, ჯუნგლებსა და ვენახებს.

გაფრენამდე დარჩა რამდენიმე ნუთი...
თანამემამულეზე მოძალებულ ფიქრებით,
ჩემოდნით და წიგნების მაგ პატარა ფუთით
ხვალ დილისთვის უკვე კალკუტაში იქნები.

ნიუ-იორკი

დღეს შენ თვითონ ხარ იმის ნაწილი, რასაც შორეულ ოცნებად თვლიდი.
აჰა, ემფაირ სთვით ბილდინგი, აჰა, ბრუკლინის ცნობილი ხიდი!

აჰა, ბროდვეი, რომელიც ღამით თავბრუდამხვევი ფერებით ბრწყინავს:
ნეონის თოვლი, ნეონის მთვარე, ნეონის მზე და ნეონის წვიმა!

ქალაქი არის XXI საუკუნიდან მოსული ელჩი
და ვით სიგელი რწმუნებულების, ცათამბჯენები უჭირავს ხელში.

სხვა იყო, როცა შენ ეს ქალაქი ფერად რუკაზე იცოდი მხოლოდ,
სხვაა, როდესაც „მილფორდ პლაზა“-ში 26-ე სართულზე ცხოვრობ.

როდესაც ხედავ, როგორ გაურბის ავენიუებს თავნება სტრიტი,
როგორ ერევა სენტრალ ფარქს თვლენა, როგორ იწყებენ სტრიტები
სტრიპტიზს.

როგორ ეხლება ჰუდონი ბორტზე მანჰეტენს — ათასანძიან ხომალდს.
რომელიც ბერავს ბეტონის აფრებს, რადგან ყურეში მობეზრდა დგომა...

მაგრამ სულ სხვაა მაინც ოცნება. ნასაზრდოები კინოთი, წიგნით...
რაც გინდა თქვი და მე ნიუ-იორკს უფრო შორეულ ქალაქად ვთვლიდი!

გიორგიდ მოსკლა

დიდი, ცისფერი თევზი აწყდება აკვარიუმის დაორთქილ კედლებს,
ის ცდილობს, მაგრამ თავის დაღწევას ამ კედლებიდან ვერასდროს
შეძლებს.

ნიშში ჰკიდია ღვთისმშობლის ხატი და ჩვილი ქრისტე მარიამს ეკვრის,
მან ჯერ არ იცის, თუკი ამქვეყნად სადმე არსებობს გვირგვინი ეკლის!

ან თუ საერთოდ არსებობს რამე, დედის სიტბოს და ალერსის გარდა,
ან თუ ოდესმე მოუნევეს მისვლა სიკვდილ-სიცოცხლის გარდუვალ
ზღვართან.

ბევრი უნდა ჰქმნას, ვითარცა ღმერთმა და უფრო მეტი, ვითარცა კაცმა,
მაგრამ არაფერს აპატიებენ — ქრისტეს დასჯიან, მას ელის ჯვარცმა.

რაც წინასწარვე განსაზღვრულია. იმას ვერ შეცვლის ვერც ის და ვერც
სხვა,
და მაცხოვარი აუქციონზე გაიყიდება ოცდაათ ვერცხლად!

საიდუმლოა სერობა ესე, მოციქულები გვერდიგვერდ სხედან,
იესო უკვე ზეცად მალღდება და ძლივს მიათრევეს საკუთარ ცხედარს.

და დასხდებიან ოთხთავის წერად იოან, მათე, მარკოზ და ლუკა:
ის არ მომკვდარა, მხოლოდ წავიდა და დაბრუნდება ოდესმე უკან!

აკვარიუმის კედლებს აწყდება თევზი დიდი და ცისფერი ერთობ.
ნუ დაბრუნდება, ნუ დაბრუნდება, ნუ დაბრუნდება მიწაზე, ღმერთო!

ნუ დაბრუნდება, ნუ დაბრუნდება, რადგან შეხვედრა იქნება მკაცრი,
თუ მაინც აღარ დაიშლი შენსას, დაბრუნდი, როგორც უბრალო კაცი!

ტრაქტატი სიყვარულზე

არავითარი სიყვარული!
უნდა ამაღლდე სიყვარულზე,
სიყვარული გზა არის მხოლოდ...
ჩვენ კი,
ბრიყვები,
ამ ევეყანაზე
სიყვარულის იმედად და
სიყვარულის გულისთვის
ვცხოვრობთ.

გულგარული ჩანაწერებიდან

ეს ტირიფი,
ეს თელები
თქვენთვის მხოლოდ ტირიფი და
თელებია,
ხოლო ჩემთვის
ძენწაა და ძელქვა...
რა ბაჩკოვო!
რის ბაჩკოვო!
ჩემს მონასტერს
(ყურს ნუ უგდებთ, ბატონებო, ამ
წარწერას!)
პეტრინონი ერქვა!

გუშინ დილას
(კაცს, ეტყობა,
ყველაფერი მობეზრდა!)
სირანო დე ბერჟერაკი
მიდიოდა წოპესთან.

კინოსასიოპოვის ოპოპა

არასოდეს გინატრია რემბრანდტობა. დეგობა.
რუსთველობა, მარკესობა ანდა აბე კობობა,
არ გიგრძენია მერყეობა ან წინააღმდეგობა.
სულში ერთი ჭია გეჟდა. ერთადერთი ობობა:

არც მხატვრობა,
არც მწერლობა. —
კ ი ნ ო მ ს ა ხ ი ო ბ ო ბ ა !

სუყველა მახსოვს. ვინც არ დამინდო,
ვინც გამიმეტა უდრტვინველად და სახელდახელოდ...
მე თავთით მიდევს „გრავ მონტე-კრისტო“ —
კეთილშობილი შურისძიების სახელმძღვანელო!



მონადირედი

ყველა ჩემს მიერ ჩაწერილი მონადირული ამბავი ეხება თხუთმეტი, ოც და მერდი წლის წინათ მომხდარ ამბებს, რომლებიც უშუალოდ ფშაველი მონადირეებისაგან მომისმენია. ზოგი კი თავად გადამხდენია. სხვათა ნაამბობისათვის არაფერი მიმიმატებია, არც შემიღამაწუბია. ვაღმოგვიცით ისე, როგორც მათგან მოვისმინე ვფიქრობ, გამართლებული იქნება, ჩვენს ჩანაწერებს „მონადირული“ რომ ვუწოდოთ.

საჯიხვეების პირველი ხილვა

ოცნებად მქონდა გადაქცეული ჭიხვებზე ნადირობა, საჭიხვეების ნახვა, ჭიხვების თავის საუფლოში ხილვა. მოვილაპარაკეთ მე და იოსებ ციგროშვილმა, ფშავში განთქმულმა მონადირემ. ავიღეთ ნადირობის ნებართვა (მაშინ ჯერ კიდევ ნებადართული იყო ხარჭიხვებზე ნადირობა) და წავედით სანადიროდ პირიქით ხევსურეთში. ფეხით გადავიარეთ მალალი წუბროვნის მთა და იმ საღამოსვე ჩავედით ჩვენს მმანდაფიკ ხეთისო ზვიადურთან ხახაბოში. ხეთისომ, სანადიროდ წამოსვლავერ შეძლო, ამიტომ მეორე დღეს წაგვიყვანა სოფელ ხონეში ტოლხა შეთეკაურთან. ვისთანაც უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენს ჭიხვებზე ნადირობის საკითხი. ყველა შემხვედრი გვიჩვენდა, რომ არ წავსულიყავით, რადგან არავინ გამოგვეცებოდა ასეთ დროს, თივისა და მოსავლის აღებითა და დაბინავებით რომაა ხალხი დაკავებული. რომელ კუთათამყოფელი კაცი მოწყდება ახლა საქმეს და მთელი კვირით წავა კლდე-

ღრეში სახეტიალოდო, — ამბობდნენ ისინი.

ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ ტოლხა გვენახა.

სანამ ხონეში მივიდოდით, ტოლხას მეუღლე და შვილი შეგვხვდნენ, ამბავი გვკითხეს და მათაც იგივე გაიმეორეს — ახლა არც ტოლხა და არც სხვა ვინმე სანადიროდ არ გამოგვეცებათო.

ხონეს გზაზე მიმავალი ეტაბებოდით ხონეს წყლის უღამაზესი ჩანჩქერები: ექვრით, მიწია გუღიდან მომხიბლავ თეთრ სიმღერებად რომ მოვარდნილან. და მოულოდნელი გამოჩენია აკვირვებენ ადამიანს. სოფლის ბოლოს ხონეს წყალი დაბლა მიექანება ასა მცტრი სიმალღის კლდოვან კალაპოტზე. წყლის სითეთრეს თოვლის სითეთრე დაუჭაბნია. ასეთი სიღამაზია დანახვა გაჯადოებს, გნუსხავს, თითქოს ფეხის გადადგმაც ვიჭირს, განშორება გეძნელება.

კარგა ხანს ეტაბებოდი ამ სიღამაზით, სანამ ამხანაგების ხმამ არ გამომარკვია: — რა მოგივიდა, რატომ გა-

ჩერდი, ცუდად ხომ არა ხარო. მივდი-
ოდი და მიხაროდა, რომ დაბრუნებისას
ისევ ვნახავდი აქაურობას.

ტოლხა თივას ზეინავდა სახლის წინ.
მივესალმეთ. მე პირველად შევხვდი
მას, იოსები კი კარგად იცნობდა. მოს-
ვლის მიზეზი გვკითხა.

— ჭიხვებზე სანადიროდ გვინდა წას-
ვლა, — ვუპასუხეთ.

— წადით და ინადირეთ, ჭიხვების
მეტი რა არის საჭიხვებში.

— აქაური უნდა გაგვეყვეს ვინმე, ისე
ვერ წავალთ.

— ახლა აქაური ვერავინ გამოგვეყ-
ვბათ, ხომ ზედავთ, რა დღეშია ხალხი.
ვინ მიატოვებს სამუშაოს...

— იქნებ თქვენ გამოგვეყვეთ როგორ-
მე ერთი-ორი დღით?

— რას ამბობთ, ერთ-ორ დღეს ჭიხ-
ვებზე ვინ ნადირობს. ერთი კვირა მა-
ინცაა საჭირო. ასრე ადვილი რომ იყოს
ჭიხვებზე ნადირობა, ყველა ინადირებ-
და... ცუდ დროა გადმოხვედით, ვაჟე-
ბო, კიდე უფრო რომ დაშემოდგომავ-
დებო, მაშინ გადმოდით და წავიდეთ.

— მერე ჩვენ აღარ გვექნება დრო.
ჩვენც გიშველით ერთ დღეს მუშაობა-
ში და გამოგვეყვი, — შევთავაზეთ, —
ასე შორიდან მოსულეებს უარს ნუ გვე-
ტყვი, იქნებ ჩვენი შველაც დაგვირდეს
როდისმე.

ტოლხას აღარაფერი უთქვამს. ეს კარგ
ნიშნად მივიღეთ.

— დავისვენოთ, პური შევჭამოთ,
დალილები და ნამგზავრები ხართ.
ბევრი კი არაფერი მაქვს, პურზე და
ყველზე დაგვატოყებთ, — გვუბრა.

დავისვენეთ, პური ვჭამეთ, არაყიც
დავლიეთ. ტოლხას გული გაეხსნა: —
მართალია, უარს გეუბნებით, მაგრამ
ძალიან მინდა წამოსვლა. ხალხისაც მე-
რიდება, რას იტყვიან, — სამუშაოს
თავი მიანება და სანადიროდ გაიქცაო.

მეორე ღამით ფშავ-ხევსურეთის სა-
ლოცავები დავლოცეთ. მესამე ღამით —
ერთმანეთი. კარგ ხასიათზე დავდექით
ყველა. ტოლხამ გვითხრა: — რა გაიგე-
ბა ჩემი უარისა, იქნებ კიდეც წამოგყ-

ვეთ, ფშავიდან მოსულნი ისე როგორ
გაგაბრუნოთ, მარტო ვერ ინადირებთ,
ვერც მე გაგიშვებთ, ძნელია და საშიშა
ჭიხვებზე ნადირობაო...

კიდეც დავლიეთ და ტოლხამ გადა-
წყვიტა სანადიროდ წამოსვლა: — რაც
არის, არის, გადავდებ ამ სამუშაოს,
სალამომდე თქვენც მიშველეთ, სალა-
მოს კი სანადიროდ წავიდეთ. სამი-ოთხი
დღე მაინც დაგვჭირდებაო, მან თავისი
ვაფი გაგზავნა ხონის ჭალაში თოფის,
ვაზნებისა და საგზლის ამოსატანად.
იმავ საღამოს ხონის ყელია წავედით
სანადიროდ. ხონის ყელშივე დავვიდამ-
და, დამე სიბის ქვებით აგებულ და
გადახურულ ქობში გავათენეთ. სამი
ათას მეტრზე მალა ვიქნებოდით. ძა-
ლიან გვეცოდა, კოსტიუმის ამარა ვა-
ყავი, თბილად არც იოსებს ეცავა.

კიდეც ერთი ბოთლი არაყი დავლი-
ეთ მე და ტოლხამ. იოსებმა უარი
გვითხრა — გული მაქვს ცუდადო.

დავწეკით დასაძინებლად, მაგრამ რა
დაგვაძინებდა. მე და იოსები ვიყავით
ცუდ დღეში, თორემ ტოლხასთვის ეს
ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაშინვე და-
ეძინა, გვერდიც კი არ უქცევია, ისე
ეძინა. ჩვენ ვკანკალებდით და ამოდ
ვცდილობდით თვალი მოგვეხუჭა. შუა-
ღამისას იოსებმა ველარ მოითმინა, გა-
რეთ გაეარდა, დარბოდა, ვარჯიშობდა,
მაგრამ მაინც ვერ გათბა. გამთენიისას
კი ტოლხამ საჭიხვებისაკენ მიმავალი
ბილიკებით წავგვიყვანა. მიწას მალე ბა-
ლახის საფარველი ჩამოსცილდა, ახლა
მხოლოდ ქვა და ქვიშა ხმაურობდა
ჩვენს ფეხქვეშ. გვესმოდა ჭიხვების მრ-
ეკ დაგორებული კვების რაჟენი, ქვი-
შის ჩხრიალი. განთიადისას უკვე შურ-
თხის ხმაც გავიგონეთ და უნებურად
გამახსენდა:

გათენებისას ქობში,

შურთხმა დარეკა წარიო...

პირველად ვისმენდი ამ ხმას. ტოლხამ
მითხრა მაშინ:

— შურთხები მთია ბულბულები არ-

გიორგი თუჩუაშვილი
მოწოდებული

იან, გოგი, ძალიან მიყვარს მათი სტვენისა და გალობის გაგონება. ამ ხმის გარეშე რაისფერი იქნებოდა მთების ყოფა. ცხოვრება. ჩიხვებსაც მოგვიწყინდებოდა უამისოდ, საჩიხვეებსაც, ე-მთა-კლდეთაც, ნადირთ ანგელოზსაც...

ვუსმენდი და ვეთანხმებოდი, თან ვფიქრობდი, ჩემთვის: საჩიხვეთა განთიადებო. თქვენ მომხიბლავ ჰანგებს ვისმენ. ეს რა ლამაზი სიმღერები გკოდნიათ, შურთხების ყელით მღერი-ხართ და ამბობთ თქვენს ლამაზ სიმღერებს. თქვენს სათქმელს.

საკმაოდ დაღლილი ვეკითხები ტოლხას: — კიდევ ბევრი გზა დავკრჩა?

— ჭერ კიდევ დიდი გზა მიგვიდის, დიდი!

ავივლიდით ერთ გორას, ავათაებდით აღმართს, ვიწყებდით მეორეს, უფრო მაღალს, უფრო ციცაბოკალთებიანს. იოსებიც დაიღალა, ხშირად ჭდებოდა დასასვენებლად. ბოლოს, რომ ველარ შეძლო. გვითხრა: — გული მაქვს ცუდად, სიარული აღარ შემიძლია, ასეთი რამ არ დამმართნია არასოდეს, ვეღარ წამოვალ, უკან დავბრუნდები. თქვენ წადით და ინადირეთ. ტყუილად გაგვიანებთ...

მე გავამხნევე, ტოლხამაც უთხრა: ცოტაა თუ კიდევ შეძლებ სიარულს, მალე გადავალთ საჩიხვეებში. იქ დავისვენებთო.

იოსები გაკირვებით დაიძრა. საჩიხვეებს რომ მივუახლოვდით, დაეინახეთ, რომ მწვერვალზე, ბილიკების გაყოფებით, ყოველ ორმოცდაათ მეტრზე, ერთმანეთზე დალაგებული იყო დიდი სიპები, მათი სიმაღლე ერთ მეტრს ან მეტს აღწევდა. გაგვიკვირა და ტოლხას ვკითხეთ, რა ნიშნებია ესო. თურმე სიპები მწყემსებისა და მონადირეების მიერ იყო დაწყობილი, რომ ქარში, თოვლსა და ნისლში გზა არ აბნეოდა ადამიანს.

უამისოდ გზას დაკარგავს და დაილუპება კაციო. — ამბობდა ტოლხა. — ბევრჯერ მინახავს აქ გზააბნეული,

დამზრალ-გაყინული, დაღუპული თუ ში, ქისტი და ხევსური. დაქუახის მთა მკაცრია, წვიმაში და თოვლში აქ სიარული საშიშიაო.

გადავხედეთ საჩიხვეებს. ტოლხამ ქუდი მოიხადა, დიდხანს იდგა ასე, ლოცულობდა, საჩიხვეებს ესალმებოდა, შველას შესთხოვდა ნადირთ ანგელოზს. მერე მოგვიბრუნდა:

— დავასვენოთ მუხლი და გული. ეხლა აღარა გვიკირს, გული საგულესა გქონდეთ.

დავისვენეთ. ტოლხა გვაცნობდა ხონის ადგილების სახელებს:

— ხონის ქალიდან რომ გამოვდივართ და თავშალმ ზევითკენ მოვდივართ, ხელმარცხნივ დახკულია, ხელმარჯვნივ, — მახკოს მთა. მერე ჰურთა და იქ ცხვარი გვყავს ზაფხულობით. ეს მთა, ახლა რომ გადმოვივარეთ, ვარადამოს მთაა, ხონის მთა ზემოთაა. ის თოვლიანი მთა, ყველაზე მაღალი, ჩვენს გაღმა რომ მოჩანს, დაქუახია. მაგას რომ მოსდევს, უყარეჩოა, შუაგორს ნიშნავს ქისტურად.

ჩვენ ჩიხვებზე სანადიროდ ქანუსტში გადავალთ. ქანუსტს გაღმა ჩიხუაა: იქ ბევრი ჩიხვია ქალებში. დაცხამაშები ჰქვია იმ ადგილებს — ქემო დაცხამაში, ზემო დაცხამაში. ყველა ქისტური სახელია. სოფლებიცაა აქ: ფოდა, ტუტა, წიხალი. ძალიან ლამაზი სოფლებია — ციხე-კოშკებით. ჩიხვებზე ყველა ვერ ინადირებს, „ლაჩარი და მშიშარა კაც ვერ წავას სანადიროდ“. თუ მუხლი არა გაქვს მაგარი, არ უნდა წახვიდე სანადიროდ, მუხლები ავიკანკალდება და უფსკრულში ჩაიჩიხები. თუ თვალი გიშინდება, სანადიროდ წასული დაილუპები. თუ გულადი არა ხარ, არ უნდა წახვიდე სანადიროდ, გაუტეხელი უნდა იყო, ხელის მოცარვამაც არ უნდა შეგაშინოს, არც თოვლინულის უნდა გეშინოდეს. ჩიხვებზე წასვლა ქეიფი კი არ არის, ძნელი საქმეა.

იოსებმაც მოიხედა, სიტომ უშველა. ტოლხას უღვაშებში ელიშობოდა

და მაინც უბრაზდებოდა — თუ ვაჟაკი არ იყავი, რატომ მოდიოდით. მერე უთხრა, ერთი ლექი უნდა გასწავლო, თუ არ გეწყინებაო. არ მეწყინებაო, — დაპირდა იოსებიც.

შინ რად არ იქცე, ცუდაო,
დევდას უმართე ტარები,
ზეით მხვალ, ძირში კინული,
ჩიხვთ როგორ ჩაეპარები.

— ვინებ ყოფილხართ: ნადირობა გწვადიანო, წაგვიყვანეო, ასეთები ვართ, ვივლითო. მძლივ დასდით, უნდა გალექსნეთ, ლექსს დაგიწეროთ. დაგცინებთ, არ დაგინდობთ, შეგარცხვენთ.

— გვალექსე, ფშავლებს ამით ვერ შეგეაშინებ, უარესს გეტყვიან და დაგიბრუნებთ.

— შეც ეგ მინდა, რომ დამიბრუნოთ, — იცნოდა ტოლხა.

მივიდიოდით, გზადაგზა ვისვინებდით. ტოლხა ისევ გვიყვებოდა:

— ნადირს თავისი პატრონი და მფარველი ჰყავს, ყოველდღე რიგრიგობით მწყემსავენ ჩიხვებს ნადირთპატრონი — ხან ქალია მწყემსად, ხან ვაჟი, თუ ვაჟია მწყემსად, მაშინ უფრო ხელი ემართებათ მონადირეებს და ნადირიც ეძლევათ, თუ ქალია, მაშინ მონადირეები ძნელად მაჰკლავენ ჩიხვს.

ჩვენ ესეც პირველად გვესმოდა.

ტოლხამ წმინდად იცის ქისტური ენა, ხშირად ხმარობს ქისტურ სიტყვებს:

— ავახალ, ვაყებო! — ამბობს ის და ქართულად გვითარგმნის: — თქვენმა მზემ, ვაყებო!

— დიალ ჩიხვები! — ტიალი ჩიხვები, რა ლამაზები არიან ეგ ტივლები.

მე მივიდიოდი, ვცდილობდი ტოლხას არ ჩამოერჩნოდით, მაგრამ მთელი ღამის უძილო, ძნელად ვახერხებდი ამას.

პირველად ყველაზე უფრო ჩიხვების ნაკვალევმა გამაყვირვა. ცხრა ხარჩიხვის ნაკვალევი ვნახეთ, მწვერვლებისაკენ წასულიყვენ. მოზგრის ჩლოქისტოლი ნაკვალევი აჩნდა მიწას.

ერთ ადგილას ძლივს გავიარეთ წვი-

მისა და ქარისაგან ჩამორეცხილი საჩიხვების ფერდობები. ჩვენს ზემოთ ას მეტრზე გადმოკიდებულყო თოვლისა და ყინულის გორები. აქვე იწყებოდა მაისტის ხეობის წყლები. დაესხედით, შევისვენეთ, პური ვკამეთ და მღვრიე წყალი დავაყოლეთ და გზა განვაგრძეთ. დაქუეხს რომ გადავხედეთ და ცოტა გზა ჩავიარეთ, ქვემოთ რომელიდაც ცხოველის თეთრად მოკათათი ძვლებს დავადგით თვალი.

— აბა, თუ გამოიკნობთ რისი ძვლებია? — გვეკითხა ტოლხამ.

— ჩიხვისას არა ჰგავს. — თქვა იოსებმა.

მეც ვერ მივხვდი, რისა იყო.

— სახედრებისაა. — გვითხრა ტოლხამ. — დიდი ხნის წინათ, გვიან შემოდგომაზე ვინადირეთ მაისტის ხეობის საჩიხვებში. ხორც-ტყავის გადასატანად ოთხი სახედარი წამოვიყვანეთ. ნანადირევი რომ ავკიდეთ და მთებს შემოვუდექით, საშინელი ქარი და თოვლი ატყუდა. შეუძლებელი იყო სახედრების ტარება. ქარს ქვა და ქვიშა მოჰქონდა და სახეში გვაყრიდა. უზარმაზარ ლოდებს გლეჯდა და აგორებდა. სახედრების დარდი ვისღა ჰქონდა, თვითონ ჩვენ ველარ ვიგნებდით გზას. სახედრები მივატოვეთ და გაკირვებით დავაღწიეთ აქაურობას თავი. სამი-ოთხი დღე მძვინვარებდა ქარიშხალი. მერე გამოიღარა და წამოვედით ბარგის დასახედად. სამი სახედარი მომვედარაყო. ერთი — უფრო ახალგაზრდა ცოცხალი გადარჩილიყო, მშვიერს სხვა სახედრებისათვის ძუა და ფაფარი სულ წაეძოვა. ეს ძვლები იმ დაბოცილი სახედრებისაა.

რა საოცარი ჩვევაა ნადირობა, — ვფიქრობდი ჩემთვის — რა ხიფათს არ გადაყრები, რა გაკირვებაში არ ჩაიგდებ თავს, რამდენჯერ სიკვდილის პირას მიხვალ, რამდენჯერ გაათენებ ცივ ღამეს, წყალში ივლი, შეგცივდება, რამდენ ღამეს არ დაიძინებ მშვიდი ძლით, რამდენჯერ მიატოვებ ოჯახს, სიმშვი-

ბიოგრაფიული მონაღირობები

დეს... რა სიამოვნება უნდა ნახო ამის საზღაურად, რა ტკობობა. ფშავში ხშირად გაიგონებთ ლექსს, რომელიც მონადირის ცოლს გამოუთქვია:

დუშმანიმც არი, დეჟაო, მონადირისა
ცოლია.
ჩერ შუადანე არ არის, გათენებული
ბგონია,
გასწირავს თბილსა ლოგინსა,
სალ-კლდეებს ტუეში სტოლია.
არ მინდა ნადირის ზორცი, დაწვე, ნუ
დამაღონვა.

ერთ ადგილზე ტოლხამ გვიტობრა:

— ებლა ფრთხილად უნდა ვიაროთ, ნულა ვიხმაურებთ, ნურც ქეებს დავაგორებთ, ამ გორზე რომ გავალთ, მეორე გამოჩნდება, იქ ხშირად იციან ჩიხვებმა დაწოლა, რაღა შორს ვიაროთ და ვიწვალათ, იქნებ აქვე მოვკლათ ხარჩიხვი.

მაისტის ხეობაში ულამაზესი სურათი გადაგვეშალა თვალწინ — უამრავი ჩანჩქერი გამოჩნდა. ვერცხლისფერი სხეულებით წვანან კლდეებზე და ცახცახებენ, თრთიან. ზოგი ჩანჩქერი მახვილივით აგდია უფსკრულებში, კლდის აკანში წევს. ამ სილამაზეს იშვიათად თუ დაინახავს ვინმე. ვინ მოვა აქ — მეცხვარე ან მონადირე. სხვათა თვალთახედვისაგან კი დამალულია ეს ყოველივე, — ლამაზად აწვდილი მთები, სალი კლდეების პერანგები რომ ჩაუცვამთ, ჩანჩქერების ვერცხლისფერი ძაფებით შეუტერავთ და ფიქრში ჩაფლულან.

მაკვირვებდა მიღმახევიში და მაისტის ხეობაში ჩანჩქერთა და მდინარეთა სიმრავლე, ბევრ ადგილას ვნახე მთის მდინარეთა დამსხვრეული და დანაძობებული ტანი, სალ კლდეთა კალაპოტებში და უფსკრულებში ზოგ ადგილას ისე იყო მდინარე დამსხვრეული და დაღეწილი, აღარ მჭეროდა თუ კიდე შეძლებდა სიარულსა და ტანის გამართვას, მაგრამ ჩემი ფიქრი და შიში ამოა იყო, მთის ჩანჩქერები და მდინარეები ასეთი კალაპოტით სიარულს

შეჩვეულნი არიან, და თავის საველ გზას აგრძელებენ.

ტოლხა წინ მიდიოდა. უცებ შეჩერდა. მიწაზე გაწვა და ჩუმად გვიტობრა: — ფრთხილად, აგერ, გორაზე ოთხი ხარჩიხვი წევს, ორი დილია, ორიც პატარა. ზომ ხედავთ? აბა, რომელი ესერით, სტუმრები ხართ, თქვენ უნდა მოგაკვლევინოთ ჩიხვი, თქვენ უნდა ესროლოთ.

— იოსებმა ესროლოს. — ვუთხარი.
— უფრო გამოცდილი მონადირეა.
— ვესვრი. — თქვა იოსებმაც.
— არ აჩქარდე, კარგად დაუმზინე,
— დაარიგა ტოლხამ.

წამოწვა იოსები კლდეზე, დაუღო თოფი, საგულდაგულოდ დაუმზინა და ესროლა. თოფის ხმაზე ჩიხვები ფეხზე წამოცვივდნენ. ესროლა მეორეც და ჩიხვები ქარაფებში გადაიკარგნენ.

— რა ჰქენი, ბიჭო? — ცვიტხე.
— რა ვიცი, ვითომ ძალიან კარგად დავუმზინე და აუჩქარებლადაც ვესროლე.

— გავიდეთ, ვნახოთ, აქედან რას გაიგებს კაცი, იქნებ მოხვდა, კვალიც ვნახოთ, სისხლი იქნება.

გავედით, ვნახეთ, სისხლის კვალიც არსად იყო, არც ნატყვიარი ეტუობოდა კლდეებს. დადარდიანდა იოსები, ბრაზობდა თავის თავზე.

— არეული ზომ არ არი შენი თოფი? — ჰკითხა ტოლხამ.

— არ იყო არეული, რა ვიცი, რა ეშმაკი დაემართა.

ჩვენც აღარ გვინდოდა გაგვეღიზიანებინა იოსები, პირიქით მის დამშვიდებას ვცდილობდით.

— პირველად აღეღვება იცის აცმა, — თქვა ტოლხამ. — იმის ბრალი იქნება: მეორედ რომ ესვრი, აღარ აგიცდება, მაგაზე ნუ იღარდებ, ჩემო იოსებო. დღეს კიდევ ბევრი ჩიხვი შეგვხვდება და მერე ვიყოჩალოთ. ნადირობას აჩქარება არ უყვარს, ამ დროს სიღინჯე სკობა.

ჩუმად მივდიოდით. ხშირად გადახედავდით დაქუხახის მთებს და უყარე-

ჩოს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი კლდოვანი და მიუღვამელი იქნებოდა საჭიხეები.

რალაც ხმაური მომესმა, გაეჩერდი და ამხანაგებსაც ვუთხარი შეჩერებულიყვენენ. მათაც გაიგონეს ჭვიშის ჩხრიალი. საღლაც ახლოს ჯიხვები იყვნენ. იოსებმა თქვა, ჭვევიდან ისმისო. დაახლოებით ერთ კილომეტრზე დავინახეთ ვიწრო ბილიკზე დამწკრივებული მოწითალო ფერის დედა ჯიხვები და თიქნები. გაღმა უყარეჩოს სიმაგრეებისაკენ მიდიოდნენ. პირველად ვიყავი ჯიხვებზე სანადიროდ და მაინტერესებდა მათი რიცხვი. იოსებიც თვლიდა, ტოლხას კი ასეთი რამ აღარ აინტერესებდა. ორმოცდაათამდე ჯიხვი იყო სულ. მერე ტოლხას ვკითხე: — სად მიდიან ნეტავ, ეგენი ხომ იმ კლდეებში ვერ ავლენ, ახლოსაც ვერ მიეკარებიან. იქ ფრინველსაც გაუჭირდება გადაფრენა.

— ფრინველისა რა გითხრა და ეგენი კი ავლენ. შენი თვალით დაინახავ.

დაუჭერებელი იყო ის, რასაც ტოლხა ამბობდა და რასაც მე ვხედავდი — ჯიხვის შუნ-თიქნები თვალის დახამხამებამი ავიდნენ სიმაგრეებში და გაუჩინარდნენ.

— ხომ ხედავთ ე მისტიის ხეობას, — გვიამბობდა ტოლხა. — რაც კი ადგილები ჩანს და არ ჩანს გახე-გამოხე (გაღმა-გამოღმა) სულ ჯიხვების სამყოფელია, ღმერთმა და ბუნების ძალამ ამრავლოს, ბევრ მტერ კი ჰყავის ამ ტივლებს — ეს კაციო, ეს მგელიო, ეს არწივიო, ეს თოვლი და ჭარიო, ეს ზვავეები, ავადობა და ქირიო...

— ავადობაც თუ იციან ჯიხვებმა?

— იციან ზოგჯერ. საოცარი წესი აქვთ ამ ტივლებს, დედა ჯიხვები და პატარები ცალკე ცხოვრობენ, ხარჯიხვები კი ცალკე. მამალი ჯიხვებიც ხუთ წლამდე დედა ჯიხვებთან არიან და მხოლოდ მერე გადადიან ხარჯიხვების ჯოგში. წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეერევიან ერთმანეთს ხარჯიხვები და დედაჯიხვები. ეს გვიან შემოდგომაზე ხდება, ნოემბრის თვეში. ასე დაუწესა

თავის გამჩენმა და მას უნდა დამორჩილდნენ. როცა ერთად არიან, მაშინ უფრო დიდი ჯოგებია. ბევრჯელ მინახავს ერთად ორასი და სამასი სული. ზოგჯერ ვერც დათვლის კაცი, იმდენია. ამ დროს იციან ხარჯიხვებმა კიდაობა და რკაათა ცემა ურთიერთისად. და ეს ხმა თოფის დაჭუნებასავით ისმის საჭიხეებში.

ზოგჯერ სიმღერასაც შემოსძახებდა ტოლხა. მღეროდა სანადირო და საგმირო ლექსებს.

— ტოლხა, — ვუთხარი. — არ გახსოვს ლექსი: — კლდეებს კალთაში ისე უწვანან ჯიხვები, როგორც დედას კალთაში თავისი შვილებიო.

— ჰაი, ჰაი, რომ მახსოვს, სხვა ლექსებიც მახსოვს, ყველა ერთად არ მაგონდება, თანდათანობით ყველა ლექსს გასწავლი და გიმღერებ.

და წამოიწყო ლექსი, საღაც კაი ყმა მონადირო და არწივი ერთმანეთს ქებას უძღვნიან და ჰპირდებიან, რომ ნადავლს თანასწორად გაინაწილებენ. მერე კი გვიმღერა:

სანამ მთელია ჩანთელი ჯავრი არ კამა
მტრისაო,
სანაფიროში ჯიხვებსა ბირთი ახერია
კლდისაო,
სამოვრად არჩამაუშვნა ქუჩი ანატრა
მტრისაო.

მივდიოდით საჭიხეების სიღრმისაკენ, წინ ისევ ტოლხა მიგვიძღოდა. მე და იოსებს ისევ გვიჭირდა სიარული. ჭვიშა იშლებოდა, შიგ ვეფლობოდით, აქ კაცმა ჩქარა უნდა გაიარო, თუ დაქანებულ ჭვიშას დაელოდე და დაენდე, შეიძლება უფსკრულში გადაგაქანოს. ასე სიარული ძალიან დამღლელია.

რაც უფრო წინ მივდიოდით, მით უფრო მატულობდა ნაკვალევი ჯიხვებისა, თითქოს საქონლის ჯოგს გაუვლიაო.

ტოლხა ერთ უზარმაზარ ლოდთან ჩა-

გიორგი თურმანაული
მონაფიროული

მოკლა და დურბინდით ვახედა. მერე ჩვენც დაგვიძახა. პირველი მე მივედი. — ვახედუ, შუაგორა რომ ჩანდა? ჩვენგან მარცხნივ. სულ დაფარული იყო ჩიხვებით. დურბინდით ვხედავდი ხარჩიხვებით გადაწითლებულ გორას (ზაფხულობით ისინი მოწითალო ფერისანი არიან) ჩიხვები ისვენებდნენ. კარგი ადგილი აურჩევიათ საწოლად. აქედან ყველა მხარეა ხედავენ და ზეერავენ, ვერაფერს მიეპარება.

— როგორ უნდა მივეპაროთ? — ვკითხე.

— მაგათ ვერ მივეპარებით, ხომ ხედავთ. როგორ ადგილზე წვანან. საღამო ხანზე ყველანი ქვევით ჩამოვლენ საძოვარზე. ზევით ბალახი არაა, იქ სიბებისა და კლდეების მეტი არაფერია. აქ დაველოდებით, როგორ იქნება, ერთი ხარჩიხვი ვერ მოვკლათ.

გადავწყვიტეთ, აქ დავებინავებულებიყავით. დავუწყეთ ლოდინი საღამოს, მაგრამ მოულოდნელად მაისტის ხეობის ქვემოთა მხრიდან ნისლი წამოვიდა, შემოკცა ხეობას და ყველაფერი დაფარა, ატყდა ქექა-ქუხილი. წამოვიდა წვიმა, ნისლი დაედო საჩიხვებს. ხან დაიწვედა, ხან აიწვედა, აღარ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. საით წავსულიყავით. მალე დავინახეთ გაღმა გორის ფხაზე ჩიხვები საძოვრებისაკენ ეშვებოდნენ. ვიფიქრეთ, ჩიხვებმა მიატოვეს დასასვენებელი ადგილი და საძოვრებს მიაშურესო, გადავწყვიტეთ მივეპარვოდით. ნისლი რომ ჩამოწვებოდა, მაშინ ვეპარებოდით. როცა აიყრიდა. ვიძალებოდით. აკამაოდ ახლოს მივედით. იოსები და ტოლხა დაწინაურდნენ, მე უკან დამტოვეს. რომ თვალი შედევენებინა ჩიხვებისათვის და შენიშვნებინა მათი ადგილსამყოფელი. ცოტა ხნის შემდეგ მეც მათთან მივედი. ტოლხამ იოსები გააფრთხილა:

— კარგად ესროლე, იოსებო, ხარჩიხვს აღარ გამოცდეს, არ აჩქარდე.

— კარგა ვესრი, მგონი აღარც ავატოლებ.

ესროლა იოსებმა ერთხელ, მეორედ.

მივიდნენ, ნახეს, არაფერია, ისევ ააცილა. იოსები დასველებულ ქარაფებზე კინალამ გადავარდა. წამოთშინა თოვლი და წვიმამ. დავსხედით. ირგვლივთი ისევ ნისლმა დაფარა. გადავწყვიტეთ ისევ მივეპარვოდით ჩიხვებს, მაგრამ მათ შეგვენიშნეს და სიმაგრეებს შეაფარეს თავი.

— შევცდით, ვაქებო! — თქვა ტოლხამ.

— როგორ თუ შევცდით?

— შევცდით. ის ხარჩიხვთა ფარა, წელან რომ ვნახეთ გორაზე დაწოლები, აქეთ დაგვრჩენია. ჩვენ რომ მივეპარეთ და ვესროლეთ, ისინი სხვა ჩიხვები იყვნენ. ახლა ისინიც დავაფრთხეთ და ესენიც, ყველამ სიმაგრეებს შეაფარა თავი.

ვერ ავაწყეთ ნადირობა. თავი სიზმარში შეგონა, სხვას რომ ვისმე ეთქვა ჩემთვის, ერთ დღეს ამდენი ჩიხვი ვნახეო, არაფრით არ დავიჯერებდი. ვერც კი დავთვალე, დღეს იმდენი შემხვდა. დავაფრთხეთ კიდევაც.

ვატყობდით, ტოლხა გაბრაზებულნი იყო ჩვენზედაც და თავის თავზედაც.

— მე ამ მწვერვალიდან და საჩიხვებიდან არსად არ წავალ. ამალამ აქ დავიძინებ. სიბებისაგან პატარა სამყოფელს გავიკეთებ. დღლაზე ჩიხვები აქ ჩამოვლენ. საძოვარზე, თქვენ წადით და აი, ქვევით რომ სიბების ქობი ღვას, იქ გაათენეთ ღამე. — თქვა ტოლხამ.

— მეც აქ დავრჩები, — გადავწყვიტეთ.

— მე ამ სიმაღლეზე ვერ გავათენებ, მოვკვდები. — თქვა იოსებმა. — გულ ისევ ცუდადა მაქვს. თან სველიც ვარ. ახლავე მცივა და ამალამ რა დამემართება. წავიდეთ, ქვევით ქობში გავათენოთ ღამე ყველამ.

ვატყობდი, იოსები მართლა ძალიან ცუდად იყო, ძნელი იყო მისი მარტო დატოვება, ტოლხასაც ვუთხარი, არ ივარგებს მისი მარტო ყოფნა-მეთქი და ყველანი წავედით ქვევით, რომ ქისტების აშენებულ ქობში გაგვეთია ღამე.

ქობში დავგვხვდა შეშა, წყლის ტურ-

ქელი, ფქვილი, ქვაბი. ტოლხას ძალიან გაუხარდა ამეგების დანახვა;

— ახლა კი აქედან ისე აღარ წავალ, რომ ხარჯიხვი არ მოვკლა, შეშა და ფქვილი გვაქვს, ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ შინ შერცხვნილები არ დავბრუნდეთ.

მეორე დილას, ღამითვე გავემართეთ საჩიხვეებისაკენ, წასვლის წინ კიდევ შევამსუბუქე ჩემი ტვირთი — ერთე ლიტრი არაყის დატოვება დავაპირე ქოხში. ტოლხა გაბრაზდა — აქ მოტანილ არაყს რომ ავდებ, ხომ არ გავიყდიო და ბოთლი გამომართვა.

მე წინ წავედი, სწრაფად მივდიოდი და ამხანაგებს დიდი მანძილით გავუსწარი. დაეინახე საძოვრებიდან სიმარეებისკენ მიმავალი ჯიხვები. იქნებ ავასწრო-მეთქი, ვჩქარობდი, მაგრამ მალევე მივხვდი, ჩემი ფიჭვი ამო იყო და ამხანაგებს დავუტადე. ჩემს ახლოს შურთები დადიოდნენ და საკვებს ეძებდნენ — დედა შურთხი იყო და წიწილები მაინცდამაინც არ გვიფრთხოვდნენ ადამიანებს.

მალე ისევ დავისვენეთ წყაროს კირს. აქ გვიმდერა ტოლხამ ლექსი, რომელშიც ჯიხვთა უზომო სევდა და წუხილია გამოხატული.

ჯიხვთა თქვეს: მონადირეი ნეტავ არ
დაბურდებოხა,
დურბინდში ამდენ ცქერითა თვალზე
არ ეტკივნებოხა,
წამოვალთ დაღალულები, კლდის
გრილოებში ვწვებოთა,
ჩვენ ხომ არ მოგვგონდებოდეს, თოფები
გავარდებოხა,
ერთ ორს კი არა კმარაობენ, ხუთი-ექვს
დაგვაკლდებოხა,
მწვერვალით დაქცეულები კალაში
ჩავიყურებოთა!

ძნელი და მაინც სახალისო სავალია საჩიხვეების მოშავო ქვა-ქვიშის ბილიკები, რომლებსაც ატყვია ახლად გავლილი ჭოგის ნაკვალევი. ეს ნაკვალევი სარტყლებად ევლება საჩიხვეთა ფერდობებს.

მე ახლა უკვე კარგად მივდიოდი,

ხშირად მივუძღვებოდი წინ მეგობრებს. ტოლხა მაფრთხილებდა: — ფრთხილად იარე, გოგი, ნუ გაბრიყვდები, ნუ გაუთამამდები საჩიხვეებს. პირველად ხარ, სიფრთხილე გმართებს. ყოჩალი ყოფილხარ, მქისე. მე მეგონა, ნასწავლი კაცი ვერ ივლიდა საჩიხვეებში.

— ყოჩალი ვარ, ყოჩალი. ჩვენც შეგვიძლია სიარული, მუხლი ფშავლებსაც მაგარი გვაქვს.

— ჩემმა მზემ, რო ეგრეა, — მერე ისევ იოსებს დასცინებდა: — იოსებ კი კიან ყოფილა, ვერ იარა.

— არც ეგ არის კიანი, მაგრამ, რა ვუყოთ, ცუდად გახდა.

— როგორ შეიძლება კაცი საჩიხვეებში ცუდად გახდეს.

ავედით საჩიხვეებში. ტოლხამ დურბინდით მალე აღმოაჩინა ხარჯიხვები და გახარებულმა გვითხრა:

— ეგენი დღეს მალე აიყრებიან, ქვევით ჩამოვლენ, საძოვრებისაკენ. გუშინ ვერა ძოვეს, ჩვენ დავაფრთხეთ, მოშებულეები იქნებიან. აქ დავიცადოთ, ჩამოვლენ.

იოსებიც უყურებდა ამ დროს ხარჯიხვებს დურბინდით და გვამცნო, ჯიხვები უკვე ადგნენ და დაიძრნენო.

— ახლა უნდა ვიქეიფოთ ამ არყით, შენ რომ გადაგდებას უპირებდი. — იცინოდა ტოლხა. მართლაც ვიქეიფეთ, მხოლოდ იოსება არ დაუღევიო, ის ისევ ჯიხვება უთვალთვალებდა ისინი თამაშით და კენტრუშით იწევდნენ საძოვრებისაკენ. მოდიოდნენ ძალიან ფრთხილად, ცოტას ჩამოივლიდნენ, შედგებოდნენ, დაიციდნენ, ზოგჯერ დაწვებოდნენ კიდევ, მერე ისევ წამოვიდოდნენ. ვერ ენდობოდნენ დღის სინათლეს გულსრულად. ჩვენ ვუშზურდით კლდის ფხას ამოფარებულნი, და ნელ-ნელა მივიწვედით დაბლისკენ. გვინდოდა ახლოს მიესულიყავით, სროლისათვის ხელსაყრელ მანძილზე.

გიორგი თურმანაული
მონადირეული



ტოლხამ გაგვაფრთხილა, ერთ ჭიხვზე მეტი არ მოგვეკლა: — შეჭაფრება, კაცი რომ გაუმაძღარია, ხარბია, იყვნენ და ილაღონ, რად უნდა ვზოცოთ უაზროდ...

ვისხედით. თვალყურს ვადევნებდით ჭიხვებს, ტოლხა ჩუმი ხმით გვიამბობდა: — აი, გაღმა რომ შუა გორაა — უყარეო, გუშინაც ხომ ვითხარით, ძალიან მიუყარებელი და მიუდგომელი გორია. მაისტის ხეობაში ერთ ყოჩაღ ქისტ ყოფილა, მაგარიც ყოფილა, ის ასულა ბოლომდე ამ გორზე. იმასვე უთქომ რომ: სადაც ხარჭიხვმ გაიარა, მეც გავიარე, სადაც ღედა ჭიხვმა და თიკანმა გაიარა, იქ კი მეც ვერ გავიარეო. ე შუნ-თიკნები მაგრებ არიან ძალიან, ისეთ კლდეებზე გადიან, ფრინველიც ვერ გაეკარება...

ისევ დავიწყეთ დაბლა დაშვება, ტოლხა წინ მიდიოდა და ისეთ ადგილებზე, კლდეებზე გვატარებდა ნადირობის ინსტინქტით და ცეცხლით შეპყრობილებს, რომ ახლაც მაქრეოლებს ამის გახსენებაზე. ქარისა და წვიმისაგან გამოფიტული კლდეები ოღნავ ეყრდნობოდნენ ერთმანეთს მთვრალი კაცებივით. კლდის ერთი ნატების გამოცლა მთელი გორის ჩამოწოლას გამოიწვევდა და ყველას თან ჩაგვიტანდა, მაგრამ, საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ტოლხამ ჩვენი ყურადღება მიაქცია ყველაზე დიდ მოშავო ფერის ჭიხვს და გვითხრა:

— იმ ჭიხვს უნდა ვესროლოთ სამივემ!

ჩვენ თოფები კლდეებზე დავაყრდნეთ და ტოლხას ნიშანზე გაისროლეს კიდევ იოსებმა და ტოლხამ. მე დამრეც ადგილზე ვიყავი შემოწოლილი, ქვევით ჩავსრიალდი და ველარ ვესროლე. ჭიხვების ნაწილი მწვერვალებისაკენ გაიქცა, ნაწილი — დაქუახისაკენ, ერთი ჭიხვი კი ჩვენსკენ გამოქანდა. ავუტეხეთ სროლა. ჭიხვი შებრუნდა და ისიც დაქუახისაკენ გაიქცა. რამდენჯერმე კიდევ მოვასწარიოთ სროლა, მაგრამ მერე თავი დავანებეთ. ტოლხა და

იოსები მწვერვალისაკენ გაქცნულნი გასცქეროდნენ, მე კი იმ ჭიხვს, ცალკე რომ დარჩა. ის ჯერ ყოჩაღად გარბოდა, მერე უცებ მოწყდა და დაეცა. ტოლხას და იოსებს არ დაუნახავთ ეს.

— ჭიხვი მოვკალით! — წამოვიძახე.

— მოვკალით კი არა... ვერა ნახე, ყველამ სიმაგრეს შეაფარა თავი. — გულგატეხილი დაჯდა იოსები.

— ჭიხვი მოვკალით, აბა გახედეთ, აგერ იქა გლია.

— ეგ მოწითალო ფერის ქვა არის, — თქვა ტოლხამ.

— არა, ჭიხვია, დავინახე როგორ დაეცა. წავიდეთ, ვნახოთ.

ისინი კი არ მომყვებოდნენ — ჩვენ არსად არ წამოვალთ, ხელი არ გვემართება, ამაღამ გავათენოთ როგორმე და ხვალ შინ გავბრუნდეთო.

წავედი ჭიხვის სახანავად. მეც ეჭვი შემეპარა, იქნებ მომეჩვენა-მეთქი, ისე გულდაგულ მიმტკიცებდნენ ორივენი ამას. უცებ სისხლიანი ნავეალები დავინახე. ორასი მეტრის იქით ჭიხვი ეგდო. დავუძახე ამხანაგებს: ახლა კი დაიჭერეს.

ტოლხამ სწრაფად გაატყავა ჭიხვი და გამოგვიცხადა: ამით დავამთავრეთ ნადირობა, სხვა ჭიხვებს აღარ დავზოცავთო.

გავგაკვირვა ჭიხვის სიმსუქნემ. თირკმელები არ უჩანდა ქონში.

ის ღამე ქისტების მიერ სიპებით ამოშენებულ ორმოში უნდა გაგვეტენებინა. ორმო სიპებითვე იყო გადახურული და ორი კაცი გაჭირვებით მოთავსდებოდა შიგ. ტოლხამ გვითხრა:

— თქვენ აქ დაიძინეთ. მე კი ისედაც გავათენებ, შეჩვეული ვარ სიცივეს. ხვალ დილით უთენია უკან უნდა დავბრუნდეთო.

— როგორმე მოვთავსდებით სამივე, — ვცდილობდით დაგვეყოლიებინა ტოლხა.

— თქვენთან ვერ დავიძინებ, ძალიან ბევრს მოძრაობთ, გვერდს იქცევთ, ბრუნავთ, მალვიძებთ. თუ გინდათ

კარგად დაიძინოთ, რომ დაწვებით, ნულარ გაინძრევით, თორემ სიცივე შეგიჯდებათ სხეულში და მორჩა თქვენი საქმე, გაიყინებთ.

ტოლხას პატარა სადგომის მოწყობაში დავებმარეთ. დაწვა და მთელი ღამე გვესმოდა მისი ხერინვა. მისთვის აქაური სიცივე არაფერი იყო.

ამჯერად ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე ვიყავით. დაწვევით, მაგრამ რა დაგვაძინებდა, ქვიშაზე ვიწვევით, მალლა, სიპებს შორის ვარსკვლავიანი ცა მოჩანდა. ასე ძალიან არასოდეს გავყინულვართ, ლაპარაკის თავიც აღარ გვექონდა. შუალამისას, როცა სიცივემ იძალა, იოსებმა გათბობის ძველ ხერხს მიმართა — გამოძვრა გარეთ. დაიწყო ვარჯიში, ქვების აწევა და ბოლოს რამდენიმე ლოდი დააგორა კიდეც. საშინელი ხმა ჰქონდა დაგორებულ ლოდებს. ტოლხასაც გაეღვიძა ამ ხმაურზე, თვალს არ დაუჭერა თურმე და ხმამაღლა დაუძახა იოსებს:

— რა ხარ, ეშმაკი თუ ადამიანი?

— იოსები ვარ, გავიყინე, აღარ შემძძლია, ვვარჯიშობ, იქნებ როგორმე გავათენო ეს ღამე.

— ეშმაკი მეგონა, კინაღამ თოფი გესროლე, რა გეცარჯიშება, ეხლა რომ ჯიხვი არა გეყავდეს მოკლული, ხომ წყალში ჩაგვეყრებოდა ორი-სამი დღის სიარული, რაღა ნადირი ჩამოვიდოდა სიმაგრეებიდან ამ ხმაურზე. აქ სუნთქვასაც კი უნდა ვერიდებოდეთ, შენ კი საგორავებს უშვებ, ხმაურს სტებ. უაჟღერა იქცევი...

მესმოდა ტოლხას ჯავრობა. შემოძვრა იოსებიც საწოლში.

ახლაც კარგად მახსოვს, იმ ღამეს როგორ ვცდილობდი იოსების ლაბადის კალთის პატარა ნაწილი გადმომეფარებინა ტანზე. მას ლაბადა მაინც ეცვია, მე კი კოსტიუმისა და პერანგის ამბრა ვათენებდი ღამეს.

გავათენეთ როგორც იქნა. მეორე დილით ღამიანად წამოვედით უკან ხონისაკენ. დარი იყო, მაგრამ კლდეებსა და ქვიშას თრთვილის მსგავსი სისხვე-

ლე დაჰკრავდა. ყინულის თხელი ფენით იყო დაფარული. ძალიან მომწყურდა. დასილვევი წყალი არსად იყო და თხელყინულგადაკრულ ქვებს ვწუწნიდი, მაგრამ ეს წყურვილის როგორ მომიჯლავდა!

გამოვიარეთ მყინვარები, მათი ღრმა ნაპრალები ვნახეთ. გზაზე გადმოვედით ერთ პატარა ნაკადულზე. კალაპოტი თოვლისა და ყინულისა ჰქონდა და ეს აძნელებდა სვლას. ფეხის მოკიდება ჰქონდა, დასხლტებოდი და უფსკრულში გადავარდებოდი კაცი. ავეყვიეთ ამ პატარა ნაკადულს და ვნახეთ ერთ ადგილას კლდის პატარა ქიმი ამოშვერილიყო. წყალზე გადაბტომისას ამ ქიმზე უნდა დაგვედგა ფეხი. აცილებდა სახიფათო იყო სიცოცხლისათვის. ყველაზე მეტად იოსებზე ვწუხდით, რადგან სუსტად იყო, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

გზად ხშირად ვისვენებდით — ოცი კილოგრამი ბარგი მაინც გვექნებოდა თითოეთულს. ერთ ხევში ჯიხვის რქები ვიპოვეთ, დიდი ხნისა და გაფუჭებული იყო, ტოლხამ გვიამბო: საჯიხვეებში ზოგიერთ ადგილას, იქ, სადაც ძნელად მისასვლელია და კაცი ნაკლებად ხვდება, მონადირეები ხშირად პოულობენ ჯიხვის რქებს. მე თვითონ ზოგ წასვლაზე მინახია ორი-სამი წყვილი რქა, მაგრამ ჩვენ მაშინ ჯიხვის რქებს უურადლებას არ ვაქცევდით. ახლა კი მგონი, ძვირად ფასობს, ყანწებს აკეთებენო. მონადირეები რქებს ბლომად პოულობენ თებულოს და ჯიხუას საჯიხვეებში, ერთმა თუშმა მწყემსმა მიაბბო, გაზაფხულზე ცხვარი ამოვრეკე მთაში, ერთგან ზეავს შვიდი დიდი ხარჯიხვი ჩამოეტანაო. მეორემ კი — ოთხი ჯიხვი ჩამოეტანა ზეავსაო! ისეთი დიდი რქები ჰქონდათ, რომ კაცს გაუჭირდებოდა ერთი წყვილის ტარებაო. ხომ აღრეც გითხარით, ჯიხვს ბევრი მეტრი ჰყავს და დევნის-მეთქი. აღარც კი მწადიან

გიორგი თუჩაშაშაული
მონადირეული

ჯიხვებზე სანადიროდ წამოსვლა, იმითომ გითხარით გუშინ, ეს ჯიხვი რომ მოკალით — მეტს აღარ დავხოცავთ. აბა ამით რაღა ჩვენი მტრობა უნდათო.

ცოტა გზა კიდევ დაგვრჩა მწვერვალებამდე. მოვდიოდით სვენებ-სვენებით, ისევ ქვიშის ჩხრიალი გავიგონეთ. ჩავიხედეთ, ჩვენ ქვემოთ ორმოცამდე დედა ჯიხვი და თიჯანი მოდიოდა საძოვრებიდან სიმაგრეებისაკენ, დიდხანს ვუყურეთ ჯიხვებს, საოცრად სასიამოვნოა მოსასმენად ჯიხვებისაგან ახმაურებულ ქვიშის ჩხრიალი. მუსიკის

პანგივით წვედება იგი ადამიანის სმენას. იქვე შურთხები წამოგვიფრინდებოდნენ წინ. როგორც იქნა, ამოვალწიეთ მთის მწვერვალამდე, საიდანაც უნდა დაეშვებულყოფით ტოლხას სოფელ ხონისაკენ. ტოლხა შეჩერდა. ბარგი ჩამოიღო მხრებიდან, თოფი ძირს დადო, დაქუახისა და საჯიხვეებისაკენ შებრუნდა, მოიხადა ქუდი და დიდხანს ლოცულობდა. გამოემშვიდობა საჯიხვეებს და დავეშვიტო სოფლისაკენ.

ასეთი იყო ჩემი პირველი ნადირობა ჯიხვებზე, საჯიხვეების პირველი ხილვა, რაც ღრმად ჩამრჩა მესხიერებაში.

დიდი ღათვის მოკვლა

ჩემი თავგადასავალი

იზენისი ბოლო დღეები იყო, კუქუქის მთიდან, სადაც დედაჩემს სამთოდ ჰყავდა საქონელი წაყვანილი, დანაბარები მომივიდა:

—საჩქაროდ ამოდით მთაში, დათვმა ერთი ძროხა ესტატე კინკარაულს შეუქამა, ორი ჩვენი ძროხა გადმოაგდო და მოკლა, ხბოებიც დაკარგულია, ალბათ ისინიც დათვმა შექამა... თუ ჩქარა არ ამოხვალთ, მერე გვიანი იქნება, დათვს ორივე ძროხა ლეშად აქვს ჩადებული, მიწა, ხე და ქვა დააყარა, ხშირად მიდის ჩამყავებულ ხორცის საკმელად, სანამ დროა, ჩაუსაფრდით მონადირეები და მოკალით. მოგვაშორეთ სოფელსა და მემთევებს კირი, თუ არ ამოხვალთ, რაც ძროხები დაგვრჩა, ალბათ ახლა იმათ შეგვიქამს...

რამდენიმე დღის შემდეგ ავედი მთაში მონადირეები: ხვთისო სესიაშვილი, ჩემი უფროსი ძმა ხვთისო და მე. დედამ გვიამბო:

— როგორც შემოგიტვალეთ, დათვმა ჯერ ესტატე კინკარაულის ფური გადმოაგდო და მოკლა, ეს მოხდა შუადღისას, ქოხში არავინ იყო, ესტატე და მისი მეუღლე თივის სახვეტად იყვნენ

კუქუქის მთაში, სამთო ქოხისაგან მოშორებით.

მთელი დღე იბღავლა ესტატეს ფურმა, ვინ მიეშველებოდა იმ საცოდავს, მოკლა და ერთად ხომ ვერ შექამდა მთელ ძროხას, იქვე ახლოს ამოთხარა ორმო, მიაყარა ხე-ქვა და მიწა, მთელი კვირა დადიოდა ძროხის ლეშის საკმელად. მთაში არავის თოფი არა აქვს, რომ ჩასაფრებოდა დათვს და მოეკლა, ჰოდა, ესტატეს ძროხის ლეში რომ გამოეღო, ის უპატრონო ახლა ჩვენ ძროხებს დაერია. შუადღისას მე და ჩემი თანამემთე დარეჯანი ქოხში ვიყავით, რძესა ვდღვებდით, ძროხის ბღავილი გავიგონეთ, ჯერ ერთხელ, ვიფიქრეთ, ალბათ ხბოებს თუ კითხულობენო, გავიდა ცოტა ხანი, კიდევ გავიგონეთ ძროხის ბღავილი, რაღაცნაირად სხვანაირი, შემაშფოთებელი. ახლა კი ვიფიქრეთ, ძროხებს რაღაც უჭირთო და გავიქეცი თიკიკენ, საიდანაც ხმა მოგვესმა.

მივედი და რასა ვხედავთ: დიდ, ხარისტოლა დათვს დაუჭერია ჩვენი ჭრელი ფური და ქვევით, ტუისკენ მიათრევს. იგრძნო ნადირმა ჩვენ რომ მივუახლოვდით, უფრო აჩქარდა, ზემოდან

მოუარა ძროხას, ჩაავლო ბეჭებში კბი-
ლები, რაღაცნაირად მოიქნია და გად-
მოაგდო. გადმოაგდო ისე ძლიერად,
რომ ძროხა თხილის წვეროებს გადმო-
ევლო. რას ვიფიქრებდი თუ ამ სიდიდე
ძროხას დათვი თხილების წვეროებამდე
ასროდა. ძროხა საცოდავად ბლარდა...

ფური რომ გადმოაგდო დათვმა, მე-
რე თვითონაც გადმობობდა და ისევე
თავის მსხვერპლს ეცა. დავიწყეთ ყვი-
რილი და კვილი, ვწყევლიდით დათვს,
ხესა და ქვას ვესროდით. აღარც კი გვე-
შინოდა, ძალიან ახლოსაც მივდიოდით.
მაგრამ დათვი ძროხას არ უშვებდა და
ისევე ქვევით მიათრევდა, ჩვენი ყვირი-
ლი მისთვის არაფერს ნიშნავდა. კიდევ
დაეყარეთ ქვები, რამდენიმე ქვა კი-
დეც მივარტყით, მაგრამ ჩვენი ნასრო-
ლი ქვა რას უზამდა, ტყვია რომ ვერა-
ფერს უშვრება!

გაჯავრებული და გაავებული დათვი
ბურტყუნებდა. ფშვინავდა, რამდენ-
ჯერმე ჩვენკენაც გამოიქცა, მაგრამ სა-
ნამ ჩვენთან მოვიდოდა, შედგებოდა
უკანა ფეხებზე, ჯაგარს აიშლიდა და
ისევე უკან, თავისი მსხვერპლისაკენ გაბ-
რუნდებოდა.

ახლოს ვიყავით და ვხედავდით დათვს
ძროხისათვის ცური და ბეჭები ამოეგ-
ლიჯა, ძროხა საცოდავად ზმუოდა და
კვნესოდა. დარეჯანი გაიქცა მთაში,
მთიბელებს დაუძახებო. იქ კაცები იქ-
ნებიან, მოგვეშველებიანო. ეს დათვი
ჩვენ ყვირილზე არც გაიქცევა და არც
მაგ ძროხას გაანებებს თავსაო... ძალიან
ჩქარა ევლო და მალე მოვიდა მოსაშვე-
ლებლად ორი კაცი. ატყხეს ყვირილი
და სტყნა. სანამ მამაკაცის ხმა არ გაი-
გონა, ნადირმა ძროხას თავი არ გაანე-
ბა, ქალების ხმაზე და ყვირილზე კი,
ვითომ აქ არაფერიაო, ყურსაც არ იბ-
ერტყავდა. მივივრის, როგორ არჩევს
ქალისა და კაცის ხმას ეგ სავარმოო ეგა,
სულ ბურტყუნით წავიდა, ახლა ის გა-
მივივრდა, სხვა ძროხები იქვე ახლოს,
ვითომც არაფერი მომხდარაო, ჩვეუ-
ლებრივად ძოვდნენ ბალახს. შევაქუჩეთ
ძროხები, დაეთვალეთ. მე დიდი ფურის

გარდა, რომელიც დათვმა მოკლა, სამი
წლის დეკეულიც მაკლდა, დაუწყეთ
ძებნა, ისიც იქვე ახლოს ვნახეთ მკედა-
რი და გაგლეჯილი. პირველად დეკეუ-
ლი მოეკლა დათვს; ასე დაგვლუბა, ასე
დახოცა ძროხები, სამივე ძროხა —
ჩვენებიც და ესტატესიც ასე საცოდაო-
ბით მოკლა. მერე ორი ხბოც მიაყოლა.
ღამე ძილშიც ჩამესმის დაგლეჯილი
ძროხების ბღავილი და ზმუილი.

დათვი ცოდვით კლავს თავის
მსხვერპლს. ბეჭებიდან იწყებს მის დაგ-
ლეჯას და ეს ზოგჯერ საათობით გრძე-
ლდება. ბღავის ძროხა, სანამ ცოცხალია,
ცოცხალი კი ღიღინავს, როდის ჩავა
ბეჭიდან გულ-ღვიძლამდე ან ყელამდე
დათვი! ხშირად ცოცხალსვე ანებებს
თავს და ასე ტანჯვით ლევს სულს ბი-
რუტყვი. მგელს რა უჭირს, თავის
მსხვერპლს ყელში ეცემა და მაშინვე
კლავს.

ძალიან დიდი დათვია, — განაგრძობ-
და დედა, — მთიბელებმაც თქვეს, ამო-
დინა დათვი არ გვინახიაო, გათამამებუ-
ლია და საქონელზე დაგეშოილი, თუ არ
მოგვაშორეთ, ჩვენი და ჩვენი საქონლის
საქმე ვერ იქნება ამ ზაფხულ კარგად...

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა,
გადავწყვიტეთ დათვის მოძებნა, რაღაც
უნდა დაგვჯდომოდა. უნდა გვეპოვნა
ნადირი და სამაგიერო მიგვეზღო. წა-
ვედით მთის კუდებში მისი კვალისა და
ბუნავის საძებნელად, ისიც ვიცოდით,
რომ თავის სამყოფლად კუჭეპის მთები
ჰქონდა ამორჩეული და აქედან ადვილ-
ად აღარ წავიდოდა, თუ არავინ დააფრ-
თხობდა, დათოფავდა ან დაჭრიდა. ზეა-
ვებზე ჯერ კიდევ არ დამდნარიყო, ხე-
ვებში ისევე ღონივრად იწვა თოვლი.
აქ, მთებში, გაზაფხულზედაც და ზაფ-
ხულშიც შეგიძლია მთელი საათი იარო
ხევებში, მთებიდან ჩამოსულ და ჩამო-
სხლეტილ თოვლის ზეავეებზე, ხეებს
თეთრ ჰერად რომ გადაჰკვრიო. ზეავეები
ახურავს გაზაფხულობით და ზაფხუ-

გიორგი თურმანაული
მონაწიროული

ლობით მთის მდინარეებს. ცხელა და იმიტომ იხურავენ ზეგების ცივ და გრილ საბნებს მთის მდინარეები!

ფრთხილად უნდა იარო, ზოგან ზეგვი გათხელბუთლია, შეიძლება ჩავარდეთ და იტყინო რამე, ან უფრო ცუდი შედეგით დამთავრდეს ეს ჩავარდნა.

დათვის ნაკვალევს მალე წააფუცდით. ბილიკს უშველებელი ნაფეხურები გასდევდა. კვალმა გაგვაკვირვა და ალბათ შეგვაკართო კიდეც თავისებურად. ღიდი და გაეშაქებული დათვის დევნა საშიშია.

გავყევით ნაკვალევს, იმ იმედით, რომ დათვს აუცილებლად შევხვდებოდით. ნაკვალევი მთის მწვერვალებისაკენ წავიდა. ეს გასაგები იყო. ნადირი დასაწოლად ისეთ ადგილებში მიდის, სადაც ადამიანი ძნელად მისწვდება. მთელი ფერდობი მოთხრილი და დაბილიკებული იყო. ეთხარა და ექამა ბალახის ძირი, ზოგან ბინა დაედო და დაწოლილიყო, ჩანდა, რომ აქ მხოლოდ ეს დათვი იყო და თავს ამ მთების და ტყიანი ფერდობების ბატონ-პატრონად გრძნობდა.

გავედით მთის კუდებში, იქიდან კვალი უკანვე მობრუნდა, ოღონდ ტყიან ფერდობს ახლა ქვემოთა მხრიდან გამოუარა, მაგრამ ახლა უკვე სხვა გზით მოდიოდა. ჩვენც გამოვყევით. მიწას, რადგან წინა დღით წვიმა იყო, კარგად ეტყობოდა ნაკვალევი. რბილ მიწაზე უხმაუროდ მივაბიჯებდით, ჩქამიც კი არსად ისმოდა. ასეთ დროს შეიძლება ნადირს შეუშინევლად წაადგე თავს.

კვალმა უცბად ქვევით დაუხვია, პირდაპირ გორ-გორ დაეშვა, რაშია საქმე? ხომ არ იგრძნო ნადირმა კვალზე რომ ვდევდით? არა, არ უგრძნია, ეს იქიდან ჩანს, რომ აგერ, მოტეხილ და დაფუტურობულ თელის ხესთან წოლილა. დამპალი ხე კბილით დაუგლეჯია და გაუფუტკნია. უმასხრნია, მერე კი ისევ ამდგარა და წასულა... ვგრძნობთ, რომ ნაკვალევი სულ ახალია, იმასაც ვხედავთ, მისი ნაფეხურებიდან მიწა ისევ იშლება. გათელილი ბალახი ისევ სწო-

რდება, სადღაც აქვეა ახლოს. მივდივართ კიდეც უფრო ფრთხილად — სიფრთხილის კრფით, როგორც მოხუცი ფშავლები იტყვიან, ნაკვალევი შევიდა წვილი თხილიანში, ვჩერდებით, ინსტიქტურად ვგრძნობთ, რომ დათვი აქვეა.

— რა ვქნათ? — ხმადაბლა კითხულობს ხვთისო სესიაშვილი.

— არ ვიცი! — ამბობს ჩემი ძმა ხვთისო.

— ხომ არ გავნაწილდეთ? — ვკითხულობ მე.

— მართლაც დროა, რომ გავნაწილდეთ, — ამბობს ხვთისო სესიაშვილი.

— ჩუმად ილაპარაკეთ! — გავფრთხილებს ჩემი ძმა ხვთისო.

— პაპიროსი არავინ მოსწიოთ, — ვეუბნები მე, რა თქმა, ჩურჩულით ვლაპარაკობთ.

— ჩვენ, მე და ხვთისო, ნაკვალევს გავყევით. — მეუბნება ხვთისო სესიაშვილი. — შენ კი ზევით ადი, ერთი ას ორმოცდაათი მეტრი გაიარე, მერე ტყეში შედი და ნელა გაემართე იქით, საიქაც დათვი შევიდა ტყეში. ნელა იარე, არ იჩქარო, ჩვენ აქ დავიცდით, სანამ ამ აღმართს არ აივლი, მერე ერთად შევიდეთ და გავუყვით ტყეს. შენ ცოტა ნელა და უკან იარე, ჩვენ კი წინ წავალთ. ჩვენ რომ გამოგვექცეს დათვი, შენ მოგადგება პირდაპირ.

— რატომ უნდა წავიდე მაინცდამაინც მე და არა ერთ-ერთი თქვენგანი? — შევებდე ხვთისოსა და ხვთისოს შეპასუხება.

— იმიტომ რომ კარგად დადინხარ და საიმედო თოფი გაქვს, თორმეტ კალიბრიანი ტყვია ყველანაირ დათვს მოერევა და მოკლავს.

— თქვენ თოფებს რაღა უპირს? — ისევ შევეკითხე.

— მოკლედ, უნდა წახვიდე, ორივემ ასე გადავწყვიტეთ, დაემორჩილე ჩვენს ბრძანებას, — ღიმილით მეუბნებიან ბიჭები.

— წავალ, რაც იქნება, იქნება, — ვამბობ. გულში კი ვფიქრობ, სადაც აღ-

მართებია სავალი და საწვალბელი, მე მგზავნიან, თვითონ კი სწორი გზით მიდიან, რომ ნაკლებად დაილაღნენ-მეთქი, მაინც დაგადექი აღმართს. მართლაც ძნელად ასავლელი იყო, თანაც საკმაოდ დაღლილი ვიყავი.

მივდივარ ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, გავივლი ათ მეტრს, შევდგები, შევისვენებ, კიდევ გავაგრძელებ გზას, ასე სვენებ-სვენებით ავიარე დაახლოებით ასი მეტრი, ბიჭები დგანან და მიცდიან, როდის ავივლი დათქმულ მანძილს.

ასი მეტრი რომ გავიარე, გადავწყვიტე დარჩენილი ორმოცდაათი მეტრის გავლაც, მაგრამ რატომღაც ძალიან დამეზარა და ვიფიქრე, ამ ორმოცდაათ მეტრსაც ნელ-ნელა ტყე და ტყე ავკვეთი მალლა-მეთქი. ბიჭებისკენ ჩავიხედე, ისინი უკვე აღარ ჩანდნენ, ტყეში შესულიყვნენ. ცოტა ხანს კიდევ ვიდექი, მერე გადავუხვიე და შევედი ტყეში. ათიოდე ნაბიჯი რომ გადავდგი, უცბად რაღაც უზარმაზარ არსებებს მოვკარი თვალი, ვხედავ, თხილების ძირში ხარის-ტოლა დათვია განაბული. დგას, თავი ოდნავ გვერდზე გადაუხრია და მიყურებს. მელოდება, როდის გადავდგამ ხუთ-ექვს ნაბიჯს, რომ დამიჭიროს და კაჟა მასწავლოს.

უწინარეს ყოვლისა, ჭერ დათვის გოდორივით დიდი თავი მომხვდა თვალში. მხეცის დანახვა და მხრიდან თოფის ჩამოღება ერთწამში მოხდა. გამიელვა აზრმა, რომ დათვის უეჭველად თავში უნდა ვუშვიზნო ტყვია, თუ ასე არ გავაკეთებ, სულ ერთია, ცოცხალი ვერ გადავურჩები. თოფი შუბლში დავეშვიზნე — საკმაოდ საგულდაგულოდ, რამდენადაც ამის დრო მქონდა და ვესროლე. ნაღობი უხმოდ ჩაიკეცა, თავით მიწას დაენარცხა და ბეჭები მოეკეცა. ახლა ბეჭებში ვესროლე. ოდნავ შეკრთა. ტყვია რომ მოხვდა, მაგრამ არც ეხლა ამოუღია ხმა. მესამედაც ვესროლე, ისევ ბეჭებში. უცბად წამოიწია, არ ვიცი რა ძალამ ააყენა, ადგა ფეხებზე, თათები თხილის ბუჩქს შემოხვია, აიმართა, გადაწვა მთელი ტანი, ბუჩქი გადმოთე-

ლა და დაგორდა ქვევით. ვიცი, რომ ხვთისო და მეორე ხვთისო იქვე სადმე იქნებოდნენ და დავუძახე:

— აღარ ესროლოთ, დათვი მკვდარი მოგორავს, ბევრი ტყვია ტყავსაც გააფუჭებს და ხორცსაც-მეთქი.

— აღარ ვესვრით, არაო, — დამიძახეს ბიჭებმა. ღმერთმა ხელ-მხარი შეგარჩინოს, თვალი და გული გავიმამაცოსო, რა არის, ზვავი მოქანავს თუ დათვიო. ჩავედი ხვთისო-ხვთისოსთან (ორივე ხვთისო როცა ერთად არი, ასე ვამბობთ ფშაველები), რალა თქმა უნდა, მაინტერესებდა, სად მოხვდა პირველი ტყვია დათვს. სანამ გავატყავებდით, მანამდე ვნახე — ტყვია, რომელიც შუბლში ვესროლე, შუბლს ოდნავ ზემოთ მოხვედროდა, ამიტომ იყო, ასე დიდი დათვი პირველსავე სროლაზე უხმოდ და უსულოდ ჩაიკეცა ბალახში. სხვა ტყვიები ბეჭის არეში ჰქონდა მოხვედრილი, ეს ორი ტყვია ტყუილადღა ვესროლე, მაგრამ დათვთან დიდი სიფრთხილეა საჭირო და მეც ისე მოვიქეცი, როგორც შექმნილი მდგომარეობა მიკარნახებდა.

ამ ნადირობის შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია: რამ გააჩერა დათვი, რომ არ გადმომიხტა მაშინ, ჩვენს შორის დაახლოებით ხუთი ან ექვსი მეტრი რომ იყო დარჩენილი. ამ მანძილს ხომ ერთი ნახტომით დაფარავდა და ვერც ვერსად გავეჭკეოდი. ხომ არ უნდოდა, თავიდან მოვეშორებინე, ეგონა, ვერ დავინახავდი, ვერ შევამჩნევდი! დიახ, საფიქრალია, დათვი თავს რომ დამსხმოდა, მე თოფის გამართვასა და სროლას ვერ შევძლებდი და ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა.

ან შეიძლება უნდოდა, უფრო ახლოს მივსულიყავი, მაშინ ჩუმად, უხმაუროდ დამიჭერდა და ნაწილ-ნაწილ დამფლეთდა!

გავატყავით დათვი, იგი ბევრ ხიფათსა და მონადირის ტყვიას იყო გადარჩენილი, მის სხეულზე აღმოვაჩინეთ

გიორგი თუარნაშვილი
მონადირეული

რამდენიმე ცალი სადათვე საფანტი და თორმეტკალობრიანი ტყვია, საფანტს და ტყვიას დათვის ტყავებზე ბუდეები გაეკეთებინა. ტყვია შინ წამოვიღე, დიდხანს ვინახავდი, მერე კი დამეკარგა.

დათვის რომ ვატყავებდით, ყორნებმა იყნოსეს სისხლისა და ზორცის სუნი და თავს დაგვყარნტალეზდნენ, უცდიდნენ ჩვენ წასვლას, რათა მერე დასე-

ოდნენ დარჩენილ ლეშს და კუჭი ამოეყორათ.

ჩვენს მიერ დიდი დათვის მოკვლის ამბავი მალე გაიგეს მემთებებმა და მთაში სათიბზე მყოფმა ხალხმა, მთელმა სოფელმა დიდი მადლობა გადაგვიხადა, რომ მოვაშორეთ საქონელზე დაგვიშლი მხეცი. ჩვენც კმაყოფილნი ვიყავით იმდღევანდელი ნადირობით, განსაკუთრებით მე და ჩემი ძმა.

ლათვი და ბელები

ჩემგან ნახული

ქიშხმის მთებში ვიყავით სანადიროდ. ნოემბერი იყო. შემოდგომის დასაწყისში საკმაოდ დიდი თოვლი მოვიდა, მერე კი გამოიამინდა, თბილი დღეები წავიდა, თოვლი იმდენი მოვიდა, რომ ზოგ ადგილას მთისა და ტყის ფერდობებზე ზვავებიც კი დაქანდა. სადაც უნდა გაგებოდა, ხეებში ყველგან ზვავები ეყარა. მზიანი დღე იყო, გეგონებოდა, ზვავებს მზის სხივთა საბნები ახურავს და გათბობა უნდათ, ისევე ბენო. შემოდგომის უძალო მზეს აღარ შეეძლო ზვავების გათბობა და გადნობა.

მე ნადირისათვის გზა მქონდა შეკრული, ვიჭეტი ჩემთვის ჩასაფრებულნი და ველოდებოდი. საკმაო ხანს ვიყავი ასე, მაგრამ არაფერი გამოჩენილა. უცბად დავინახე ჩემ პირდაპირ, გაღმა ფერდობზე ამაველი დედა დათვი და ორი ბელი, ბელები საკმაოდ მოზრდილნი იყვნენ, იარეს და მიადგნენ ზვავს. ბელებს ძალიან გაუხარდათ ზვავის დანახვა, ბევრი იჭიდავეს ზვავზე, მერე კი ცურაობა დაიწყეს, აირბენდნენ ზვავის თავში, დაწვებოდნენ გულადმა თავქვე და დაცურდებოდნენ. დედა დათვი ბელების თამაშს დამჯდარი უყურებდა. ბელები ზვავის ბოლოში რომ გავიდოდნენ, ისევე თავში აირბენდნენ

და ხელახლა დაცურდებოდნენ: ზვავის ბოლოს ცუდი და კლდოვანი ადგილი იყო, დაქანებული ბელები თავს ვეღარ იკავებდნენ და კლდეზე ვარდებოდნენ, მერე კი წვალობდნენ იქიდან ამოსვლაზე; დედა დათვმა უყურა ბელების თამაშს. ადგა, ჩაირბინა ზვავის ბოლოში, დაჯდა შუა ადგილას, ორივე თათი გაშალა და ასე დაელოდა ზემოთ ასულ ბელებს. ორივენი დაიჭირა და კლდეზე გადავარდნას გადაარჩინა. ბელები კიდევ უფრო გახალისდნენ, უფრო უმატეს ცელქობას და გართობას, ასე გაგრძელდა თითქმის ნახევარი საათი. გაოცებული ვუყურებდი მათ მოქმედებას, გამიკვირდა დედა დათვის საქციელი, ამასობაში ქვემოთ ვილაცამ ყვირილი ასტეხა, როგორც ჩანს, ამხანაგებს გვეძახდა და გვიხმობდა. დედა დათვმა ყურები ეჭვითა, ალბათ, ადამიანის სუნიც იყნოსა. წასვლა და გარიდება გადაწყვიტა; იგრძნო, გართობის დრო აღარა ჰქონდათ. ბელებს კი არ უნდოდათ ზვავის მიტოვება, დედას მანამ არ წაყვნიენ, სანამ დათვი არ გაუბრაზდა, თათი თითოჯერ წამოარტყა და აგრძობინა, აბა, ახლა საფრთხე გველის და გავიქცეთო.

დედა დათვი და ბელები ტყეში გაუჩინარდნენ.

შემთხვევა მაღაროს ჩრდილში

ხვთისო საზარაზვილის ნაამბოვნი

შემოღბომის თბილი დღეები იდგა. ძალიან მიყვარს ასეთ ღროს ტყეში გაველა. ტყე ფშაური ფარდაგივითაა სხვადასხვა ფერის ფოთლებით მოჭარგული. წავედი ტყეში, საჩონგურე ხე უნდა მომეჭრა, თოფიც წავიღე. წელში პატარა ხელცულა გავიტანე. არბაჩხანის მიმართულებით მივიდიოდი. ხშირად ვჩერდებოდი, საერთოდ, ტყეში სიარულისას ასე ვიცი — ყურს ვუგდებ, რაიმე ხმაური ხომ არ ისმის, ნადირი ხომ არ მოდის. ერთი ასეთი შეჩერების დროს გავიგონე ფოთლის შრიალი, გარკვევით მომესმა ნადირის ფეხის ხმა, სადღაც ტოტმაც გაილაწუნა. — დათვი მძიმეა და რაც არ უნდა ფრთხილად იაროს, მაინც ისმის ხმაური. ვფიქრობდი, არ შევმცდარიყავი, ჩამოვჯექი და ისე ვუგდებდი ყურს. ისეთ ადგილას ვიყავი, საიდანაც კარგად ჩანდა მიდამო. შვინდის ხე მეფარებოდა, წინ გადავინაცვლე, ამასობაში ხმაური უფრო მოახლოვდა. ზემოთ, დაახლოებით ასი მეტრის დაშორებით, გამოჩნდა თვირთვილა დათვი. ვესროლე. დათვმა დაიღრიალა და ჩემკენ გამოიქცა — ვერ გაიგო, საიდან ესროდნენ. ხან იქცეოდა, ხანაც ისევ დგებოდა. ბოლოს დამინახა და პირდაპირ გამოქანდა. ამოდ ვცდილობდი მეორედ მესროლა — საკეტმა გასროლილი ვაზნა აღარ გამოაგდო, ახალს ველარ ვდებდა. რომ შევატყე, დათვი სახიფათოდ მომიახლოვდა, ვიბრუნე პირი და გავიქეცი. თოფი სირბილში ხელს მიშლიდა, თანაც ვფიქრობდი, დათვი რომ დამეწიოს, მე ხომ დამბეგავს და დამბეგავს, თოფსაც გადამიტრევს-მეთქი. გადავაგდე თოფი ტყეში, ადგილი კი დავიმანსოვრე და სოფლისკენ გავიქეცი. ვფიქრობდი, დათვი მეწეოდა — წელში რომ ხელცულა მქონდა გატანებული, იმის ტარზე მიხვდებოდა ხელი და დათვის გამოწვდილი თათები მეგონა. ბოლოს მი-

ვხვდი, რომ ცულის ტარი იყო, სირბილიც მეტი აღარ შემეძლო. შევჩერდი, ცული ხელში დავიჭირე და შესაბამელად მოვემზადე, მაგრამ დათვი არსად ჩანდა. ცოტა სული მოვითქვი და უცებ დაჭრილი დათვის ღრიალი გავიგონე იქიდან, საიდანაც გამოვიქეცი, კარგა ხანს ვუსმენდი მის ხმას, ვფიქრობდი, რადგან ერთი ადგილიდან მესმის ღრიალი, ალბათ მძიმედ დაიჭრა და სულსა ლევს, წასვლა აღარსად შეუძლია-მეთქი.

უკან დავბრუნდი. ხელცულა მზად მქონდა. მივეუახლოვდი იმ ადგილს, კლდეს ამოვეფარე და ფრთხილად გავიხედე. თვალუბს არ დავუჯერე, დათვი ორ ხეს შუა გაჭედლილიყო და თავს ვერ იხსნიდა. როგორც ჩანდა, გამოქცეული ორ ახალგაზრდა ხეს დაეჯახა მთელი ძალით და მათ შუა ჩაიჭედა. დაჭრილი რომ არა ყოფილიყო, იქნებ კიდევაც ეშველა თავისთვის, მაგრამ ახლა აღარ შეეძლო.

სხვას რომ ეამბნა ეს ჩემთვის, არ დავიჯერებდი...

ცოტა რომ დავმშვიდდი, თოფა დავუწყე ძებნა. ვიპოვე კიდევ, მაგრამ საკეტი გამოვარდნოდა და ახლა მისი პოვნა იყო საჭირო. როგორც იქნა, ბალახში მოვიძიე. ვცადე სავაზნეში ჩაჭედლილი ვაზნის ამოღება, ვერ შევძელე, მოვიკითხე ზუმბა... ისე მომესროლა თოფი, რომ ყველა ნაწილი ცალ-ცალკე გადავარდნილიყო. გადავწყვიტე წეკპლა მომეჭრა. რომელიც ზუმბის მავიერობას გამოიწვედა. ვავთაღე ხის ზუმბა, მაგრამ ისიც გადამიტყდა ლულის წვერთან და ნახევარი თოფში ჩარჩა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამ დღეში ვიყავი, რომ მაღაროდან არმაჩხნისკენ მომავალი ქალების სიცილის ხმა მომესმა.

ვითოვნი თოფიანაული
 მონადირული

— აქვე დაკრძალი დათვია, გზაზე არ გამოიაროთ! — გავძახე.

ეს რომ გაიგეს, უკან გაიქცნენ. ძლივს შევაჩერე.

— ნუ გეშინიათ, მოდით, თოფის ზუმბა დავკარგე, მომაძებნინეთ-მეთქი...

მოვიდნენ. არმაჩხნელი ქალები იყვნენ, თამარ და მართა ცქიფაშვილები. დაიწყეს ძებნა. მე კი ხელცულობით ისევ დათვის ვუდიქ. ქალებმა მალე იპოვეს ზუმბა. გავმართე თოფი, ჩავდე შიგტყვია და უნდა მესროლა, რომ ქალებმა მთხოვეს, არ მოკლა, იქნებ ეგ ის დათვი არც არის, სოფლის საქონელს

მთელ ზაფხულს რომ არ ასვენებდაო. მერე მითხრეს, ჩვენ წავალთ და რაც გინდა ის ჰქენიო.

წავიდნენ. კარგა ხანს ვიჭეჭი დათვის ახლოს. აღარ მიმიწევდა გული მის მოსაკლავად. მალაროში წავედი მერე ბიჭები რომ წამომეყვანა.

როდესაც დავბრუნდით, დათვი მკვლარი დაგვხვდა. სანამ ერთ-ერთი ხე არ მოგჭერით, ვერ შევძლეთ მისი გამოღება. ახლაც ვფიქრობ, ასეთი შემთხვევა ალბათ არც ერთ მონადირეს არ ჰქონია-შეთქი. საოცარია, მაგრამ სინამდვილეში მაინც შეიძლება მოხდეს თურმე ამგვარი რამ.



შალვა დავითაშვილი

ვთავაზობ უფრონაღ „ციცქარს“ ქართველი ებრაელის, ჩუმი და თავმდაბალი, უპრეტენზიო მწრომელი კაცის — შალვა დავითაშვილის ლექსებს. რა შეიძლება ითქვას პოეტზე? ხასიაშოვნა, რომ, მოკლებულმა ლიტერატურულ გარემოს, შრომის სრულიად სხვა სახეობაში ჩაბმულმა, პროვინციის ჩრდილში ხანგრძლივად მცხოვრებმა კაცმა შეძლო ძიების გზას დასდგომოდა და თავი დაედრწია „მესტიერეობისათვის“. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ „ციცქარისთვის“ შერჩეული ეს ლექსები თანამედროვე პოეზიის მოთხოვნების დონეზეა და პროფესიონალიზმითაა აღბეჭდილი.

შალვა დავითაშვილი მოფიქრალი, მოაზროვნე პოეტია. მისი ლექსები არ არის „შამაღალი“. სარგებლობს რა კლასიკურთან ერთად ლექსის თანამედროვე ფორმებით, სიკეთის, ადამიანობის მაღალ გრძნობებს ის ხმადაბლა შეგვაპარებს. შრომის, მწრომელი კაცის უსაზღვრო პატივისცემითაა გამსჭვალული დავითაშვილის არაერთი ლექსი. უცხო არ არის მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის ცხოვრების აზრის, მშენიერების მარადი თემატიკა. ის გარემოება, რომ საქართველო ებრაელისაგან აღქმულია როგორც კანონიერი სამშობლო, რაც უტყუვრად, დიდი გულწრფელობით სვეთვის შალვა დავითაშვილის ლექსებიდან, — მეტად და მეტად მომხიბლავს ხდის პოეტის იდეურ შრწამსს. ტომით ებრაელი, ის ქართველი პოეტია და მე სულით და გულით წარბატებს ვსუტრებს მას.

მურმან ლებანიძე

დედამინა

ამ უზარმაზარ ბურთს მიწისას, ამ დედამინას,
რა ფიქრი გასწვდეს, რა ოცნებამ შემოუაროს
გიხმობს,
გიზიდავს,
გინვდის, გიშლის უჭკნობ ფერადებს,
გირჩევს,
გავალეებს,
მშობლის ენით გეჩუროჩულება:
კვალი დატოვე
ჩემს ბობოქარ მკერდზე და წადი!
— შვილო, ჩემო,
ნუ წახვალ ისე!

სურათი

გაიჯირითა მიწამყარზე მზის სიხარულმა,
წალეკა ზამთრის ნარჩენები,
ჩაეხიზნა უძღებ აყალოს,
რომ მერე

ლამაზ ყვავილებად აღმოეცენოს.

სამშობლო საძარტველოს

ლამეულ ფიქრში ქარგე აისი,
სჭექე კიდევაც ჰანგი სამზეო,
ამალლდი მზისებრ, მთვარედ გაივსე,
ხვალემ ხვალისა ხვალ აღგაზეოს!

მომავლისაკენ ზვირთები აპე,
აშენე, წერე, მთები დასძარი...
ჰაუ, რამდენი თესე და კაფე —
რა მადლი გახლავს, მაინც რა ძალი!

განახლებათა გრიგალებს ენდე,
თვალეებში ელვის გენტო ბნკარები;
ხალხებში შენც ხარ, პლანეტას მკერდზე
შენიც აჩნია ნატერფალები.

რისი სიბერე! რა ხნოვანება!
დრო გიდგას სიყრმის ახლად დაწყების!
გშვენის ბრძმედების ახმოვანება,
ჩარხის ციბრუტი, ენა დაზგების...

გიქებ ამ ანწყო ზვირთებში მხარულს,
ნარსულს — ხმლისა და ფარის ძგერებით,
და ვიზიარებ დღეთა სიხარულს
მოტანილს შენი მძლავრი ხელებით!

დასტაქრის მაღლი

მიხეილ ჩაჩაშვილს

ლამე... ვილაცის ყოფნის გზანვრილზე
მიიზვირთება ტკივილების სული უწყალო...
ყურშა რად ჰყმუის? ვის განსაცდელს რეკენ ზარები,
რატომ დაგრძელდნენ მწუხარების შავი ჩრდილები!
მაგრამ ბურანში შეირხევა სინათლის ტოტი,
შენ იღებ ყურმილს — შველას ითხოვს ალლო დედური:
სოფელში სადმე,
მთვარის ახლო,
მიღმა ქედების,
გზა ურმულივით მიირხევა, მიდის სერისერ,
ყომრალი ღამის ნაპრალებში წივის ბორიო...
მეამაყება, რომ ცხოვრება შენი ომია
უძილობასთან წილნაყარი; ფიქრი — ჭრილობა
თუ სიცოცხლე დღესაც იხსენი...

გრძელი და ძნელი ეს აღმართიც ამოათავე,
იმედის შუქად მოეფინე ოდას სნეულის...

ლამე... ვილაცის ყოფნის გზანვრილზე
მიიზვირთება ტკივილების სული უწყალო.

ბერიქალები

მათი თვალები — კელაპტრები სათნოებისა!
ცახცახებს თვალში — სინდიცივით მძიმე კურცხალი,
შეთხელებულა დასი ქვრივი ბერიქალების...
ვის, ვის მოუხმობთ
თქვენს ჩამავალ ფიქრის კოცონთან!
ძვირფასი ქმრების
ომის გზებზე გარჩენილ სულებს,
თუ ზმანებებს
ქალწულობისას!

კაკლის ხასთან

ასი წლის კაცის
გამჭკნარსა და გადრეკილ კისერს
დაჰყურებს ორი საუკუნის ხავსი და ჩრდილი:
გამხმარ აყალოს მიწისფერი ქექავს თითები
და აყრის კაკლის
სამზეოზე ამოყრილ ფესვებს...
არაფრით დალილს
უნებურად იქავე წასთვლემს, —
ბურანში ხედავს
გარდაცვლილთა ძვირფას სახეებს
და ესმის
ჩუმი ნაბიჯები
მარადი ძილის.

რა ხანია, — მოგონების მოწყენილ ცაზე
სივდება ფიქრი ღრუბელივით...
დიდთოვლობაა — ყრმობის ტყეში გარჩენილ ხილვებს
ახლა ფიჩხად ეზიდებიან.

ტრფოპა მინისა

ნუ დამანახებ!

მთიანი რაჰის ვარს ნასოდღარზე ცხოვრობს
ღროული კაცი — ვარლამ მელაშვილი

რაჭა... ჩამქრალი ბუხრები რიგში,
ბილიკი, ხევეში ჩაკიდებულნი...
მზეში მთველმარე ლანდებს აიქმევე
კაცი, უამურ წლებით ვნებულნი.

გადაზნექილი წისქვილის ღარი,
მიტოვებული ეზო, გომური...
შენ ერთი დარჩი ამ ნააკვნარის
ადგილის დედა და მეკომური...

ღრე არ გაშინებს, არც მთა საზვავე,
ტყვიდან ნადირის ხმა უეცარი...
არჩენი რკინისწყალს
შენს ცხვირწინ სვამენ
და სიხარულიც შენი ეს არი.



ახლა შორსაა
ნაპირი მწვანე —
პალმები, პლაჟი
ბურუსში დილის,
შენ მანდ ხარ,
პონტოს ზღვად დაევიანე,
მანდ თებება შენი
პატარა ჩრდილი.

ხან ზვირთს მიაპობ:
გებევეა, გვედრის,
სტიქიის ბოდვა
სხეულს გილოკავს;
ჰგავს თოლიების
კვილი მკვეთრი
შმაგი ტალღების
უცხო კილოკავს...

ხან მზეში წევხარ, —
ირგელივ ხელდება
მზე, წყვილთა ლტოლვა,
ქვეყნის ხმაური,
და გესმის, როგორც
ჩემი ვედრება
სველ ნიჟარაში
გმინვა ზღვაურის.

ნუ დამანახებ მოცდენილ ყანას,
ახოს გაძეძვილს, ამომშრალ მარანს!

ნუ დამანახებ ბოროტ ქართველს!
დაე, ცა იყოს სულ მოციმციმე!
ნუ დამანახებ თავხეს ჩატეხილს,
კიბეზე ხავსის მწვანე სიცივეს!

ნუ დამანახებ ზაქცეულ ღობეს
და ლარდანვევტილ
მდუმარ ფანდურებს!
ნუ დამანახებ საბრალო ობლებს
წინილებივით მიმოფანტულებს!

მთიბავი

ადგა, —
მძინარე ტიტლიკანა ბავშვებს
დახედა,

ეამა რაღაც,
ღრმად ისუნთქა სიგრილე დილის,
შეისხა წყალი,
ნაჭარევედ გატეხა ხემსი,
ჩამოხსნა ცელი,
ფხა-საჭრელი მოსინჯა ცერით,
მოირგო აბგა, —
მხნე ნაბიჯით გასწია მთისკენ.



დღევ,
მზის ხელეშში ატატებულო,
ის შეხევედრა რატომ ინებე,
რად შემახე კულული ქერა!

ო, ის სიცილი, უანკარეს ნაკადულისა,
წკრიალებს ყურში
და კოლხური თვალების ზღვაში
რონინს მპირდება...

ატატებულო, დღევ, მზის ხელეშში,
რად დამსაჯე
ამ სიშორეთი?!

შეშორება

1.

ჩამავალ მზეში
მოღივლივე ბაღების წიაღ,
ქარვისფერ და მენამულ ხმებით,
მღერის მნიფობა
შემოდგომის ლალსა და ლალას...
სოფლის ბოლოდან
ურმის ჭრიალს შემოყოლილი
უცხო სურნელით გაჟღენთილი
ფრთასა შლის ღამე.

2.

„შენ ხარ ვენახი!“ —
შენი მადლით გაუკვდავებულ
საქართველოს გულივით სავსე...
მოალერსე შენი შრიალი
მიწყვი ფსალმუნად
ესმით მძლავრ და ფესვიან კაცებს
და იზრდება
ღერნი სიკეთის.

3.

ძველი ნაღის
ბელურებით გაფოთილი რიკულს,
განათებულს
ტარობის ოქროს ღიმილით,

ელაციცება

ბერიკაცის ფიქრი და, მგონი,
ვერ აკრთობს
ახლოს მოფრიალე
ზამთრის დროშები.

4.

რიჟრაჟის ხელით
დარეილი ზარი რთვლობისა
მიმოდის ზვრებში,
ნასკდათ მტევნებს
მინის სისხლი კეთილშობილი...
ფეხშიშველი დგას დიონისე
და ღვინის ქართულ მდინარეში
საწნახელისას
ფსკერს ებჯინება.

5.

მზე ჩაინავლა
ქლიავისფერ მთათა გუგებში,
შემოდგომის ტყეთა წვერებზე
მოირხევა ფაფარი მწუხრის...
მოდის ნახირი —
ძროხის ყელზე შებმული ზარა
შესწყვილებია
კრუალების იდუმალ ქოროს.



მრონ სერგიანი

დაშროშნი

როს ერის პარნასს მოერკალა კნინების ძლოკვი და განდგა მუზა მზე შო-
თას და ვაჟას გეზიდან — როგორც ქადაგი, შემოიქერ შენ — სიტყვის
მოგვი, რომ ქართულად თქმის დანთქმული მზე ზე აღგეზიდა.

გაბრიელ ჯაბუშანური

ძალიან მიუყვარს გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც კაცი და როგორც პოეტი.

კონსტანტინე გამსახურდია

ამ მოზრდილ ოთახში ყოველთვის ხალხმრავლობა სუფევდა. ისე შინაურულად გრძობდა ყველა თავს, უცხო თვალი ერთბაშად ვეღარც კი გაარჩევდა, ვინ სტუმარი იყო და ვინ — მასპინძელი. უფრო სწორად კი — ვინ თანამშრომელი და ვინ ავტორი.. რა თქმა უნდა, ეს ერთი შეხედვით ჩანდა ასე, თორემ მაგიდებთან ჩამორიგებულნი რომ „გარეშენი“ არ იქნებოდნენ, ამას რალა დიდი გამოცნობა სჭიროდა. ამ ხმაურიან კაბინეტს მათთვის რალაც განსაკუთრებული, დამახასიათელი, შტამბი თუ დამლა დაედო, რითაც გარეგნულად სულაც განსხვავებული აღნაგობის მიუხედავად, დედამამიშვილებივით მაინც რალაკით წააგავდნენ ერთურთს.

ჰროლათვალეზა, კალარათმინი, პაპიროსის ბოლში გახვეული და ერთთავად მოქაქანე კალკულატორი ქალის გარდა, კაბინეტის მოპირდაპირე კედლების გასწვრივ ჩარიგებული საწერი მაგიდების ხუთივე მფლობელს ნეილონის ქათქათა, მოღურ პერანგებზე

სირიის რომელიღაც საგალანტერეო ფირმის ჰრელ-ჰრულა, ხევესურულ ჯუბასავით მბრწყინავი თვლებით მოოკვილი, თვალშისაცემად ვიწრო და ჯორის კუდივით გაფშეკილი ჰალსტუხები ეკეთათ. ლოყებიც ჩალაქდაქებოდათ. მაგიდებზე ქალაღები გაეშალათ და კოლეგებთან საუბრის პარალელურად პროფესიული ძალდაუტანლობით ასწორებდნენ, ანუ ჩეხავდნენ მაგანის მასალას.

მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელი შხუილით მოაწყდებოდა ხოლმე მოლიიავებულ კარს. ზღურბლთან უჩუმრად აყუდებულ ბეჰა გაბლიანს ამ დროს უხერხულობისა და სიმორცხვისაგან თუ ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი შინავანი მღელვარებისაგან სიმწრის ოფლი წამოასკდებოდა, წელში გაიმართებოდა. თავს გრილ კედელზე მიყრდნობდა და გაბრუებული, დერედნის ჩაბნელებულ ჰერს მიაშტერდებოდა. იგი წამიერად ეთიშებოდა გარესამყაროს და საკუთარ ფიქრებში იძირებოდა...

მე პოეტობა სანუკვარი მადლი მეგონა და ახლა მიხვდი: ის უღელი თურმე უფილა. მარჯვე სტრიქონი უფლის მზომი ადლი მეგონა, მაგრამ სამყარო მეტად ვრცელი თურმე უფილა... პირველი ლექსი ამაღლება ჩემი მეგონა, მცირე გორაკი მე მწვერვალის თხემი მეგონა, უწვერულ ქაბუკს ვაჟა ჩემზე მრწემი მეგონა...

რაცყფის სტრიქონები (ასეთი მეტსახელი შეარქვა მან თავის საყვარელ პოეტს, ამ ლექსის ავტორს) სიზმრად ნანახი ფრთაფარფატა ყანჩებივით მოფრინავდნენ უსასრულობიდან და მის ამჟამინდელ განწყობილებას ამკვეთებდნენ. მისთვის უფრო საცნაური ხდებოდა, თუ რატომაც ველარასოდეს ვერ გადააღაჯა სიმორცხვის ზღურბლს და თავისი ნაცოდვილარით დაზეილ, გულისჯიბეში ჩაჭრთულ ქალაღდებს სინათლე ვერ დაანახა. მოვიღოდა, მოთუბთუბდებოდა, ამ კაბინეტის მოღიავებულ კართან კი თანამშრომელთა საოცარი ერთიანობითა და მაღალფარდონებით შეცბუნებულს უეტრად ეკალბარდებზე წამოგებული საპაერო ბუშტივით ჩაფეშუეებოდა თითქოსდა ექვეშეუვალი განზრახვა, რადაც უნდა დასჯომოდა, გამოცნაურებოდა რომელიმე მათგანს და ლექსების აეკარგინანობის თაობაზე ორიოდ სიტყვის თქმა ეთხოვა. ამ დროს მეყსეულად ნავლდებოდა ის შემართებულობა და ნათელწმენა, ნაქირავები ბუღრუგანიდან ამ კაბინეტამდე რომ მოაცილებდა, კართან ზღარბივით დაგორკლებული, თავის ხვედრს შეგუებული, ყველასაგან შეუმჩნეველი საათობით იღვა უჩემრად და შორიდან აყურადებდა კაბინეტის ცხოვრებას. იგი ამ ნანახ-გაგონილთაც კმაყოფილი იყო, ამ წუთებში აღარც დარდობდა არაფერზე, მისი ქალაღდები კი ყოველგვარ ღირებულებას კარგავდნენ, ხმარებიდან გამოსული ფულივით უფასურდებოდნენ — ამ ოთახის განწყობილებასთან იმდენად შეუფერებელნი და შორეულნი ჩანდნენ, როგორც მი-

სი მშობლიური სოფლის ორღობები ამ გაზიზზიბებული ქალაქის პროსპექტებთან. მაღლობელი იყო ამ ხალხის, რომ მისთვის ველარ იცლიდნენ, აღარ ეკითხებოდნენ, ეინ იყო, რა საქმე ჰქონდა, რა სადარდებელი და საწუხარი გააჩნდა.

მაღალ მატერიებს რომ გადასწვდებოდნენ ეურნალის რედაქციის თანამშრომლები, უფრო მაშინ აწრიაღდებოდა ხოლმე, ისე დაიუცხოებდა თავს, შემცბარი და ტანაწურული ნიშნეულად გულის ჯიბეზე გაისვამდა ხელს — ის ქალაღდები არავინ მინახოსო. ხანდახან თავში დამზაფერელი აზრიც კი აეკვიატებოდა — იქნებ ნაქუწბად ექცია და სანაგვეში მოესროლა საღმე მისი, ეგრეთწოდებული, ნაღვაწი და შემოქმედება, მაგრამ ვერც ეს გაებდა და ბარისპირზე წამოგებულ კიანჭველასავით უმწეოდ იწმანებოდა. კუიდან კვლავ ეშვებოდნენ რაცყფის სტრიქონები:

ჩამოვიყეფეთ ჩვენი საყეფი, ახლა ხანდახან ექაქანებთ მარტო, ხალხს ვერ მივეციო ხემსი სამუფი, — ჩანს: უქმად ვზნავდიო საყანე ფართობს, მომცდარ იფქლს კარი ფრენით შემღერის, მონგრეულ გომურს ენგრევა სხვენი, ცარიელია ჩვენი ბედელი, ცარიელია გომურიც ჩვენი.

შინ მიმავალია გამოერკვეოდა ხოლმე, კუჩაში გამოძუნქლებული გახურებულ ლოყებს მთაწმინდის ნიაგზე დაიგრილებდა, თანდათან ილაღებოდა გრძნობა-გონებიდან მოზობობოც კაბინეტის განწყობილებახი, აფორიაქებული გონსაწეირი საქონლის ფლოკვები-საგან ამღვრულ გუბურასავით სუფთავდებოდა და წკდებოდა, სულში ჩამოსახლებული სიცარიელე შემოდგომის ბელელივით სავსეღდებოდა.

ფოლორტს ფოლორტი ენაცვლებოდა აიენიანი, ძველი ქართული ორნამენ-

მირონ ხარბიანი
ჰაგინოზნი

ტებით დამშვენებული სახლები გაყურსულიყვენ, შეუფერებლად ჩანდნენ შინისფასადიანი, ახალთახალი მრავალსართულიანების ფონზე. „იმაზე თუ შეუკრავთ კრიკა...“ — ფიქრობდა ბექა და რაღაც ნათესაურ ახლობლობას გრძნობდა ამ ძველებთან. ისევე შეუსაბამოდ ეჩვენებოდა აივნებიანებისა და ახალმოდურებისათვის მავანთა მიერ თავსმოხვეული მეზობლობა, როგორც მისი სულიერი მდგომარეობა და იმ კაბინეტში გამეფებული განწყობილება...

რატომღაც ასეთსავე განწყობას ბადებდნენ მასში სიღარბაისლითა და საკუთარი ღირსების გრძნობით დახუნძლული ბანიანი სახლები და მათ ეზოებსა და კიშკრებთან მოუსვენრად მოფუსფუსე. არაბუნებრივად კორფლიანი და უმზეობით ჩრდილის ყვავილივით დაფერმკრთალებული ადამიანები. ისინი თითქოს რაღაც უკურნებელ საღარდებელს ებრძოდნენ, ადგილზე ვეღარ ჩერდებოდნენ, სულ სადღაც გარბოდნენ. ეჩქარებოდათ, მოიროდნენ, მათს საქციელში თითქოს დეტექტივის ელემენტებიც ერია, მათ მზერაში კი ურთიერთსაწინააღმდეგო ორი გრძნობა გამოკრთოდა — სიკეთე და დაქვევება თუ რაღაც ამის მაგვარი..

ბექა თავისი გზით მიდიოდა, ორთაქალის აბანოებთან, თავის ბუდრუგანაში შეთხზული სიმშვიდე და განმარტოება ელოდებოდა, ნესტისაგან ედლებდაცვარული მიწური იყო მისი სენატი, მექლისი თუ სეიმი, მალე ქუჩაში გამოშორალი, ციკლოპის თვალვივით ერთადერთი სარკლიდან ანალიზების თვალთუხილავი ბული და კორიანტელი გამოიფრქვეოდა... მანამდე კი ჭერ მეტეხის ციხე იყო. „მეტეხის ყური“ და „მრუმე ყამა ტინისა“. მერმე კი მტკვარი, მგოსანთა ფიქრივით უსასრულო და მოდულდნე რაყიფი წუთით არ სცილდებოდა:

ფშაველი გოგოს უმწიკვლო ღიმილს. — მოებში ზეცა რომ თვალზე ირეც-

ლავს, როშკაში მყუდრო ზაფხულის ღამეს, — ნისლთა ნახირს რომ წყალზე მირეკავს, გუდამაყარში ბატკნების ბღავილს და მთიულეთში გაღეშილ მაყრებს, ცხენოსან ხევსურს, ქვეითა ფშაველს, თეკიან მთულს თუ გუდამაყრელს. ...ჩარგლური დილის საამოსურნელს და იმ მადლს, რასაც ჩარგალი ფიქრობს, კირში და ლხინში მწესა და მკურნალს ვაჟა-ფშაველას ეღვარე სტრიქონს, — მე უველა ამას მეტეხის ყურთან (წყალს რომ კვეთს მრუმე ყამა ტინისა) მტკვარში ვკითხულობ, ვითა არ უხტარს, ოთხი არაგვის ჩამოტანილსა.

სანაპიროდან აბანოებისაკენ გადაუბევედა, მოყაყანე ბრბოს გაერიდებოდა და სწრაფად გაუტევედა შინისაკენ. „როგორც ერთგული ნაგაზი...“ — წამოუტიციტივედებოდა თავში უცნაური შედარება, რომელიც პირველად ამ რამდენიმე ხნის წინათ, ასევე რედაქციოდან გამოძიარწულს, უეცრად ჩამოუყალიბდა და მას მერე ვეღარაფრით მოეშორებინა თავიდან. ამ სიტყვებით იგი თავის მდგომარეობასა და საქციელს აქილიკებდა, კაბინეტის ზღურბლთან ატუხულ საკუთარ თავს დასკინოდა, სწორედ რომ ასე იყო — ერთი მდგომარეობიდან, ესე იგი ამჟამინდელი მდგომარეობიდან დანახული რამდენიმე წუთის წინანდელი მისივე სულიერი განწყობილება სსსაკილოდ ეჩვენებოდა წამიერად კვლავ გაბტურძგლავდა ტანში. თვალებზე კი შინაგანი მღელვარებისა და უხერბულომისაგან ცრემლი მოაწვებოდა... ამ დროს, თითქოს სულზე მიუწრესო, უეცრად ვეძასავით მოასკედებოდნენ რაყიფის სტრიქონები:

— იცით, მე ვინ ვარ, რომ არ ვთქვა ბევრი. — მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისა, გურამიშვილის ვარ ცოტა ცრემლი და ერთი თანხა ვაყას ქალმისა, მე ვავეკავამის ვარ სისხლის წვეთი, ბარათაშვილის ვარ ერთი ოხვრა, ამიტომ მქვიან ალბათ პოეტი და მათ მუხლებთან მიხედება მოხრა!..

ეს, ჭერ კილევ თავშეობაში ახეულ-

ში განივთებული კრძალვითა და რით ნათქვამი რაყიფის სიტყვები, მთას შემორჩენილი უფროს-უმცროსობისა და თავმდაბლობის გრძნობით განმსკვალული სტრიქონები, თავისი გულწრფელობით, უშუალობით, სიღარბაისლითა და მრავლისმეტყველი უხმაურობით თითქოს ნიშნს უგებდნენ უელსახვევიანებს, იკაურ ხმაურსა და მაღალფარდოვნებას, კაბინეტის უელდნოდაც გაბღოვრიალებულ უშველებელ ვენციურ ჭლას, რომელიც ადრევე შენობის მდიდარი მფლობელი-საგან გაღმოსცემოდა რედაქციას. ეს შენობა თავისი მდიდრული ელფერიითა და მეცხრაშეტე საუკუნის ოთხმოცია-ნი წლებისათვის ნიშანდობლივი დახვეწილობითა და სისადავით ათას სხვა ნაგებობისაგან განსხვავდებოდა. და არა მხოლოდ იმ კაბინეტსა და იკაურ განწყობილებას ეჭიშპებოდნენ რაყოფის სტრიქონები, არამედ ეურჩებოდნენ მთელ სასახლეს. ფასადის ბარელიეფურ ხატოვანებას, ნაირ-ნაირ ჩუქურთმებს, ინტერიერის მდიდრულ მოზაიკას, ტალანებასა და დერეფნებში გამოფენილ ბიბლიურ თემებზე შესრულებულ კანდაკებებს. კიბის ბაჭნებზე შემოდგმულ ცხოველთა გალოგებს, სააქტო დარბაზის წინა კედლიდან მეორე სართულის კერამდე აყოლებულ დაბურდულ ზეიარებასა და ლელოვნებში თავისთვის განაბული და გარემოს ჩუმად მზირავი ნადირ-ფრინველთა ზღაპრული ფერადოვნებით და აელვარებული თვალბივით მოკაბტე ვერტრასს...

მაგრამ ეს იყო პირველ ხანებში... მალე კი დასალეკი დაილეკა. სიმღერიე ჩაწყდა, ნელიად გასინათდა ცისკი-დური და ჰალსტუხიანთა კაბინეტი საბოლოოდ გამოცალკევდა ყოველვე დანარჩენისაგან. მართლაცდა, რაღას ემართლებოდნენ წინაპართაგან გარდმოვლენილ მშენიერებასა და სილამაზეს, ნატიფ სისადავესა და ხელთუქმნელ ფერადებს რაყიფის ლექსები? რა ჰქონდათ მათთან სადავო და ვასაყოფი?

ისინი მარტოოდენ სიყალბესა და ლალფარდოვნებას, ყოველივე ფარისეულურსა და მოჩვენებითს, მდაბალსა და უეცაურს, შევირაღას, მაგრამ სინამდვილეში უმაქნისოს ჩხვერავენდენ, საყრდენ-საფუძველს აცილიდნენ, ააშკარავებდნენ, ლიბოს უხრამედნენ; ჰეშმარიტებასა და თავმდაბლობას, უფროსთადაში მოკრძალებასა და პატივიაცემას, სიღარბაისლესა და მიწაზე დგომას უკმევდნენ გუნდრუკს.

ბეჭეს კი თავიდან ისე მოჩვენა, რომ ის პირველი — ყველაფერი მოდური, ტანსაცმლის საწყობივით ამ კაბინეტში იყო თავმოყრილი და საგულდაგულად დაეინებულა...

„ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულნი“... — ფიქრობდა ამ ხალხზე იგი.

ბედნიერია, ვინც ყოველ დღიას ზედება საწყობი იმედის შუკით, ვინაც საწუთრო მიუჩანს ნტიდად და ბიცოცხლისთვის ლოცულობს ჩოკით. ბედნიერია, ვინაც მარტივად დებულობს ჩენი დღეების სოდომს, ვინც ეგუება განუშარტაკად ჩენი ცხოვრების მადლსა და ცოდოს. ბედნიერია, ვინც დღიურ ლუქმას ზედება უცვლელი ღიმიით, ხალისით, ვინაც ყოფის აზრს არ ეძებს უქმად — მოშხამულს განსჯით და ანალიზით.

ბშიოად ბეჭას კეთილად შერდა ხოლმე რედაქციის თანამშრომლებისა.

ამ შუროთ დაბეგვლი ბოუნდებოდა თავის ბედრუგანაში...

იმ დღეს კი უცნაური სანაბაობის მოწმე შეიქმნა. გაცისკროვნებულ ციკიდური თითქოს საყდრო ღრუბლებით გაიტენათ, თავიდან როგორ დაიწყო ყველაფერი ამის თაობაზე გარკვევით ვერაფერს გეტყვოდათ. რადგანაც დაგვიანებით მივიდა რედაქციაში, მაგრამ თითქოს ეშმაკი დაეპატრონათო, ეს განუყრელი თანამოაზროვნეები, რო-

პირონ ხაგბანი
დამარჯნენი

გორც ეს აქამდე ბეჭას ვეჩვენებოდა — მალსტუბიანი თანამშრომლები, უეცრად ერთმანეთს დაერივნენ, უფრო სწორად, ორი მათგანი — მოპირდაპირე შავიდებთან გამოწევილი განყოფილების გამგეები — ახალგაზრდა, კროლათვალემა და მეორე — კარმაგი, საფეთქლებშევერცხლილი ტუჩალა წაიციდნენ.

— ეპოქას უნდა აუძღვე, ძმობილო, თუ გინდა, რომ სულ უკან არ მიჩანჩალებდე ბებლენი ცხენივითა... — უემოციო, დაღლილი და გამოფიტული კაცის ნიშნისმომგები კილოთი აქილიკებდა ახალგაზრდა განყოფილების გამგე აბოლებულ, თმაშევერცხლილ და თვალის უბებებშეშუბებულ კოლეგას.

— მონარქისტო! მიზანი ამართლებს საშუალებას, არა? ფორმასა და შინაარსს რა თავში იხლით, მთავარია, მაქებარი გუავდეთ, გუნდრუი გეკმონ და ცას მიგახატონ! დანარჩენი რაღაში გედარდებათ — ასეთია მედროვეთა ფილოსოფია, ასეთები იყვნენ და იქნებიან კიდევაც, მაგრამ ისტორია სხვაგვარად სჯის, დრო-ჟამი შეუშედა-რია, მაშ, თქვენი აზრით, „ივანანადან“ და „ჩელადან“ ნადირის დავაღზე გადავიდეთ, არა? აკაკი, გალაკტიონი და ათასი სხვა თავიანთი ტებლხმოვანებოსათვის შევირისხოთ, პწკარედების კორიანტელი დავაყენოთ, ზეშთაარსი გამოვიგნოთ მაღლიან სტრიქონებს და ფიტულებით დავკმაყოფილდეთ?!. — ცქვიტად, შემტვეი იერით შეაფრინდა მოწინააღმდეგეს ის ხნიერი, ტუჩალა კაკი. — ერთ დღეს მთელი მხატვრული პროზა გუგულის ბარტყივით პოეზიის საბუდარში რომ მოკალათდეს, რაღა ქანა მერე გამომცემლობებმა?..

— შენ კმბობ, რომ ჰონორარს გამოეკიდნენ, არა? ეს აზრიც ისეთივე ძველმოდური და გაცვეთილია, როგორც ყველა შენი დებულება. თუმცა, რა გასაკვირია, ხისა და ნაფოტის ამბავია... — გაქვავებული სახით, მშვიდად პასუხობდა ახალგაზრდა, ტუჩების

მოდრობა რომ არა, გეგონებოდა, ვილაღ სხვა ლაპარაკობსო.

— ჯანდაჯან მიარღვევთ სივრცეს, ერთი რამ კი გავიწყდებათ, რომ პოეზია სწორედ ამ თქვენს მოწონებულ ჯიკავთან ბრძოლაა, პოეზია სათნოებისა და სილამაზის, ჰარმონიულობისა და კეთილზმოვანების საგალობელია. თქვენ კი, განდიდების მანიით შეპყრობილნი, უარყოფთ მის არსსა და გაგებას... მაშა!

— ყველა ეპოქას თავისი განსაკუთრებული სათქმელი გააჩნია. ეს სათქმელი კი შესაფერის გამომსახველობით ფორმას ითხოვდა, ყოველივე ამას შინაგანად გრძობდნენ შემოქმედნი და ანგარიშსაც უწევდნენ. მაგალითისათვის არქიტექტურის, გინდაც ქანდაკების ისტორიას გადახედე. ისევე, როგორც საერთო არის მზე კონტრინეტებისა და მთელი სამყაროსათვის, ეს კანონიც ზოგადია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და ცალკეულ ქანებზე რაიმე სახეშეცვლილი ფორმით არ ნაწევრდება...

— გავიწყდება, რომ მსოფლიო მასშტაბებს ეპოტინები. აიღე მოსახლეობისა და ტერიტორიის მზრივ საქართველოს ტოლი რომელიმე ქვეყანა, რამდენ მიმდინარეობასა და სტილს დაუთვლი თუნდაც იმ შენს მიერ ყბადაღებულ ხუროთმოძღვრებისა და თუ ქანდაკების სფეროში? და ბოლოს, რამდენი შეგრჩება ისეთი, მისმა შემოქმედმა ხალხმა საკუთარი ხელწერით რომ დადამლა და თან საექსპორტო საგნადაც აქცია? ძალიან ცოტა... მწერლობა კი, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, ერის სულიერ თავისებურებებთან კიდევ უფრო ახლოს მდგომი ფენომენია. მცირერიცხოვან ხალხებს კი ეროვნული შემოქმედებითი გენიის ნებისმიერი მიმართულებით წარმართვისათვის გაცილებით ხანგრძლივი პერიოდი სჭირდებათ. ეს პროცესი შეიძლება წისკვილის დოლაბის მუშაობას შევადაროთ, რაც უფრო ფართო და ტევადია იგი, მით უფ-

რო მალე თავდება ზვიმირში საფეკვაეო და, რაც მთავარია, იფქლსაც მეტს იყენებს, დიახ. ეს მტვერი გახლავთ სწორედ, ისევე როგორც აზროვნების სფეროში პოეზია და. საერთოდ, ხელოვნება, სიკეთის მარცვლის უმაღლესი მაღლი და მისი უზენაესი გამოხატულება... პოეზია იმიტომ ვახსენე, რომ ჩვენი მეფეები ბეჭდებზეც კი გართობულ წარწერებს კვეთავდნენ. და შენ გგონია, რომ მეფეთა იერარქიის დასაბამიდან დღემდე მოყოლებული კულტურულ ფასეულობათა და ტრადიციულ ფორმათა და გამომსახველობათა ამოწურვისა და რღვევის თვალსაზრისით დიდი დრო გამოხდა? ბოლნისის ხანმეტი წარწერის შექმნიდან დღემდე, უწყვეტად რომ წარმოვიდგინოთ მშვიდობიანი პერიოდები. ესე იგი, ის დრო, როცა შემოქმედს და ხელოვანს ძალუძდა შინაგანი ძალები მაღალი მატერიალისაკენ წარემართა, შემოქმედებით პროცესებში ჩატვირთულიყო, რამდენ ათეულ წელს მიადწევს შენი აზრით? ძალიან ცოტას. შმა! კმარა კი ასეთი მცირე პერიოდები მხატვრული აზროვნების ისეთი რადიკალური გარდაქმნებისათვის როგორც ამას. ევრეთწოდებული, თავისუფალი ლექსის მესვეურები გვიკვირებთ? ანდა როგორ გავიგოთ ეს „საგნებისა და მოვლენების ცივი გონებით აღქმა?“. რა ეგეთი განსაკუთრებული ეპოქა დაუდგა ვითომ მაინცდამაინც ჩვენს თაობას? შეიცვალა ქართველი კაცის აუთიერი სტრუქტურა? ან იქნებ მსოფლიო რუკაზე რაღაც გადაადგილება მოხდა და სხვა მერიდიანზე გადავსკუპდით? ქართველმა კაცმა საკუთარ გრდემლის ალზე უნდა კვეროს სიტყვები. საკუთარ ქურაში აღნოს აზრის მაღანი და ამ სამჭედლოდან გაეხმაუროს ცივილიზებულ მსოფლიოს; დიახ. ჩვენი ამოსაცნობი ნიშნები უნდა შევინარჩუნოთ ბოლომდე თუ არ გვინდა, რომ ამ ინფორმაციის ნაკადში დენთის ბოლივით განვქარდეთ... თქვენ კი გაიძახით, ანალიტიკაო, ცივი

გონებაო. მაგრამ თავიდათავი მაინც გრძნობიერებაა, ის, მხოლოდ შენეული და შენმიერი გრდემლი და ქურაა და, რალა თქმა უნდა, ინტელექტია, ცოდნიერებაა, ფართო თვალსაწიერია, ანალიტიკაცაა და ბევრი კიდევ სხვა რამეც ერთიან კომპლექსში წარმოდგენილი, მაგრამ რადგანაც ამდენი რამის გათვალისწინება მხოლოდ ქვეშარიტ ხელოვანსდა ძალუძს, თქვენ ეს შეღავათები გამოიგონეთ — „ცივი გონება“ და „ანალიტიზმი“ სინამდვილეში კი უნიკობა და უსუსურობა, გონების სიბერწე და ცვედნობა. აი, თუ ვინდა სიმართლე! თქვენი ამ „თეთრონების“ ქენაობა პონების ბზიკილობასა ჰგავს, წამიერად რომ იტაცებს ადამიანის გრძნობა-გონებას, მაგრამ მათი ალური ვერასოდეს ლაფშა ცხენების ჭირითთან ვერ მივა...

— ესე იგი, ვინდა თქვა, რომ ბლომად მახა და ზანდური დაგვრჩა ისევე ჩამოსაფეკვაეი ჩვენს ზვიმირში. არა? პირში იმ გადაშენებული ხორბლის გემო გამოგყოლია, იმით ვანუემორებელ არომატსა და სურნელებსა დაუზაფრიხარ, „უფხო-1“-სა და „უფხო-2“-ს რომ იღუკები ყოველდღი-შუადღესალამოს ამას კი ვედარ ამჩნევ. შესაძლოა ამჩნევ კიდევ, მაგრამ ანგარიშს არ უწევ. რალაში გეპიტნავება რეალობა. „წარაულის დარდები“ აღარ გასვენებენ...

— მესმია კიდევ, ფსალმუნებიდან და საგალობლებიდან რომ გამოდიოდეთ. ტრადიციულს განვითარება და სრულყოფა იომ სჭირია დღენიადე, ამაზე ვინ დიბრმავებს თვალებს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ძველი ქართულისა ინჩი-ბინჩი არ გაგეგებათ, ერთი ლოცვა ზეპირად არ იცით, ფსალმუნებსა და საგალობლებზე სულ არას ვიძახი, რჩება ერთადერთი საშუალება — კვებოთ ფანტაზია იაპონური ტანკებით, დასავლეთური პოეზიის ფრაგმენტული ნიმუშებით, რომელთა არსში-

ნირონ ხარგინი
ზამარონი

აც. ასევე, არა მგონია, ბოლომდე იყოთ ჩამწვდარნი, მაგრამ, მოგეხსენებათ, სიახლის ელემენტი რასაც ნიშნავს ერთფეროვნების ფონზე. წარმოვიდგინოთ შოისანთა და ჩადროსანთა შორის დეკოლტიანი მანდილოსანი, მკერდი რომ გაუღებია და ძუძუები დოდროხა ჩურჩხელებივით გამოუფენია... თვალი გაგეჭყევა, მა რა იქნება, შეიძლება მეტიც დაგემართოს — შეაშტერდე და მზერა ველარ მოსწყვიტო დიდხანს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვებზე ლამაზი და უკეთესი იყოს, შენი სიმპატიები დაიმსახურა და იმაზე ველარ აცილებ თვალს?

ეს „თეთრონებიც“ იმ დეკოლტიანე-ბივით გამოიშალენ ერთფეროვან გამზირზე, ხალხს კი დაყვლიფეს თვალე-ბი. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ლექსს მაინც ვერ უწოდებ, ძმობილო, — ტუჩალა. მიუხედავად სიფიცხისა, მკვახე კილოში მაინც არ ჰყვებოდა უმცროს კოლეგას. შეუფერებელი მიმართებისაგან თავს იკავებდა. წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა. — ვერც ერთ მათგანში ვერ ამოიკითხავ გულშიჩამწვდომ ამბავს, მხატვრულად განზოგადებულ საქვეყნო მნიშვნელობის მოვლენას, შეუცვლელი ღირებულება რომ გააჩნდეს მკითხველისათვის, რაც ასე თვალნათლივ ახასიათებთ ხალხური ზეპირსიტყვიერების თუნდაც ურითმო ნიმუშებს. თეთრი ლექსის ყაიდაზე რომ არიან შესრულებულნი. განა ვინმე ჰკუთამყოფელი იმათი წაკითხვისას ვერსიფიკაციულ სიმარტივესა და უბრალოებაზე აბუზღუნდება? მკითხველი გრძნობს, რომ ის სათქმელი აუცილებლად უნდა თქმულიყო, საქვეყნოდ გაცხადებულიყო, რასაც ვერ დაიკვებნიან, ეგრეთ წოდებული, მოდური, ენისა და ტვინის საღრძობი რაბუსები — ის თქვენი მოწონებული თავისუფალი ლექსები. და მერმე განა ერთი და ორი, და განა მომცრონი და ერთი ამოსუნთქვით წასაკითხავნი? — გრძელები, უდაბნოს ბილიკივით მოსაწყენნი და უსასრულონი...

„სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკედარ არს!...“ აბა ეს ხალხურები ნახე, როგორია, ვითომ თავისუფლებია ეგენიც, მაგრამ თქვენეულთაგან ცა და მიწასავით განსხვავებული მგონია: აღლადამც მოგვივით, ჩვენო მკედარო, აღუქცევლადა, ხელუქცევლადა, ცოტაი ბევრადა, რიოში — წმინდადა, კურთხევა—ღირსეულადა... თუ სააქოს ნათქომი საიქიოს მოგიდიოდეთ, გაუთავარიმც გექნებათ, როგორც ცას — ნამი, დედამწივას — მწვანილი: თუ საღირსალია, საღირსლადაც მოგვივით, თუ არა და, ნურც არა დაგაღონებსთ, წყალი პირსამც გიღობდესთ, სანთელი გზასამც გინათებდეთ. ვინც თქვენს სუფრას მოჰბირებოდეს, სუყველასაც გადაგიწვდებათ, ცოტაიც ბევრად მოგეჩვენოსთ...

(მკედრისათვის სახელის შედება სუფრაზე) ყანსავ ყიფიანე, ყანსავ ყიფიანე, უმჩა ი უდგარა, უმჩა ი უდგარა! ხოჩა ღვაჟარე, ხოჩა ღვაჟარე, ბახას იშიაღებ, ბახას იშიაღებ, ნამცა თოფარე, ნამცა თოფარე, ბარჯას ხოსდანდახ, ბარჯას ხოსდანდახ, ხოლა ღვაჟარე, ხოლა ღვაჟარე ტვიბას ზისდანდახ, ტვიბას ზისდანდახ! ჯიპრა ტყენარე, ჯიპრა ტყენარე ბარჯას ხოსდანდახ, ბარჯას ხოსდანდახ! (ყანსავ ყიფიანე)*.

* ყანსავ ყიფიანო, ყანსავ ყიფიანო, უბერებელო და უკვდავო, უბერებელო და უკვდავო. უშიშარი ვაჟაკები ბახას ომობდით. ნამცა თოფებით დუშმანს უტყევით... ქალაჩუნანი, უმაქნისონი ხევში ეყარნენ, ხევში ეყარნენ, მუხის კეტები, მუხის კეტები მხარზე გაედვათ.. მხარზე გაედვათ...

ასეთი ლექსები ათწლეულებში თითო თუ შეიქმნებოდა და ისიც რაიმე საინტერესო ამბავზე, მნიშვნელოვან მოვლენაზე. დღეს კი რა გამოდის, ლექსს დაგიწერენ ბელურაზე, იცით, რა მოხდაო, ქინქლა დაიჭირაო! წარმოგიდგინია? მაგრამ ისეა სათქმელი გაბუნდოვანებული, გეგონება, რაღაც ეპოქალური ფილოსოფიური აღმოჩენა უნდა გვამცნონო.

— და განა რითმისანი ლექსები ცოტა გვხვდება ბელურებზე და ქინქლებზე? „ჭუ-ჭუ-ჭუ, წიწილებო, კიდევ დიდხანს იწივლებთო?“ — ამფერები?

— მეტიც გვხვდება, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ აქ ავტორი არ გვეპირანქება მაინც. თავის უნიკობას მოჩვენებითობის ჩალაბულაში არ ახვევს, ეგრევე საჩინოს ხდის და იმ დაუმსახურებელი ქება-დიდებასა და ცაში აღზევების ნაცვლად, თავისუფალი ლექსის მიმდევრებს რომ არგუნეს ეგრე თათარაზნად, ქვეშეცნეულად ყელგამოსაპრელ დანას ილესავს. თუმცაღა ეგ რა გასაპართლებელი საბუთია, მაგრამ რამდენადაც დაბალ დონეებზე ჩამოვარდა საუბარი...

ჭიშინი მამლებივით ერთუროთისაკენ კისერწაგრძელებულ მოქიშპევებს კარებში კუშტად შემოვარდნილმა, ყვრიმალბეშევერცხლილმა, სანდლომინი გამომეტყველების რედაქტორმა შეაწყვეტირა კამათი, თორემ, ვინ უწყის, კიდევ რამდენ ხანა იძიძგილაკვებდნენ. ერთი სიტყვით, იმდღევანდელი მათი პაექრობა ასე უშედეგოდ დამთავრდა, ქართული ლექსის ბედი გაურკვეველი დარჩა. თუმცაღა ტრადიციულობის მქადაგებლის აქტიურობა აშკარა იყო...

შინ მიმავალს ეკლავ ის სიტყვები ამოუტივტივდა თავში — „როგორც ერთგული ნავაზი...“ მართლაცდა, როდემდე უნდა ეყუდოს რედაქციის კართან? მაინც ხომ უნდა შეხედოს ადრე თუ გვიან. რაღა აზრი აქვს იმის გადადებას, რაც მოსახდენია? ბოლოს და ბოლოს გაირკვევა ყველაფერი, ან „პოს“ ეტყვიან, ან — „არას“ და მისი

წვალებაც დასრულდება. „დაცინვას კაცი არ მოუქლავსო“, თუკი მაინცდამაინც მოისურვებენ მის გაქილიკავებას, რა მოხდა მერე, გადაიტანს როგორმე, — უნდა გადაიტანოს, მაშა...

ბექას რატომღაც ის უტენაური კაცი გაახსენდა, გამხდარ-გაჩხიკინებული, მზრებში ოდნავ მოხრილი, კუშტი სახის, მთელი ორი საათის განმავლობაში ბოლთას რომ სცემდა მაგიდებს შორის ერთი კარიდან მეორემდე. იმ დღეს თანამშრომლები ვილაცის ლექსებს კითხულობდნენ ხმამალა და თან სიცილით იფხრიწებოდნენ, კროლათვალბა განყოფილების გამგე კომენტარებს უკეთებდა უცხო ავტორის ნააზრევს, სხვებიც ეხმარებოდნენ. მართალია, იმ კუშტად მზირალს კი არ ეხებოდა უშუალოდ იმათი კალამბურები, მაგრამ მასპინძელთა ეშმაკურ გამოხედვაში და იმ მობოლთავე კაცისთვის მალულად თვალის გადახედებაში ქვეშეცნეულად იგრძნობოდა, რომ ამ დახვეწილი ქილიკის ტევრში იმისათვის გამოიზნული ეკლებიც ბლომად ერია...

ეს ამ ორიოდე კვირის წინათ მოხდა, როცა ბექა შემთხვევით წააწყდა უცნაურ სცენას — ფართო სარკმლიდან შემოცურებული და ძველებურ ქალზე ათასნაირად არეკლილი მზის სხივებისაგან გაბდღვრიალებულ ოთახში, ხალისიანად მოხორხოცე ნეილონის ქათქათა პერანგიანი და ბრჭყვილაპალატუხიანი განყოფილება გამგეებისა და ლიტმუშაკთა შორის, შავი მათდის გახუნებულ პალტოში ჩაცმული, ძველისძველი, კოკარდადაბრეცილქუდჩამოფხატული, სიგამხდრისაგან ლოყებჩაცვენილი კაცი ჩამდგარიყო. ხელები ჯიბეში ჩაწყობილი ანდა ზურგს უკან გადალაგებული კი არა, ეგრე, ნერვიულად ჰქონდა ძირს დაშვებული, თავისთვის განმხოლოებულყო და ფიქრებში ჩატვირთული ბოლთასა სცემდა. ალბათ ვილაცის მოლოდინში ეგერიკვად თუ გაჰყავდა ღრო.

მირონ ხაგინანი
დამარჯონი

„მონტიორი!“ — გაუელვა თავში. ყველაზე უფრო კი ის უკვირდა, მაინც, საიდან ჰქონდა ამდენი სითამამე, რომ უბრალო პროფესიის ადამიანი ამ ცნობილ მოღვაწეებს ეგრერიგად უთამამდებოდა, და არც იმ შეუსაბამობისა ერცხვინებოდა მისა და პალსტუხინათა საზოგადოებრივ მდგომარეობასა და, გნებავთ, გარეგნობა-სამოსელს შორის რომ არსებობდა.

„ალბათ ხელსაწყო-იარაღები ჯიბეში აქვს ჩაჩურთული, როგორც სჩვევიათ ხოლმე მონტიორებს...“ — ფიქრობდა მაშინ ბექა და წარმოიდგინა, როგორ ჩამოჰკიდა ამ ერთმა ციკქნა კაცმა ეს უშველებელი ძველისძველი ქალი მაღალჭერიან ოთახში, წესრიგზე მოიყვანა ელექტროგაყვანილობა და წამში მოასინათა იქაურობა. ბექას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ეს მონტიორი, უბრალო პროფესიის ადამიანი, მისი ერთადერთი მეკავშირე იყო ამდენ ხალხში, ეს მოუხრიდებელი ბოლთისცემა შუა კაბინეტში კი — საჩვენებელი გაკვეთილი. საგანგებოდ უტარებდა ამ სითამამისა და გამბედაობის გაკვეთილს ის მონტიორი. ბექას გული მოეცა, ფრთხილად მოსინჯა თავისი ქაღალდები. ფშიდან რომ კალმასს დააძვრენენ, ისეთი გულმოდგინებითა და სითამამით ამოაცურა გულის ჯიბიდან თავისი ლექსები და, ის იყო, ოთახში შესვლა გადაწყვიტა, რომ თვალში მოხვედრილმა პირველივე ლექსის სათაურმა მყისიერად შეაჩერა: თითქოს სოფლის კინოთეატრში მისვლა დაიგვიანა და კარი ცხვირწინ მოუკეტესო, ადგილზე გახევდა. „რაციის ბინადრის მონოლოგი“ — ერქვა ლექსს. სიტყვები ერთმანეთში აირივნენ, აინთქლნენ, ერთფერი მოიცეს და თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგეს, თითქოს დაცვედნდნენო, კაბინეტის მოთხოვნილებათა ფონზე დასაქურისებულნი და ფერმილეულნი, ნაცემ-ნაბეგვივით მითხლევილნი და გაოგნებულნი გამოიყურებოდნენ, სტრიქონები სი-

მორცხვისა და მოკრძალებისაგან აღმურმოდებულნი ირუქდებოდნენ:

ჭანჭობთან ჰერხო მჭმუნავ-მთვლემარე, უშქარ დარღების ქობი, საწუთროს ხევში ვისთვის სამსალა, ვისთვის შარბათი მოჰქუხს... თაქარა მზეზე ქათქათებს რიყე, — ხავსიანი და ჰრელი, მღინარეს ლოდი გამოურჩევს ჭვეუანას მდურვით ჩხვერავს, ბევრსაც მიელის იღბალი ლოდის, მურტალი ბედისწერა... ლოდი აიტანს უამინდობას, ქართა ხორშაქთა მძლევი, ტანდაკეჭნილი და ნაჯაჯარი გადასწოლია დელეს, უკუნისამდე უბრად იღება ჰირთა უჩრუმრად მთმენი... ხანდახან უჯგო-უჯვალოდ მფრენი წერო შეჰყვება ველებს, დენთიან ქალებს თუ გააღწია ქედს გადევლება მერე... თუ გააღწია, თუ გააღწია, თუ გააღწია, მერე... ზოგისთვის რაა ბედი ამფერი, ვისთვის სიკვდილზე ძნელი!..

რაციფისადმი იყო ეს ლექსი მიძღვნილი, სათანადო მინაწერიც ჰქონდა ამის თაობაზე, მაგრამ იმ წუთში რაციფიცა და ეს თავისი ნაცოდვილარიც სულ შორებლად და უცხოებად დაჩნდნენ. კვლავ განწყობილებათა და სიტუაციათა შეუსაბამისობამ დათრგუნა იგი. იმ მონტიორის სითამამე კი ღმერთმა არ მისცა, თუმცა ჯერ კიდევ მის ასაკამდე ხომ უნდა მოყრილიყო, ალბათ, ასე, თუ მეტი არა, ოცდაათი წელი მაინც აშორებდა მის წლოვანებას, ამასობაში კი თვითონაც მეტ სითამამეს შეიძენდა. დაბორკილ ენასაც აიშვებდა. მაგრამ იქამდე ჯერ შორი იყო, ძალიან შორი...

ეს ლექსები კი თავის ბუღრუჯანაში დაწერა ამ რამდენიმე ხნის წინ. რაციფის წიგნს კითხულობდა დივანზე წამოწოლილი. ზოგიერთი ლექსი რამდენჯერმე გადაიკითხა, გვიან მიწვა დასაძინებლად. არც ლექსის წერა უფიქრია და არაფერი; ეს კი იყო, რომ მისთვის პირადად უცნობი პოეტის საოცრად გულწრფელი, მართალი და

ხატოვანი სტრიქონებით გამოწვეულ შინაგან აღმადრენას განიცდიდა. მაგრამ უცნაური ამბავი მერე მოხდა — დილით რომ გაიღვიძა, „რიყის ბინადრის მონოლოგი“ ზეპირად გადაიტანა ქალაღღზე, ერთი სტრიქონიც კი არ შეუცვლია. ბექას უყვირდა — მხოლოდ განგებას თუ ძალუძდა ასეთი ნობათი, მზამზარეული საჩუქარი მოემზადებინა მისთვის. მერმე რაყიფის ლექსებიც ამოუტივტივდნენ თავში, რაღაც მსგავსება, განწყობილებათა ერთიანობაც აღმოაჩინა თავისსა და იმათ შორის. „მოუსაველობა“ ერქვა რაყიფის ერთ ლექსს:

დღეს იმ წღებისა მე დამარჩა მართო მცირე ცეცხლი და ღაღი სიმღერა, არავის ვუხმობ, არავის ვნატრობ და გულში ტალღა აღარ მიღელავს. იმ ტიალ ტრფობის სანაცვლოდ დამარჩა ცხარე ცრემლი და ახიოდ ლექსი. მოსხებილ დღეთა დანაცრდა ნამჯა და მომცრო ხვავსაც იფქლი არ ეთქმის, იფქლი კი არა მარტოდენ ბრეა, აქამდე ნამქმნი და ნაჯაფარი. რიყის ქვებივით სიტყვები ურია და გაფანტულა ტრფობის ზღაპარი.

მეორე ლექსს კი „ახლა და აქამდე“ ერქვა:

აქამდე შენსკენ ვიღოდი, დღეს ვაჩქარებდი — გათავდი! მაგ შენი ეშხის ხვითოთი ხვალეს სამოთხედ ვხატავდი... ახლა კი თერგის რიყე ვარ, დღედაღამ უფრო გშორდები, თუ რამე ვალდი მიმყვება, იმქვეყნად გაგისწორდები.

ასე იყო იმდღევანდელი ამბავი. უხილავმა სადავეებმა უკან გამოჰქაჩეს და ბუღარუგანის ზღას გაუყენეს. მონტორი იქ დატოვა. რედაქციაში, ოღონდ იმაზე ფიქრი კი უცნაურად აეკვიატა — მისი სახე და ენერგიული თუ ნერვიული მიხრა-მოხრა, სოფლური სისადავე, უბრალოება და ღარიბული ჩაქმულობა სულ თვალწინ ედგა. ქვეშეცნულად დაეძებდა კიდევ თავის პოტენციურ მეკავშირეს, არც სახელი

იცოდა მისი, არც გვარი და არაფერი, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ უშველებელ ქალაქში ერთადერთი ნაცნობი და ახლობელი იყო. ქუჩაში მალულად ათვალიერებდა, იქნებ შემთხვევით თვალი შევასწრო სადმეო, თუმცა კარგად უწყოდა — მილიონიან ქალაქში ვიღაც მონტიორს შეაძლოა, მთელი სიცოცხლეც ველარსად გადაჰყროდა.

უყვირდა ბექას — რად ამეკვიატაო მისი სახე ეგერეიგად და კვამლის ქულასავით თავიდან იზორებდა მონტიორის კუშტად ჩამომხმარ ღაწვებს, მოლრეცილ კაეარდას, გახუნებულ პალტოს, ოღნავ წინ წამოწეულ ტუჩ-ნიკაპს, სიჯიუტის და სიკერპის ელფერს რომ სძენდა, წერილად გახაზულ უღვაშებს, ღრმად ჩაცვენილ სეველიანი თვალეზიდან გამომკრთალ სულისმიერ სხივნათელს, ძირს დაშვებულ, ბოლომდე გაუშლელ მკლავებს, რომლებიც თითქოს სხეულიდან განშორებას ღამობდნენ...

მეორე დღეს კვლავ მიადგა რედაქციას.

შუადღე იქნებოდა. კართან რომ აიძურწა, ჩვეულებისამებრ მოშორებით, დერეფნის სიბნელეში დაეყუდა თავის ამოჩემებულ ადგილას, რათა აქედან შეეფასებინა იქაური განწყობილება და იქ შექმნილი ვითარების მიხედვით გადაეწყვიტა — უფრო ახლოს მიძურწულიყო, თუ სულაც გასცლოდა იქაურობას.

რედაქციის თანამშრომლები შესვენებაზე არ გადიოდნენ ხოლმე და ამიტომაც ფუტურის სკასავით აფუსფუსებული ოთახიდან ერთნაირი ზუილი გამოდიოდა მთელი დღის განმავლობაში. ბექას ბოლომდე ვერ გაეგო, მართლაც და რა იყო ეს უცნაური გრძნობა, მონუსხულივით რომ ამუხრუჭებდა ამ კართან და მის ფრთამალ ოცნებებს

ნორონ ხარგინი
დაბარკონი

ფრთებს უკვეცავდა, მხოლოდ მოკრძალება უცხოთა და უფროსთაღმი თუ იმისი ქვეშეცნეული შეგრძნებაც, რომ ჭერ ამათ ღონემდე ამაღლება მართებდა და ნაადრევი იყო ლექსთა ჰენაობაზე ოცნება?

ამ დილას, ბუდრუგანიდან რომ გამოეყუდა, მტკიცედ გადაწყვიტა, რაც უნდა მომხდარიყო, გულისწადილი აესრულებინა. „ათასი შედის და გამოდის, მეც შევალ და ის იქნება, ან „ჰოს“ მეტყვიან ან „არას“, მორჩა და გათავდა“! მთელი გზა იმ ლექსის სათაურზე ფიქრობდა, ამას წინათ რომ წაუხდინა ხაიითი და ზღურბლზე გადალაჭებული უკან გამოაბრუნა — „რა მონოლოგი, რის მონოლოგი?“ — ვითომ ბანზე აუგლო იმ თავისუფალი ლექსის ქომავმა, როგორც კი თვალი გადაავლო მის ნაცოდვილარს — „მოველინე რაღა შენაც ქვეყნიერებას ადამიანთა ბედის განმსჯელად... ჰი... ხი...! — ფუტურობდა იგი. — არამკითხე ფილოსოფოსი!“

მართლაცდა, რომელი მეცამეტე გოჭი იყო, საკაცობრიო საკითხებს რომ ეპოტიწებოდა გუშინდელი ღლაპი? ჭერ უნდა ამაღლებულიყო, ამათ ღონემდე ამოედწია და მერე კიდევ სხვან იყო, მორალური უფლება ექნებოდა თამამად შესვლა-გამოსვლისა, სალამ-ქალამისა, მეგობრულად გამოსაუბრებისა, როგორც ამას მრავალნი აკეთებდნენ. კარგადაც მოიქცა, „რიყის ბინდარის მონოლოგი“ შინ რომ დაავდო, ადრევე უნდა ეაზრა ეგ ამბავი! თან ისიც აოცებდა, რომ მისი ფანტაზიის მასაზროლებელი რაყიფი ეგრე როგორ ააცდენდა მართალი გზიდან! ნუთუ იმისმა ლექსებმა მოჩვენებითად ააფორიაქეს იმ საღამოს?

„არ არის დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს...“

ნუთუ საყვარელ კერპთან მიმართებაშიაც შეიძლება იყოს რაღაც ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი, მცდარი და მოჩვენებითი?

„განა არ შეიძლება მავანი ყალბად

ილოციდეს?“ — საღდაც ამოკითხულმა ექვის წისკვილზე მიუგო წყალი. მავანში იგულისხმება ყველა და შენაც მათ შორის და რაღა თქმა უნდა, ის შენი, ეგრეთწოდებული, სალოცავი კერპი თუ ხატი, რაყიფიც!

თუმც მგოსანს ხშირად მზუთავს ნიღაბი, ვწერ ჩემს წვასა და სხვათა ნავროზზე, მაგრამ სიკვდილზე უფრო სიყალბის მე მეშინია შენს სამსჯავროზე... განა იმას არ ეკუთვნის ეს სტრიქონებიც? ჰოდა, აი, „გამოსცხადნეს“ კიდევაც!..

ეს ლექსიც იმ კრებულიდან იყო. ესე იგი, ამოა ყოფილა ყოველი — თურმე შენს კერპთა კერპსაც უფარებია ხშირად ნიღაბი, სიცრუისა და მოჩვენებითობის ფარი!. სიცრუე და მოჩვენებითობა კი იმასვე შობს, რაც თვითონ არიან — ეკამათებოდა ბექა საკუთარ თავს, დაუნდობლად ამხელდა სიყალბესა და სიცრუეში და იმ ლექსზე მისდიოდა გული, ლამის იყო, ქვეყნის სასაცილო რომ გახადა. „მაგრამ დანარჩენები?“ — მახვილივით აძგერავილაცამ ბექას მთავარი შეკითხვა, „როზელსაც მოელოდა და კირივით ეშინოდა. „რომელიღა დანარჩენები?“ — ვითომ გაიკვირვა მან. „განა დანარჩენებიც იმის გავლენით არ დაწერე? მავალითად, აი „გარინდება“! სისყარისადმი რაყიფის დამოკიდებულება გაოცებდა, მუქალისა და მარებისადმი — კიდევ მეტად და სულ იმას გაიძახოდი — ეგ რა უიღბლო კაცი ყოფილაო. იმათი ურთიერთობის წვრილმანებზე ფიქრობდი, ათასნაირად წარმოისახავდი ყველაფერს, ვიკვირდა, მაინც რა ფერიები იყვნენ ეგ სისყარი და მუქალი, რომ ასე უმოწყალოდ დაზაფარეს რაყიფის გრძობა-გონება, ასეთი მოკრძალება და შინავანი პატივისცემა აღძრეს მასში... და ერთ საღამოსაც... მუქალზე, მარებსა და სისყარზე მოფიქრალმა დაწერე ის ლექსიც, განა არ გახსოვს რო...“

არც რამ ზღვის სიოს დაუქროლია არც რამ კირჩხიბი მომწყვდარა ციდან, სულ

სხვა რამ იყო გარინდების მიზეზი თურ-
მე — მინდორზე გოგომ ჩამოიარა, კა-
ბის ფრიალით ჩამოიარა, ხელების ქნე-
ვით ჩამოიარა, თეძოთა რხევით ჩამოი-
არა...

არ ვახსოვს, რო... ჰოდა, აი, „გამოს-
ცხადნეს“ კიდევაც... თითქოს ქურდო-
ბაზე წაასწრესო, წრიალმა აიტანა, რე-
დაქციის კიბე რომ ალია და თავის სა-
ხუნდარში მოეწყო, დილანდელი გადა-
წვეტილებიდან — რადაც უნდა დას-
ჯდომოდა, გაერკვია თავისი ლექსების
ბედ-იღბალი, აღარაფერი დარჩენილი-
ყო.

იგი უაზროდ, მექანიკურად მოეწყო
თავის სამალავში და იქიდან ჩუმად
დაზვერა ოთახი, დაოფლილ ხელის
გულში მომუშეული ლექსების გრაგნი-
ლი გულის ჭიბეში შეინახა.

„ეგრე, შე კაცო! — ჩასძახა კვლავ
უხილავმა. — ამდღლი უგონთობა-
ზე!“

„უგონთობაზე...“

„უგონთობაზე...“

ძინ!

ძინ!

ძინ!

თითქოს ჩოგანს ურახუნებდნენ თავ-
ში, მაგრამ, ღმერთმა უშველოთ, ისე-
ვე იმ ორმა იხსნა მდგომარეობიდან —
რეფორმატორი და ტრადიციულის ქო-
მაგი გუშინდელ კამათს აგრძელებდნენ:

— მაშ, შენ გინდა ცვრიანი მწვადი
ბუტერბროდით შემიცვალო, არა? —
ჩისში მომწყვდეული ადამიანის გაბ-
ზარული ხმით გაიძახოდა ტრადიციუ-
ლობის მოციქული — დღეს მის კი-
ლოში უმწეობა და სასოწარკვეთილება
გამოსჭვიოდა, ყოველ შემთხვევაში, ბე-
ქას ასე მოეჩვენა. — იცი, რას გეტყვი,
ძმობილო — თუ იცი, მერმე, ეგ შენი
უცხოური მენიუ სადამდე მიგვიყვანს?

— განტვირთვამდე, ხორციელის უარ-
ყოფამდე, სულის შეგებამდე... მაშა! და-
ისვენებს ბოლოს და ბოლოს ეგ საცო-
დავი სტომაქი, კუჭის მიერ დაბანდებუ-
ლი ენერგია გამოთავისუფლდება, უფ-
რო სასარგებლო საქმეს, რაიმე ღირე-

ბულის შექმნას მოხმარდება. წაომო-
იდგინე ახლა, ამდენი უაზროდ გაფ-
ლანგული ძალა რომ შეეწევა ქვეყნის
საქმეს, რამოდენა შეღავათს მოგვცემს,
ეს, დაახლოებით, იმისი ტოლფასი იქ-
ნება, ჩვენი მოსახლეობა რომ გააორ-
მაგო, ანდა ის შენი მოწონებული წის-
ქვილის დოლაბი ეგრე ზანტად კი არა,
ელვის სისწრაფით დაატრიალო...

— ხორციელისაგან განვიტვირთო-
თო, არა? მერმე ერთ მშვენიერ დღეს,
რომ გაცეცხადნე არ გეშინია? თუმცაღა
იმ ლექსის ფორმასავით გარემო ფაქ-
ტორებსაც რა თავში იხლი! მოდურად
კრი და კერავ, ოღონდ ბრტყვილა
იყოს, ვითომ სადა და თვალისმომპრე-
ლი, მარტივი და თანამედროვე! მრავა-
ლი რამ თვალთუხილავი, ერთი შეხედ-
ვით ზედმეტი, მაგრამ უცილობლად გა-
სათვალისწინებელი რაღაში გეპიტნავე-
ბა. ისევე, როგორც ერთ დროს ხალ-
ხური მედიცინის მონაპოვრები ერთბა-
შად უარყვეს ამ დარგის სწავლულებ-
მა და ჭიმიური რეცეპტების ხვაი და-
აყენეს და მხოლოდღა გვიან, ერთობ
გვიან მიხვდნენ თავიანთ უგონთობას
და ახლა ერთი ფაცხაფუცხით შეუღდ-
ნენ ძველი სამკურნალო წიგნების უშ-
ველებელი ტირაჟებით დასტამბვას,
ყველა აფეროში და ყოველთვის შეიძ-
ლება განმეორდეს მსგავსი უაზრობა.
ნე რომ მკითხო, მოდის აყოლა იყო
ისეთი გაუმართლებელი მრავალი კამ-
პანია, რომელთა ნაყოფსაც ახლა იმკის
ჩვენი საზოგადოება. მამაბაპური მიწი-
სა და ჰაერის, წყლისა და ნაყოფის,
სისხლისა და გენების, ძველთაგან მომ-
დინარე ადათ-ჩვევებისა და ტრადიცი-
ების ხელალებით უგულვებელყოფამ,
უეცრად და მეყსეულად ახლის დამკ-
ვიდრების მოჩვენებითმა სურვილმა იც-
ის ეს ყველაფერი, ბაბა! დამლუპველია
თქვენი მოსაზრებანი, ქვეყნის დამაქცე-
ვარია, ცხოვრების ამრეგ-დამრეგია! რო
იცოდე, ეშმაკ ამას მოუწოდებდა ადა-

მირონ ხარბიანი
დაპრაიონი



მიანებს — ამქვეყნიურს, ხილულს, სადღეისოს, ნუგბარ ლუქმას დაეწაფეთო. დღევანდელი კვერცი გერჩიონს ხელონდელ ქათამსაო, მაგრამ როგორც ეს მრავალგზის დადასტურდა — სიბრძნე უხილავის, ქვეცნობიერის გამთვალისწინებლობაში აღმოჩნდა. ეს უხილავი და ქვეცნობიერი ფაქტორები კი ადგილის დედას, აჭაურ ჰაერსა და მზეს „ასხია“ ლალიან პანტასავით, მამა, კაცო... ერთი სიტყვით, ამ თავისებურებათა გათვალისწინება აუცილებელი რამა მგონია. გაუთვალისწინებლობა კიდევ — სიბრძნევე, კუჟანაკულუოვანება და სიბრძნევე, და ეს ერთნაირად შეეხება ჩვენი ყოფიერების ყველა სფეროს, ყველა ასპექტს...

— მთელი ეს აბრაკადაბრა ცივილიზებულ ერებს შენზე უკეთ მოეხსენებოდათ. იმათ თუ გადაალაჯეს თავიანთ ტრადიციებს და მატერიის შენეულ ერთგულებასა და გაგებას, ცა რად არ ჩამოემხოთ თავზე ნეტავი?

— ჭერ ისიც საკითხავია, მართლა გადაალაჯეს კი? მე კიდევ მგონია რომ, ერთი ხელის მოქნევით იქ არაფერი გაკეთებულა. ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მებაიარახტრენი, კლასიკური მემკვიდრეობის დამცველები ავალში ჩაუდგნენ დროისა და ეპოქის მოთხოვნილებებს და თანდათანობით, კორექტირების გზით პარმონიულად განავითარეს თავიანთი სფეროები. იყო, რა თქმა უნდა, ცალკეული მცდელობებიც „დროის გასწრებისა“. ვითომ ექსტრავაგანტურის, მოჩვენებითისა და ახლის დამკვიდრებისა, მაგრამ ამას სერიოზული მიღწევები არ მოჰყოლია, მყისვე ბრძოლას უცხადებდნენ ხოლმე...

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა სომერსეტ მოემმა, ძველმოდური სტილის შემოქმედად რომ იყო ცნობილი თავის სამშობლოში, ერთხანს თავისუფალი ლექსების წერას მიჰყო ხელი, რათა თავისი „ჩამორჩენილობა“ დაეძლია და მოდერნისტული მიმდინარეობისათვი-

საც ხარკი მიეზღო, მაგრამ საკუთარ გატაცებათა სიმცდარე, ამაღლდა კიდევაც პირადულ გრძობებზე და სახალხოდ უარყო თავისი უწინდელი მოსაზრებანი — თავისუფალი ლექსებით თავშეკცევას „კედელზე ცერცვის ყრა“ უწოდა. მაგრამ ეს მოემი გახლდათ, ძვირფასო, ძალუძს კი ყველას, იქაც და აქაც, საკუთარი კონცეფციების, ამოჩემებული თეორიების უარყოფა?

გუშინდელიდან მომდინარე ორთა კამათი იმდენად მოულოდნელი არ ყოფილა ბექასათვის როგორც იმ „მონტიორის“ დანახვა, მთელი ეს დღეები ქვეშეცნულად რომ დაეძებდა. „პოლემის ოსტატი“ კვლავ თავისი ძველი ჩაემულობითა და მანერებით, ძირს დაშვებული, ბოლომდე გაუშლელი მკლავებითა და დაბრეცილი კოკარდით, მორწმუნისა და განდევლის იდუმალებადაფერილი და ამავე დროს ჭიუტი იერით, დაღუული ლოყებითა და გამოვარდნილი ყვრიმალეებით, ენერგიულად მოკუმული, წინ წამოწეული ტურზ-ბავით, ოდნავ წელში მოხრილი, ზურგის ნერვული ჩეჩვით ერთი კარიდან მეორემდე გადი-გამოდიოდა და მთელ ამ კორიანტელს არაფრად აგდებდა. წყალგამყოფი ქედევით ჩამდგარიყო იგი ამ ორ მოქიშპე ბანაკს შორის. მოდური და ტრადიციული თითქოს ორივე მის ფერცხალიან კალთებზე ეხეთქებოდა და ინთქლეოდაო. ჩქერალთა ვავეშებული დგაფუნისა და გლეხვაზათქების ხმა არად უჩანდა.

„მომცრო არს, მაგრამ დიდი მწვერვალივით მრისხანე და ხელშეუვალი...“ — წამიერად გაიეღვეს მივიწყებულმა სტრიქონებმა, რომელიღაც ძველისძველი, „გეოგრაფიული აღწერიდან“. ბექამ ახლა ის მოწინააღმდეგეები ერთ ბანაკში მოაქცია და ეს მეჰალე იმათ დაუპირისპირა. იგი თავის გონებაში ამ ორ ბანაკს ატოქებდა ერთმანეთს, „მეჰალესა“, და ჰალსტუხიანი თეორეტიკოსების ბანაკებს — ორ ვანწყობილებას, ორ სიდიდეს, ორ მიმდინარეო-

ბას. შეხედულებას, აზრსა და, რაც გენებავდათ. ერთ მხარეს ეს მუქად იდგა ღარიბ-ღატაკი, გაძვალტყავებული, უსიერი, მარტოხელა, ქედა გაღმა კი ესენი — მოზენი, რაფინირებული, დახვეწილი და განსწავლული ესთეტიკი...

მთავარი მოულოდნელობა თურმე მერე ელოდა ბექა გაბლიანს — წუთით მოეჩვენა, თითქოს მთელი სასახლე რაღაც განსაკუთრებულმა დუმილმა მოიცვა, უფრო სწორად, როგორც ეს ადრე ჰქონდა თავის გონებაში დანაწევრებული და დაზარალებული, მთელი სასახლის ის მშვენიერი ნაწილი, რომელსაც დასტურყოფდა დარბაზებსა და ტალანტში უღამაზესი ფშური „ოთხმამლიანი“ ფარდაგივით განფენილი სიმყუდროვე და უჩვეულო ინტიმი, ხელოვნების ნაირ-ნაირი ნიმუშების გემოვნებიანი ურთიერთშეწყვილებულობა და მონაცვლეობა, სხვადასხვა მხატვრულ-გამოყენებითი კომპონენტების ჰარმონიული შეხამება და ზომიერი გალაგება და ყოველივე აქიდან გამომდინარე, ის განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც ამ უშველებელ სასახლის კედლებში გამეფებულიყო.

ღია, ბექას მოეჩვენა, რომ რაღაც მოხდა. კართან მართლაც ერთგული ნაგაზივით ატუზულმა, ნერვულად მცქმუტაგმა და მოწრიალემ იგრძნო „სამყაროს მიღმითა, მშვენიერ ნაწილში“ რაღაც რომ ზდებოდა. ეს იყო გაუთვითცნობიერებელი გრძნობა, ისეთივე, როგორც მევენახის გუმანი მოსალოდნელ სეტყვიანობაზე და მთიელის მონადევებაზე ზვავთწყდომის საშიშროებაზე.

ბექამ უკან-უკან დაიხია, მეორე სართულზე ამოსასვლელი კიბის მოაჯირს გადაეყრდნო და ძირს გადაიხედა — კიბის მოჩუქურთმებულ სახელურზე ცალხელჩაფრენილი, მეორე ხელში კი გრძელმუნდშტუკაჩრილი, ტანზე მოხდენილად მომდარგი, სახის ფერთან საოცრად შეხამებული, მოდურ კოსტუმში გამოწყობილი, სახეჩამონაოქებელი, თვალის უპეებდანიკეცებული, კარმაგი, გამხდარი კაცი პრიალა საფეხურებს

ხენეშა-ხენეშით მოუყვებოდა. რამდენიმე საფეხურს ამოვიღოდა და შეჩერდებოდა, ვიტრაჟებსა და გალიებს აკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედვდაო. ამ შეჩერებაში, ამ ხენეშაში და მუნდშტუკის დაკერაშიც იყო რაღაც საოცრად ამაღლებული და ამაღლვებელი, უბრალო და ამავე დროს რაინდული... და ეს ტანსაცმელი, უჭრედებიანი, უმაღლესი ხარისხის შალისაგან შეყერილი სამოსელი კი არ აკოპწიავებდა, ანაზებდა და ალამაზებდა მას. უბრალოდ, ზემო ჩამოთვლილ ყველა ადამიანურ ღირსებას გამოკვეთავდა, წარმოაჩენდა მასში.

ბექა იმაზე იყო უფრო გაოგნებული — იმ თანამშრომელთა ჩაცმულობაში, პროფესიულ მსჯელობასა და მასალების ჩეხვაშიც კი რაღაც თითქოს თვალშისაცემი ირონია, კედმაღლობა და ამავე დროს ზერეღეობა გამოსკვირდა, ყოველ შემთხვევაში ბექას აეჩვენებოდა, ამ მხენეშაგსა და კიბეზე ნელიად მავალს ჰალსტუხიც იმათზე ძვირფასი ეკეთა, პერანგიც მოდურბორტებიანი, ფერადი, იმპორტული ეკვა. მისი კოსტიუმის საფასური იმ ექვსეულისას ერთად იყიდიდა, მუნდშტუკაც კი რაიმე ძვირფასი ნივთიერი ძეგლი გეგონებდათ. ორივე ხელის თითებზე წამოცმულ სადაფისთვლიან ბეჭდებს მზერას ვერ მოაცილებდით, მაგრამ ყველაფერი ეს რატომღაც თვალში არ გეცემოდა, წამიერ აღფრთოვანებას კი არა, ზოგად მოწონებას აღძრავდა.

ბექა მიხვდა, მხენეშავის ეს ჩაცმულობა და მანერები თვითმიზანი ან მოდური გატაცება როდი იყო — ამ სასახლის ჩუქურთმებივით ერთმანეთს შეთანაბრებული და შეწონასწორებული, ჰარმონიულად შეხამებული ეს სულიერი და გარეგნული ცალკეული კომპონენტები ერთიმეორის დასაწყისს, ბუნებრივ გაგრძელებასა და დასასრულს

მირონ ხარბიანი
დაპროზონი

წარმოადგენდა, მთლიან ჩანაფიქრს აგვირგვინებდა.

„სასახლე — უმწვენიერეს სასახლეში!“ — გაუღელდა ბექას უცნაურმა აზრმა, და მართლაც, კიბეზე მხენეშავი და ნულიად ამომავალი მოხუცი თავისი რაინდული მანერებით, ამღლებული, ნატიფი და დახვეწილი არტისტიზმით, გარეგნული სისადავითა და მოხდენილობით იმ ძველისძველ დიდებულ სასახლესთან ისე იყო შერწყმული, რომ ერთარსება ვეგონებოდათ.

შუა ბაქანზე მეტ ხანს შეყოვნდა, თითქოს ძალა უნდა მოიკრიბოსო. „სასახლის ცოცხალი მოდელი!“ — გაუღელდა ბექას თავში. კიბეს შიდა მხრით ამოყოლებული ნაირფერადი ვიტრაჟებიდან არუკლილ მოციმციმე შუქზე რაღაც მეფური იერი დასთამაშებდა. პოზაც მეფური ჰქონდა. თითქოს ქანდაკება იყო და კვარცხლბეგიდან თავის სამწყსოს ახალი ამბავი. უნდა აუწყოსო...

„...დ იქმენ ქალაქი!..“ — ბექამ მეტეხის კბოღესთან გადაიტანა ქანდაკება. ამჯერად ეს უცნაური მეფე უმახვილოდ იდგა თავის კვარცხლბეგზე. მართლაც იდა. იგი ხომ ქვეყნის ჩვეულებრივი გამგებელი არ იყო! სხვა გზითა და წავარნებით ამღლებულიყო ციხიერეთში, სხვა სამყაროდან მოვლენოდა ცოდვილ საწუთროს. მას არ სჭიროდა რკინის ფარი და მახვილი და არცა მშვილდისაო... და არცა, ციხეთა, ვოდოლთა და დილეგთა მშენებლობას ბრძანებდა სხვა ხელმწიფეებივით. მის სამეფოში ტყვიების საბედისწერო ზუზუნისა და ჯაროსკაცთა ვითომც სამშვიდობო, ომბინაი, მაგრამ მაინც სამარშო სიმღერების ნაცვლად. პოლიციელთა ყაპაყპისა და მათი ძაღლების გზისის მაგიერ სულის დამატკობელი, გრძობა-გონების განმსპეტაკებელი და ამამღლებელი, სანახევროდ დაქინცულფურცლებიანი, სქელყდიანი, სიბრძნით დატენილი წიგნების საამო შარიშური მეუფებდა. სრასასახლეთა საძირკვლები თუ ბანიანი სახლების ცალპირი კედლები ცარცის

პრიალა ქალაქის შეცვრებით ამოკყავდათ კოპწია კალატოზებს, არც ამწეები იყო იქ საჭირო, არც რკინა-ბეტონის ფილები და ბლოკები, არც ბუნკერები დღეობის ასარეცად, აღარსად ისმოდა ტრაქტორების გულისწამლები ხმაური, კორივით აღარ მოიფრქვეოდა მანქანების ლაყუჩებიდან ბინძური აირი და ამიტომაც ქალაქის თავზე მთელი სივრცე იყო განსპეტაკებული, ცა კი — უძირო და კრიალა... მტკვარზე ხიდები, გუმბათოვანი სამლოცველოები და სხვადასხვა დაწესებულებანი ასე უხმაუროდ, უჩუმრად, ყველას თვალგასახარად შენდებოდა...

„...დ იქმენ ქალაქი!..“ — სულ სხვა საოცრებას ბრძანებდა იგი თავისი კვარცხლბეგიდან და ყველაზე ლამაზი და მშვიდობიანი ქალაქი იქნებოდა იგი... კორბუსების, პეტიტების, ასომთავრულების, ნაირნაირი ზღაპრების, ამბებიასა და ისტორიების უხმაურო, გამზვევებელი და გაჩირადდებული ქვეყანა...

შუთშესვენება დამთავრდა, იგი კვლავ შემოუყვავა აღმართს. ბექა ზმანებიდან გამოიკვავა, მოაჩირიდან წამოიწია და კიბეს მიაშურა. ჩაეგება, სიმორცხვისაგან მხრებანწურული მიეახლა. ამჯერად უკვე ძირს დაშვებული მუნდშტუკიანი ხელი ოდნავ ზეასწია სტუმარმა:

— გაიზარდე, ყმაწვილო... — მორთოლვარე ხმით მიავო მოხუცმა, დახმარებაზე კი უარი განაცხადა — მე თავადო, და რედაქციისაკენ გაავრძელა გზა. წელგამართული, მხნედ, დარდინანდულად მიანიჭებდა დერეფანში, სულაც არ უპირდა სიარული. მაგრამ მაინც სვენებ-სვენებით მიდიოდა. კარი რომ შეაღო, უფრო სწორად კი, მოღიავებულ კარში თავი რომ შერგო, თითქოს მოზუზუნე აკას მდულარე გადაასხესო, მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი გასუაულები შემოსცქეროდნენ მუნდშტუკიანს, ზატის წინაშე მუხლმოყრილი მორწმუნის მოწიწება გამოკრთოდა მათ შურაში. ხნას ვერც ერთი ვერ ებღებდა. მალე კი ეს მდუმარება მოპირდაპირე ოთახის კარიდან გამოჭრი-

ღმა ჟურნალის რედაქტორმა დაარღვიო — ორივე ხელგამოწვდილი მოისწრაფოდა იგი ძვირფასი სტუმრისაკენ, ბაღრ მთვარესავით წამონთებოდა სახე — კარიკატურისტები საბავშვო ატრაქციონზე რომ ხატავენ ხოლმე საცეკვაო წრეში ჩამდგარს, გაბადრულსა და აქეთ-იქით ხელებგაწვდილს. თანამშრომლები კვლავ თავთავიანთ პოზებში გახევებულიყვნენ, პომპეის ბედკრული მოქალაქეებივით სათქმელი და საფიქრალი სახეზევე გაქვავებოდათ. განსაკუთრებით ძველს და ახლის თავგამოადებული ქომავლები გრძნობდნენ თავს უხერხულად — კამათის ექსტაზში შესულთ, ეტყობოდათ, რომ უქირდათ პირში წყლის ჩაგუბება, მექანიკურ, უაზრო მდუმარების სამყაროში გადართვა. ამიტომაც საპატიო სტუმრის გამოჩენა დიდად არ გახარებიათ, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო — სხვებივით მათაც დაყვლიბეს თვალები და მოთმინებით დაელოდნენ მუნდშტუკიანის გაუჩინარებას ავანსცენიდან, მანამდე კი მხოლოდ მრეში მზერით უბღვერდნენ ერთმანეთს და ასე უჩუმრად ტყავის გაძრობით ემუქრებოდნენ.

მეკაღე ოთახის ბოლოსაკენ მიემართებოდა. კარში გამოვარდნილ რედაქტორს, რა თქმა უნდა, მისთვის არა სცხელოდა, მაგრამ არც მეკაღე ცდილა იმისი ყურადღება მიეპყრო, ერთი კი ახედა, შესაძლოა უფრო იმისათვის, რომ შეგახებოს საშიშროება აეცილებინა თავიდან. გვერდზე გაიწია და თავისი გზა განაგრძო ოთახის მოპირდაპირე კუთხისაკენ, სადაც, ჩვეულებისამებრ, თერთრად შეფეთილ კედელს ლამის ცხვირს მიადებდა, წამით შეყოვნდებოდა და მერმე, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, ნელი ნაბიჯით უკან გამოტრიალდებოდა.

რედაქტორმა მუნდშტუკიანს ხელკავი გაუყარა, მიიკითხ-მოიკითხა, მიეხმატკბილა და მიებოდიშა. ბექას მოეჩვენა, რომ თავისთვის მხენეშავ ძვირფას სტუმრის მისთვის მაინცდამაინც განსაკუთრებული ყურადღება არ მიუტყევია,

თითქოს დაიზარაო, სალამზეც ძუნწად დაუქნია თავი, ირგვლივ ჩამორიგებულ დამაგრული თანამშრომლებისათვის ზედაც არ შეუხედავს, თითქოს რაღაც საიდუმლო, ირეალური, არამეკვეციური ფიქრებით იყო დახუნძლული და აქაური, „მიწიერი“ ამბებისათვის არ ეცალო. მეტყველი მზერა იმ მხარეს მიემართა, სადაც ახლა თავის ფინიშს უახლოვდებოდა ის უცნაური მეკაღე და რომლის იქითაც რედაქტორის მისაღები ოთახის კარი მოჩანდა. ბექამ კარგად ვერც გაარჩია, მეკაღეს შესცქეროდა მუნდშტუკიანი თუ რედაქტორის ოთახის კარს, უფრო საგულვებელი, რა თქმა უნდა, ეს მეორე იყო, ვინ უწყოდა, როგორ ეჩქარებოდა მასაც ცალკე ოთახში განმარტოება და თავის საქმეზე პირისპირ საუბარი ჟურნალის შეფთან. ეს თვალსაზრისი მეტად ბუნებრივად მოეჩვენა ბექას. მაგრამ განსაკუთრებელი და უჩვეულო რამ მერე მოხდა, როცა იმ მეკაღემ თავისი გზა გალია, აქეთ შემოტრიალდა და თავაუწყევლად, სევდიანად, მოწყენილი სახით, უნიათო ლასლასით გამოუყვა გასაველელისაკენ. მაშინ იყო სწორედ რომ ამ ქანდაკივით პირმოკუმულმა, უენომ და ხმამაუღლებელმა, მკაცრმა და პირქუშმა, ძუნწმა და უკარებელმა, დამხვდურთა ფაციცისა და თვით რედაქტორის ლაქარდიანი მოკითხვებისა და სალამ-ქალამის არაფრად ჩამგდებმა, მედიდურმა და შინაგანი ღირსების გრძნობით აღვსილმა, მწვერვალივით ამალღებულმა და გულზვიადმა მუნდშტუკიანმა სტუმარმა მასპინძლისაგან მკლავი გაითავისუფლა, ოსტატურად თავიდან მოიშორა იგი, ორივე ხელი გამარჯვებული მორბენალივით ზეადმართა, თითქოს ჭველობა გაიხსენაო. ფეხაჩქარებით გაეშურა დაბრეცილკოკარდინისაკენ და ხმამალა შესძახა:

— ჩემს გაბროს ვახლავარ, უნცრუთ გაბრიელასაო..

მირონ ხარბიანი
დამარტონი

მუნდშტუციანს წუთისოფლის ქარ-
ტეხილებისა და ტკბილ-მწარისაგან ნაჯ-
გვლეფ-ნატორალ სახეზე დაძაგრული
ნაოკები თითქოს შეუბრილდა, მოერღ-
ვა. მოეშალა, უძილო ღამეებისაგან შე-
შუბებული და ჩალურჯებული თვალის
უბებეც მოუსინათდა, ამ ერთ წამში
სულ სხვანაირი გამხდარიყო.

ის კაცი კი — უნერუთ გაბრიელი,
ამდენი ხანი ყველასაგან მივიწყებული,
მიტოვებული და შეუმჩნეველი, თავის
დარდებში ჩამძვრალი და ჩაყურყურმა-
ლავებული, დღეს რატომღაც უფრო უხ-
აღისოდ, სევდიანად მოლასლასე, წელ-
ში გაიშალა და თითქოს დაქვევებულმა,
ამ ხმაურიან ქალაქში ჩემი ძირძველი სა-
ხელი ხომ არ მომეყურადაო, თავი წა-
მოსწია, წყვილიდში რომ წუმწუმმა
გაჰკვეცავს, ისე მყისიერად წამოენთო
თვალები, მორცხვად მოათვალეირა იქა-
ურობა, მერმე ხათრიანად, ვაუბედავად,
ყოვნება-ყოვნებით გამოემართა მისი
„აღმომჩენისაკენ“.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. უფ-
რო სწორად, ის პირველი გადაეხვია,
თორემ ეს მკლავების შემოჭდობას კი
არა, ხელის უბრალოდ ჩამორთმევასაც
რას გაუბედავდა! ყოველ შემთხვევაში,
არაფერში არ ეტყობოდა, თუ ამისი
გამკეთებელი იყო. ეტყობოდა კი არა,
კვნიხევით ჩამოსხეპილი, მხრებჩამოყ-
რილი იდგა და ციებიანივით ტოკავდა...

და უეცრად ბექას უცნაური რამ მო-
ესმა. სივრცეში კვლავ იმ ლექსის კრძა-
ლვიანი სტრიქონები იმარცვლებოდნენ:
იცით, მე ვინ ვარ, რომ არ ვთქვა ბევრი,
მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისა,
გურამიშვილის ვარ ცოტა ცრემლი და
ერთი თანმა ვუთას ქალმისა... მე ჰვაჰვა-
ვადის ვარ სისხლის წვეთი, ბარათაშვი-
ლის ვარ ერთი ოხვრა, ამიტომ მქვიან
აღბათ პოეტი და მათ მუხლებთან
მიხედება მოხრა!..

წეროებივით წამოწალიკდნენ გონთ-
მიღმიერი სამყაროდან კრძალვიანი
სტრიქონები. მათ ამწუთში სულ სხვა
ქლერადობა შეიძინეს, თითქოს ახალი

შუქით გაბრწყინდნენო. მბლონიერე-
ბულნი და გამოვლებულნი, ხორცმეს-
მულნი და განმტკიცებულნი, აეტორის
სულიერ სამყაროსთან, მის ხასიათსა და
ბუნებასთან შეწონასწორ-შეგერებულნი
ფარფატით მოედნენ არემარეს. აქამ-
დე ყოველი სტრიქონი მაინც მისათუ-
თებას, მიხედვას, ლოლიავს საჭირო-
ებდა. ბექა ყოველთვის, როცა რაყიფ-
ზე ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი,
დამაჯერებლობისა და სარწმუნოებისა-
თვის სხვადასხვა ფაქტებს თხზავდა, ავ-
ტორისეული მართალი და ნაღდი სუ-
ლისკვეთების წარმოსაჩენად ტყუილებ-
საც არ ერიდებოდა ხოლმე, სურდა ყვე-
ლა დაეჯერებინა მისი ნათქვამის სი-
მართლესა და გულწრფელობაში, რომ
რაყიფის სიტყვა და საქმე ერთი იყო
და, რომ მხოლოდ ასეთი პოეზიაა საცნა-
ური და გადამდები, ახლობელი და ნაღ-
დი. სინამდვილეში არასოდეს თვალის
არ მოეკრა რაყიფისათვის, მაგრამ ისე
ღრმად სწამდა პოეტის სულისა და
ხორცის ერთიანობისა, რომ ბექას ჰა-
დაგება ამის თაობაზე არასოდეს ეჭვს
არ იწვევდა მსმენელებში. თვითონ
მაინც საგანგებოდ ფუთინდა, მოსავდა,
ამაგრებდა, ბაყილოსავით უაღერსებდა
სტრიქონებს. მერე რა, რომ ბოლომდე
უსრული იყო მისი ინფორმაცია მათ
ავტორზე, უფრო მეტიც, სულ შეთხ-
ზული და მოგონილი გახლდათ ყოვე-
ლივე, მისი ბიოგრაფიით დაწყებული
და სისკარის, მარენისა და მზექალისად-
მი მისი უცნაური ტრფობით დამთავრე-
ბული. და ახლა, როცა იგი იხილა და
ასე შემთხვევით ახლოსაც გაიცნო, მად-
ლიერების გრძობით განიმსკვალა სა-
კუთარი ანდე-გუმანის მიმართ, ამდენი
წლები მის ფანტაზიას რომ ასეთი ერთ-
გულებითა და უტყუარობით ასაზრდო-
ებდნენ.

მეხმა მეყვსეულ მოაშთო თელხი, როს
ტყეში ელვის იშიშვლა დანა, მოწყდა
მუხა და პატარა ვერხვი ტიტანი ტანით
ძირს დაიტანა. მუხა უსიტყვოდ შესჩი-
ვის ხეთა მშობელ მიწიდან მოწყვეტის
ვარამს, პატარა ვერხვს კი ვერავინ ხე-

დავს, მას ხომ დიდი ხნის სახშილი ფარავს.

და, აი, ის „პატარა“ და „დიდი“! — გაუქვლა ბექას, მაგრამ მუხისაგან განსხვავებით, ამ „დიდმა“ როდი წარაშთო „სუსტი“, „უღონო“ პირიკით, ზეაღვიწინა, წარმოაჩინა.

უცნაური იყო — თითქოს წინასწარ იანდევო რაყიფმა მისი დღევანდელი შეხვედრა მუნდშტუკიანთან. არადა, როდის ეგ ლექსი იყო დაწერილი. მართლაცდა, ვილას ძალუძდა მისეული კვეტექსტებით ნიშნულად და შთამბეჭდავად გამოეხატა საცნაური ორთაბრძოლის სურათი?

ფშაურ კაფიაში რომ იყო ნათქვამი, — სოფელმა დამიჩოლობტა, ორივე ხელი მამადლო... მუხამაც ორივე ხელი დაადო იმ ტირიფს, ის კი არა, სულ გაგადაფოფრა და გადაემხო თავზე... ისევე, როგორც ეგ პალსტუხიანები იყვნენ ამ მონტიორზე გადაფოფრილნი — არავის ახსოვდა იგი. არავინ არაფერს ეკითხებოდა, სკამსაც არავინ სთავაზობდა, ჩირად არავინ ავდებდა თუ, უბრალოდ, იცოდნენ მისი ხასიათის ამბავი და ზედმეტ ჭაფასა და მოჩვენებითობას გაურბოდნენ. ეშმაკმა უწყოდა..

ინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში კი ხშირად გაიძახოდნენ ხოლმე — კოკისა შიგან რაცა სდვასო, ამ ანდაზამ თავისი უწინდელი შინაარსი უკვე დაკარგაო! ნუ გაეიწყდებათ, რომ მეოცე საუკუნის ადამიანთა ამოსაცნობი ნიშნები ატლ სხვა არიო. მამა აბრამის ბატკნობას დღეს ვერავის მოსთხოვო, ინდიფერენტობა იმძლავრა, პრაგმატიზმმა მოიკიდა საზოგადოებაში ფეხი. უტილიტარობი ზვართქლასავით მოედო ადამიანის სულს. პრაქტიციზმმა განაძევა იდეალიზმი. მკაცრმა რეალიზმმა — რომანტიზმი. ამაში ახლა ყველა შეთანხმებულია, და ეს თვისებები იაეთივე ნორმალური ატრიბუტებია ადამიანისათვის, როგორც, მაგალითად, უძველეს დროში, ლეთისმოსაობა. ამიტომაც, კოკიდან, ესე იგი, დღევანდელი ადამიან-

ნიდან შეიძლება სულ სხვა რამ გადმოინდესო, ასეო, ისეო! — ხმის ჩახლექამდე გაპყიოდნენ საყელობათიანი უნივერსალები, ფუნქულაოყებიანი ფენომენები, ესთეტები, პროფესიონალები, ყოვლისმცოდნენი, თანამედროვე, მოდურ ლიტერატურულ მიმდინარეობათა მიმდევრები, ლიტერატურათმცოდნეობისა და პოეტისის აფეროში არსებული უცხოური თუ სამამულო ეფექტური და ელერადი ტერმინოლოგიით აღჭურვილი თეორეტიკოსები. ჭერ რომ ლექსი არ გამოექვეყნებინათ, რომანი არ დაეწერათ, მოთხრობა და პიესა არ შეექმნათ და მაინც სახელი ჰქონდათ გავარდნილი. გავლენიანები და ანგარაშგასაწევენი, მაღალ საზოგადოებას თუ საშუალო ფენებში მიღებულნი, ლიტერატურულ სალონთა დამამშვენებლები, ლიტერატურითა და ხელოვნებით გაცაცებულ მანდილოსანთათვის საფიცარი და თავის გამოსაჩენად წარამარა სახსენებელნი, ავტორიტეტული პიროვნებანი...

„შესაძლოა ისეთივე განსხვავება — დღევანდელსა და მეთექვსმეტე თუ რომელიც გნებავთ, საუკუნის ნაძვანარს შორის რომ იქნება. — ეხმაურებოდა უჩინარი ბექას გულისნადებს. — მხოლოდ ეს არი, ახლა მთელი ტყეები ფილოქსერიითა დაავადებული!“

შესაძლოა, უჩინარისა და გაბლიანის ამ ქადაგებაში ბევრი რამ იყო სადავო და სკამათო, იმათი მაინც არა და არ სჭეროდა. ეს იმიტომ, რომ ღრმად აწამდა ხისა და ნაფოტის, კოკისა და გარდმოდენილის ამბავი. კეშმარიტებად მიაჩნდა იგი. ვერავითარი ლაქარდიანი ფრაზეოლოგია, მოჩვენებითობის ჩალაბულაში გახვეული დოკუმენტაცია და არგუმენტაცია ვერ გაბათილებდა. პირიკით, მწერლობაში და საერთოდ ხელოვნებაში სწორედ კოკისა და გარდმოდენილის ამბავი უნდა ყოფილიყო მთავარი. ისევე, როგორც

მირონ ხარბიანი
დაპროზონი

გლებმა არა უწყობდა რა მიწაში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესების თაობაზე, მაგრამ სჯეროდა მოსავალზე სასუქის კეთილისმოყველი ზემოქმედებისა, ბექასაც ჰკარნახობდა თავისი გუშანი, რომ ხისა და ნაფოტის, კოკისა და გარდმოდენილის ამბავი მთავარი უნდა ყოფილიყო მწერლობაშიაც და, საერთოდ, ხელოვნებაშიც.

რა თქმა უნდა, ხელოვნებისა და მწერლობის სფეროს, როგორც ყველა დარგს, საერთოდ, მრავალი მედროვე და უზადო ქონგლიორი ესია და არცთუ იშვიათად ყველაზე ტკბილ ლუკმასაც მიირთმევდნენ ხოლმე ისინი, მაგრამ ბექას სწამდა, რომ ცხოვრება მიზანსცენა როდი იყო, მათი უღდეური თამაში ადრე თუ გვიან უსახელოდ დასრულდებოდა.

ბექა გულში ინახავდა სათქმელს — თანდაყოლილი ჩვევა ჰკარნახობდა — ასჯერ გაეზომა და ერთხელ მოეჭრა, ანდა ვისთვის რა უნდა ეთქვა, როცა სიმართლის გავონება არავის სურდა.

თავის გარშემო არავინ ეგულებოდა ისეთი, მისი ამ უცნაური დაკვირვებით რომ დაინტერესებულყო, გულთან მიეცნა, აეწონ-დაეწონა მანც.

ერთი ცნობილი კრიტიკოსის თქმისა არ იყოს, ამ დარბაზში თავმოყრილ ახალბედა მწერალთა ნახევარი „ახალ ურთიერთობათა“ თავგამოდებული აპოლოგეტები იყვნენ, მეორე ნახევარი კი მათი იდეების გამზიარებლები. ბექას კი რაღაზე მოაყურადებდნენ, რა რჯიდათ, ეკლებით დაეაწრათ ხელისგულები, როცა ბუტფაორიული, უხიკვო ყვავილებითაც მშვენივრად შეიძლებოდა გართობა.

საგნებისა და მოვლენებისადმი ასეთი მომგებიანი და ზედამიერული, მოზიმიე დამოკიდებულება ერთიანად მოსდებოდა იქაურობას და ისინი ამ თავიანთი ნაირფერადი შეხედულებების ოკეანეებში დარდიმანდულად დააქროლებდნენ ტრაულერებს და თან „იფ-იფო“ — რა დიდებულთა, რა მშვენიერთაო, გაიძახოდნენ.

სასწავლებლის დარბაზში ყველა კმაყოფილი იყო, და რაღა რჯიდათ, რომ ის მზუთიანი შრე ამოეხაბათ და თავანკარა სიღრმეებისაკენ ჩაყურყუმელაგებულყვენენ? ეს ზომ მეტად შრომატევადი, რთული და სათაკილო სამუშაო გახლდათ, მით უფრო ფუნჩულალოყეზიანი, ყელბაფთიანი ესთეტების, „დედიკოს შვილიკოებისათვის“, რომელთაც ბუნებამ მასების წარმართვა, გეზის ჩვენება, ჭადაგება და ჩიჩინი დააკისრა და არა თეორიული ნააზრევის პრაქტიკულ განხორციელებაზე ზრუნვა და ფიქრი.

დამხმარე მუშის მიმიე ხვედრი არავის სიამოვნებდა — შავი სამუშაოს ხსენებაზე ბუსუსებს აყრიდათ ტანზე. ამიტომაც მშვენივრად დააქენებდნენ ტრაულერებს. ზოგიერთი ქათქათა, თანამედროვე გემსაც კი დააქროლებდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო სანაოსნო წყლებში ვითომცდა განსპეტაკებულ სივრცეებში.

„კი მაგრამ ყველაფერს რომ შევეშვით, ამდენ ორატორს რა გამოყვებავს, ვინ იმუშავებს ამათ სანაცვლოდ?“ — ფიქრობდა ხოლმე დარბაზის კუთხეში თავისთვის მიყუყული ბექა და ეს მაქლაქუნასავით უსიამო ქარაგმა ველარ აეხსნა. ერთადერთი, თავიარ რაყიფის იმედი ჰქონდა, სხვათა მრავალთა იმედიც, რა თქმა უნდა, მაგრამ რაყიფის მანც განსაკუთრებით სჯეროდა, იმ სტრიქონების ავტორი არ შეიძლება განცხრომათა ოკეანის ნოსანი ყოფილიყო. ჰალსტუხიანი, ბაფთიანი, ფუნჩულალოყეზიანი, მოზიმიე და აღზეგებული ვერ იტყოდა, ვერა და ვერ იტყოდა — „არ ვითხოვ ჩემთვის დიტირამბს, არც მელექსეთა მეფობას, გაბრიელა არ მსურს დიდი რამ, — სულ მცირე რამეც მეყოფა: თბილ ლიმილს ჩავთვლი დიდ ქებად, თქვენგან ტკბილ სიტყვას — ნობათად, ეს დაფასებაც იქნება, იქნება თქვენგან ცნობაცა...“

კვლავ და კვლავ უხაროდა ბექას — მისი გუშანი გამართლდა. რაყიფის სი-

ტყვებმა იმათი შედეგები მიწაზე და-
ანარცხა, დაიჩოლობოტა...

ნისლი, ნისლი, სანატრელი, არხვაცს
ერთყმის უბაღაზად, მშობლიური მთე-
ბის ყელი ნეტავ ერთხელ დამანახა...

რახან სურვილი და სწრაფვა იყო.
საქმეც მიაყოლა: გაარღვია ბალასტი,
ბობოქარ ზღვაში შეაგდო თავისი მომც-
რო ნავი, სკაფანდრიანი დაეშვა საზიფა-
თო, მაგრამ ასათვისებელ სიღრმეები-
საკენ, ამალდა მოჩვენებითობაზე, ზე-
დაპირულობაზე, წამიერობაზე, სიყალ-
ბესა და მომხვეჭელობაზე, მიატოვა
ლიფლიფებითა და ლამპიონებით გაბ-
დღვრიალებული პროსპექტები, კაფეები
და სალონები და მარტობასა და სიმ-
წირეს შეეტოქა:

მშვიდობით, მივალ, დე არხვაცს აჩნდეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი; მწამს,
თავს გაიტანს და გამომაჩენს ფხა ვაფ-
კაცური და სწრაფვა სწორი..

მუნდშტუკიანს გრძელი მკლავი გამხ-
დარ, ჩია რაყიფისათვის შემოეკდო
მხარზე და სახეში თბილად ჩააცქერო-
და. მრწემი უხერხულობისაგან აწ-
რიალებულიყო, იდგა გაოგნებული და
ოთახში თავის მაგიდებთან უბრად ვახე-
ვებულ ადამიანებს დანაშაულში მხი-
ლებულ და მონანიე ბავშვივით მორი-
დებულად ჩხვერავდა, თითქოს ბოდიშს
იხდიდარ მათ წინაშე ძვირფასი სტუმ-
რის დაბევებისათვის.

რედაქტორს ხელები მლოცველივით
ჰაერში გაშვერილი დარჩენოდა და ერ-
თობ დანტერესებული შესცქეროდა
ორთა ფიხვნობას: არა და, სინამდვილე-
ში ვინ უწყოდა, რა საქმესა სცდებოდა
და გულში რა ჭარბობდალა უტრიალებ-
და... შესაძლოა, არც უტრიალებდა და
არც საქმესა სცდებოდა, მაგრამ იმ საც-
ნობი ნიშნების მიხედვით, ხალხმა რომ
დაუყარა, ბექას რატომღაც ეჩვენებოდა,
რომ ამჯერად ძვირფასი სტუმრის
მხრიდან მიუჩვეველი უყურადღებო-

ბის გამო თანამშრომლების წინაშე
ერთგვარად თავმოყვარობაშელახუ-
ლად გრძნობდა თავს. სხვები კი შურის
თვალთ რომ უყურებდნენ დაბრეცილ-
კოკარდიანს ამაზე ორი აზრი არ არსე-
ბობდა. მათს ზეობას, ზეცაში ფარ-
ფატს გარკვეული ხნით ზღვარი დაე-
დო და ახლა მიწაზე დანარცხებულე-
ბივით უნდილად აფახულებდნენ თვა-
ლებს. მართლაცდა, როლები მოუ-
ლოდნელად შეიცვალა — საწოკნაო-
საბოლავებლის თავში ახლა დაბრე-
ცილკოკარდიანი შემოსკუბებულყო,
აქ უკვე არავითარი ეშმაკობა და ხერხი
არა სჭრიდა — ღმერთი — საწოკნაოს
განმგებელი შეუვალი, ყოვლისმხილ-
ველი და ყოვლის გამთვალისწინებელი
გახლდათ. მის თარგზე, უშენაეს სამ-
სჯავროზე ის ენალაქარდიანები არაფ-
რად დაჩნდნენ, ეს „მონტიორი“, წყალ-
დიდობისას ნაპირზე გამორიყუ-
ლი უშველებელი ლოდვით წამოი-
ზარდა. ფშანები, მურყნარ-ჯაგნარები
მილწე-მოლწეა, სადღაც მოუსავე-
ლეთში წარეკა მდინარის აზვირთე-
ბულმა ტალღამ და ეს ლოდი თითქოს
საგანგებოდ მოაგორა რიყის კიდზე...

მერმე ორთავენი რედაქტორის მისა-
ღების კართან, მარცხენა მხარეს მითბ-
ლეშილ დეფორმირებულ, ადამისდრო-
ინდელ ტანტრევეანზე ჩამოსხდნენ.
ღმერთმა ინება ასე — ახლოს მოისვა
მრწემი და კვლავ ხელი გადახვია, იგი
თითქოს ტიროდა, ისეთი გულწრფელი
გამომეტყველებით შესცქეროდა სახე-
ში, ნაოკები კვლავ დაასხდა და დაწ-
ვეები სევდამ დაუბურა. თითქოს კი
არა, ნამდვილად ტიროდა მუნდშტუ-
კიანი. როგორც მისი ნაწერები, ამჟა-
მინდელი განწყობილებაც ისეთი გა-
დამდები იყო, ოღონდ არავინ იცოდა,
რამ აუჩვილა გული. მხოლოდ გადახ-
ვეული მკლავილა მეტყველებდა იმა-
ზე, რომ ეს ნაღველი და სევდა მრწემი-
საგან — უნცრუათ ეაბროსაგან მომ-

მირონ ხარაიანი
დაგარკონი

დინარეობდა. ეს გადახვეული მკლავი ისარივით მიანიშნებდა ყველას, რომ რალაც კუთხით და რალაც წახნავით მისი განწყობილება რაყიფთან იყო დაკავშირებული.

— ცოტანილა შემორჩნენ ერთსახოვანნი, — თქვა ბოლოს მან ნიკაპის ნერვული კანკალით, თითქოს თავს ძალას ატანდაო, სამზეოზე რომ გამოჰქონდა გულისნადები ისეთი მძიმე და ნაღვლიანი კილოთი. — იმიტომაცაა მრავალთა ლექსებს ძალა დაუშრიტა, ენერგია დაეკარგა, მაგიის უნარი შემოეღია, ხორშაკი ქარებისაგან გამოხრულნი, უწყარონი და უჩანჩქერონი ფუყე თავთავებივით კი ყელყელაობენ... ყველას უნდა, რომ მაღალი დაჩნდეს, ესა უმთავრესი საზრუნავი და, მე რომ მკითხო, შეცდომაც... მძიმე თავთავის ამბავი ვილას ახსოვს, ვის რაში არგია, პო, ის როგორ არი? — მუნდშტუკიანს სახე გაებადრა, ყვრი-მალეები და ლაწვები სიამოვნების ალმურმა შეურთელა, ერთიან გამოზიანდა, გამომეტყველება მოუტინათდა და გაიცისკროვნებულმა ქვედა ყბის კანკალით ენერგიულად დაიწყო:

აქ, მთაწმინდაზე ერთი მწეწვია ყოველ გაზაფხულს ვაჟას ჩასძახის: ადექი, ლუჯა, მწვანე გვეწვია, მთაშიც ხასხასებს ნაზად ბალახი! არაგვმა უკვე ლაბტი აიღო, თეთრ მთასაც თოვლი ახუნდებო, და დაგიბარებს: — კაცო, რა იყო ამდენ ხანს ბარში დაყუდებო.

— ეხ, ჩემო კარგო... — ამოიოხრა ბოლოს მუნდშტუკიანმა და თავი მოკვეთილივით ჩამოავდო.

ბექას მეტი არც რა უნახავს და არც რა გაუგონია. ცრემლები ლაპალუბით დასკდა თვალებიდან, სულ დაუნამა ლაწვები, ჩაუტრია თვალსაწიერი, თითქოს ნახტიდან ეფრქვეოდრო ნაწვიმი, სველი ვიტრინიდან ნანახივით დაიბრიცნენ საგნები, დაიბრიცნენ და დათხიერდნენ, გალორწოვანდნენ და, ვიდრე ზღუქუნი წასედებოდა, გველ-

ნაკბენივით განშორდა იქაურობას, მესუსეულად მიატოვა თავისი სახუნდარი, ერთგული ნაგაზის პოსტი, საპაერო ქრელ-ქრულა ბურთების დამფუშებელი, მაგიური ძალით დამუხტული ეკალბარდიანი ზღურბლი და თავგზაბნეულივით აცხადა, ერთის ბაკაბუკით ჩაუყვა კიბეს. რომ არავის შეემჩნია მისი ცრემლები, ცხვირსახოცი აიფარა თვალებზე. ხნიერ დარაჯს მაინც ვერ გამოაპარა შინაგანი მღელვარება. იგი, სასახლის ფოიის შორეულ კუთხეში მიუყუჟულ, ვიტრინაში ლამაზად გამოფენილ ლეოპარდის ფიტულთან იჯდა ხოლმე და, როგორც ამბობდნენ, ყოველგვარი საზღაურის გარეშე ითავსებდა აღმინისტრატორის, მებალის და ხაზინადარის მოვალეობასაც. ნაირ-ნაირი ანეკდოტებით, საინტერესო ამბებით, მოსწრებელი კალამბურებით, ნაკვესებითა და კაფიებით ართობდა აქ მოსულ ავტორებს. მეტად პოეტური ბუნების კაცი იყო და სარფიან სამუშაოს შემოქმედ ხალხში ტრიალს არჩევდა. ამას ყველა გრძნობდა და ვინც ახლოს იცნობდა, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. კიბეზე ავილილ-ჩავლილი ბექა ხშირად ხედავდა ხოლმე ლეოპარდებთან ჩამომჯდარს, მაგრამ ამ „შორით ცქერაზე“ — ღრმად არ წააულა მათი ურთიერთობა. ახლა იგი პირდაპირ კიბესთან შეეჩეხა და უგუნებობა რომ შეატყო, მზრუნველად შეეკითხა — ცუდი ხომ არაფერი მოხდაო.

— არაფერიო! — ცოტა მკვახედაც კი გამოუვიდა ნათქვამი ბექას. იგი არც შეჩერებულა. ისე გაეცალა იქაურობას და ქუჩაში გაეარდა. გარეთ უფრო თავისუფლად იგრძნო თავი, იმ დარაჯის გარდა, რედაქციაში არავინ დაინტერესებულა მისი განწყობილებით და აქ სულ ვილას ახსოვდა იგი, ამ აყალმყალსა და ზრიალში ვილას ედარდებოდა მისი ცრემლები, ფორი-აქი და მღელვარება.

„ცუდი ამბავიო? — იმეორებდა იგი დარაჯის ნათქვამს. — რო ამბობდნენ,

მოსწრებული სიტყვა-პასუხი იცისო, ახლა კი ვერ გამოუვიდა მთლად ისე. ცრემლები განა მხოლოდ „უტდმა ამბავმა“ იცის, რო? კარგამც იცი და არც თუ იშვიათადაც. ეგ თუ ცუდია. მაშინ კარგი რაღა, მაშა! — იქედნურად. ნიშნის მოგებით ეპასუხებოდა იგი მოხუც კალამბურისტს — ის კი არა, ნეტავი ეგეთი ამბები ცხოვრების წესად იქცეოდეს ჩვენს საზოგადოებაში! კოტაა მამაზეციერისაგან. ერთადერთი შორეული ნუგეშის ცემა, ნათელმზილველი, აღრუული სიბრტყეების დამლაგებელი და პირუთენელი შემფასებელი, იმ მუნდშტუკიანი მოხუცივით უსამართლოდ დამდაბლებულ სიმაღლეითა წარმომჩინებელი უნდა იყოს იგი. საფირონისთვლიანბეჭდებთან, პალსტუხთან, მოდაზე შეკერილ ძვირფასკოსტიუმთან, წუთისოფლის ღედღელღებზე ჭგლეთისაგან ლაწვებგაცრეცილი ზეკაცივით გულის სიბზოს უხვად გამსინათებელი, კოკისა და გარდმოსადინებლის, ხისა და ნაფოტის სიბრძნის მღაღადებელი. მამაპაპურ ჭეშმარიტებათა განმშტკიცებელი, ყოველივე ქალების, თვითმიზნურის, მოჩვენებითის, პომპეზურის, თვალმამკურთხა, პოთიდან გამოწოვილის, უსისხლბორცოსა და ზედაპირულის დამქცევი და მიწაზე დამნარცხებელი, ზურგშემაქცეველი, და აბუჩად აბჯდები, კუჭტი და უმეტყველო, ვერ შემამჩნეველი, უბუნებელმყოფელი, ასეთი უნდა იყოს ის მამაზეციერი. ამაზე კარგი რა იქნება — ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა მაშინ...”

გრძობდა ბექა, რომ უსამართლოდ საყვედურობდა და ეკამათებოდა კალამბურისტს, მასთან სადავო და გასაყოფი ნამდვილად არაფერი ჰქონდა, ნაკვესებითა და კაფიებით ართობდა იგი აქ მოსულ ავტორებს, მასაც მამაშვილურად თანაუგრძნო და ერთადერთი მხოლოდ მადლობა ერგებოდა.

„ან იმათ რაღა დააშავეს ვითომ იმ ფუნჩულალოყიანებმა?“ — მათი სტერეოტიპებით იყო სავსე ქვეყანა, და არც

ერთი და არც მეორე იციდან არ ჩამოცვნილან — წინაპრები ჰყავდათ და იმათ მემკვიდრენიც თავისფრანო მოამრავლეს, თავის მზრივ, ესენიც მოამრავლებენ და ცხოვრება წავა ასე, თავისი გზით, და არც თუ ურიგოდ! მაშ, რაღას ვრჩოდა მონაფალ ესთეტიკოსებს, ექსტრავაგანტებს, საყვლობითიანებს, ხელსათუთებებს, სხვათა „გზების წარმმართველებს“, ყუიჩისა და ზარისკემის მოყვარულთ, შიდა თუ საერთაშორისო სანაოსნო წალებში იახტათა, ნაფთა თუ კატერთა დაარდმანდულადმამატარებელი, ათასკბენიანი სიმძლავრის მორტორებზე მეოცნებეთ?!

მაგრამ მჭირი, კლდე-ღრიანი და ხეჯხუვიანი რაო ეს ქვეყანა? სათოხნსამარგლი და მოსამველი რაო? ვინ მიფლითოს ტყავი სიჭებზე? ვინ დაამჩინოს არხვაცს და მელახს სამგრძისო ტორი? ვიღამ გატეხოს ანულები თუკი ყველა ზღვაში სანავარდოდ გაიკრიფება და ნაირ-ნაირ შიშდინარეობათა მოდურ თეორიებს გაეკიდება? სხვათა ქუთის სწავლებას მოჰყვება, ასე და ასე გააყვითო?

იმ ხნიერმა, ტრადიციების კომავმა კი კარგად უთხრა იმ დღეს თავის მოწინააღმდეგეს — „ნაცხოვრე ერის ცხოვრებით, მისი ტვიღლებითა და სიხარულით, თუ ზენაარც თავის მადლიან კალთას დანაბერტყავს ჩემს ნაღვაწში მშობლიური ხალხის ყოფა ისახება და ეს იქნება ჭეშმარიტი შემოქმედება, ხალხისა და ქვეყნისათვის სარგო, თერთი ლექსი იქნება, თავისუფალი თუ შავი, ნაღდი იქნება, წრფელი და ეტყუარი იმ სვანური ყანსავ ყიფიანესავით“.

ბექას შეებრაღა ის ორი, მაინც ვერ გაარკვეეს, რომელი რომელს სჯობდა — თავისუფალი კლასიკურს თუ კლასიკური — თავისუფალს. ამოდ დაშვრნენ. მერმე ის ღმერთი რომ გამოჩნდა

შირონ ნაკვიანი
დამარკონი

თვალსაწიერზე, ორთავეს ცივი წყალი გადასხა, მოურიდებლად აგრძნობინა, რომ აქ სადავო და საეჭვო არაფერი იყო და უსაგნო ღლაბუკით ტყუილა ირჯებოდნენ.

იაკი უთხრა — რაყიფს რო აქვს ვაჟსადმი მიძღვნილი, ასეთი ლექსები დამიწერეთ, თუ ბიჭები ხართო... უარესებიც უთხრა და იმაზე შეეცოდა ბექას. თუმცა თავად არაფერი დაიმჩნიეს, ვითომც ვერა გაიგეს, რა, ანდა ვითომ მუნღშტუკიანის ყვედრება მათ სულაც არ ეხებოდათ.

ბექა გაბლიანს მეტად-დამაფიქრებელი, სიახლეებზე თავგადაკლულთა და თვითმიზნურის მეტრფეთათვის ჭკუის სასწავლებელი მოარული ამბავი გაახსენდა — ერთი ქვეყნის სელექციონერები თავიანთი კოლეგების გამოცდილებათა გასაზიარებლად უცხოეთში რომ გაემგზავრნენ და გასაკვირველად, ვერავითარი განსაკუთრებული ფორმები და მეთოდები ვერ აღმოაჩინეს — ნიადაგს იქაც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად ამუშავებდნენ, არც რაიმე განსხვავებულ აგროტექნიკურ ღონისძიებებს ახორციელებდნენ. ხორბლის უხვმოსავლიანობას ძირძველი ჭიშის დაღიანობასა და მის გარემო პირობებისადმი მედეგობას უკავშირებდნენ. კიდეც უფრო გაოცებული დარჩნენ, როცა უთხრეს, რომ თესლი აღრეულ წლებში მათი ქვეყნიდანვე სანიმუშოდ ჰქონდათ შეტანილი.

სელექციონერებმა, რაც მართალია, ბევრი ივალაღეს, გაფშვინტ-გამოფშვინიტეს ხორბლის მარცვალი, აპკვირდნენ-დაპკვირდნენ, მაგრამ ვერ გაიხსენეს, რომელი ჭიში იყო! ან საიდან გაიხსენებდნენ, როცა მისი ჭიში დიდი ხნის წინ გათქვიფეს და აღრიეს სხვა „ახალგამოყვანილ“ ჭიშებში. ერთი სიტყვით, სამუდამოდ დაკარგეს, გადაავგარეს იგი, ეგრეთწოდებულ, „სამსახურებრივი წინ წაწევისათვის“ საჭირო ექსპერიმენტებს შეწირეს. ექსპერიმენტები მართლაც ისე მოამრავლეს, რომ ბოლო აღარ უჩანდა. გა-

მოკყავდათ მუხუდოს სიმსხო მარცვლიანი ხორბლის ჭიშები. მათს ყოველ „წარმატებაზე“ ერთი ყიყინა და აურზაური ატყდებოდა — ტელევიზორში, რადიოსა და ჟურნალ-გაზეთებში სულ იმათ მიღწევებზე იყო ლაპარაკი. მერე კი ის მოხდა, თონეში რომ ჩააკრეს ცომი და პურს გემო გაუსინჯეს, ქაბო აღმოჩნდა! თავთავმაც არ იბარტყა, არ იხვავრიელა, სანახევროდ ცილაში წავიდა, გულდაფშუტა გამოდგა. გარეგნული პარამეტრები, მომხიბვლელობა და მოჩვენებითი სილიადე „არსობის პურიისათვის“ თურმე საკმარისი არ უდგოდა!

ბექასათვის ეს ამბავი ყოველივე ხელგუნურისა და თვითმიზნურის კრახით იყო სინტერესო. თავის ფიქრში თითქოს იმ ტუჩალას ეხმარებოდაო, ნიშნს უგებდა მოღურ გატაცებათა მეხოტბეთ, მისი ღრმა რწმენით, ცხოვრებას ერთი მთავარი მიმდინარეობა გააჩნდა თავიივე სიმართლით გამზვებულ-გასხივოსნებული და ბედნიერი იყო ის, ვისაც ამ ბღღვრილა, ცხოვრებისყოფელი ჭალიდან ერთი ნათურა მაინც საკუთრივ ერგებოდა... ბედნიერი იყო ის, ვისაც ზენაარი იმ მხენეშავი, მუნღშტუკიანი ბრძენკაცივით თავის უტყუარ ტორსა და ნათელყოფელ დამლას დაადებდა...

ბექას კიდეც უფრო განუმტკიცდა ძველი მოსაზრება, რომ მხოლოდ მაგიური ნივთიერებით გალიცილიცებულ ოკასლა ძალუძდა დაერწყულებინა სულგათანგული, შთაებერა მისთვის არსობისათვის უცილობელი რწმენა და ენერჯია. ისევე, როგორც მზიან წარაფზე გადმომდგარი, მუხის ქვერების დარად ვერც ერთი სხვა ხე და. მით უფრო, ჩრდილიანში ამზვართული ვერ დაყრიდა ბარაქიან ნავეერჩხლებს, განსპეტაკებული, ყოველთა ცოდვათაგან განბანილი ღვთისმშობლის დარად, გინაც ნიჭიერებით აღსავსე, მაგრამ ყველაფრისადმი გულგრილი, სასხვთაშორისოდ განწყობილი ხელოვნების ნებისმიერი დარგის წარმომადგენელი

ვერასოდეს ააღუღუღებდა ათასობით მკითხველისა და მსმენელის, მნახველისა და შემფასებლის მეუღაბნოესა-ვით მწყურვალსა და მონატრებულ სულს. ვერ გააჩაღებდა იგი იმედის კოცონს, და თუ მაინც გაიძახოდნენ ის ესთეტიები — კიო!, აშკარად ტყუოდნენ, მოგონილი იყო ყველაფერი, საკუთარი კეთილდღეობისათვის შეთხზული და არგუმენტირებული...

მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრება მართლაც ხშირად საწოკნაო-საბოლავებელს ემსგავსებოდა. არცთუ იშვიათად სწორედ ის შეთხზულ-მოგონილი, ფსუქურთო თავთავი განდევნიდა მამაპაპურს: ძველსა და ნაცადს, მახასა და ზანდურს, დოლის პურსა და დიკას, წამოყვლეღავდებოდა, საწოკნაოს თავში შემოსკუბდებოდა და ქვეყნიერებას აუწყებდა — „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ დრო-ჟამისათვის მისი ყოილი იყო მოჩვენებითი და წარმავალი, მაგრამ მავანნი ცდილობდნენ ქვიშად დაეკანონებინათ, რალაც არსებითი და მნიშვნელოვანი აღმოეჩინათ მასში და მოვლენის რანგში აეყვანათ...

ბექასთან უკვე აღარაფერი გამოუვიდოდათ საყელობაფთიანებსა და ლოყაფუნჩულეიანებს; სხვაზე ვეღარაფერს იტყოდა, მაგრამ იგი საკმარისად გამოიწროთ ამ დღეებში და, როგორც იქნა, საბოლოოდაც ჩამოსცილდა უნუგეშო, და ხალხისათვის ურგო საქმიანობას და უკვე არაფრის არ ეშინოდა... მათი კონცეფციები კი უშველებელი მთების ხეგხუვებად, მომცრო რუებად ესახებოდა. „ჭერ უნდა იყოს მთა, რომ მის ტანზე რუები გაიშალონ, მთამ უნდა ასაზრდოოს ისინი, თორემ დაშრტებიან! — ფიქრობდა იგი.

იმ ოთახში კი ორი მთა შეხვდა ერთმანეთს — მომცრო და უშველებელი! ერთუროთის გვერდიგვერდ დაეყუდნენ ისინი და მთებურად მიესალმნენ ერთმანეთს. ის რუები კი, მთათა სუნთქვას მიყურადებულნი, გაისუსნენ.

ამ საქმეში მთავარია იყო მთა, გინაც

მომცრო... — და მას კვლავ ის სიტყვები გაახსენდა „გეოგრაფიული აღწერიდან“ — „მომცრო მწვერვალი, მაგრამ მრისხანი და ხელშეუვალი!“

დანარჩენი ყველაფერი უნიათო ფონია მხოლოდ...

„ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას...“ ჭერ კიდევ წუხელ, დაწოლის წინ აეკვიტა რატომღაც ეს აზრი...

„მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას...“ და აი, როგორც კი გამოიღვიძა, ჩაიკვა და გაიპარსა, უმალვე საქმეს შეუდგა. ის იყო, მოათავა კიდევაც, რომ ბინის მებატრონემ დააბრაუნა ბუდრუგანის სარზე — ე, მანდ ცეცხლი ხო არაფერს უკიდიო, საკმლიდან რალაც ბოლი გამოდისო.

რა უწყოდა მან, რომ ამ ნესტიან, ბნელსა და უსინათლო მიწურში ბექა გაბლიანის ამდენი წლების ნაცოდვილარი ლაფავდა სულს. ნადგურდებოდა და იფერფლებოდა.

— ნუ გეშინიათ, ეგ სატრფოს წერილები გაუყუენე საიქიოს! — გაეხუმრა ბექა ბინის კაპარჩხანა მებატრონეს, — მიგანა და ჭავრიც ვიყარე...

ქალმა ბრიყვულად დაყვლივა თვალები, მხრები აიჩიჩა და გაციებულნი გატრიალდა უკან — თავის დღეში ხმა-ამოუღებელი, ენაჩავარდნილი, პირქუში და უქმური მდგმურის ხუმრობა ალბათ ვერაფრით ვერ წარმოედგინა. თვალს რომ მიეფარა, საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიიღო და თავისიანების დასანახად ხელის მტვევანი დაატრიალა — ესაო და ჩვენმა გაბლიანმა ოფოფები ხომ არ ააფრინაო...

ბექა მართლაც შესანიშნავ გუნებაზე იყო. ის ლექსები რომ დაიწორა, თითქოს მხრებიდან მაქალაქუნა ჩამოხსნესო, რალაც სიზსებუქე იგრძნო. შებოკილობამ გაუარა და პასუხისმგებლობის გრძნობა გაუქრა.

შიროს ხაჩიანნი
დახარკონი

მარტო ის ადარდებდა, რომ მანდ ხის მოკვეთაზე იყო ლაპარაკი და არა ნაყოფის დაღობა ხელი. თვითონ კი ნაყოფს დაღობა ხელი. ის კი ლამაზად დაიფიქრა, რომ „ვერ ხელეწიფების ხესა ხენეშსა ნაყოფსა კეთილის გამოღება“ „მაგრამ ღმერთი მოწყალე არს, მიუტევენს ამ დაუდევრობას, ბოლოს და ბოლოა, ყველაფერი ეს ხომ ჭერ სახლის ზღურბლს არ გასცილებია, საყოველთაო ბოროტებად არ ქცეულა, პოდა...“

ამიერიდან ბექა გაბლიანი ჩიტივით თავისუფალი იყო, ვერაფერ ვერაფერში ვერ შეედავებოდა, ვერ დაძრახავდა — ისეო, ასეო, ვერ დასცინებდა, ჩუმად თუ აშკარად ვერ გაატრიახვებდა, სათრიკოს ვერ გახდიდა; ამ ფიქრებით გავიდა გარეთ, სტვენა-სტვენით ჩაუყვა ქუჩას, მერე გამზირს და პირველად ყოველგვარი ყოყმანისა და დაფიქრების გარეშე გადააღაჯა აუღებელ ციხესიმაგრედ დაბეღებულ სამანზე — გამარჯობათო, მიესალმა კიდევაც რედაქციის თანამშრომლებს, რომლებიც ჩვეულებრივი საქმიანობითა და იმ ძველი კამათით იყვნენ გართულნი; თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა, მაგიდიდან რომელიღაც ილუსტრირებული ჟურნალი დაითრია, სურათები გადაათვალიერა და მექანიკურად გადაიკითხა რამდენიმე სტრიქონი.

— შე ბებრუხანავ, შენა, და, ძველის უარყოფის შედეგი არ გახლავს თანამედროვე მანქანა და თვითმრინავი, რომელთა მომსახურებითაც მშვენიერად სარგებლობ კიდევაც, პა? ამზე რაღას იტყვი კიდევ? შენს ჭკუას რომ აპყოლოდა კაცობრიობა, ახლაც ფაიტონით იჩაქაქებდა... — ახლაგზრდა ხრინწიანი ხმით, გამწარებული იგერიებდა უფროსი კოლეგის შემოტევას.

— მოიტანეთ რამე, ყმაწვილო? — მიმართა ბექას ერთ-ერთმა თანამშრომელმა, იმ ორთა პაექრობაში რომ არ ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ ყურები კი, ეტყობოდა, კურდღელივით დაეკვიცტა.

— არა, არაფერი, ბატონო, ისე გამოვიარე...

— კეთილი...

— იქნებ ისინი მოვიდნენ-მეთქი...

— ვისზე ამბობთ, ყმაწვილო, ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების წევრებზე? მრგვალი მაგიდა, ჩემო ბატონო, ორისთვისაა დანიშნული, ცოტა ადრე მოგსვლიათ...

„მე მუნდშტუციანსა და დაბრეცილ კოკარდიანს ველოდები, განა იმით, რომ...“ — ფიქრით გაეპასუხა ბექა, თქმით კი ესლა თქვა:

— ჰო, ადრე მომივიდა...

— სალიტერატურო კრიტიკის, თანამედროვე პროზისა და პოეზიის საკითხებისადმი მიძღვნილმა დისკუსიებმა საინტერესოდ ჩაიარა, ვნახოთ ახლა, მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ რა ახალ თეორიებს წამოაყენებთ. რა დებულებებით გაამდიდრებთ ქართულ მწერლობას... იცით, რა, ყმაწვილო, ყოველივე ამას ჩვენი რედაქციისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. — მერე იმ კაცმა ხმას დაუწვია და ნახევრად ჩურჩულით თქვა: — ჩვენი რედაქტორი ამ მრგვალი მაგიდების მანით არის შეპყრობილი, ანუ, გულახდილად რომ ვთქვათ, მრგვალი მაგიდების ტრფიალია. რატომ, თუ იცით? — თვითონვე დასვა შეკითხვა. — ასეთი დისკუსიების დროს ადვილად ხერხდება მოქიშპეებისათვის თავში ჩარტყმა თუ არა, ჩხვერა და პწყენა მინც. მაშა, ამიტომაც გაფრთხილდი, ძმობილო, შენც არაფერში გამოგიყენონ, ისეთი რამე არ გათქმევიონ, ხომ იცი, გეთაყვა, ბრმა იარაღობაზე სამარცხვინო არაფერია ამ ქვეყანაზე, მაშა! — ლიტმუშას თავისი უცნაური, დამცინავი და მამხილებელი საუბარი სახეგაბადრული რედაქტორის ხალისიანმა სალამმა შეაწყვეტინა.

„ნუ მიპცემთ სიწმინდესა მავანსა და ნუცა დაუფენთ მარგალიტთა წინაშე...“ — ამ აზრმა გაუელვა რატომღაც ბექას თანამშრომლის ორსახოვნებაზე, ძირსაც რომ უთხრიდა თავის

უფროსს და თვალბზიაც შესციცინებდა, როგორც ამ წუთში შესციცინა, კარში შემოსულმა საერთო სალამი რომ მიაგო ყველას, თითქოს იმის მზაკვრობაზე არცა ჰქონიყოს საუბარი, ისე უტიფრად შესციცინა და ბექა მიხვდა, რომ თუნდაც ეს ფაქტიც კმაროდა იმ ორსახონების და მოჩვენებითობის საილუსტრაციოდ. გუშინ ღმერთმა რომ ახსენა რაყითან საუბარში, და რატომღაც სიბრალულით განეწყო კეთილად მოღიმარი რედაქტორის მიმართ.

„თუკი სხვებიც ეგეთი ენალაქარდინები და მზაკვრები ახვევია? — ბექას ტანში გაპბურძგლა, უსიამოდ გააერთოლა, მერმე დრო იხელთა, ყურნალი თავის ადგილას დადო, წამოდგა და უჩუმრად გაიძურწა გარეთ...“

„ისინი ალბათ აღარ მოვლენ...“

„ესენი კი ორისთვის მოქუჩღებიან“, — საყელობაფთიანებზე გაიფიქრა მან.

„იმათი“ მოსვლა გულით ეწადა, „ამათი“ კი არც იმდენად. ამათთან უკვე აღარაფერი საერთო აღარა ჰქონდა.

და მან ნაბიჯს აუჩქარა. მალე უნდა გასცლოდა აქაურობას.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ. — ფიქრობდა იგი გზადაგზა. — არა, ეგრე კი არა: — „წყალნი დამრჩომნი და წარმავალნი“, ანდა, უბრალოდ, „დამრჩომნი და წარმავალნი“, ჰო, „დამრჩომნი... დამრჩომნი...“

თავისი ბუღრუგანისაყენ ნელიად მოლასლასეს, ეკლავაც იმ კაბინეტის ამბებსა და იქაურ ადამიანებზე მოფიქრალა, რატომღაც მშობლიური სოფლის ორლობეები წარმოუდგა თვალწინ. ერთგან, ჩელტისკიშკრიან ეზოში მწირი სუფრა გაეშალათ. ღია ცისქვეშ ხორკლიან ფიქვის ფიცრებზე, მაგიდის მაგიერობას რომ სწევდა, გოდრებაკუჩებული და ქვაბებმომარჯვებული დისახლისები — დედას პურებსა და ლობიოს, ოსპისა და კანაფის მოხალული თესლისაგან — გიმბაშისაგან აფურუკულ ქინაშის უგემრიელეს შეკამანდს არიგებდნენ.

ოჯახის უფროსი, გამზდარი, ყვრიმა-

ლებგამოშვერილი ნაბღისკუღიანი ახალგაზრდა კაცი სტუმრებს სუფრასთან ეპატიყებოდა. მის ხმაში რიდი და მოკრძალება გამოკრთოდა. თითქოს ბოღიშს იხდიდაო ამ ხალხის წინაშე საკუთარი ხელმოკლეობის, ბეჩაობისა და სიდუხჭირის გამო.

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტორის, ვეფო, ცალუღელი ზო არა ხარ, გაიმართე წელში... — შეუცაცხანებდა ხოლმე მასპინძელს რომელიმე შინაური ქალთაგანი, გაამხნევებდა, მაგრამ იმას თითქოს არც ესმოდაო იმათი ნათქვამი, რიდი და კრძაღლით განმსკვალული თითქოს სიცივემ აიტანაო, ნერვულად ცმუკავდა ჰიშკართან და შუბლზე მომდგარ სიმწრის ოფლს ჩუმ-ჩუმად იმშრალებდა. კარგად ესმოდა მასპინძელს, თავისი ენალაქარდინობითა და მოჩვენებითი თვალმახარობით აქ ვერავის გააკვირვებდა. რალაც ორიოდ წუთში მისი ლარიბული ტაბაგა — ჰირის სუფრა მანც ამხელდა და გაამქლავებდა სოფლის წინაშე.

— ჩვესგუ, მიშგუ ლადალ სი... — ღირსების გრძნობით, ხმადაბლა, მძიმედ და ბორძიკით მიმართავდა იგი სტუმრებს — დაბრძანდით, თქვენი ჰირიმეო...

საცნაური და გადამღები იყო მისი განწყობილება — კაცები მხარზე ხელს უთათუნებდნენ, უხმოდ სხდებოდნენ მიჩენილ ადგილას და იქიდან თბილი, გრძნობიერი მშერით თავისებურად ანუგეშებდნენ აწრიალებულ მოყვასს — ნულარაფრის გერიღება, უცხონი ზო არა ვართო...

სუფრას თანდათანობით ემატებოდა ხალხი. ადამიანები თავიანთ ადგილებს იკავებდნენ და ერთმანეთს მიტყუცულნი უხმოდ და უჩუმრად იზიარებდნენ ოჯახის მწუხარებას.

ქალაქის მიყრუებულ ფოლორცში მორაცრაცე ბიჭის წარმოსახვაში უეცრად წამოშლილი და მოასკინკილავე

მირიუს ხარბიანი
დაპროზონი

სტრიქონებიც იმ ჩელტისტიშკრიანი
ეზოს სტუმრებივით ერთმანეთის მი-
ყოლებით ლაგდებოდნენ:

ვექსილების მებრუნე
არმიებად მოჯარდნენ,
წილნაყარი უახლეს
რითმასთან და მოდასთან.

ენლაქარდიანნი,
სამახვშიო კოშკიდან
ეთერს ატორტმანებენ
წარწმითა და ოშკითა,
წარწმითა და ოშკითა,
მულახით და როშკითა!

ენუევიან მსმენელებს,
ლექსთა გადაშეთხველებს,
უნაწესი კოცნის და
ამბორის შემწირველებს, —
ჰოი, საკვირველებავ! —
ჩვენა ვართო პირველნი,
ჩვენა ვართო პირველნი..

იყო გალაკტიონი
მოვარდნილი ზეგარდმო
მადლით სვეტიცხოვლის და
უწმინდესი სიონის,
რო აჭრილა ზეცაში —
ნებსით კავკასიონის,
ნეტარებით დაფერილ
სევდით მტკვრის და
რიონის!..

ყელის წვევა მრევლისთვის
იმას არა სჭიროდა,
მდუმარების სარკმლიდან,
მკრთომარ სანაპიროთა
მსოფლიოს გაჰყოდა,
მსოფლიოს გაჰყოდა!..

— უი, ისგვეი მაზიგ მი... — ალა-
ლად ეფერებოდა თანასოფლელებს
თავნაბდისქუდიანი, გამხდარი, ყვრიმა-
ლებ გამოვარდნილი ახალგაზრდა, ჭე-
რაც ლინლიანი და ნინველა ოჯახის
უფროსი — მცირედზე ნუ დამძრახავ-
თო. იგი ამ მურყვამებევით მართალი და
ნაღდი იყო და ამავე დროს მსკვალი-
თა და რიღით აღსავეყ. ამ სიმართლის
იმედი ჰქონდა. აბა, ქალებს ხომ არ
აყოლებდა ჰქუას, რო ამუნათებდნენ
— გაიმართე, ხმა აღიმადლე. მოსული-
ერდი და მომჭევრიანდი, ვითომდა თა-
თარყან დადეშქელიანივით თავზე გა-
დაგდის ცხონებ-ქონებაო. არა, იგი
მეტისმეტში ვერ წავიდოდა. თათარყა-
ნად ვერ მოაჩვენებდა თავს. სიჩუმე და
გარინდება მართებდა..

— ჩვესგუ, სი მაარე! — ჩამომიშხ-
ლეო, — ახლა უკვე სტუმრები შესთ-
ხოვდნენ ოჯახის უფროსს — მომსვლე-
ლი ყველა მოვიდა და ფეხზე დგომას
რალა ფასი აქვსო.

მართლაც ყველა დამხსდარიყო, თეი-
თონდა ეყუდა ჭიშკართან.

— ქალე, სი მაარე...

„ბედოვლათო, რალას გაპაპაჯორდი,
რა თავპატიყი დაიდე, ბოლოს და ბრ-
ლოს...“ — შეუტაცხანა მერმე საკუ-
თარ თავს.

ბეჟა გაბლიანმა ნაჯიბს აუჩქარა...
„საიდან სადაო, წმინდაო...“ ვერაფერი
გაეგო, ამ ლექსს რა კავშირი ჰქონდა
ჭირის სუფრასთან, მერე მიხვდა, კვლავ
იმ კაბინეტისა და სასწავლებლის მწე-
რალთა წრის განწყობილებას მოეცვა
მისი არსება. ნუთუ თავიდან იწყება
ყველაფერი? — ცივად გააერილა ბე-
ქას ტანში..



„ტიციან მჭვია, ვრჩები ტიციანად ლექსით და
ღვინით ყველგან მიცანით.

ტ. ტაბიძე.

თუ ალუჩების გეცა სურნელი,
მზით თუ გაგიტბა გულის ფიცარი.
თუ სიყვარულით ხარ უკურნელი,
თუ ტიციანი ლექსით იცანი...

მაშ, დაუჩოქე მიწას მუხლებით,
უფრო გაგეხსნას იქნებ იარა!

არაგვი არაგვს თუ შეუერთდა
და ზვირთმა გულზე გადაგიარა.

ვარსკვლავი ზეცას თუკი მომწყდარა,
ნათელი სული აძგერე ბინდებს,
სიტყვა, რომელიც გულზე მომდგარა,
სისხლად დაღვარე, არ შეგეშინდეს.

ზღვები ღელავენ სადღაც შორეთში,
მთაზე შემდგარა მარტოდ მთიბაფი,
ჩემზე უკეთეს აბა რას გეტყვის,
მუცლით მეზღაპრე და ან მჩხიბაფი:

„შენთან ერთად დღე კი არა
შუა ღამე ნათელიობს,
დაქანცულმა სიყვარულმა
გული უნდა გათელოს...

ალგეთი და მოდინახე
მისცურავენ ღამეში,
ოცნებებით ჩავიკარგე
გაუთხრელ სამარეში.

როცა მთვარე ღამეს ლოცავს
მუხლზე წამოჩოქილი,
ძველი სევდა მაგონდება,
შენგან გამოცნობილი“.

არაგვთან

სისხამი,
როგორც ვეფხი ქორბუდას,
არაგვის პირას წამოგვეპარა.
სუფრა — ავსილი კახური ღვინით
ღუშეთის ბინდ-ბუნდს ამოეფარა.

მახსოვს, ქარბუქო, მაშინ ტიროდი,
გალახულივით ბლაოდი სადღაც,
ქართლის მთებზე გაგვაზვიადე,
დახარბებულებს გვენატრა რალა.

ჯამებში გვესხა თითქოს არაგვი,
და ძარღვებშიაც არაგვი ჩქეფდა,

ღამის სამანზე ქუხდა მდინარე
და გაფითრებულ კლდეებს შეჰყეფდა.

ისე მეჩვენა სვეტიცხოველში,
ძელიცხოველის ჯვართან ვლოცავდი,
დაჭრილ ლომივით ვეგდე ხატის წინ
და სიჭაბუკეს შენ მილოცავდი.

შენ შორს ნახვედი და მე დამტოვე,
მე მარტო დავრჩი ჩემსავე გულთან,
მე თეთრ არაგვში დავიხრჩე თავი,
მკვდარი მიპოვეს მე ანანურთან.

მთვარე ღამეში ბინას დაიდებს,
ღამეთა ჯარის დიდი სარდალი,
ზეცა ვარსკვლავებს ველარ დაიტყვს
და სიჭაბუკე ცამდე მართალი...

ველარ გაუძლებს ამ სილამაზეს,
გრემი ბინდ-ბუნდში როგორ შევიდა,
და დააჩოქებს ცვრიან ბალახზე
გადმოხედება ზედაზენიდან...

ნიავი ღრუბელს რომ მიაცილებს,
ნიავი სევდის ცასთან მიმქონი,

და ვით სიბერე ამ სიყმაწვილს
დაედევნება მთვარეს სტრიქონი.

გაფრენილან ქედნები და სევდამ ჩამოთოვა,
და თბილისის ქუჩებით სიყვარული მოდის,
ქაშუეთი, ზედაზენი ღმერთმა მიატოვა,
ალბათ მალე ჩვენთან მოვა,
„მოვა მაგრამ როდის“.

ვედრება

არმაზის ციხევ, მითხარ შენდობა!
მტკვარო, ზედ გულზე გადაიარე,
მუხლზე დაცემულს თუ არ მენდობა
თვალეები ლურჯი და მგლოვიარე.

მცხეთის სალამოვ, სავსე ხარ ეშხით,
ცა თუ გიხდება, ეგეც ახია,
ქარს გაჰყოლია იმდენი რეჩხი,
რომ ოცნებათა ბინდში გაგხვია.

სხვაფრივ წამებას არ ვინატრებდი,
გამობმული ვარ ცხენის ძუაზე,

ქართლის განთიადს ველარ დავუცდი
და ლამის წყვდიადს ვხლიჩავ შუაზე,
მტკვრის ნაპირების მე ვარ ხიზანი,
ეშმაკებს მოაქვთ ღვინო გობებში,
ლამე დამთვრალა როგორც ნიზამი
და მიბარბაცებს ჩვენს ორლობეში...

არმაზის ციხევ, არ თქვა შენდობა!
მტკვარო, გულზედაც ნუ გადაივლი,
თუ მე ამ ქვეყნად ვინმე მენდობა,
უთქვენოდ გულში ის არ გაივლის.

ღამე ქაჯვში

შემოგვალამდა ძეგვის მთებში,
მღვიმესთან ახლოს,
ვიდექით ოთხნი, მდუმარენი,
ცეცხლიან ქარში.
შრიალი ვერხვთა შემზარავი,
ღმერთმა დალახვროს!
ზეცას ავხედეთ და ვარსკვლავნი
ჩაბარდნა თვალში...

დავანთეთ ცეცხლი,
ზედ შუაზე გააპო ღამე...
შეგხედეთ ერთურთს,
სიყვარულმა გვაჯობა ყველას,
და გავაზივით
გულამაყებს იმ შუა ღამით
ღანვებზე ცრემლი
დაგვიცურდა იმ მთების ხელა.

ეს ჩვენი სულიც
სიყვარულით გათელილია
და საქართველო
გულს გაგეჩრია, როგორც ნაჯახი
და როს შევთვერით
და გვეგონა თავი ილია,
მოვინატრიდით,
შემოგვეცროდა კაკო ყაჩალი.

ვიდექით ოთხნი
და სიყვარულს ვადღეგრძელებდით,
ვიდექით ღოცვად სიყვარულის
ცეცხლიან ქარში,
წამოგვაჩოქა ხელაპყრობით ღამემ
მზიანმა.
ზეცას ავხედეთ და ვარსკვლავნი
ჩაბარდნა თვალში...



მურთაზ ჩახავა

ნუ უიშობ, ჯიჯინო!

(ნოველა იტალიური ცხომებზედან)

ჯიჯინო. პო. გელოდები!..

ღია კარიდან სამი წლის ფეხშიშვე-
ლა გოგონამ გამოიხედა. მოკლე პერან-
გი თეძომდე სწვდებოდა: გამოიქცა, მა-
მას გარშემო შემოურბინა და ვედროს
სახელურს მეორე მხრიდან ჩაჰკიდა ხე-
ლი. ჯიჯინო ფრატუნით დაუყვა აივნის
კიბეს.

ეზოში ყაყანებდნენ. მენავვე ისევ
და ისევ აელარუნებდა ზარს. ნაგვის
მანქანას ყოველი მხრიდან მისეოდნენ.

ტომტომ. პო. კარგი. ტუინი ნუ წაილე!..
ქვეყანამ გაიგო, ბატონო. ნავავი მი-
გაქვთ!

— შერე დედ-მამის სულს მიტრია-
ლებენ. თუ ვინმე განზე დამირჩა. —
მენავვემ ზარი მანქანის კაბინის სახუ-
რაზე შემოდო.

— უფრო მეტსაც გიზამენ. რადგან
წაღებით კი მიგაქვს და არაფერი მო-
გაქვს. ეგრე არ არის. ბინი?! — ჯამპიე-
რომ ახლა გულიანად გადაიხარხარა და
ლიპზე ხელი დაირტყა.

— ძვირფას მეზობლებს სალამი! —
კანუტიმ ნაგვის ვედროებით „დამშვე-
ნებელი“ სუსტი და გრძელი ხელები
მალლა ასწია.

— შენისთანა რიგიან მეზობელს რიგ-
გარეშე წასვლა არ მოუხდება.

— ჩემზე ბრძანებს ტოტო ალტო-
ბელი?

ადრესატს არ შეშლია.

— მაშ უნდა გითხრათ, რომ ძალიან
ჭუჭყიანი ვედროებით ჩამდგარხართ
მაკარონის რიგში.

— რა ექნათ. მაინც ასე გვირჩევენია:
რიგი და წესი! ხომ იცით... ნუ იუხერ-
ხულებთ ლუიზას უკან დადგომას.
გვჭერა. რომ წინააღმდეგი არ იქნება.
— ტოტომ გრძელი ცხვირი კვლავ მალ-
ლა ასწია.

— უკან არა. და წინ კი უთუოდ და-
ვიყენებდი!.. — თეძო გაიქნია ლუიზამ.
მეზობლები ახარხარდნენ.

— მე არც ერთ ობიექტზე ჩავარდნა
არ მჭონია. — მხრები აიწურა კანუტიმ.
პა-პა-პა!.. — ახლა უფრო ახარხარდ-
ნენ მეზობლები.

ლუიზა. შენ. ეი. წვრილა. ჩანგალს
რომ ჰავებარ. ცოტა ჭკუით!..

კიბეზე ჯიჯინო გამოჩნდა ბავშვთან
ერთად.

შემილანი. დილა მშვიდობისა, ჯიჯი-
ნო!

— დილა მშვიდობისა. მეზობლებო!

— მამა-შვილა გაუმარჯოს! — ლუი-
ზამ ბავშვს გაუცინა.

— შენი ხელობის ქალს ბავშვი მა-
ინც გავეჩინა. არ გინდოდა? ურიგოდ
წახვიდოდი. ახლა კი ჯიჯინოს რიგია!
გაატარეთ, გაატარეთ. ჯიჯინო. ბავშვი-
ნია!.. — ჩაიხიოხითა ჯამპიერომ და ჩი-
ბუხი ვააბოლა.

— მამა! — აკყვიბინდა ლუჩია.

— დაიცა, შვილო, ხალხისთვის ორი-
ოდე სიტყვა მაინც მათქმევინე, რა გეჩ-
ქარება.

— მა-მი-კო!.. — დაიკვირბინა კვლავ
ლუჩიამ.

ბინი. შენ, ეი, აქეთ მოიხედე, ვეღარ
ხედავ, რა ნიჭიერად ასრულებს ეს ბავ-
ში თავის როლს? ნავაგი გადაუყარე!
მენაგვემ ხელი გამოიწვდინა. და-
ხეული ხელთათმენებიდან თითები მოუ-
ჩანდა. ჭიჯინომ ვედრო გაუწოდა.

— აყარე-დაყარე, ძმობილო!.. —
აღიღინდა ტოტო.

— ჭიჯინო?! — აივანზე სიღვია გად-
მოდგა, მოაჯირზე რიგრიგობით ხუთი
ბავშვის თავი გამოჩნდა. — რას უც-
დი, გავიწყდება, სამსახურში აღრე რომ
ხარ წასასვლელი?!

ჭიჯინომ წარბები შეათამაშა.

— არ გამიკვირდა ამ ბოლო დროს
საყიდლებით ხელდამშვენებული რომ
მოდოდა?! — მეზობლებს გადახედა
ლუჩიამ.

— მართლა, ჭიჯინო? — ჯამბიერომ
თვალები გადმოკარკლა, — კი მაგრამ!..
„ეტყობა, დიდ ნავთობს წააწყდა, მა-
ლავს!“ — წამოიძახა ვილაცამ.

— კარგი გეოლოგი უნდა იყო და,
ბარსაც თავის ადგილზე დაჰკრავ! ახლა
კანუტი მიაჩერდა.

ჭიჯინომ მენაგვეს ვედრო გამოართვა.
ბავშვი სირბილით ავარაკიბეზე.

— ჭიჯინო, იქნებ... — მეზობლები
ერთბაშად ჭიჯინოსკენ შებრუნდნენ.
— ეს ერთადერთი ადგილი ჰქონდათ
— თავი ჩაქინდრა ჭიჯინომ. — ისიც
დროებითი სამუშაოა... თუ რამე გა-
მოჩნდა, კარგად იცით, არ დავმალავ.

ჭიჯინო შებრუნდა.

— აყარე-დაყარე, ძმობილო! — აღი-
ღინდა კვლავ ტოტო.

ბანშტი. ნუ გამიწვრილეთ გული,
მგონი, ჩემი რიგიც მოვიდა!..

ჭიჯინო კიბეს აუყვავა.

მენაგვე ისევ და ისევ ჩამოკრავდა
ხოლმე ვედროებს ძარაზე, ქუჩაში
ყაყანი იღვავა.

მილანი. ცენტრის განიერი პროსპექ-
ტი. თეთრსა და მალალ შენობებს მზეზე
ლაპლაბი გაუდით. თვალისმომჭრელად
ციალებენ ფერადი ვიტრინები.

მღორედ მიედინებიან ქუჩებში შე-
ფენილი მსუბუქი მანქანები. სამრეკლოს
ზარის ხმაზე მტრედებმა ქალაქის თავ-
ზე გადაიტყრიალეს. მღერის ადრია-
ნო ჩელენტანო. გარშემო ჰანგები იღვ-
რება. ქალაქი მსუბუქად იძირება სიმ-
ღერის ბურუსში. დილის ნიავი საამოდ
ქრის.

მძიმე, უღარდელი კაცის ნაბიჯებით
აპყლია ტროტუარს ჭიჯინო, მისი თვა-
ლები უცნობთა სახეებზე დაცოცავენ.
მერე თავი იხრება დაბლა და ქუჩაში
მხოლოდ ფეხები მოძრაობენ; ფეხები...
ფეხები... ფეხები ერთმანეთს მიჰყე-
ვიან, ფეხები ერთმანეთს ჩაუვლიან, ფე-
ხები ერთად ჯგროდ მიდიან; ფეხები
მინიატიურული, ფეხები ენერგიული...

ჭიჯინო ვიტრინასთან შედგება, მალა-
ზიაში საქონელი შეაქვთ. ჭიჯინო მოხ-
მარებას მოინდომებს. ვილაც მამაკაცი
უფლებას არ აძლევს, თხოვს, რომ გა-
იაროს.

ჭიჯინო მიდის, ჭიჯინო ტროტუარს
აუყვება. ისევ მოისმის სიმღერა. ჭიჯი-
ნოს თვალები კვლავ ჩუმად, ლანდევით
დაცოცავს უცნობთა სახეებზე.

ხილს ნელა მოუყვება ტრამვაი, მოა-
ჯირზე გოგო-ბიჭი გადაწოლილა. ქვეშ
ჩქაფანით მიედინება მდინარე; ნაპირზე
ლოდები ყრია.

საამოდ გაისმის კვლავ ადრიაანო ჩე-
ლენტანოს ხმა. მეტროს შესასვლელთან
წითელქუდიანი გოგონა ქრიზანთემებს
ყიდის. იქვე, გადასასვლელზე შუქფარი
აინთო. ერთბაშად დამუხრტუდა მანქა-
ნები.

მუსიკის რიტმი გარემოს აყრუებს.

უნივერსალში ხალხი ირევა. გამყიდ-
ველები ციბრუტივით ტრიალებენ. სა-
სყიდლებით ხელდამშვენებულნი მოე-
მართებიან ყოველი მხრიდან.

დამუხრტუქების ხმაზე ჭიჯინო გამო-

ერკვა. ტროტუართან ფორდის შავი მანქანა ჩერდება. ჭიჭინო მძღოლს დასწრებს და კარს აღებს. მანქანიდან სმოკინგში გამოწყობილი ჯენტლმენი გადმოდის. მძღოლი უხერხულობას ვერ მალავს. ჭიჭინოს ხელში ხურდა ჩაჩხრიელდება.

ბაკიბუკით მიმოდინ კვლავ მოსიარულე ფეხები.

ქუჩის კუთხეში კარეტა დგას. მთავარ მოქმედ გმირ ქალბატონს ემშვიდობებიან მეჩვიდმეტე საუკუნის დიდებულები. ამწეზე შემჯდარი კინოოპერატორი მალლიდან დაბლა ეშვება კარეტისკენ, აპარატის სასხლეტი დაშვებულია.

კვლავ სიმღერა.

მალაზიის ვიტრინებს ამშვენებს ქორფა კიტრი და წითელი პამიდორი, ძეხვი და შებოლილი სტავრიდულა. პარკებში ფათურობენ ხელები და ივსება კალათები.

ჭიჭინო ქუჩაში მიაბიჯებს. ორივე ხელით რაღაც შეხვეული მოაქვს. ქუჩის კუთხეში მღესავი უშველებელ დანას ლესავს. გვერდით ვიღაც მხრებში მოხრილი შლაპიანი კაცი ურიკას მოაგორებს.

ჭიჭინო წუმპეს გადაახტება, იღება სადარბაზო კარი. მეზობლები ეზოში ხმამალა ლაპარაკობენ. ჭიჭინოს დანახვაზე შეცბებიან.

— ბრავო, ბრავო, ჭიჭინო! — ხელგაშლილი გამოემართა ჯამპიერო.

— აჰი გეუბნებოდი, ჭიჭინო, ბედმა ვაგილიმა-მეთქი!.. — ახლა კანუტიმ დაჰკრა მხარზე ხელი.

— კი, მაგრამ, რა მოხდა?!

ტომტომ. ჭიჭინო, ჭიჭინო, ნუ იტყვი... შენმა შვილებმა საექიმო სასწორო იპოვეს.

— რაო?

მეზობლებმა ჭიჭინოს ხელი დასტაცეს და სასწოროთან მიარბენინეს. ჭიჭინომ სასწოროს გარშემო შემოუარა...

— იცოდე, ბედმა ვაგილიმა, სასწოროს ცოტა შეკეთება უნდა. დაიჯერე, სამუ-

დამო ლუკმა გაუჩნდა შენს ოჯახს, — ლუიზამ ცრემლები მოიწმინდა.

„მამა!“ — შემოეხვივნენ შვილები ჭიჭინოს.

ჭიჭინოს ხელიდან შეხვეული საგანი გაუვარდა, ერთი შეიქცადა და მერე ცალ ფეხზე ტუნვა იწყო. მეზობლებმა დაბლა დაიხედეს.

ფეხებთან ორი აგური ეგდო.

ქველანდი: ჭიჭინო!..

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აგური?! — კანუტიმ ჯამპიეროს გადახედა.

ტომტომ: მამ მეზობლების დასანახავად ხელდამშვენებულს გინდოდა გეცლო, არა?!

— აგური დაგჭონდა?! — ტომტომ მეზობლებს გადახედა.

— ახლა კი ახია, იხტუნოს ბალერინასავით ცალ ფეხზე! — ხელები გაშალა ბინიბ.

— ერთი თქვენი! — ჭიჭინომ შვილებს წაუტყაპუნა და მერე აგურს ფეხი წაჰკრა.

— ჰა-ჰა-ჰაა! — ახარხარებული მეზობლები ერთმანეთს მიაწყდნენ. მათი გულიანი ხარხარი ახლა ჭიჭინოსაც გადაედო. ჩამეირებულს, თვალებში ცრემლი ჩაუდგა და სული ძლივს მოითქვა. ისევ და ისევ ხარხარებდნენ მეზობლები.

— ჭიჭინო! — აივანზე სილვია გადმოდგა.

— ო, სილვია! — ხელები გაშალა ლუიზამ. — შენმა საყვარელმა ჭიჭინომ ერთი პური და ორი აგური მოგიტანა!

„ჰა-ჰა-ჰაა!“ — კვლავ ერთმანეთს მიაწყდნენ მეზობლები.

სილვია. ჭიჭინო, ამოდი ლაზლანდარობისათვის არა გეცალიან. გესმის!

— ნუ უსმენ, ჭიჭინო, — ლუიზამ ხელი დასტაცა ჭიჭინოს და შეანჯღრია. — სწრაფად. სწრაფად მოიყვანე ხელოსანი და აი. ნახავ!..

მურთაზ ჩახავა

ნუ შიშობ. ჯიჯინო!



— მართალს გეუბნება, რას დამუნ-
ჯებულხარ, — ახლა ჯამპიერომ შეუტია.

— კი, მაგრამ... მეზობლებო!..
ლუიზა. ჭიჭინო, აი, ნახავ, ჩქარა,
ჩქარა!

მეზობლებმა ჭიჭინოს კვლავ დასტა-
ცეს ხელი და კარებამდე მიარბენინეს.

შვილები: მიდი, მიდი, მამა, ხელო-
სანი მოიყვანე, ხელოსანი?!

— პეინო, ნანდო, ჯოვანო, ლუჩია,
რივერა! თქვენ ეს პური დედას აუტა-
ნეთ!

ჭიჭინო კარში გავარდა. ბავშვებმა
პური კიბეზე აარბენინეს.

— როგორ ფიქრობ, გამოვა რამე?
— ჭიჭინო ხელოსანს მიაჩერდა. სას-
წორქვეშ შემდგარი ხელოსანი კისერ-
მორეცილი ხრახნიდა ჰანჭიკს, თან
ულვაშის ბოლოებს აცმაცუნებდა. გარ-
შემო სუნთქვაშეკრული მეზობლები
იღვანებდნენ.

— უნდა ვითხრათ, რომ... — ხელო-
სანი წელში ნელ-ნელა გაიმართა და
მასუთიანი ხელი ჩერისკენ წაიღო.

— აქეთ მოიხედე, — ჭიჭინომ სას-
წორზე გადაკიდებული ჩვარი ჩაბლუ-
ჯა, ხელოსანს ხელში ჩვრის წვერი შერ-
ჩა დაქაჩული. — უარს ნუ მეტყვი, ხუ-
თი შვილის მამა ვარ... არ იჩქარო...

ჯამპიერი. ჰო, უარს ნუ ეტყვი!..
შენ კარგად არ იცნობ ჭიჭინოს.

ხელოსანი. კი, მაგრამ ზამბარას გა-
წყვეტ...

ლუიზა. რაც უნდა იყოს... ყველაფე-
რი შეგიძლია...

ხელოსანი მეზობლებს შემოუბრუნ-
და. დაშინებულ სახეებში ჩამწყვდეუ-
ლი თვალები შუშის ღილებივით ბზი-
ნავდნენ. გაშეშდა, სახის ნაკვთები
აუთრთოლდა.

ტომო. ჰო, არ იჩქარო...
ტანუტი. რა თქმა უნდა, ყველაფე-
რი...

ხელოსანი. აკი ვითხარით...
— დავიჭეროთ, რომ ჩვენი გულის

მოსაკლავად მოდით?! — ჭიჭინომ
ლი მოიწმინდა.

ხელოსანი. ძვირი დაგიჯდებათ.
— ვაშა!.. — გაისმა ერთხმად.

— ბრავო, სენიორ, ბრავო!.. შენ
დამსხვრეული გულების ოსტატიც ყო-
ფილხარ! — ტაში შემოჰკრა ლუიზამ.

ვიოლა. აკი გეუბნებოდი, ჭიჭინო!
ტანუტი. მაშ ასე, ბატონ სენიორ
ჭიჭინოს ჩვენი თაყვანისცემა და აღტა-
ცება!

ჯიჯინო. სილვია! სილვია!.. ხომ
გესმის, სენიორი ხელოსანი ბრძანებს.
აწი თქვენზეა საქმეო, აბა, რას იტყ-
ვი?!

ივანზე გადმომდგარმა სილვიამ თა-
ვი გაიქნია;

— ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი.

— შეხე, შეხე, ხომ არ გგონია, თა-
მაშობს, ვერა ხედავ, პიჯაკი გაიხადა,
ეს კი გამარჯვებას ნიშნავს, გამოიტანე
ის შენი საუცხოო ლუდი შენივე შვი-
ლების ლამაზი ხელებით. ჩვენ ბო-
ლომდე დავლევთ, ძვირფასო სილვია,
შენს საღვებრძოლს!.. — ჭიჭინომ ქუ-
დი მალა შეაგლო.

ჯამპიერი. ამგვარი ქველმოქმედე-
ბისათვის სენიორა სილვიას ღიღება და
გამარჯვება!..

— ამას ვინ ამბობს? — მალლიდან
დააქცერდა სილვია ეზოში გაფანტულ
მეზობლებს.

— რა თქმა უნდა, მე!.. თქვენი ოჯა-
ხის კეთილის მსურველი და მეგობარი
ჯამპიერი.

— ჰა! ჰა! ჰა!.. — ერთხმად გადაი-
ხარხარეს მეზობლებმა.

— აბა, ბავშვებო!.. — სილვიას და-
ძახებაზე ბავშვებმა კიბე აირბინეს. —
ჩაუტანეთ ლუდი, ჩაუტანეთ, ჰია გაა-
ხარონ.

ხელოსანმა ხელში ქანჩი აათამაშა: —
ათი ათასი ლირა!

— ოცი იყოს! — ჭიჭინომ დოინჯი
შემოიყარა.

ხელოსანი. წინასწარ!

ჯიჯინო. წინასწარ, რა ამბავია?!
— ხელები გაშალა.

„რაო?!“ — შეიშმუშნა მეზობლები.
ხელოსანი. ფული მაგიდაზე, სხვა-
ნაირად არ გამოვა. ხუთიათასი ლირა
მარტოკა ზამბარას დასკირდება, ახლა
ხელობა? —

ჯიჯინო. აკი გითხარი, ოცი იყოს-
მეთქი.

ხელოსანი. კეთილი და პატიოსანი!..
მაშ. გამოუშვი!

ჯიჯინო. ოცს იმისთვის გაძღვე,
რომ უნდა დამაცადო შემოსავლის გა-
ჩენამდე.

— ეგ საქმე არ გამოვა, — ხელოსანმა
ქანჩი მაგიდაზე დაავლო და პიჯაკს
დასწვდა.

— ვერსად წახვალ, ყმაწვილო! —
ჯამპიერომ ხელი ჩაავლო.

— გინდათ, რომ აქ დავალამო? ეე-
თილი! ესეც შემიძლია. (ყვირილით) ეე-
თილი ინებეთ და, პიჯაკს ხელი უშვით!

— ეგ კაცი სიკეთეს არ იზამს, რო-
გორც ვატყობ, — ტოტომ მხრები აიჩე-
ჩა.

— ის დროა, რომ ფულს ვაგროვებ-
დეთ! — კანუტიმ ახლა ქუდი მოიხადა.
ბინი. ე. ჰეი, ხალხნო! — გადამბრუნ-
ებულ კასრზე შეხტა. — დაუპკეთ ფუ-
ლები, ვისაც რამდენი შეგიძლიათ, ლუ-
ინა ჩაიწერს!..

— დიახ, ჩავიწერ, რომ იცოდეთ.
ჯიჯინო ამას ორ დღეში გადაიხდის!

ჯიჯინო. მეზობლებო! (განცვიფ-
რებულია.).
ბავშვები კიბეზე თავქვე ჩამორბიან.
ხელში ლუდის ბოთლები ჩაუბლუჭავთ.

— ახლა რას იტყვი?! — ჯიჯინო
ხელოსანს მიაჩერდა.

— მე ფაქტი მაინტერესებს.

— ფაქტიც ახლავე იქნება. ჯერ ერ-
თი, მანამდე თითო დავლიოთო! ჯიჯინომ
ბავშვებს ბოთლები ჩამოართვა.

— მე არა ვსვამ, — თავი გააქნია
ხელოსანმა.

— დალიე, დალიე, ვერა ხედავ. ლუ-
ინას უკვე რვეული და ფანქარი მოაქვს.

— აქეთ, აქეთ, სენიორიტა ლუიზა,
მაგიდას მიუჯექით. კალიგრაფია როგო-

რი გაქვთ? — კანუტიმ ქუდით შე-
გადაწმინდა ლუიზა მაგიდას მიუჭდა.
ლუიზა. აბა?! — თავი ასწია.

ჯამპიერომ კანუტის ხელიდან შლაბა
გამოსტაცა და ლუიზას დაახურა. მა-
გიდას პირველი ტოტო მიადგა.

— პატივისცემითა და სიყვარულით
ხუთასი ლირა ტოტო ალტობელისაგან.

— ხუთას ორმოცდაათი ჩემი, ჯამპი-
ერო ჯერ არ მომკვდარა, — საათის ჩი-
ბიდან ოთხად გაკეცილი ფულები ამო-
იღო და ლუიზას წინ გაუშალა.

— არც კანუტია წყალწალბებული.
ათასი ჩემგან იყოს.

— ათასი კი არა, ხუთასი. — ფანჯა-
რაში თავი გამოყო კანუტის მეუღლემ.

— ათასი! არც მეტი, არც ნაკლები!

— კეთილი, მხოლოდ, იცოდეთ, მერე
ქირი მომპკამე!

— ქირიც კამე და ოხრახუშიც მია-
ყოლე!

„ჰა! ჰა! ჰა!“ — ახარხარდნენ მე-
ზობლები.

— ამ სასმისით... — ჯიჯინომ ბოთლი
ასწია.

ლუიზა. თან საქმე! — ფანქარი შე-
ათამაშა.

ჯამპიერომ ხელოსანს ბოთლი ხელში
შეაჩეჩა:

— შენ ბ ა ბ ი მ ა რ ჯ ო ს, აბა
ერთი გაგვხარე! — ბოთლი ბოთლზე
მიუქანხუნა. მერე ლუიზას გადახედა.

— ჯავრი ნუ გაქვა, ჩვენთან მარტო
პურზე როდი დგანან რიგში.

ხელოსანმა ზედიზედ მოსვა და ბო-
თლი განზე გადადგა. ჯამპიერომ თავისი
ბოთლი ახლა ბინის გაუწოდა. იმანაც
ერთი-ორი ყლუპი მოსვა და ბოთლი
კანუტის შეაჩეჩა.

ლუიზა. ახლა რას იტყვი, უკან
ვაბრუნებ ათას ლირას, რადგანაც ზედ-
მეტია.

ჯიჯინო. ესეც ჩემი ვალი იყოს.
გთხოვთ ჭოვანოს მიაწოდოთ, მოხუცია,
ფუნთუშა კამოს.

მართაჲ ნახაჲა
ნუ შეზოჲ. ჯიჯინო!

— ჭიჭინო!.. — მალლიდან სიღვიამ
გადმოიხედა, — გერჩია, ის ფუნთუშა
შენს შვილებს ეკამა... ო, ჭუბუბე გა-
რიბალდი!.. იტალია შენით სუნთქავს!

პა-პა-პა! — ახარხარდნენ კვლავ მე-
ზობლები.

ჯიჯინო. ძვირფასებო, ბევრს ყა-
ყანებთ, ხელოსანი არ გამოქციოთ.

ტომო. ჭიჭინო, ეგ ხელოსანი აწი
ცოლ-შვილს უფრო ადვილად გაექცე-
ვა, ვიდრე შენ, ლუიზას ხელშია ახლა
მაგის სული.

— აბა, ყოჩაღად, აბა ცყოჩაღად! —
ლუიზამ ცალი ფეხიკასრზე შემოდგა
და ხელოსანს გვერდიდან გადახედა.
შლაპა მოხადა, დაინიავა.

— ერთი ყლუპი მეც რომ მოვსვა,
რა იქნება! — ხელი გამოიწვდინა კა-
ნუტიმ.

— ალალი, თუმცა კარგ დროს გაგა-
ხსენდა, შეგიძლია, ბოთლებს წყალი გა-
მოავლო და ლაზათიანად ყლურწო, —
ცარიელი ბოთლი გადმოაპირქვავა ჯამ-
პიერომ.

— ფული! — თქვა ხელოსანმა და
ჩეარზე ხელი შეიწმინდა.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო, რას უდგებართ, ფული! —
გაიმეორა კვლავ.

— მაშ, ყველაფერი რიგზეა? — ჭი-
ჭინომ ხელის წაბანება მოუნდომა სას-
წორს.

— დიახ, რიგზე გახლავთ!

— შევდგე? — ჯამპიერომ მხრები
შეათამაშა.

— შენ არა, ჯამპიერო, — ჭიჭინომ
იქაურობას სწრაფად მოავლო თვალი.
— სიკეთისათვის კანუტი შედგეს.

— ჩემთან თუ წახდა, არც სხვისთან
ივარგებს.

— მიუშვი, შედგეს.

— როგორ თუ შედგეს, შენ ამის
უფლებას აძლევ?

— დიახ, ვაძლევ.

— გესმის, ჯამპიერო, უფლებას გაძ-
ლევს!

— უფლებას მაძლევს, თორემ ესეც
ერთბაშად დეპუტატად არ მირჩევდეს.
ჯამპიერომ ჭერ ცალი ფეხი შედგა,
მერე მეორე.

ხელოსანი სასწორს მიუბრუნდა:
128 კილოგრამი ხართ, არც მეტი, არც
ნაკლები.

— ეხლა კი მჯერა, რომ ყველაფერი
ცხადია, — ჯამპიერომ თვალები გად-
მოკარკლა.

ლუიზა. მეზობლებო, ვაშა!

„ვაშა!“ გაისმა ერთხმად. ხელოსანმა
უკანასკნელი ღირაც მიითვალა და ფუ-
ლი შარვლის ჭიბისკენ გააქანა.

— ვაშა, ოსტატო! — ყურებში ჩა-
აფრინდა ლუიზა ხელოსანს და მერე
ცხვირზე აკოცა.

— რა მაინცდამაინც ცხვირს დაუ-
მიხნე, ქალბატონო, — ცხვირი ასწია
ტოტომ.

— ამჯერად ასე გადავწყვიტე!

მიზობლები: „პა-პა-პა!“

— ხეირი ნახე! — ხელოსანი კარის-
კენ დაიძრა.

ჯიჯინო. იცოდე, კიდევ შეგხვდე-
ბით.

— კეთილი!

— აჟი გეუბნებოდნი, ჭიჭინო, — ლუი-
ზამ ცრემლები მოიწმინდა. — აჟი გე-
უბნებოდნი, შენს ოჯახში იმედი გაჩნ-
და. ჰამონ და ჰამონ ბავშვებმა მონატ-
რებული ფუნთუშები და შებოლილი
ბეჭვი.

— ჰო, მართლა, ამ სასწორს, ცოტა
არ იყოს, შელებვაც დასჭირდება. —
ბინი სასწორს მიაჩერდა.

— იქნება!.. — ჯამპიერომ მეზობლებს
გადახედა.

მიოლა. ცისფერი საღებავი მაქვს,
ივარგებს?

ჯამპიერო. ივარგებს.

— აჰა, ფუნჯიც! — ტოტოს მეუღ-
ლემ ფანჯრიდან ფუნჯი გამოიწვდინა.

ლუიზამ საღებავებით სავსე ქილა მა-
გიდაზე დადგა.

— აყარე-დაყარე, ძმობილო... —
ალიონდა ტოტო.



— მინახავს, ასე ფრონტზე აცილებდნენ კაცს, — ჭიჭინომ ცოლს ხელი მოხეცა.

— შენი ფრონტი აი... ელებია, შიმშილს უნდა ებრძოლო, უსისხლო იარაღით.

ჭიჭინომ ხალათის ვახდა დაიწყო.

სილვია. შინ მაინც შესულიყავი, მეზობლების არ გერიდება?!

ჭიჭინომ. კარგი, ქალო, ესენიც რა შორებლები არიან... მერე და, საცვლებისამარა ხომ არ ვდგავარ.

ტოტომ პიჯაკი დაფერთხა, ჭიჭინოსაკენ იბრუნა პირი, — ვაჟყვარე ამ პიჯაკში ხელი.

ჭიჭინომ ჭერ ხელები გაუყარა, მერე შეხტა და მხრები შეათამაშა: — ცოტა განიერი უნდა იყოს...

ჭამპიანი. მგონი, ქალის სანახავად არ მიდიხარ, მთავარია, მუშტარი არ დააშინო.

— ეს შლაპა... — ბინიმ ახლა შლაპა დაახურა, მერე კვლავ წვდა და განზე გადაუწია.

— აბა, აბა, მეზობლებო, ფრთხილად ასწიეთ, არ დამღუბოთ კაცი, — ჭიჭინო სასწორის ყელს მოეკიდა, მეზობლებმაც ერთბაშად დაავლეს ხელი და მჭიმედ დაეშენენ კიბზე.

სილვია. ფრთხილად, ფრთხილად!

ჭიჭინომ. ქალო, მოშორდი აქაურობას!

ვიოლა. იცოდე, სწორედ ახლაა საჭირო გაფრთხილება, თორემ რომ გაგიტყდებათ...

— ქალო!.. — დაიყვირა ბინიმ.

...კოკა — გააგრძელა ვიოლამ.

— მაგ კოკას დაგამტვრევ თავზე და ძვლებსაც დაგილუწავ, სასწორს თუ რამე მოუვიდა! — კისერწაგრძელებულმა ბინიმ ჯანზე გადააფურთხა.

— ცოტა მაღლა ასწიეთ, დაბლა ნუ აჩოჩალებთ, რამეს არ გამოედოს, — უფრო მიეძალა ჭამპიერი.

ერთი ქოთქოთით სასწორი კარამდე მიათრეის, ჭიჭინომ პიჯაკი შეიფერთხა. ტომომ. აბა, კეთილი, გზა, ჭიჭინო!

ჭიჭინომ. იცოცხლეთ, მეზობლებო!

— იცოდე, ავ თვალს ნაცარი! — წინსაფრით სახე შეიმშრალა ვიოლამ. ლუჩინა. გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება, ჭიჭინო!

— აბა! — სილვიამ შლაპა გაუსწორა. ჭიჭინო დაიძრა. ასფალტზე გორგოლაკებმა გრიალი იწყეს.

...რანაირია დღევანდელი ცა. ჭერ კარგად არ გათენებულა და, რაღაც საოცარი ფერი დაჰკრავს. სადაცაა, მზეც ამოვა, იგი დღეს უჩვეულო იქნება. დაბლა გაწვება და სულ ერთიანად მოქარავს ქალაქის ცისფერ სახურავებს. ადამიანებიც მოლიმარი იქნებიან მაისის ვარდებივით და ბაგედან მხოლოდ სიტკბობებს ამოაფრქვევენ.

ო, მილანი!.. უცნაურია და ყოვლისშემძლე შენი სახე, ასეთი ფაფუკი გზები და ასეთი სიცოცხლე... ჭიჭინო, დღეს იქნება ქალაქის მერი...

ვიტრინებს მზეზე კვლავ ლაპლაპი გაუდით. ახლად მორწყულ ქუჩებში მანქანები დასისინებენ. კვლავ საამოდ ისმის მოსიარულეთა ფეხის ხმა. კვლავ ნაცნობი ჰანგები... მოლიმარი სახეები ჩაივლ-ჩამოვივლიან. აქ ნაყინის გამყიდველი დამდგარა, იქ კი ეურნალ-გაზეთების ჭიხური მოჩანს. ცოტა მოშორებით გადასასვლელია. მთავარია, კლიენტს მომსახურებისას მზე არ აწუხებდეს. ცოტა მყუდროებაც ხელს შეუწყობს. პარკის კუთხეში. აქვე... თანაც გვერდით მუზეუმი. ექსკურსანტებმა იციან ხოლმე ერთმანეთის ჭიბრზე თავის აწონა.

ჭიჭინო შედგა.



— აბა, ძვირფასებო. აქეთ! აქეთ! საექიმო სასწორი უცხო ფირმისა. ვწონი მხოლოდ კეთილ ადამიანებს! დიახ, მენახედი სიზუსტით! არც მეტი და არც ნაკლები!..

ჭიჭინო ფილაქანზე შეხტა და შლაპა მოიხადა. აქა-იქ შედგნენ.

— ვინც ამ სასწორს დღეს ჩაუვლის,
— ხელები გაშალა ჩიჩინომ. — სატრ-
ფო ჰყავდეს, გაეჭკვევა, სავსე ჭიქა ღვი-
ნოს სვამდეს, დაღუგამდე დაეჭკვევა. —
თქვა და უფრო გათამამდა, მერე ბავშ-
ვობის დროინდელი კუპლეთი გაიხსენა.

— ხელში ოქროს ჩიტი ჰყავდეს,
დაუფროხეს და გაუფრინდეს,
ანთებული ბუხრის პირი
ჩაუჭრეს და აუგრიოდეს.

ვინც არ შედგეს ამ სასწორზე... —
ახლა თავად იწყო თხზვა. სიტყვები ენ-
ის წვერზე ეღვრებოდა როგორც წყა-
ლი, ონკანიდან მოშვებული.



— ...ხელში ოქროს ჩიტი ჰყავდეს!..
— ჩიჩინოს სახეზე უკვე ხვითქი გადას-
დის. საცრისოდენა თვალებს აბრია-
ლებს. გარშემო შემოჯარვიან. კლე-
ენტს თავს ევლებდა. ჩარლზ ჩაპლინის
მოდრობებით სასწორს გარშემო უშ-
ლის. ფულებს პათეტიკურად იკრავს
გულში. ხალხი იცინის.

— ...ატმის ტოტზე ჩიტი იჯდა... —
სიმღერას იწყებდა ჩიჩინო, უკვე კარგა
ხანია არ იცის, რას ლაპარაკობს. მაგ-
რამ განაგრძობს, მთავარია, არ გაჩერ-
დეს.

— გახჭურაზე ჩაიდანია...
ხალხი ერთმანეთს სიცილით აწყვდება.



— მეზობლებო! მეზობლებო!..
— აღფრთოვანებული შემოვარდება ეზო-
ში ბინი. მეზობლები გამოფენილან;
დომინოს ატაკაუხებენ, ქალები სა-
რეცხა ჰფენენ, ბინის შეძახილზე ყვე-
ლა გაშეშდება.

— ხალხო, ჩიჩინოს სასწორზე ეს
უკვე მეთე კაცმა აიწონა თავი!

„ვაშა!“ — დაიხუტულებენ ერთხმად
მეზობლები.

— აცი ვამბობდი! — ხელებს შლის
ლუიზა.

— არც მე დამიჯერეს!.. — ჯამბო-
რო ჩიბუხს იტაცებს პირში.

ლუიზა. შენ კი ფულის გეშინოდა
— თითს დაუქნევს ვიოლას.

ვიოლა. კი არ შეშინოდა... — აზო-
თავს ვერ უყრის.

— აი, ნახავთ! აი, ნახავთ! — ამბობს
კანუტი. — ჩიჩინო მალე ქალაქის მე-
რი გახდება.

„სა-სა-სა...“ — კვლავ ხარხარებენ
მეზობლები. ბავშვები ეზოში აქეთ-
რქით აწყდებიან ერთმანეთს.
შემობობის ბეჭინო.

— მამამ უკვე ოცი კაცი აწონა. დე-
და!..

უველანი (ერთხმად). ბრავო! ბრა-
ვო, ჩიჩინო!



— მამამ უკვე ოცდაათი კაცი აწონა.
— ჭიშკრიდან გასძახებს ნანდო მეზობ-
ლებს.

უველანი (ერთხმად). ბრავო! ბრა-
ვო!

ვიოლა. სილვია, გამოიხედე!
— რა ამბავია! — ამბობს სილვია და
თვალები უციმციმებს.

ჯამპინარო. ჩიჩინო ქალაქის პირვე-
ლი ბახკრი ხდება, უკვე მეორმოცე
კაცს წონის, გაიგე?!

— გახა ამას არ ვამბობდი? — ირო-
ნიულად იცინის ლუიზა.

პანშტი. ახლა კი სიტყვა სილვიაზეა!
— რატომ სილვიაზე და ჩვენზე არა?!

— ხელებს იშვერა ტოტო.
ჯამპინარო. ჩვენზედაც იყოს, გაუ-
მარჯოს დღევანდელ საახალწლო დღე-
სასწაულს!

— აბა, აბა მეზობლებო, თუ ვინმეს
რამე გიდევთ კუთხეში შემორჩენილი
დღეს უნდა დაილიოს. ჩვენს ეზოში სი-
ხარული გაჩნდა! — მთელი ხმით გაჰყ-
ვირის ბინი, ეზო აშრიალდება.

ალაყაფის კარის უცაბედ ჭრიალზე
შეცდებიან.

მხრთაჲ ჩახაჲჲ

ნუ შიშობ, ჩიჩინო!

ტოტო. ჭიჭინო! ხალხნო, ჭიჭინო!..
ღია კარებთან საყიდლებით გავსებულ
ლი სასწორი დგას. ჭიჭინო შლაპას იხ-
დის და ცირკის ჩამბაზივით ესალმება
ხალხს.

„ბრავო, ბრავო, ჭიჭინო!..“ — გაი-
სმის ყოველი მხრიდან.

— აქეთ შემოუშვით, აქეთ!

— ყოჩაღ, ჭიჭინო!..

— სილვია, ჩქარა, ჩქარა ჩამოდი,
შენი ქმარი ბანკირი გახდა.

ჭიჭინო საჩუქრების დარიგებას იწ-
ყებს.

— ეა შენ, ქალბატონო ვიოლეტა!
(აწვდის პარკს). ესეც შენ, ჩემო ბინი.
ეს კი ნამდვილად ცანტის, ეკუთვნის,
მას შებოლილი სტავერდელა უყვარს.
სენიორა ლეიზას — ძეხვი!

ჟველანი (მართხმად). ო!

— სოსისები ტოტოს, პალეიანი ფუნ-
თუშები მოხუცებს, თურქული თამბაქო
ჩამპიეროს!

— ჭიჭინო, ცოლ-შვილი არ დაგა-
ვიწყდეს! — აივნიდან სილვია გადას-
ძახებს.

— ო, სილვია! რომ იცოდე, ყველას
ეყოფა, ყველა. კეთილი გულით! —
ჭიჭინო შლაპას დაუქნევს.

— ამ სასმით ჭიჭინოს გაუმარჯოს!

— სარეცხის ქვაზე შეტება ტოტო და
ლუდის ბოთლს მიიყუდებს. აქა-იქ მე-
ზობლები ბოთლიან ხელებს გაიშვებენ.

* * *

ბანშტი. აბა, შენ იცი, ჭიჭინო, დღეს
მეორე დღეა!

ალაყათის კართან სასწორი იდგა,
მეზობლები ჭიჭინოს გარშემო შემო-
ხეოდნენ.

— ყოჩაღ! — ჩამპიერომ მხარზე ხე-
ლი დაქკრა.

ვიოლა. ხელი მოგემართოს!

— უნდა გითხრა, ჭიჭინო, რომ გუ-
შინ ყარა ადგილას არ იდგეკი, — მხარ-
ში ამოუდგა ბინი.

— არა უშავს, არ ვემდური გუშინ-
დელ დღეს.

— მეტროს გამოსასვლელთან რომ

ყოფილიყავი, მეტი კლიენტო
ბოლა.

ჯამპიერო. თვითონ იცის, თავი და-
ანებე.

— ცუდს რას ვეუბნები? — ბინიმ
მხრები აიწურა.

ბანშტი. ჰო, მაგრამ, ხომ იცი, სა-
დაც ჭიჭინოს გული მიუწევს, სადაც
ურჩევნია, იქ სჯობია.

ბინი. დამიჯერე, ისეთი ადგილია,
რომ...

ვიოლა. აბა, ჭიჭინო!..

ლუიზა. აბა, ჭიჭინო, შენ იცი!..

ბანშტი. კეთილი ფეხი და კეთილი
თვალი!

— გულიც კეთილი, გულიც, მეზობ-
ლებო! — თქვა ჭიჭინომ და დაიძრა.

...დღევანდელი მილანი უფრო ნათე-
ლია, უფრო სპეტაკი, ვიდრე ოდესმე
კაცის თვალს უნახავს. აქ ყველაფერი
მშობლიურია. ბედნიერება აქა-იქ ჩრდი-
ლივით წევს და ნებივრობს. მზე აქ თი-
თის წვერებზე იმსხვრევა. რათა ვაცი-
ვებულ აივნებსაც მიაწვდინოს ბოლო
სხივები. კარგად დაიბერტყოს ფრთები
და აკლთადაცილილი გადაეშვას ლურჯ
ზღვაში, საიდანაც უნდა დაიბადოს
სავსე და უფრო ნათელი, ვიდრე ოდეს-
მე ამობრწყინებულა...

— ნუ დაიჩემებ, ბინი, კვლავ გუ-
შინდელი ადგილი მირჩევნია.

— რა იქნება, რომ ერთი მეც დამი-
ჯერო, განა შენი მტერი ვარ? მეც ხომ
შენსავით მახარებს ჩვენი ბედნიერება.

— ო, საოცარი ვინმე ხარ!.. — ჭიჭი-
ნომ სასწორი გადასასვლელთან შეაჩე-
რა. შუქფარი მწვანედ აენთო.

— აი, ნახავ, იტყვი, დღევანდელი
დღე მართლაც ყინმითიანი ყოფილაო,
რამდენჯერ მინატრია, ნეტა ამ ადგი-
ლას ერთი პატარა გაზეთების. ან თამ-
ბაქოს ჩიხური მომცა-მეთქი, მაგრამ რა
გინდა, რა...

უცაბედი დამუხრტუქების ხმაზე ჭი-
ჩინო განზე გახტა. სატვირთო მანქანამ
გვერდზე ჩაუშხულია და უკანა ბორ-
ბალი სასწორს გაჰკრა.

— პოლიცია!..

ჰაერში ამოტრიალებული სასწორი მალლიდან მთელი ძალით დაენარცხა, დაშლილი ნაწილები ჩხრიალით გაიპნა.

— პოლიცია! პოლიცია! — ბინი აქეთ-იქით ეცა. სატვირთო მანქანამ მოედანი გადაჰკრა და გუგუნით აუყვა ქუჩას.

ხალხი ჩოჩქოლით შეგროვდა.

ბინი. პოლიცია! პოლიცია, ნომერი ჩაიწერე, ნომერი!

ჯიჯინო. დამუნჯებული ტროტუარის ფილაქანზე მოწყვეტით დაეშვა.

ბინი. ეს რა მოგვივიდა!

— სუ!..

ბინი. (ხმაში ბზარი გაუჩნდა). თანაც გაიქცა! განა საზიზღარი და ოხერი კაცი არ არის ის მძღოლი?! ხმა ამოიღე!..

ჯიჯინო. ბინი, ჩემად, მგონი მუცელში რაღაც ჩამაწყდა.

— ეს მას უნდა გასკდომოდა გული.

— ბინიმ სახე ხელისგულებში ჩამალა.

— დაიცა, ბინი!

— ეს რა მოგვივიდა.

— მორჩა! ყველაფერი გათავდა.

— რა გადაწყვიტე, ჯიჯინო?

— არა, არა, მე უნდა მოვეკდე! — ჯიჯინომ ნერწყვი გადაყლაპა.

— რას ამბობ, როგორ თუ მოვეკდე?!

— უმჯობესია, თავი დავიხრჩო... შინ ველარ დავბრუნდები!

— ჯიჯინო, ნუ სულელობ!

— დახრჩობა ახლა ყველაფერს სჯობია, აქვე, ჩვენს მდინარეში...

— ჯიჯინო!

— წავედი!

— ჯიჯინო, ნუ იზამ, გესმის? ამის უფლებას არ მოგცემ.

ჯიჯინო წამოდგა. წამოდგა და დაიძრა. ბინის ყელში თითქოს ბურთი გაეჩარაო, კრინტი ვერ დაძრა, მერე უცებ ადგილიდან მოსწყდა და მთელი ძალით ქუჩაში გაიჭრა.



— მეზობლებო!..

ბინის შეშფოთებული სახის დანახვაზე მთელი ეზო ფეხზე დადგა.

— ...სასწორი დაიმსხვრა!..

ჰემელანი (ერმიხმად). რაო?!

— ჯიჯინო კი თავის დასახრჩობად გაიქცა.

ლუიზა. ეს რა თქვი, ბინი! ხალხო, ჯიჯინო თავს იხრჩობსო!..

— ჯიჯინო!!! — სილვია კვილით დაეშვა კიბეზე. უკან აზრიალებული ბავშვები მიჰყვნენ. მთელი ეზო აიშალა.



ვიკო

მანქანებმა ერთმანდად დაამუხრუტეს. მეზობლები ზრდისკენ გარბოდნენ. შორიდან სირენის ხმა ისმოდა. სილვია მკერდზე ბავშვანუტებული პირველი გარბოდა. კალთაქა ჩაფრენილი ნანდო ფეხდაფეხ მისდევდა დედას. მთელის ძალით გამორბოდნენ მეზობლები. ტროტუარზე შეფენილი ხალხი განცვიფრებით შესცქეროდა ამ სურათს.

ხიდთან პირველი ბინი მიიჭრა.

— ხალხო, ჯიჯინო ლოდზე დგას, არ გადამხტარა!..

ბანუტი. ჯიჯინო!..

ჯამამირი. ჯიჯინო!..

— ჯიჯინო! — იკვილა მთელი ძალით სილვიამ და მკერდზე მიკრული ბავშვი მალა ასწია.

ჯიჯინომ ხმაურზე ამოიხედა. მოაჯირს ზემოთ პატარა ლუჩია შიშველ ფეხებს ასხმარტალებდა. ჯიჯინო მოწყვეტით გადაეშვა მდინარეში.

ბინი. ჯიჯინო გადახტა!

ლუიზა. უშველეთ, ხალხო!

თქმა და ერთბაშად გადაცვივდნენ ხიდიდან მეზობლები. ერთმანეთის მიყოლებით მალლიდან ენარცხებოდნენ წყალს. მთელი მდინარე სვეტებად აღმართა. გარშემო აქაფებულ მდინარეში არავინ ჩანდა.



ქუჩაში ერთმანეთის გვერდით მიაბიჭებდნენ თავითფეხამდე ერთიანად გა-

მართავს ჩახახა

ეს ვიწოვ. ჯიჯინო!

ლუმპული მეზობლები. შუაში ჯიჯინო ჩაეყენებინათ და აქეთ-იქიდან მხრებში ამოდგომოდნენ. სილვია მკერდზე მიხუტებულ ბავშვს აწყნარებდა, თან ცრემლებს ვერ იკავებდა. ხალხი გაოგნებული მისჩერებოდა მათ.

ბანუტი. ჯამპიერო რომ გადახტა, ასე მეგონა, კასრი გასკდა-მეთქი!

— ჰა-ჰა-ჰა!.. — ერთბაშად ახარხარდნენ ყველანი.

ბოტო. ნამდვილი გმირი! ვერაფერს იტყვი!

ბინი. მეგონა, გვეშველა მეთქი, ამ დოყლო ჯამპიეროს თურმე ცურვა არ სცოდნია. პირველი კი გადანტა!..

— ჰა-ჰა-ჰა!..

ბანუტი. დელფინით გადახტა, კასრივით დაასკდა და ნაჯახივით ჩაიძირა.

— გეყოფათ! — სული ძლივს მოითქვა ჯამპიერომ.

ჯიჯინოს თვალები არავის ამჩნევდა. თმიდან ჩამონაწერი წყალი კისერში ჩასდიოდა.

ბოტო. ვინ იფიქრებდა, რომ ჯამპიერო ღიპიანმა ცურვა არ იცოდა, არასოდეს დამაფიწყებდა ეს სურათი. ჯამპიერო, შეე ყოვლად მშვენიერო, შენი თავიც რომ სახლადგოროთო გაგვიხადე!..

ბანუტი. ჩიბუხი არ დაკარგო, ჩიბუხი!

კვლავ ახარხარდნენ მეზობლები. გადასასვლელზე მანქანები არ იძვროდნენ, მგზავრებს ფანჯრიდან თავი გამოეყოთ.

ბოტო. შეხე, შეხე, როგორ იცინის

შენი ლუჩია, აი, ვუყურებ და განცვიფრებული ვარ, როგორა გგავს ეს შენი გოგონა შენ.

ბანუტი. მაშ, როგორ, ჯიჯინო ხომ მისი მამაა?!

— თუკი ჩემს სიტყვას ენდობით, მე ბინი, ვამბობ, რომ ჯიჯინო ნამდვილად მისი მამაა. ეგრე არ არის, სილვია?!

სილვიამ ცრემლები შეიმშრალა და მერე გაიცინა.

ბანუტი. ჯამპიერო კი ჩვენი გადამრჩენელია, ვაშა გმირს!

ბოტო. გაჭირვება კაცს ცურვას ასწავლის.

ჯამპიერო. უღვაშები დამისეულდა! (პათეტიკურად გადაისვამს უღვაშზე ხელს).

„ჰა-ჰა-ჰა!..“ ახარხარდნენ კვლავ მეზობლები.

ჯამპიერო. ნუ შიშობ, ჯიჯინო! შენთან ვართ, თანაც ყოჩალი შვილები გყავს, დაიჭერე, ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახაე!

გადასასვლელზე მანქანები ერთბაშად დაიძრნენ, ტროტუარზე თავშეყრილმა ხალხმა დაშლა იწყო.

ერთმანეთის გვერდით მოაბიჯებდნენ ჯიჯინო, სილვია, კანუტი, ბოტო, ბინი, ჯამპიერო, ლუჩია და ბავშვები, ყველაზე ბოლოს ვიოლა მოფრატუნობდა. სადღაც შორს კვლავ ისმოდა სირენის ხმა.

მშრალ ასფალტზე ერთმანეთის გვერდით ჩნდებოდა და ქრებოდა სველი ნაფეხურები.



ლევან დუმბაძე

რამდენიმე გარდაცვალება

ყველა სამრეკლოს და ყველა
ტაძარს.

მოუვა ჟამი. არ დაცალების,
სიცოცხლეს ჩვენსას, ტაძარივით
ნაბრძოლს და ნაძარცვს
აქვს რამდენიმე გარდაცვალება...

ალარ გახარებს. როცა იები,
მაგრამ ხარ მაინც
იების გვერდით,
თუ გაზაფხულზე
თავი დახარე,

გარდაცვალება არის მაშინ
იმათგან ერთი...

მაგრამ დანარჩენს, სათქმელს ისევ
გულზე დავიდნობ,
როგორც მწვერვალზე
დნება ნისლები,
როს ველარ გპოვებ,
მივატოვებ დღეს უამინდოს,
გავფრინდები და,
გარდავიცვლები.

სიცოცხლის იქით

ცივი საღამო,
სხეულივით კანკალებს ფიქრი,
ენატრულობ სიტობს
და მეჩვენება:
უკვე განვლილ სიცოცხლის იქით
დაგეძებ თითქოს.

ცოტაც და...
უცებ აღმოხდება სამყაროს მთვარე,
შუქის კონებად.
როგორც აღმოჩნდა მე,
სიზმარი და
მოგონება...

დილის ექვსია

დილის ექვსია,
ქალწულივით შენითლდა ცაი...

უსაყვარლესი ნოტა

ჩემს აღმზრდელებს

წლები, რომელთაც ვდიე,
სულში ფერებით ვხატე.
ვეგებებოდი მთიებს,
ულურჯეს ანდამატებს.
ტოტზე შემომჯდარ აპრლს,
მათი ღიმილით ვრთავდი.

ვისი სულისაც ბრიალს
ფრენით ავყავდი ცამდი.
მაგრამ, შორია წამი,
ცარიელია ოდა,
ტირის სიცოცხლის გამმის
უსაყვარლესი ნოტა.

ბავშვები

მე ხვალ შემრცხვება ჩემი
სიმთვრალის,
ამიტომ ხვალე ისევ დავთვრები,
წავიდა ყველა. მაგრამ თვალებში
აღუბლებივით დარჩნენ ბავშვები...

ბავშვები,
ჩემი
ჩუმი ლექსები.
ლექსები.
ჩემი
ძნელი ბავშვები.

ვინ მიმატოვა?

მზე ჩამვარდნია
თითქოსდა მკერდში,
მწვავს გაზაფხული.
კი არ მათბობს
მზის ნაზი ლული...
რად მესმის ნეტა
გალვიძების ათასგვარ ხმებში.
ხმა სინანულის?..

ფეთქავს აპრილი
ყვავილები, ფიქრი მოთოვა...
მე კიდევ ერთი.
ყვავილებში ვდგავარ მარტვილი
და ვერ ვიხსენებ
ვინ მიმატოვა...

პიიტაზია

წამიკითხავენ სხვებივით ალბათ
და წუთით მაინც.
ამ წამებით დაღონდებიან...
მე. სული მქონდა მწვერვალებივით,
ლექსები. მხოლოდ მაღლობებია...



შაშკაციის ამბავი, რომელიც ალი-კვალის მიცვა-
ლებული იყო, თვალს რომ მოჭკრავდნენ ნაძვს,
კრძალვით ჩაუვლიდნენ ხოლმე გვერდით, ში-
შით და ის ქალარა გაღიმებული პროფესორი
ახსენებდათ...

ნაძვი კი დღითი დღე იზრდებოდა და მალღდე-
ნოდა თითქოს, მიიწვედა და ჩიუბად ისწრაფო-
და ცისკენ, ასე ეჩვენებოდათ, და უფრო და
უფრო იშწანებდა და იშუქებდა რტოებს, ხას-
ხასა ხდებოდა, მერე კი, ლორთქო, მწვანე ბა-
ლახი ამოვიდა პროფესორის საფლავზე, რბი-
ლი და ზაფერდოვანი... ხოლო ყარაულმა თქვა:
მე არ დამინახავს ჩემი თვალით, მაგრამ, დარ-
წმუნებული ვარ, მიცვალებული მოიტანდა თა-
ვის საფლავზე ბელტებად დაკრძალ ბალახსო...
სჭეროდა მიცვალებული იყო ის კაცი, რომელ-
მაც ნაძვი დარგო სამარეზე, ისე ღრმად იყო
დარწმუნებული, ვერ გადაათქმევებს ვერაფ-
რით...

ერთი რამ უცნაურობა მოხდა კიდევ: ლექცია-
ზე რომ დაესწრნენ ერთხელ თმაქვარა, დღე-
ნიადღა გაღიმებულ პროფესორს, აი, მაშინ, ინს-
ტიტუტის მესვეურნი რომ დაეკვირა პროფესო-
რის გამუღმებულმა დიმილმა თუ სხვა უცნაუ-
რობებმა, ეგებ ძველებურად ვეღარ კითხულობს
ლექციებსო, სწორედ იმ შემოსწმენლებზე მო-
გახსენებო — ათი კაცი დაესწრო იმ დღეს ნია-
დავი გაღიმებულ პროფესორს ლექციაზე —
ცხრა შაშკაცი და ერთიც, გაუთხოვრად დარჩე-
ნილი, შუაზანს მიტანებული პროფესორი ქალი,
როდა, ნაძვი და ის ახასხასებული მწვანე ბალახი
რომ გაჟონდა საფლავზე, იმ დამსწრებმა,
ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ყვე-
ლამ მაინცდამაინც ის ამბავი გაიხსენა, პროფე-
სორი რომ ესაუბრებოდა მაშინ სტუდენტებს
მიზეზ-შედეგობრიობის მკაცრ, ლოგიკურ ურთი-
ერთობა-დაპოკიდებულებასზე და აშკარად დაუდ-
გათ თვალწინ ის დღე: დადიოდა პროფესორი
მერბებს შორის დინჯად, იღიმებოდა, გადახედავ-
და დროდარო სტუდენტებს, მერე დამსწრეებ-
სა შეავლებდა მწერას და ამბობდა: „ყველა-
ფერი მკაცრ მიზეზ-შედეგობრიობაზეა დამყარე-
ბული, ამბებიცა და მოვლენებიც, აქაც, ამ-
ქვეყნად და იქაც, არარაობაში. ამის გასაგებად
კი, ტბაფებო და ქალიშვილებო, სულ უბრალო
დაკვირვებაეც კმარა. რას ფიქრობთ თქვენა, რა
არის ბალახის დანიშნულება, უბრალო მწვანე
ბალახისა? რატომ არსებობს იგი? — დიმილით
გადახედა სტუდენტებს, დამსწრეებსაც მიაჩერ-
და წამით. — იმიტომ რომ არსებობენ ბალახ-
მკამელა ცხოველები, ისინი რომ არ არსებულ-
იყვნენ, მაშინ არც ბალახი იარსებებდა და პი-
როქით, დიამ, მიზეზ-შედეგობრიობაა ყველგან...“

დამსწრეებს რატომღაც მოეჩვენათ მაშინ, მი-
ზეზ-შედეგობრიობა არაფერ შუაში იყო იმას-
თან, რასაც პროფესორი ხსნიდა, ლექციიდან
ამოვარდნილად გამოიყურებოდა თითქოს,

ძველებრძნულ ფილოსოფიასა და ფილოსოფო-
სებზე საუბრობდა იმ დღეს იგი, მაგრამ როცა
ჩაფიქრდნენ, ლექციის დამთავრების შემდგომ,
მიხვდნენ, სწორი იყო ყველაფერი, კარგა ხანს
იფიქრეს მაშინ მიზეზ-შედეგობრიობაზე და ახ-
ლა, როცა ლორთქო ბალახი ამოვიდა პროფე-
სორის სამარეზე, ალბათ ამიტომაც თუ იყო,
ათივემ ერთდროულადა და ერთმანეთისაგან და-
მოუკიდებლად რომ გაიხსენა ის ამბავი და
როგორც საფლავს ჩაუვლიდნენ პროფესორისას
გვერდით, ეს კი ზნორადა ხდებოდა, ძალაუნე-
ბურად გადახედავდნენ ნაძვსა თუ საფლავზე
ამოსულ ხასხასა ბალახს, შეავლდნენ მწერას,
არ სურდათ, მაგრამ არ შეეძლოთ სხვაგვარად და
ახსენდებოდათ: „რომ არ არსებობდნენ ბალახ-
მკამელა ცხოველები, იმ დარგ ბალახი იარსებებ-
და მაშინ და პირუტყუ...“

დამფრთხლანი ჩაუვლიდნენ ხოლმე გვერდით
პროფესორის სამარეს და დანაშაულს გრძნობდ-
ნენ იმ კაცის მიმართ, არ უნდა დავსწრებოდი
ლექციაზე, რა ჩემი შემოწმება სჭირდებოდაო...
მერე კი უსაშინლესი სიზმრები დასწრებდა იმ
ათეულს: ბალახმკამელა ცხოველებს ნახულობ-
დნენ სიზმრებში, როგორც შინაურს, ისე გარე-
ულს და მხოლოდ აკვიატებულს, პირველად რომ
ეჩვენათ, იმას... ერთ-ერთი იმთავანი, საოკრუ-
სათნო, კეთილი ბუნებისა რომ ბრძანდებოდა და
მშვიდი ხასიათითაც გამოირჩეოდა სხვებისა-
გან, — აღუდებულს ვერ ნახავდი ვერასდროს,
ცხვარს ნახულობდა ყოველდამ სიზმარში. გავ-
ლილ, ფართო, ვეებერთელა, თვალუწვიდენ
ტრამალს, ხასხასა ბალახით დაფარულს და ის
თვალუწვიდენელი ველი ცხვრით იყო სავსე და
ფარა წარმოუდგენელი სისწრაფით, მხოლოდ
სიზმარად რომ შეიძლება იხილო, ნთქავდა და
ანადგურებდა მწვანე საფარს, მაგრამ უტუბევი
ამოდიოდა ბალახი... მეორე მათგანი, შიდავი
ნებისყოფის კაცი, რომლისთვისაც ცხოვრება
მარტოდენ სიძნელეებთან შეიქცევა იყო და
სხვაგვარად ვერც წარმოედგინა, ჩიხვებს ნახუ-
ლობდა ხოლმე სიზმარად, მალად, პირქუშ მთებ-
სა და მთაგრეხილებს და ამაყად ვადმომდგარ
ულამაზეს ჩიხვებს, დროდარო ალმურ ბალახს
თუ სხვა რამ საყვებს რომ შეეცყოდნენ... მე-
სამეს, დაუდევარ და მოსუვენარ აღმთიანდ რომ
მიჩანდა ყველას, ვერცხლისწყალივით მოძრაე
კაცს, და მართლაც ასე იყო, ცქმუტავდა და
ცქმუტავდა ნიადაგ, მაგრამ ტყუილი, ამაო ფაფ-
ხური იყო, საქმე არ გამოუდიოდა მაინცდა-
მაინც, თქმით უფრთხობდნენ ძილს, საღვდა
სოფლად იყო თითქოს და თხებსა მწუხრისავდა,
გაწამებულ-დაბეჩავებულიყო კაცი, ხან ვის
ბალ-ბოსტან-ყანას აჩანავებდა არცე და ხანაც
ვისას... მეოთხეს, ფრად სერიოზულსა და ზონ-
ზროხას, ზონზროხა რომ იყო და სწორედ ამის
გამო ეგონათ დარბახიელი, ბეკემოთივი მოვლე-
ნოდნენ საწამებლად, იმის სიზმრებში ნათელი

დამები იყო უკველთვის და აფრიკა. ბეჭემო-
თებს ცხადად ზედვდა ზოლზე და ალბათ ამი-
ტომ თუ ეგონა ნათელი ის ღამეები: ამოდოდ-
ნენ წულიდან ბეჭემოთები, სრიალა კანი უბზი-
ნავდათ. აბჩენდნენ უზარმაზარ პირს, აელვა-
რბენდნენ ქვებერთელა კბილებს, ზოლო იმათი
ხაზა უფსერო ჭურღმულს დამგვანებოდა და
უმოწყალოდ ანადგურებდნენ და ნთქავდნენ
ბუჩქებს...

მეზუთეს სიზმრებს კი ფირაფერი დაპატრო-
ნებოდნენ, თავად იგი ტანწირწეტი მამაკაცი
გახლდათ, სარკის მოუყვაროლო, თავის თავს ეკე-
კლუტებო, რომ თქმულა, აი, ისეთი, მაღალი
კისერი ჭინდა და ამაჟობდა კიდევ ამით, ზო-
ლო ადამიანის გონების უკვლავ ღიღ მიღწევად
სარკე შიანდა იმას, უმარავი ფირაფი ირეოდა
იმ კაცის სიზმრებში უკველ დამ. იღვინე მაღალ
ხევეთან ღამაში ფირაფები და ნაზად იკიენებო-
დნენ, შექცეოდნენ მწვანე, ხასხასა ფოთოლს...
სხვას, ძალადობითა და მკლავით რომ გატანა
ღლო ცხოვრებაში, ასე იყო თავიდან, სტუ-
დენტობისა თუ ასპირანტობის ეპს და ახლაც,
როცა ლექტორი ბრძანდებოდა და შემდგომით
შემდგომიდაც ასე იქნებოდა, მარტორქები
ენიზმრებოდა, მწვანე ბალახს რომ სძოვდნენ
ტრამალზე და იმათი შიშით ვერც ერთი ცხოვე-
ლი ვერ გაქარებოდა იმ ადგილებში... ერთის
შმანებები კი, მიხვდებით ალბათ თქვენითვის, მე
რომ არ გიფხრათ, რა კაციც იქნებოდა, ქამე-
შევედი ცვინგერში. სურათებით ერთიანად დახუნძლული უზარმაზარი დარბაზები. თვალებს აცეცებ, რას უტყვირო არ იცი და ეძებ გზამკვლევი მაშველ ვარსკვლავებს, რომლითაც „ღირსეულნი“ არიან აღნიშნულნი. აი ჩრდილოეთის კუთხის ოთახში გამავალი პატარა კარი. თვალწინ ნაცნობმა კონტურებმა, ტანსაცმლის ხანხასა ფერებმა გაიღვავეს... ისაა! უსიამო, თითქმის მტრული განწყობით შევედი ოთახში.

კედლის წინ, უზარმაზარ ოქროს ჩარჩოში, რომელიც პირდაპირ იატაკიდან იწყებოდა და კანკელს წააგავდა, ერთადერთი სურათი იყო ჩამოკიდებული. შუქი მარცხნიდან, ეოლოსფერი ფარდებით ნახევრად ჩაბნელებული ფანჯრიდან შემოდის. იღვან და ისხდნენ ადამიანები კედლის გასწვრივ და იქვე, დივანზე. გამოთავებულ-მოწიწებული მზერა სურათისკენ ჰქონდათ მიბურობილი, „ჩემ ბედქვეშ მყოფნი“ — გავიფიქრე და გუნებაში გამეცინა. მაგრამ, წამსვე, ჩავახშე სიცილი და სე-

რიოზული. ჩაფიქრებული სახით დავდექი კედელთან.

და უეცრად — შეუთჩნველად და შეუგრძნობლად — გარშემო თითქოს ყველაფერმა გაქრობა დაიწყო. გაქრა ხალხი და კედლები; გაქრა ღვარჯნილი კანკელი. თითქოს საკუთარი თავის რცხვენითო და სურათზე თავიანთ ზედმეტობას გრძნობენო, თანდათან გაბუნდოვანდნენ მოხუცი სიქსტი და კეკლუცი ბარბარა. და ამ ბურუსში ნათლად გამოიკვეთა ორი სახე — ყრმისა და დედის. და მათ სიცოცხლესთან წედარებით გარშემო ყველაფერი უფერული იყო და მკვდარი... ტუჩებმოკუმული ყრმა, დიდი, საშინლად დიდი და საშინლად შავი თვალებით, თავებს ზემოთ ჯიუტად. საღაჯ შორს იცქირება. ეს თვალები ყველაფერს ხედავენ იქ — შორს. ხედავენ მოლაღატე — მეგობარს. მოხელე-მოსამართლეს ხელს რომ იბანს და ხალხს — მყვირალს: „ჯვარს აცე ეგე!“ დიახ, ამ გამკვლავი მზერით უყურებს, როგორ დგას იგი ეკლიანი გვირგვინით თავშემკული, ღვედებით გვერდებატრელებული. წყენისაგან სახემოქცეული, პირუტყვივით გატანჯული, როგორც იქ, რამდენიმე დარბაზის იქით, გვიდო რენის პატარა სურათზე...

მის გვერდით კი — დედა. სერიოზული და ჩაფიქრებული, მრგვალი, ქალწულებრივი სახით, წინათგრძნობის კვამლით დანისილული შუბლით. დავაცქერდი, დავაცქერდი და მომეჩვენა, რომ ცოცხალია და კვამლი ხან გადაეფარება, ხან კი ისევ სცილდება მის ახალგაზრდულ, საყვარელ სახეს... თავში უაზროდ ტრიალებს სურათის ქვემოთ წარწერილი ფრაზის დასაწყისი:

„Face Raffaello a' monaci neri...“

* „შესარული რაფაელმა. შავი ბერებისათვის“ (იტალ.).

მკვდარი ნისლიდან ქალის ხმა ისმის.
გერმანულად კითხულობა:

— იქ, დაბლა რა არის, კვერცხია?

მამაკაცის ხმა პასუხობს:

— ეს პაპის ტიარაა.

კვამლი ეი, ხან სცილდება, ხან ისევ ფარავს ქალწულებრივ შუბლს. და დედაც ისე საეხეა სიცოცხლით, სიცოცხლისა და მიწის სიყვარულით... და მაინც გულში არ იკრავს შვილს, არ ცდილობს მომავლისაგან დაიცვას, პირიქით, მკერდით მისკენ აბრუნებს. და მისი სერიოზული, ჩაფიქრებული სახე ამბობს: „ავი ეამი დაგვიდგა და ვერ ვნახავთ სიხარულს. მაგრამ, დიადი საქმე უნდა აღსრულდეს და სიკეთე მიეგოს მას, რამეთუ თავად იტვირთა საქმე ესე!“ გმირი ყრმისადმი მოწიწებითა და სიამაყით უბრწყინავს სახე. ხოლო როდესაც ეს მოხდება... როდესაც აღსრულდება, დედობრივი ტანჯვა დაუფლითავს გულს და დაწრიტავს სისხლისაგან. და მან იცის: ეს...

სალამოს ბრიულევის ტერასაზე ვიჯექი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ჰაერში აპრილის სიგრილე იდგა. ელბის მეორე მხარეზე მდინარის

ფერდობი გაზაფხულის ბალახს აემწვანებინა. დასავლეთი ნარინჯისფერ კვამლს დაეფარა და ქალაქი მოცისფრო ბურუსში იყო გახვეული. ელბაზე გადებული ხიდზე, მაღლა, თითქოს ჰაერში ჩაიჭროლა მატარებელმა, მწუხრის ნარინჯისფერ ფონზე შავად გაკრთა მისი სილუეტი.

ვიჯექი, და უეცრად ნათელმა, ალტაცებულმა გრძნობამ შემიპყრო, — სიამაყე და სიხარული ვიგრძენი, რომ კაცობრიობამ ასეთი დედობის ხორცშესხვა და ამ სიმალლეზე აყვანა შეძლო. გაუშვი, დაე. მკვდარ ნისლში მხოლოდ მორიდებული ქვეითი და საყვედურით სავსე სიტყვები ისმოდეს. — არის ის ხატი იქ, ცვინგერის იმ ფანტანტიკურ ოთხკუთხედში. და სანამ ის იქ არის, ამ ქვეყნად ცხოვრება ნიჭი და სიხარულია. და მე, ურწმუნომ, მინდა ვილოცო მასზე.

ბინდდებოდა. მოედანზე გადავდიოდი. ცაზე წმინდა სოფიას ეკლესიის ორი შავი, თითქოსდა გამჭვარტლული წვეტი გამოიკვეთა. აი ისიც, მღუმარე ცვინგერი. ბნელი ფანჯრები, შიგნით სიჩუმე და სიციარილე. და შემეშინდა: ნუთუ იმ ოთახში შეიძლება ბნელოდეს. ნუთუ მისი სახე არ ანათებს?

თარგმნა ჯონდი ქილარჯიანმა



წამ

ამ

ვეგენი კუტუზოვი

ლენინბრალელები

მივლინების გაგრძელების შემდეგ ამ ძველ რუსულ ქალაქში მოულოდნელად ამოყვავი თავი. თბომავალი დილაუთენია მიადგა ქალაქის ნავსადგურს. ჩვენ პორტიდან პირდაპირ საფოსტო განყოფილებისაკენ გვემართეთ — გვინდოდა სახლში დავევრეკა: მეუღლეებს წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ ვოზნეენაიას ნაცვლად აქეთ გამოვცურავდით. საფოსტო განყოფილებაში ის-ის იყო დაეწყეთ მუშაობა, პარადულ, მარმარილოთი მოპირკეთებულ დარბაზში ხალხი კანტიკუნტად შემოდიოდა, ლენინგრადი შევეუკვეთეთ და ოვალურ, მელნით მოსერილ მაგიდასთან საგულდაგულოდ მოვკალათდით. ჩვენს გარდა მაგიდასთან ძველი, გახუნებულ პალტოში გამოწყობილი შლაპიანი დედაბერი იჯდა. მუხლებზე მუშამბის ჩანთა შემოედო. იგი როგორც მოჭარბებული ცნობისმოყვარეობით გვიმზერდა, ეტყობოდა, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თან გვერიდებოდა, სცხვენოდა.

ხაზზეა ლენინგრადი, მიბრძანდით მესამე ჯიხურში, — გამოაცხადა დიქტორმა, — ვინ შეუკვეთა ლენინგრადი! ჩემი მეგობარი წავიდა, მე კი მაგიდასთან დავრჩი პორტფელებისა და ქურთუკების გარემოცვაში.

დედაბერი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და მომიახლოვდა.

— ღვთის გულისათვის. მაპატიეთ ასე უცერემონიოდ რომ...

— რას ბრძანებთ! დაბრძანდით.

თქვენი მეგობარი ხომ ლენინგრადს ელაპარაკება, ასე არ არის?..

— დიახ, — მივუგე მე.

— ასეც ვიფიქრე, — მოხუცმა შევებით ამოისუნთქა და მომეჩვენა რომ ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა. თქვენ, შემთხვევით, თბომავლიდან ხომ არა ხართ?

— თბომავლიდან ვართ.

— მაშ, ლენინგრადელები ყოფილხართ!

— დიახ.

— იცით, მაშინვე მივხვდი! როგორც კი დაგინახეთ, მივხვდი, რომ ლენინგრადელები იყავით, გიყურებდით და ვფიქრობდი, ეს ახალგაზრდები ლენინგრადელები არიან მეთქი, — ახლა უკვე ნამდვილად ილიმებოდა, — შეიძლება დავჯდე?

— რა თქმა უნდა.

— გმადლობთ. — დედაბერი ჩემს გვერდით ჩამოჯდა მაგიდასთან, — ნუ გაგიკვირდებათ, ლენინგრადელების ცნობა ძნელი საქმე არ გახლავთ, არ ვიცი, როგორ ავიხსნათ... მე კი მაშინვე ვცნობ... — მოხუცს თვალები გაუბრწყინდა, გამოცოცხლდა, წუთით თითქოს გაახალგაზრდავდა. იმის ძველ პალტოსა და შლაპასაც თითქოს ისევ ძვე-

ლი პეწი დაუბრუნდა. — მაგრამ, მეც ხომ ლენინგრაძელი ვარ. — წარმოთქვა უცებ მოხუცმა, — აი თქვენ კი ვერ მიხვდით...

— ძალიან სასიამოვნოა, — ძლივს ამოვდერდე მე. გამოდის რომ ერთი მხრისანი ვყოფილვართ.

— ჰო, ერთიმხრისანი, დიახ, ერთი მხრისანი, — გახარებული იმეორებდა დედაბერი, — ამ ჩემ გამოთქმასა და კილოს კი ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ახლა მეც აქაურივით ვუქცევ. ეჰ, ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში ჩამოვსახლდით.

მართლაც მოხუცი გვარიანად „ოურობდა“.¹

— ორმოცდაერთში, ევაკუაციის დროს ჩამოვედი, — განაგრძო ქალმა — ჩამოვედი და დავრჩი კიდეცა სამუდამოდ. ხომ გაგიგონიათ, „სადაურსა სად წაიყვანო...“ „მაპატიეთ, ხომ არ დაგვალეთ?

— არა, რას ბრძანებთ — მიეუბნე უმალ.

არ ვიცი, რატომ და რისთვის, მაგრამ თავს რატომღაც დამნაშავედ გვრძნობდი.

— პირველი ქმარი ბლოკადის დროს დამელტვა. ფეხი არ მოიკვალა ლენინგრადიდან, მე კი შევიღებთან ერთად აქეთ გამოვიხიზნე. ბიჭი მაშინ ექვსი წლისა იყო, გოგოს კი ერთიც არ შესრულებოდა. ჩემი ქმარი კრასნენკოს სასაფლაოზე განისვენებს. იცით სად არის ეს სასაფლაო? ქალაქის გარეუბანში...

მივხვდი, რომ მას მაინცდამაინც არ სჯეროდა ჩვენი ლენინგრაძელობა და ვუკარნახე:

— ავტოვაში არა?

— დიახ, დიახ, ავტოვაში — გამოცოცხლდა ერთბაშად დედაბერი, — მე კი ჩავრჩი აქ ასე ბავშვებიანად. პალტოს დიღებს შევიხსნი, დაცხა რაღაც... მოხუცს პატარა, გალუული ხელები

უცაცხებდა; დარბაზში მართლაც საშინლად ცხელოდა. ხმაურისაგან ახლა უკვე ყურთასმენა აღარ იყო — ხან მოსკოვი იყო ხაზზე, ხან — რიბინსკი. რიბინსკის მერე ორჯერ გაიმეორა დიქტორმა:

უგლიჩი, მეხუთე კაბინაში, უგლიჩი მეხუთე კაბინაში...

ვგრძნობდი, დედაბრის მთელი გულისყური დიქტორისკენ იყო მიმართული — უცდიდა, როდის დაუძახებდნენ.

— ორმოცდაქვესში მეორედ გავთხოვედი, — განაგრძო მოხუცმა, — კაი კაცი იყო, იმან გამიიოლა შვილების გაზრდა... თქვენ ალბათ გამიგებთ. რას იზამ, მძიმე დრო იყო... სამი წლის წინათ ისიც მივაბარე მიწას. ჩემი ბიჭი ახლა მოსკოვში ცხოვრობს, გოგო კი ლენინგრადში დაბინავდა, იქაურ კაცს გაჰყვა, თან ინსტიტუტშიაც სწავლობდა. მე კი, როგორც ხედავთ... ხომ იცით, ოჯახი რაც არის... მეორე ქმრისაგან ორი ბიჭი მყავს. ახლა ისინიც დიდები არიან. ქალმა ამოიოხრა და თავი გააკანტურა.

ალბათ, თანაგრძნობასა და ნუგეშისცემას მოელოდა, მე კი არ ვიცოდი, რა მეთქვა, სიტყვებს ვერ ვპოულობდი. ან იქნებ სულაც გული ვაღამიშალა, დარდი გამიზიარა. გამოგიტყდებით, მოხუცს მხოლოდ ზრდილობის გულისთვის ვუსმენდი, ნამდვილად კი სასატუმროს ამბავი მაფიქრებდა. სასატუმროში თუ ვერ დავებინავდებოდი დღესეგ მოგვიწევდა ლენინგრადში დაბრუნება და გული მწყდებოდა. ღირდა ამ ქალაქის დათვალიერება. ვინ იცის, როდისღა მოგვიწევდა აქ ჩამოსვლა ან მოგვიწევდა კი როდისმე...

— თუ შეიძლება შემისვით გზავნილების ბარათი.

— რა სათქმელია, რა ძნელი საქმე ეგ არის — ვთქვი მე და კალამს დავწვდი. — მისამართი მითხარით.

— ლენინგრადი, კრასნოპოტილოვსკაია, იცით, სად არის ეს ქუჩა?

— დიახ, იქვე ვცხოვრობ.

¹ ო-ურობა — ლინგვ. ა. — ხმოვნის ო-დ გამოთქმა რუსულში.

— ნუთუ მართლა? — განცვიფრდა მოხუცი, — წარმოგიდგენიათ? როგორი დამთხვევაა! რას არ მოესწრები ადამიანი. სად არის ეს ქუჩა?

— შუა რაგატკან.

— შუა რაგატკა? — მოხუცი ჩაფიქრდა. ეტყობოდა რაღაცას იხსენებდა. ვადავწყვიტე, ხელი არ შემეშალა, დაე, თვითონ გაიხსენოს-მეთქი. ალბათ ძალიან სასიამოვნოა, წარსულს რომ გადახედავ, რაღაც ვარდასულს რომ მოიგონებ. უცებ ქალი გამოცოცხლდა და მაგიდაზე გადმოიხარა: — შუა რაგატკა ხომ საერთაშორისო პროსპექტის ბოლოშია, განა ასე არ არის? ხორციის კომბინატთან...

— დიახ, ოღონდ ეს პროსპექტი ამჟამად დედაქალაქის სახელს ატარებს.

— ახ, დიახ, დიახ, — წაიბუტბუტა მან და თავი ჩაღუნა. — ყველაფერი დამავიწყდა, მეხსიერებამ ძალიან მიღალატა.

მივხვდი, ევაკუაციის შემდეგ ამ ქალს ლენინგრადში ფეხიც არ დაედგა, ქალიშვილი კი, ჩანს, თავს დიდად არ ცლავედა დედასთან მიწერ-მოწერით.

გზავნილების ბარათში ოცდახუთი მანეთი ჩაეწერე.

— ამ დღეებში ერთი ჩემი ნაცნობი მიდის ლენინგრადში. ადრე ერთად ვმუშაობდით. შემპირდა. ქალიშვილსაც ვინახულე და შენი ქმრის საფლავზედაც მივალო, თუ მისახედია, მივხედავ კიდევაცო. ოქროს ხელები აქვს. კარგი, პატოსანი კაცია.

— ფულიც იმისთვის გაგეტანებინათ, ვურჩიე მე, — ასე ქალიშვილს გააწვავლებთ. ვიდრე ფოსტაში წავა, ვიდრე რიგში ჩადგება — ახალი რაიონების ფოტებში ხომ მუდამ დიდი რიგებია. შეჩივრებისთვის აპირებთ ალბათ საჩუქრის ყიდვას, გოგოა თუ ბიჭი?

— არა, — მოხუცს სახე მოელუშა, თვალები ჩაუქრა, — ქალიშვილს ვუგზავნი, — რათა ამ ფულით ჩემს ნაცნობს გაუმასპინძლდეს. მერე ჩემსკენ გადმოიხარა და ჩურჩულით მითხრა: ცოტა პურძვირი ქმარი ჰყავს — ავტო-

მობილის ყიდვა უნდა და ფულს ინტერესებს. მაინტერესებს, როგორ ცხოვრობენ. აი, მივა ჩემი ნაცნობი და მერე ყველაფერს მომიყვება, ქმრის საფლავსაც აუცილებლად მიხედავს. ქალიშვილს კი ვწერ, რომ უსათუოდ მიიყვანოს სასაფლაოზე, ძალიან ვთხოვ, საკადრისად გაუმასპინძლდეს. ვაი, რომ ვერ მიავნოს? — შეშფოთებით წამოიძახა დედაბერმა.

თქვენმა ქალიშვილმა ხომ იცია, სად არის მამის საფლავი!

არა, ვაითუ ქალიშვილი ვერ იპოვინებთ.

— კი, მაგრამ, მისამართს ხომ ანათ...

— რა ვიცი... ხომ შეიძლება სხვაგან გადავიდნენ. შარშანწინ მწერდა, ბინის გადაცვლა გვინდაო, ოროთახიან ბინაში ცხოვრობენ, თვითონ, შვილი და მამათილი ერთად. ვიწროდ არიან.

— ეპ. ჩვენ კი ერთ ოთახშია, კარგად ვეტეოდით, რას იზამ მაშინ სხვა დრო იყო.

— რომ გადაეცვალათ, ახალ მისამართს გამოგიგზავნიდნენ, — ვითომ დავამშვიდე მოხუცი.

— ჰო, დიახ, — მიპასუხა რაღაცნაირი მიმქრალი ხმით.

მოხუცი მიბრუნდა, მე კი ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ მასში მართლა იყო რაღაც ნამდვილი ლენინგრადული, მაგრამ, სახელდობრ, რა — ვერ ამეხსნა. ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, როგორც ყველა ინტელიგენტ მოხუცს, რომლებიც ფიქრობენ რომ ავად თუ აარგად უკვე განვლეს თავიანთი ცხოვრება.

იგი არც ჩაცმულობით გამოირჩეოდა სხვა მოხუცებისაგან — ეცევა ძველი, მოდიდან კარგა ხნის გამოსული ტანსაცმელი, რადგან მის ასაკში უკვე აღარ ყიდულობენ ახალ ტანსაცმელს.

— არა მგონია, მოეხერხებინა თქვენს ქალიშვილს ბინის გადაცვლა — გაუჭირდებოდა. ხალხი წლობით დასდევს

მეგავინი კახაშვილი
ლინინგრადელეგი



ამ საქმეს, ახლა ხომ მოდამია ბინის გაცვლა-გამოცვლა.

— ადრე კი იშვიათად ცვლიდნენ ბინებს, — დამეთანხმა ქალი, — მთელი ჩემი ცხოვრება ერთ სახლში გავატარე — კირიჩნზე დავიბადე და ორმოცდაერთამდე აულ იქ ვცხოვრობდი. მშობლებიც იქ ცხოვრობდნენ, ტავერისკის ბაღთან. იცნობთ ამ რაიონს?

— არც ისე კარგად.

— გასაგებია, თქვენ ხომ ახალგაზრდა ხართ. მითხარით, მკვიდრი ლენინგრადელი ხართ თუ საიდანმე ჩამოსახლდით?

— ლენინგრადში ვარ დაბადებული, დედაჩემიც ლენინგრადში დაიბადა, პაპაჩემიც...

— კარგია!.. ახლა იშვიათად მიწევს ჩემი მხრის ხალხთან შეხვედრა, ადრე კი ხშირად მხვდებოდნენ. მიაწერეთ, გეთყავა, ბარათის უკანა მხარეს, არ იძუწნოა ჩემმა გოგომ, გაუმასპინძლდეს იმ კაცს, როგორც წესი და რიგია, თორემ, ღმერთმა იცის, რას იფიქრებს ჩვენზე. თვითონ ძალიან ხელგაშლილია. რა ვქნა, ფული მეცოტაა, რომ არ ეყოს?

— ეყოფა, — მივუხე მე, — ოცდახუთ მანეთად ერთს კი არა, სამ კაცს გაუმასპინძლდება.

— მაშ კარგი, გმადლობთ, რომ დამამშვიდეთ. თქვენ ალბათ უკეთ ერკვევით ასეთ რამეებში. მე კი ძალიან ვნერვიულობ, მაგრამ, რას იზამ, ფული მეტი არა მაქვს, ესეც მეზობლის ქალს ვესესხე, მერე დავუბრუნებ. პენსია მაქვს ცოტა, ამაშია ჩემი უბედურება. ბავშვებს ვზრდიდი. მუშაობა მიჭირდა და პენსიაზე გავედი, მაგრამ ნამუშევარი წლების რაოდენობა არ მეყო.

უწყების მეორე მხარეს მივაწერე — „დედათქვენი ძალიან ნაღვლობს. ეს ფული სხვას ესესხა. უყიდეთ რაიმე საჩუქარი და მიიპატიეთ“

მიწერეთ, რომ არ იძუწნოს, — თითქოა რაღაცას მიმიხვდაო, უნდობლად შემომხედა მოხუცმა.

— მივწერე, კონიაკი უყიდე ნაცნობს.

— კონიაკი? არც კი ვიცი, სვამს თუ არა კონიაკს, მგონი, თეთრ ლენოს უფრო სვამს, ესე იგი, არაყს, თქვენებურად.

ამ დროს ჩემი მეგობარი მოვიდა, მოხუცი წამოდგა და თავი დაუქრა.

— გამარჯობათ, ახალგაზრდავ.

— დარეკე?

— ვერა, ხაზია დაზიანებული, ხვალე ისე მოგვიწევს აქ მოსვლა, წავიდეთ, სასტუმროს ამბავი გავიკითხოთ.

— ღმერთო ჩემო! რა გაქვთ ნეტავ გასაგები, რა ძალა გადგათ, იაროთ აქეთ-იქით, სთხოვოთ ვიღაცას... არ სჯობია, ჩემთან წამობრძანდეთ, ადგილის მეტი რა მაქვს. მურაბიან ჩაის მოგართმევთ, შინაური სასმელიც მომეძებნება, ღიღი ხნით ჩამოხვედით?

ორი-სამი დღით-მეთქი, — ვუპასუხე.

— ჰოდა ჩვენთან წამობრძანდით, უმეყოფილო არ დარჩებით.

— გმადლობთ, შეიძლება ვისარგებლოთ კიდევაც თქვენი სტუმართმოყვარეობით.

— საბჭოს ქუჩაზე, ვცხოვრობ, სამ ნომერში, ჩაიწერეთ მისამართი.

— ისედაც დავიმხატვარებთ.

— იქნებ ახლავე წამოსულოყავით?

— რაღაც-რაღაცეები მოსაგვარებელი.

— საქმის გადადება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, ოღონდ სადილად უეჭველად მოდით. არ დაგავიწყდეთ, საბჭოს ქუჩა, სამი. აქვეა, უნივერსიტეტთან, ადვილი მოსაგნებია.

ფოსტიდან პირდაპირ სასტუმროსკენ გავეშურეთ. როგორღაც ბედმა გავიღიმა, მაგრამ ვიდრე მოვეწყობოდით, კარგა ხანს ვიყურყუტეთ მოსაცდელში. მაგიდას სანდომიანი გარეგნობის ადმინისტრატორი უჯდა. ჩვენ იქვე შორიახლოს ვტრიალებდით, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვბედავდით.

— ზოგი კირი მარგებელიაო, ზეგ ჩემი დაბადების დღეა, სახლში ვიქნე-

ნები, ამას რა სჯობია? — ვთქვი ბოლოს.

ადმინისტრატორმა გაკვირვებულმა შემოგვხიდა.

— მომეცით პასპორტები, — გვითხრა მან.

ქალმა ჩემი პასპორტი გადაშალა და გაიღიმა!

— მე და თქვენ ერთ დღესა ვარ დაბადებული, ზეგ ჩემი დაბადების დღეც არის.

ასე ვიშოვეთ ადგილი სასტუმროში.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ფოსტაში წავიდით. პირველივე მოქალაქე, რომელიც დარბაზში დავინახეთ, ის ჩვენი ნაცნობი დედაბერი გახლდათ. იგი ისევ იმ ადგილას იჯდა, როგორც კი დაგვინახა, მაშინვე წამოდგა და ჩვენსკენ გამოემართა.

— მთელი ღამე თეთრად გავათენე, მერეღა გამახსენდა, ბინის ნომრის თქმა რომ დამავიწყდა. ალბათ, ვერ მოაგენით? ამბობდა მოხუცი და თან სასოწარკვეთით სავსე თვალებით შემოგვცქეროდა.

ჩვენ უხმოდ გადავხედეთ ერთმანეთს.

— რას იზამ, ახალგაზრდები ხართ, გული სხვა რამეებზე მიგიწევთ ...მაპატიეთ, სულელ ბებრუხანას, ტელევიზორს ვუყურე წუხელ, კონცერტს გამოსცემდნენ ლენინგრადიდან. ბოლომდე ვუყურე, ისე კი „ვრემიას“ მერე ვრეკავ — გავიგებ, როგორია ამინდი ლენინგრადში და ვწევები მერე დასაძინებლად. ამ შემოდგომას, ცოტა არ იყოს, აქ უფრო თბილი ამინდები დაიქირა. დიდი-დიდი, თორმეტი-თოთხმეტი გრადუსი თუ იქნება... დაათვალიერეთ ქალაქი?

— არა, ჯერ ვერა.

— გაიარ-გამოიარეთ, ღირს ამ ქალაქის დათვალიერება, ძველი რუსული ქალაქია, ნამდვილი რუსეთი... — დამნაშავესავით გაიღიმა: მინდა ერთი რაღაც გკითხოთო, ახალგაზრდებო: მართალია, ნევის პროსპექტზე ტრამვაი აღარ დადისო?

— დიახ.

— მითხრეს, მაგრამ ვერ დავიჯერე, რალა იქნება ნევის პროსპექტი ტრამვის გარეშე?

თარგმნა მისო ბაროშვილმა



სიძყვა ალექსანდრე ბარამიძეს

ძმირფასო, ბატონო, ალექსანდრე! ალბათ ყველაზე კარგად თქვენ გაიგებთ იმ ადამიანის სულიერ მდგომარეობას, რომელმაც დღეს პირველად თავის სიცოცხლეში გადაწყვიტა სალიტერატურო პრესის ფურცლებზე ოფიციალური მისასალმებელი სიტყვით მიმართოს მისთვის დიდად პატივსაცემ, ღვაწლმოსილ ადამიანს, ჩვენი მეცნიერების წინაშე ეკიდებოდა დამსახურებულ პიროვნებას.

ძნელია ყველაფრის თქმა, ზუსტად გამოხატვა. მეშინია არ გადავაჭარბო, ანდა საერთო ფრაზებში არ წავშალო სათქმელი.

ასეთი რამ განსაკუთრებით შეუფერებელია, როდესაც სიტყვა ზომიერების ნიშით დაჯილდოებულ პიროვნებას ეხება.

მე თქვენს მიერ აღზრდილ ლიტერატორთა რიგს არ ვეკუთვნი, არცერთ თქვენ ლექციას არ დავსწრებივარ, არც სემინარებში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ თავს მაინც თქვენ შეგირდად ვთვლი, რადგან ყოველთვის მინდოდა, მესწავლა თქვენგან ის, რისი სწავლაც მეტად ძნელია — ის იშვიათი დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისადმი, ქართული მეცნიერის მაღალი მოწოდებისა და მოვალეობისადმი, რაც თქვენ ყოველგვარი ნოტაციების, ყოველგვარი შეგონებების გარეშე ჩაუნერგეთ თქვენს ერთგულ მოწაფეებს.

ხანდახან ვფიქრობ, თქვენისთანა წრთობის ადამიანები რომ არ შემორჩენოდნენ დღევანდელ საქართველოს, ალბათ ყველაფერი აირეოდა, არაფერი არ მოესწრებოდა თავის დროს, არც ერთი საქმე არ იქნებოდა მიყვანილი ბოლომდე.

მომხიბლავია ქართველი კაცის შინაგანი დაცვილინა, უშეღავათო სიმკაცრე უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისადმი. ზოგიერთ ჩვენთაგანს დაავიწყდა, რომ ჩვენ დღემდე ომში ვართ. დღემდე გრძელდება მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქართველი ზალხის სულიერი საყრდენების გადასარჩენად,

ეს სამკვდრო-საააცოცხლო ბრძოლა მუდმივ მზადყოფნას მოითხოვს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისაგან და თქვენ, როგორც სწორედ ამგვარად ჩამოყალიბებული პიროვნება, ათეული წლების მანძილზე განსახიერებდით თანამემამულეთა თვალში ამ მოუღუნებელი სიფხიზლის, დღენიადაგი ღვიძილის, შინაგანი მობილიზების მაგალითს.

თქვენა უმცროს კოლეგებზე, ამ საუცხოო თვისებებთან ერთად, ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა თქვენი არამოჩვენებით შინაგანი რესპექტაბელობა.

ასეთი სადარბაისლე მართლაც რომ შემვენის ეროვნული კულტურის უძვირფასეს საუჩუქეთა სადარაჯოზე მდგომ, მათ წინაშე პასუხისგების მაღალი შეგნებით გამსჭვალულ პიროვნებას.

ჩვენს მეტად და მეტად რთულ დროში, როცა ზოგიერთმა ეთიკურმა ღირებულებამ მოულოდნელი, წინაპართათვის წარმოუდგენელი დევალვაცია განიცადა, აუცილებელი იყო მყარი, ჩვენი ზნეობის ფუძეთა-ფუძის ურყეო-

ბის დამადასტურებელი მაგალითები — არა მხოლოდ სიტყვიერი მოწმობები, არა მხოლოდ მჭევრმეტყველური ქადაგება, არამედ საკუთარი ყოფაქცევით, ყოველდღიური, უხმაურო, ბეჭითი, თანმიმდევრულ სამსახურით ცხადყოფა იმისა, რომ თავის საქმეში, თავის იდეალებში მთელი არაებით შეეყარებულ პიროვნებას ძალიან ბევრის მიღწევა შეუძლია.

ძველი ქართული მწერლობა თქვენთვის მყუდრო თავშესაფარი არ ყოფილა. თქვენ იქ იწვოდით, მისი სახელით იბრძოდით, როგორც მისი ერთგული რაინდი, მაშინაც როცა რიგითი ჯარისკაცი ბრძანდებოდით და ახლაც, როცა სპასალარის როლი გაქისრიათ. ამ ომში პირადი შეუპოვრობისა და სიმამაცია გარდა, აუცილებელი იყო გონიერი სტრატეგია ნიჭაც.

თქვენ ჩვენს ყოველდღიურ პროფესიულ ყოფაში ჰარმონიის ელემენტი შეაქვთ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობთ, მწყობრი, აუმღვრეველი, მეცნიერული საქმიანობისათვის ნორმალური ხასიათი მიაცეთ ამ დინებას.

რა მიიშვია თქვენი ტვირთი! რამხელა მოთმინებაა მოითხოვა ხანდახან ის საქმე, რომელსაც თქვენ უძღვებით.

ზოგ აკეპტიკოსს შეიძლება ის სიზიფა ამო ჯაფადაც წარმოუდგეს.

იმ წლებში, როდესაც თქვენ გამოხვედით სალიტერატურო სარბიელზე, დრომ მაღალი დაძაბულობის არე შექმნა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზოგმა ვერ გაუძლო ამ მაღალ დაბეგას, ადრე გადაიწვია. ჩაიფერფლა. ზოგი უქუქცა, ზოგი ბრმად გაჰყვა დინებას.

თქვენ გეყოთ ძალა და სიმხნევე, რათა ბოლომდე ერთგული დარჩენილიყავით საკუთარი მოწოდების მიმართ.

თქვენ, თქვენი ადრე დაცემული თანატოლებია, მეგობრების მაგივრადაც განაგრძობდით დიდ ბრძოლას, იმ მეგობრებისა, რომელთა სახელეუბნ ყოველთვის მოწიწებით ახსენებთ... მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის თქვენი ჩვენთან ყოფნა, ყოველი ახალი ნაბიჯი, ყოველი წამოწევა, ყველა მონაპოვარი.

გურამ ასათიანი.

გატონო ალექსანდრა!

უპირმემლისად მადლობა მინდა მოუხაწეო ჟურნალ „ციცკოია“ რედაქციას, რომელმაც მომცა შესაძლებლობა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ წერილობით. ამ 35 წლის მანძილზე, რაც თქვენს მოწაფედ ვთვლი თავს, ვგონებ, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გულსნადების ანუ საჯაროდ გაცხადებას ვაპირებ. მანამდე მხოლოდ საქმით ეკდილობდი მაღლიერი შეგირდის გოძნობის გამოხატვას ოსტატის მიმართ. ვიცი, თქვენ ამა უფრო აფაებთ, ვიდრე ლიტონ სიტყვას. მაგრამ დღეს მაინც სხვა დღეა... ადრე დაობლებულა მააწავლებლებში გამიღიმა ბედმა. „ციცკარი“ მუდამ სიჭაბუკეთანა დაკავშირებული და მეც ჩემი ახალგაზრდობის ერთი დეტალი მინდა გაეხსენო. თითქოს ჯერ არ დამდგომია მოგონებათა დრო (თქვენი შესანიშნავი დოკუმენტირებული „მოგონებანი“ ხომ მხოლოდ ახლა გადაეცით გამომცემლობა!), მაგრამ მე რომ თქვენი სტუდენტი ვახლდით, მაშინ თქვენ ბევრად ახალგაზრდა ბრძანდებოდით, ვიდრე მე ვარ ამჟამად. როგორც ჩანს, პირველი შეხვედრა, პირველი კონტაქტი ბევრს ნიშნავს. აღმოსავლეთმკოდნეობა ფაკულტეტი II



კურის სტუდენტმა, თქვენი წიგნებისა და ლექციების შთაგონებით მოხსენება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ არაკების აღმოსავლური პარალელების შესახებ დავწერე. თქვენ, ვიგორებ, მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმწიფოებრივ პოეზიასთან კურადღება მიქცევით უცნობ სტუდენტს, ყოველგვარი თხოვნის გარეშე იკისრეთ მისი თემის ხელმძღვანელობა და გულმოდგინედ დაცავით საკამათოდ შემართულ უფროს-კურსელთა „თავდასხმისაგან“. ეს ისეთი გაკვეთილი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ დღესაც ვერ წარმომიდგენია ვინმეს უარი ვუთხრა შესაძლებელ დახმარებაზე, რაგინდ დაკავებული არ უნდა ვიყო. თითქოს ახლაც ჩამესმის და მამხნეებს ჩემი მისამართით გაკვრით ნათქვამი თქვენი სიტყვები: „ამ ჭაბუკმა წერა იცის“ (სხვისთვის ნათქვამ- მაშინვე რომ გადმოცეს). გავიდა წლები... ბედნიერება მქონდა და მაქვს თქვენთან ახლო ურთიერთობისა უნივერსიტეტშიც, ლიტერატურის ინსტიტუტშიც, „მაცნეს“ სარედაქციო საქმიანობაშიც, თქვენს რშვითად სტუმართმოყვარე ოჯახშიც. თქვენი პიროვნება ჩემს თვალში უცვლელია. იმეც ის ყოველწამიერი მზადყოფნა დასახმარებლად, წახალისება ნათელი და ახალი აზრისა, გულწრფელი სიხარული სხვისი ნამდვილი წარმატების გამო, თუნდაც ეს იმავე საკითხთა კვლევასთან იყო დაკავშირებული, თქვენ რომ წლებია მანძილზე იძიებდით. მე ჩემი კუთხიდან, ჩემი სამრეკლოდან — ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან ვიმზიარები. თქვენ ბრძანდებოთ ჩვენში ამ დარგის არა მარტო ფუძემდებელი, არამედ ყოველდღიური ჭაბუკური გულმხურვალებით გატაცებული მკვლევარი. და თქვენვე პირველი მიესალმებით ამავე საკითხთა შემდგომ კვლევა-ძიებას, თუნდაც რომ ზოგი მომენტი განსხვავებულად იყოს შეფასებული (მარტო „ვის-რამიანია“ ახალ ქართულ და სპარსულ გამოცემებზე თქვენი გამოძახილი რად ღირს). შემთხვევითი როდია, რომ თითქმის ყველა ქართველი ირანისტი თქვენი ნამოწაფარი და ხელდასხმულია.

უაღრესად გამახვილებული გრინობა პასუხისმგებლობისა, დაუზარელი და კეთილშობილი ყოველწუთიერი მუშაობა, ფანატიკური სიყვარული და ერთგულება მშობლიური ქართული მწერლობისა — აი თქვენი ჭეშმარიტად ახალგაზრდადული შემართების საიდუმლო!

ვგრანობ, ვერც ამჯერად მოვახერხე ჩემი გულწრფელი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვა. იმედად მრჩება თქვენი გულისხმიერება, რომელსაც არ უჭირს (თუმცა ხშირად ამას არ ამჟღავნებს) ავისა და კარგის, ყალბისა და ნამდვილის გარჩევა. გილოცავთ ამ დიდ დღეს, არასოდეს მოკლებოდეთ მზის სითბო და სინათლე!

ალექსანდრე გვანასიაძე

მეცნიერი, მოქალაქე, მამულიშვილი

სახელოვან მეცნიერსა და პედაგოგს, დაუშრეტელი ენერჯისა და სამაგალითო შრომისმოყვარეობის მკვლევარს, სპეტაკ მოქალაქესა და უანგარო მამულიშვილს — აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

დიდია აკად. ალ. ბარამიძის დამსახურება ქართული ფილოლოგიის წინაშე. მისი მაღალი ნიჭი და შემოქმედებითი ენერჯია ნახევარ საუკუნეზე მეტია



ღირაგულად ემსახურება ქართველი ერის სულიერი კულტურის დიდებულ მემკვიდრეებს, ხელს უწყობს მათი მემკვიდრეობის დაცვას და გავრცელებას. მისი მთავარი მიზანია ქართული მემკვიდრეობის დაცვა და გავრცელება.

აქად. ალ. ბარამიძის მეცნიერული მუშაობა ერთი მხრივ სამეცნიერო-ტექსტობრივი, ხოლო, მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი გზით წარიმართა. ხელნაწერთა სათანადო მეცნიერულ დონეზე შესწავლა, პირველწყაროთა დრმა და ფაქიზი ანალიზი გახდა საფუძველი ქართული საერო მწერლობის იველთა კრიტიკულად დადგენილი და მეცნიერულად გამართული ტექსტების პუბლიკაციისა, რამაც მკვლევარს კიდევ დაუმკვიდრა ჩვენი დროის ერთ-ერთი ღირსეული ტექსტოლოგის სახელი.

აქად. ალ. ბარამიძის მეცნიერული კვლევის სფერო უმთავრესად XI—XVIII საუკუნეების ქართული საერო მწერლობაა, ხოლო მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანია ე. წ. აღორძინების ხანა, ამ პერიოდია ლიტერატურული მოვლენები. ამ მიმართულებით წლებს მანძილზე ჩატარებულ მუშაობის შედეგებმა თავი მოიყარა მონოგრაფიულ ნაშრომებში თეიმურაზ I-ის, არჩილის, სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, კახტანგ VI-ის, ბესიკისა და სხვათა შესახებ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა და ცალკეული წერილების შექამებას წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები შვიდი ტომი, რომელიც ყურადღებას იპყრობს მეცნიერული მსჯელობის ლოგიკურობით და საგნისადმი დრმა აკურულით.

თვალსაჩინო ღვაწლი დასდო აქად. ალ. ბარამიძემ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მეკვიდრეობის შესწავლია, პოემა მეცნიერული ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეს.

აქად. ალ. ბარამიძის მიერ მრავალი წლის მანძილზე ჩატარებულმა რუსთაველოლოგიურმა კვლევამ საფუძველი მოამზადა განმზოვადებელი მონოგრაფიისთვის რუსთაველსა და მის პოემაზე, რომელიც სამჯერ (1958, 1966, 1975) გამოიცა და რომელშიც სისტემატურადაა გაშუქებული რუსთაველოლოგიური პრობლემატიკის ყველა ძირითადი საკითხი — ტექსტოლოგიური, ისტორიული-ლიტერატურული; ლიტერატურულ-მხატვრული, მსოფლმხედველობრივი. მონოგრაფია ერთგვარი რუსთაველოლოგიური ენციკლოპედიაა, ამიტომ მან დიდი აღიარება ჰპოვა როგორც სპეციალისტთა შორის, ისე მკითხველთა ფართო წრეებში ჩვენშიც და უცხოეთშიც.

მისაბამია აქად. ალ. ბარამიძის მეცნიერული პროდუქტულობა. მრავალწლიანმა დამკანცკელმა შრომამ, მეცნიერულმა შეუპოვრობამ ორასზე მეტი გამოკვლევა და წერილი დააგროვა. ყურადღების ღირსია აქად. ალ. ბარამიძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა. მან ქართველ ფილოლოგთა მრავალი თაობა აღზარდა. მისი მომზადებელი ლექციები ახალგაზრდობაა ეროვნული ლიტერატურისა და ისტორიისადმი სიყვარულსა და თავყენისკემას უნერგავს. იგი არის თავისი მოწაფეებისა და კოლეგებისათვის უანგაროდ დამხმარე, სასურველი რედაქტორი და მეცნიერი ხელმძღვანელი, ამავე დროს პრინციპული და მომთხოვნი. აქად. ალ. ბარამიძე თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, უანგარობით, თავმდაბლობითა და პატიოსნებით შთაგონებაცაა და მეცნიერებისათვის თავდადების სანიმუშო მაგალითიც.



აკად. აღ. ბარამიძე მხნედ ხედება თავისი დაბადების 80 წლისთავს მხნევის წყარო ის პატიოსანი შრომაა, რომლისთვისაც მას არასოდეს უღალატია. აღ. ბარამიძე — ღირსეული მოქალაქე, სანიმუშო მეცნიერი, პატრიოტი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე დღესაც კაბუჯური ენერგიით, შემართებით ემსახურება თავის მშობელ ხალხს, თავის ქვეყანას.

ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს საიუბილეო თარიღს, ვუპურვებთ მზე-გრძელობას მშობელი ხალხისა და ეროვნული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მერი გუგუშვილი.

ბამოჩინილი მეცნიერი

ბამოჩინილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს, დაბადების 80 წელი შეუარულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით თვალი გადავავლოთ მის ხანგრძლივ მეცნიერულ მოღვაწეობას და მოკლედ აღვუხსნოთ მთავარი მომენტები. აღ. ბარამიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია, დიდი ქართველი მეცნიერის კ. კეკელიძის პირველი მოწაფე. მან მთელი თავისი ცხოვრება ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლას მოახმარა. აღ. ბარამიძე უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერია, 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. ამთავან ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მისი „ნარკვევები“ შვიდი მოზრდილი ტომი და ვრცელი მონოგრაფია შოთა რუსთველზე.

აღ. ბარამიძის მეცნიერული კვლევის ობიექტი თავიდანვე იყო და არის ძველი ქართული საერო ლიტერატურა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნიც, დაწყებული ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანიდან დამთავრებული აღორძინების ხანით, რომელიც მოიცავს XII—XVIII საუკუნეებს. ეს არ არის შემთხვევითი. ძველი ქართული სასულიერო მწერლობა სრულად და ამომწურავად აქვს შესწავლილი კ. კეკელიძეს. რაც შეეხება საერო მწერლობას, კ. კეკელიძეს აზრით, საჭიროებდა დამატებით შესწავლას, საგანგებოდ მომზადებულ სპეციალისტს, ქართულთან ერთად სპარსული ენისა და მწერლობის მცოდნეს. ასეთად მან შეარჩია აღ. ბარამიძე, რომელსაც კვლევის ობიექტად განუსაზღვრა ძველი ქართული საერო მწერლობა.

აღ. ბარამიძის დამსახურება ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საქმეში განსაკუთრებულია. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მისი შრომები აღორძინების ხანის ქართველი მწერლების შესახებ: თეიმურაზ პირველზე, არჩილ მეფეზე, ვახტანგ VI-ზე, დავით გურამიშვილზე და სხვებზე. გარდა ეთნოგრაფიული გამოკვლევებისა მას ეკუთვნის მათი თხზულებების მეცნიერული პუბლიკაციაც სხვებთან ერთად თუ ცალკე, დამოუკიდებლად. მან ახალ საფეხურზე აიყვანა აღორძინების ხანის ქართული მწერლობის შესწავლა. აწვევ მნიშვნელოვანია აღ. ბარამიძის ღვაწლი სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში. საყოველთაოდ ცნობილია მისი შრომები „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე, „ეისრაჰიმანზე“, „ქილილა და დამანაზე“, რომელიც მისი სადოქტორო ნაშრომი იყო. დიდი ამაგი დასდო აღ. ბარამიძემ „ამრანდარეჯანის“ შესწავლას. ბაგრატ მუხრანბატონის ერთ

ცნობაზე დამყარებით ნ. მარმა ეს თხზულება მიიჩნია სპარსული „ყისაჲ ჰამზაჲ“ თარგმანად. ალ. ბარამიძემ მოიძია ეს შეგლი, შეუდარა ია „ამირანდარე-ჯანიანს“ და დამაჩერებლად დააბაბუთა, რომ „ყისაჲ ჰამზაჲ“ სხვა თხზულებაა და „ამირანდარეჯანიანი“ არ წარმოადგენს მის თარგმანს. ეს იყო ნამდვილი აღმოჩენა, რომელმაც სპეკილისტთა დიდი აღიარება მოიპოვა.

ალ. ბარამიძის მეცნიერულ მოღვაწეობაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა რუსთველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც მან მრავალი წელიწადი უძღვნა. მას ეკუთვნის ვრცელი შემეჩამებელი მონოგრაფია შოთა რუსთველზე, რომლის მსგავსიც მანამდე არა გვექონია. მისი განხილვა შორს წაგვიყვანდა. მოკლედ აღვნიშნავთ: მეცნიერული რუსთველოლოგიის თანამედროვე დონეზე მონოგრაფიაში ვრცლად არის განხილული რუსთველის ცხოვრება-მოღვაწეობა, მოცემულია „ვეფხისტყაოსანის“ ვრცელი ანალიზი და განსაზღვრულია რუსთველის ადგილი, როგორც ქართულ, იაე მსოფლიო ლიტერატურაში. ყოველივე ამას უნდა დაეუმატოთ იაიკ, რომ ალ. ბარამიძე 1934 წლიდან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუდმივი წევრია, ხოლო ამჟერად მის მუშაობას ხელმძღვანელობს.

ალ. ბარამიძე მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწევა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის დირექტორია. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება 1962 წელი, როდესაც მსცოვანმა მეცნიერმა კ. კეკელიძემ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე მოწაფეთა თანდასწრებით ალ. ბარამიძეს ჩააბარა ამავე დარგის მესვეურობა. ამის შემდეგ ის ხელმძღვანელობს და წარმართავს ჩვენში იველი ქართული ლიტერატურის შესწავლას. ვულოცავთ მეცნიერს დაბადებას 80 წლისთავს და ვუსურვებთ მას ხანგრძლივ საცოცხლეს ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ზაჩარაიანი მინანი.

კვლავაც ასეთად გვეგულავოდას

თითქმის ოკდაათი წელი იწუება, უნივერსიტეტში, პირველ კურსზე, პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე ლექციებს რომ გვიკითხავდა და ის შთაბეჭდილება დღემდე არ გამწელებია. ლექცია საერთო იყო, სამ მოზრდილ ჯგუფს გვეერთიანებდნენ ხოლმე ოთხმოცდამეცამეტე აუდტორიაში და ოდნავ ჰალარაშერეული, პირფართე, ლამაზი გარეგნობის წარმოსადგეი მამაკაცი რამდენსამე წუთს იცდიდა, ვიდრე ჯერ კლდე წესრიგს მიუჩვეველი, შედარებით უცხო გარემოში მოხვედრილი ყმაწვილკაცები მოიბრბობას და გადალაპარაკებას შეწყვეტდნენ.

მერე მის ძლიერ ხმას ერთბაშად შევყავდით მამათა აკანეაყვით ვრცელ, მშობლიურ და განუყოფებელ სამყაროში, იველი ქართული მწერლობა რომ ერქვა და სათვალეებქვეშ ზამკოთალი, მთელ სახეზე გადაფენილ-საოკარი ღიმილი იშვიათად თუ მოშორდებოდა.

რამდენ ძვირფას სახელს არ გაიგონებდი იმ ლექციებზე, რამდენი მოღვაწის მოწამებრივი ცხოვრება დავიდგებოდა თვალწინ. მაგრამ აულ სხვა იყო ბატონი ალექსანდრე, სათაყვანებელი რუსთაველს მზიურ გენიაზე რომ აღაპარაკებოდა: წარმოუდგენელი ნეტარებით წარმოთქვამდა ხოლმე „ვეფხის-



ტყაოსანის⁴ დამწერის ენით დატრიალებულ სისწაულეებს. პაერში ლაღად წყვეტენ¹¹
 ბოდა დროის სამანებს მიღმა გატყორცნილი, სადავემიშვებელი შაირები:

„დილაა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
 მოწვეულათა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი“...
 „მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია“...
 „მისნი მკეახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნი“...
 „დანა დაცა, მო-ცა-ეცდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“...
 „ზახილი მეამა. შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა“...

ყველაფერ — დღესაკით, მზესაკით ნათელი იყო. არავითარ ბგერწერული ანალიზი და ტერმინების მისადაგება არ ესაჭიროებოდა ამ ღვთაებრივ სტრიქონებს: მათი წარმომთქმელი გემოს გვიხანდა, იმ უზომო სიამოვნებაა და სახალულა გვიზიარებდა, რაც თავად განეცადა.

მახსოვს, რა საგულდაგულოდ მიმოიხილა რუათაველ-ს ეპოქია ლიტერატურა. იმდროინდელი ევროპული და აღმოსავლური პოეზია. მართლაც, რა სიმალისთვის უნდა მიედწია ქართულ მწერლობას, რომ მისი კვალი მაშინდელ მათელოოში უმდ-დრეს აპარსულ პოეზიაში დარჩენილიყო. ამ ლექციებზე მოვიამინეთ პირველად ულამაზეა ქართველ ქალზე დაწერილი ზაყანი შირვანელის რუბაი და ამ რუბაია მაჯამაში შეფარული ქართული სიტყვა, თავ-ათვეს რომ უჩენდა უცხოელ მეცნიერებს.

მახსოვს, როგორი არტისტიზმით წაიკითხა ბატონმა ალექსანდრემ (რა თქმა უნდა, სპარსულად) რუდაქის განთქმული ყაიდა (ემირ ნასრის ბუხარაში შემოაკვლია რომ ეთლენება) და შემორჩენილ ლეგენდაში თითქოს არც არაფერი რჩებოდა საექვო: ირწმუნებდი — ჩანგზე აყოლებული სიმღერის მოსმენისთანავე. ზე-ადრ ემირი მართლაც შემოახტებოდა ცხენა და ში მერ განუკოხავად მ-ტოვებულ სატახტოაიენ გაქუსლავდა. იმ რამდენიმე ბეითს მოამენა საკმაოისი იყო. გვერდით „აპარათა ენისა სიტკბო“ და თვით რუდაქია ჯადოქრობა.

საერთოდ. პოეზიისადმი ალექსანდრე ბარამიფე ყოველთვის განსაკუთრებულ აყვარულსა და გზნებას იჩენდა. რუსთაველია. გურამიშვილია, ბეაკია ვარდა, მისი მღვდმივი ყურადღებისა და შესწავლის საგანი იყო აღორთინების ხანის მწერლობა და იმ მნებელი დროის პოეტთა მეცნიერულად დამუშავებული მრავალ ტექსტი. მან რომ ადრევე გამოაქვეყნა. დღემდე შეუცვლელია. ახევე დ-დი ამაგი დაადო ვახტანგ მეექვსისა და სულხან საბაა ლკაწლია წარმოჩენისა და მათი ლიტერატურული მეგვიდრეობის გამოცემას საქმეს.

არულად ახალგაზრდამ (1928 წელა) შეადგინა და გამოსცა ძველი ქართული პოეზია ანთოლოგია (მეორე ტომი). ამ ბიბლიოგრაფიულ - შეიათობად ცეცულმა წიგნმა. თავის დროზე. წარსულის არაერთი ნაკლებად ხელმისაწვდომი კმნილება მკითხველი საზოგადოებაათვია ახლოებელ- და ფერფაი გახადა: ოდ ლრს თუნდაც დიმიტრი ბაგრატიონია „ნახა“ — ახლადმოკლენილი რიცოცხლის საოცრად თბილი და გულშიჩამწვდომი საგალობელი. აკვანში ჩაკრულე პაწია ასულაადმი მამობრივი ალერსია უნაზესი გამოხატულება.

ალექსანდრე ბარამიფე ერთი რომელიმე ეპოქით არასოდეს ყოფილა შე-მოზღუდული: მეტად ნაყოფიერი ლიტერატურული ძიებები აქვს ჩატარებული იმია ნათელსაყოფად — გარდასულ საუკუნეთა პოეტების ოსტატობა და ტრადიციები ოგორ არს გამოვლენილი ახლობელ თუ შორეულ შთამომავალთა შემოქმედებაში, ზოგჯერ ნაჩვენებია უშუალო ფრაზეოლოგიური დამ-

თხვევანი, გამოსახვის საშუალებათა, მოტივთა და თემათა გენეტიკური კავშირი, პირდაპირი დამოკიდებულება, რაც ძვირფას მასალას აძლევს ყველას, ვინც ამ საკითხებით დაინტერესდება.

თავისი დიდი მასწავლებლის, კორნელი კეკელიძის მსგავსად, უტყუარო არგუმენტების მომარჯვება უყვარს, არასოდეს გამოთქვამს უსაფუძვლო ვარაუდს, ჰაერში გამოკიდებულ ჰიპოთეზებს. ვერ ურიგდება და დაუნდობლად ამხელს, როცა ზოგიერთები ფიქტიურ წყაროებსა და მიაჩვენებენ გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „საეგვიპო“, ბუნებაში არარსებულ ლიტერატურულ ძეგლებს რეალობად ასაღებენ.

სასიამოვნოა, რომ წელთა სიმრავლემ ხალისი ვერ გაუწეა ჰარმონიულ მეცნიერს. კვლავ ძველებური ცნობისწადილითა და გულისყურით ადევნებს თვალს ყველაფერს, რაც დღევანდელ ფილოლოგიაში, მწერლობაში ღირებულ და საყურადღებო იქმნება; მოვლენების ღრმა ცოდნით აღჭურვილი, შესაშური ენერჯითა და მოქნილობით მონაწილეობს ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებში.

გიორგი ლეონიძის შემდგომ, წლების მანძილზე, ალექსანდრე ბარამიძე მხნედ უდგას სათავეში რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს და ნამდვილ შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნის, რათა თვითელმა თანამშრომელმა, რაც შეიძლება სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი: გულწრფელად ახარება კოლეგებისა და მოწაფეების წარმატება, მაგონებს არც ნაკლოვანებათა და შეცდომათა მიჩქმალვა უყვარს, ყველას დაუფარავად ეუბნება სათქმელს.

დაე, კვლავაც ასეთად გვეგულეობდეს იგი — თავის აქმეზე, წიგნზე ფანტიკურად შეყვარებული, მშობლიური მეცნიერების საკეთილდღეოდ გარჯილი და ოფლშეუმშრალი, მოყვასის ჰირისა და ლხინის გულთან მიმტანი, პირზე ღიმილგადაფენილი.

მეზარ კვიციანი





მარკ ზლატკინი

გმირობა პოეზისა

ნიკოლოზ ნაქოვსკის ერთ-ერთ გამოსვლაში გვხვდება ამგვარი სიტყვები: „მე მინდა ვილაპარაკო ზაბოლოცკის გმირობაზე. ზუსტად ასე ვამბობ — გმირობაზე-მეთქი, რადგან მის ნაღვაწ-ნაამაგარს, გარდა გმირობისა, ვერაფერი უწოდებ“.

ეს სიტყვები ითქვა 1960 წლის ოქტომბერში, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მიეტევნა მხატვრული თარგმანის საკითხებს.

ასეთივე დასკვნამდე უფრო ადრე მივიდა სიმონ ჩიქოვანი. იგი წერდა: „ზაბოლოცკიმ თავისებური პოეტური გმირობა ჩაიდინა, ხელი მოჰკიდა ფრიად მნიშვნელოვან, საშვილიშვილო საქმეს და ამით კიდევ უფრო განამტკიცა წმიდათაწმიდა სულიერი მგობრობა ჩვენ ხალხთა შორის“.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ნიკოლოზ ზაბოლოცკის თვალსაჩინო დამსახურებას საბჭოთა კულტურის წინაშე, საქართველოს ზელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1958 წელს. ზაბოლოცკი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

აქ შემთხვევით როდი ვახსენე დეკადა, როგორც ქართველი და ჩვენი ქვეყნის უკელა მოძმე ხალხების დღესასწაული, ჩემი აზრით, ზაბოლოცკიმ, უფრო მეტად, ვიდრე ვინმე სხვამ, შეუწყო ხელი აღნიშნული დეკადის წარმატებით დაგვირგვინებას.

ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები მინდა წაგუშმდვარო ჩემს მოგონებებს ნიკოლოზ ზაბოლოცკიზე, გავიხსენო მისი დაუღალავი, ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩვენს გამომცემლობაში.

ზაბოლოცკის, როგორც მთარგმნელის წარმატება მართოდენ დიდი პოეტური ნიჭით როდი იყო განპირობებული. ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმნაში მას არანაკლებ შეუწყო ხელი იმ ცხოველმა ინტერესმა, რომელსაც პოეტი იჩენდა საქართველოს წარსულისა და აწმუოს, მისი ლიტერატურის, ზელოვნების, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მიმართ.

თავისი ორიგინალური შემოქმედებით ზაბოლოცკი განაგრძობდა და აწვითარებდა დიდი რუსი კლასიკოსების — პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა ტრადიციებს, მათებრ აღფრთოვანებული და მოხიბლული იყო კავკასიით.

ჩერ კიდევ ოცდაათიან წლებში ზაბოლოცკის შემოქმედების განხილვისას ნ. ტიხონოვმა აღნიშნა: „განა საქართველო არ დაეხმარა მას ამ ახალ შემოქმედებით აღმავლობაში, და განა ქართული თემა არ აედერდა ზაბოლოცკის ახალ, კლასიკური ნიმუშის ლექსში?“.

ნიკოლოზ ზაბოლოცკი ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის თარგმანებზე მუშაობისას მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ესენი იყვნენ — ტიციან ტაბიძე,

სიმონ ჩიქოვანი, პავლე ინგრორუვა, ბესარიონ უღენტის და სხვანი.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობისას, 1936 წლის ივლისში ზაბლოცკი სწერდა ტიკიან ტაბიძეს: ჩემთვის აუცილებელია ვისუნთქო საქართველოს ჰაერით და ვეზიარო რუსთაველის გენიას მისივე სამშობლოში“.

იმავე ხანებში ატუობინებდა სიმონ ჩიქოვანსაც: „უიშველად მინდა დავყო რამდენიმე ხანი რუსთაველის ინსტიტუტში, რათა ევგენოვს, ის ატმოსფერო, რომელიც ამ სახელთან არის დაკავშირებული, გავეცნო უკველა საკითხს. რაც აუცილებელი იქნება ჩემი შემდგომი მუშაობისათვის...“

ასე დაგვიხატოვდა და გავეცნო ზაბლოცკი, საქართველოდან ლენინგრადში გამგზავრების შემდეგ ნიკოლოზ ზაბლოცკი სწერდა სიმონ ჩიქოვანს. „არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი ჩამოსვლა საქართველოში, ხოლო თბილისში გატარებული ეს ერთი თვე მარადამ საამო მოგონებად დამჩრება“.

სიმონ ჩიქოვანი იყო, ასე ვთქვათ, შუაგაცი და დამაკავშირებელი ზაბლოცკისა და „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობას შორის. მე მამინ გამომცემლობის დირექტორი ვაბლდით. ბესარიონ უღენტი კი — მთავარი რედაქტორი.

ზაბლოცკის პირველი განცხადებაც წიგნის გამოცემის თაობაზე ჩვენს გამომცემლობაში წარმოადგინა ისევე და ისევე სიმონ ჩიქოვანმა, რომელსაც პოეტი სწერდა: „ხომ არ შეიძლება ჩემს მაგიერ შესთავაზო „ზარია ვოსტოკას“, გამოსცეს ჩემი თარგმანების ერთტომეული? შემქმნელი დასატამბად წარმოემდგინა ექვსი ათასი სტრიქონი“.

ზაბლოცკის განზარბული ჰქონდა, კრებულში შეეტანა ზალბური პოეზიის ნიმუშები, გრიგოლ ორბელიანისა და ვაჟა ფშაველას ლექსები, აგრეთვე ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ოთხი თვის შემდეგ პოეტი უფრო დავწერილდებით სწერს ამის თაობაზე სიმონ ჩიქოვანს: „მე ისევე გატაცებული ვარ ფიქრით, ერთ დიდ წიგნად გამოვეყ ჩემი თარგმანები ქართული პოეზიიდან“.

ზაბლოცკის თარგმანები იმედებოდა პერიოდულ პრესაში, გაოდოდა ცალკე წიგნებად, მაგრამ მე მინდა წინ გავუსწრო მოვლენებს და დავანახო მკითხველებს. თუ რა დიდი და უმაგალითო შრომის ვაწევა მოუხდა პოეტს და რა თავდადებით იღწროდა იგი მთელი ოცი წლის განმავლობაში.

1938 წლის დეკემბერში ზაბლოცკისაგან მივიღე შემდეგი შენაარხის წერილი: „პატივცემული მარკ იზრაილევის ს. ჩიქოვანმა, თქვენთან მოლაპარაკების შემდეგმ გადმოცეა, რომ ჩემი თარგმანები შეტანილია ცალკე წიგნად თქვენი გამომცემლობის გეგმაში და ამასთან, დამტკიცებულია კიდევ, იმის გამო, რომ

უახლოეს ხანებში არ მიწევს თბილისში მოსვლა, გიგზავნიტ ს. ჩიქოვანის წიგნის ხელნაწერს. ხელნაწერი შეიცავს 1105 გვერდს შემდეგი შენაარხით:

1. რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი“ — 6600 სტრიქონი. მეორე გამოცემა (პირველი ცალკე წიგნად გამოცემა მოსკოვში).
2. გურამიშვილი — „დავითიანი“ — 6200 სტრიქონი. მესამე გამოცემა.
3. გრ ორბელიანი — 1805 სტრიქონი. მეხამე გამოცემა.
4. ი. პავლევიჩი — 2440 სტრიქონი. მესამე გამოცემა.
5. ა. წერეთელი — 154 სტრიქონი. მეორე გამოცემა.
6. ვ. ფშაველა — 9500 სტრიქონი. აქედან — 7500 სტრიქონი მეოთხე და 2000 სტრიქონი მეორე გამოცემა.

სულ წიგნში შევა დაახლოებით 27.000 სტრიქონი. მიზანშეწინილი იქნებოდა წიგნის გამოცემა ორ ტომად. ერთნაირი ფორმატითა და ერთი საერთო უდით.

ვახუშტი მაქსიმოტ გამოცემის მიმდინარეობა და კორექტურის ვადები, სასურველი იქნებოდა, კორექტურა თავად წამეკითხა. მიიღეთ ჩემი ხალაში. ნ. ზაბლოცკი“.

ერთი დღის შემდეგ, ახალი წლის წინ, ნიკოლოზ ალექსიევიჩი კვლავ მივწავნის წერილს თავის ხელნაწერების თაობაზე: „ვახუშტი წიგნის რედაქტორად დანიშნით სიმონ ჩიქოვანი. მან უკვე საფუძვლიანი შრომა გასწავს ჩემთან ერთად და კარგად იცნობს უკველა ჩემ თარგმანს. გიძლვით ხალაში და გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. თქვენი ზაბლოცკი“.

დადგა ჩვენთვის შეტად დამაბული და საპასუხისმგებლო წელი, უნდა მოვგზავდებოდიკავით მოსკოვში ქართული ხელკონებისა და ლიტერატურის დეკადაზე გასამგზავრებლად. მანამდე ეი გამოსაცემი გვექონდა ასზე მეტი დასახებლებული წიგნი, რომელთა შორის ზაბლოცკის თარგმანების ორტომეულს — ქართული კლასიკური პოეზია — ერთ-ერთი უპირველესი ავტორი ევირა.

თავისი თარგმანების წინასიტუვაობაში ზაბლოცკი ხაზგასმით აღნიშნავდა, ქართველი მწერლების და ლიტერატურისმცოდნეთა ქმედითი დახმარების გარეყ ჩემი შრომა წარმატბით ვერ დაგვირგვინდებოდა.

გურამიშვილის „დავითიანის“ ზაბლოცკისეული თარგმანს რედაქტორობდა გიორგი ლენინიძე, რომელმაც ქეოვინად შეაფასა როგორც თარგმანი, ასევე მთარგმნელის ნიჭი და უნარბ: „ლექსის დიდმა ოსტატმა ნიკოლოზ ზაბლოცკიმ შეძლო გადმოცეა გურამიშვილის საუკეთესო ქმნილებების შეთამაგონებელი ძალა,

მარტ ზელატინი
გმირობა კოტბისა

მუდარჩუნა დახვეწილობა, მხატვრულობა და მუსიკალობა დიდი ქართველი პოეტის საუკეთესო სტრქონებში...

ვაჟა ფშაველას ნაწარმოებთა თარგმანის რედაქტორი პავლე ინგოროყვა გახლდათ.

წემოსხნებულ წინასიტყვაობაში ზაბოლოცი განსაკუთრებით აღნიშნავდა იმ კმედიით დახმარებას, რომელიც მას სიმონ ჩიქოვანმა გაუწია.

„პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ჭერ კიდევ ომამდე გამაცნო საქართველო, მისი ისტორია, კულტურა და ლიტერატურა. იგი რედაქტორბდა რუსთაველის პოემის ჩემივე თარგმანს და წლების განმავლობაში დახმარებას მიწევდა საფუძვლიანი რჩევით თუ მრავალმხრივი საქმიანი მითითებებით.

ზაბოლოციის ოსროცი წერილი მიწერილი სიმონ ჩიქოვანისადმი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმის ფონდში და შეტანილია ამავე მუზეუმის მიერ გამოცემულ კრებულში „მეგობრობა“.

ეს მომწერა, რომელსაც საფუძველი 1988 წელს ჩაეყარა, დასრულდა 1988 წელს, მოსკოვი საქართველოს ზელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის გახსნის დღე.

დეკადაზე უველანი ერთად ეკრებიბოდით აუდიტორიებში ქართველი პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგებისა და კრიტიკოსების წიგნების თარგმანთა განსახილველად.

პირველი სხდომა პოეზიის საკითხების ირგვლივ, 1988 წლის 28 მარტს, ზაბოლოციმ გახსნა სიტყვით. მან ილაპარაკა შოთა რუსთაველზე და შემდეგ დასძინა: დე, მისი აჩრდილი იმყოფებოდეს ჩვენი შორის ამ სხდომაზე. ესეც კი საკმარისი იქნება ჩვენი მუშაობის უფრო წარმართვისათვის. ამ სიტყვებმა სხდომის მონაწილენი ააღივდა... სიტყვის დასასრულს ზაბოლოციმ აღნიშნა: საქართველო ლიტერატურის მკვლევართა და ისტორიკოსთა კმედიით დახმარება. რათა რუსმა მეითხველმა, რომელიც იცნობს საქართველოს ისტორიასა და კულტურის თავისებურებებს. რაც შეიძლება სრულად აღიქვას რუსთაველის გენიალური პოემა.

დასრულდა დეკადის დღესასწაული. დამთავრდა ჩვენს მიერ მოსკოვი ჩატანილი წიგნების საქმიანი განხილვა. დადგა დამშვიდობებისა და შინ დაბრუნების ვაჟი. ნიკოლოზ ადექსეივიჩმა სახსოვრად გადმოგვა ჩვენს მიერ გამოცემული ქართული კლასიკური პოეზიის მისივე თარგმანის ორტომეული წარწერით: 1988 წლის ქართული დეკადის სამახსოვროდ“. ორი დღით დრე კი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკე გამოცემაზე წამიწერა: „ჩვენი ერთობლივი, მრავალი წლის დაქვითვით არცთუ უსარგებლო მუშაობის მშახორებლად. დიდი პატივისცემით, ნ. ზაბოლოცი“.

ამ სტრქონებმა მოგაგონა წლები, საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ნაცნობობას.

იმ პერიოდისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპების ჩამოყალიბება. ამ მხრივ იღვწოდნენ და გამოცდილებას აგროვებდნენ პასტერნაკი, ტინოვოვი, ანტოკოლსკი, ზაბოლოცი და სხვა რუსი საპოეტო პოეტები.

საინტერესოა როგორ აღწერს ზაბოლოცი ორიგინალის მისიველი წვდომის ხერხებს სწავრედიდან თარგმანის დროს.

ბუნებრივია, სწავრედს მისთვის მარტოდენ შენახარის გადმოცემა შეეძლო და ისიც ზოგჯერ მცდარად თუ არაზუსტად. მთარგმნელს კი უნდა აღექვა ნაწარმოების მუსიკალობა, გაცნობოდა ხატოვანი აზროვნების ნიუანსებს, გაეთავისებინა პოეტის ნაფიქრ-ნაგრძობი...

თავის „მთარგმნელის შენიშვნები“ ზაბოლოცი სწავრედს კოლიწეუმის ნაგრეგებს უწოდებს და ამბობს: ნაგრეგების პირველყოფილი სახით წარმოდგენას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც იცის რომის ისტორია, ხალხის ყოფა, წინავეულუბანი, ზელოვნება და არქიტექტურის განვითარების კანონებიო. და აი, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნე მუშაობისას, ტექსტის სრულყოფილად დაუფლების მიზნით ზაბოლოცი იწყებს საქართველოს ისტორიის. მისი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურისა და ზელოვნების შესწავლას იმ დროს უკვე არსებული თარგმანებისა და სამუზეუმო ექსპონატების მიხედვით. მან მოიარა საქართველო. ტრიალებდა მის მკვიდრო შორის, რაც ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

თუ რამდენად გულითადად და ნაყოფიერი იყო ეს შეხვედრები, ვამცნობს ს. ჩიქოვანის შეხანიშნავი წერილი ნიკოლოზ ზაბოლოციზე. სადაც ვგვხვდებ შემდეგი სტრქონები: „ასე მეგონა, მისი სამუშაო მაგადა სადაც სულ ახლოს იდგა ჩემს ფანტაზიასთან და მე შემდეგლო თვლი მედვენებია ძვირფასი მეგობრის შთაგონებული შრომისათვის. ვხედავდი როგორ თარგმნიდა იგი ქართველ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებებს და როგორ ამოწმებდა მათი სემნით მისი მაგდიდან წამოფრთხილი სწავრედი სტრქონების მუსიკალობას“.

ხატოვანი, მაგრამ სავსებო რეალური სურათია, ორი დიდი პოეტის სულიერი ნათესაობის ამსახველი. აი, მეორე მაგალითიც: ზაბოლოციმ ქართულ ენაზე მოისმინა ტიცინი ტაბიტის ლექსი. ომეღსაც თავად ავტორი ცითხობობდა და აღნიშნა, ეს მართლაც შესანიშნავი და ამაღლევებელი ნაწარმოებიაო. პოეტმა ლექსის სრულქმნილად აღქმა შეძლო იმის წყალობით, რომ უკვე იცნობდა ქართული ლექსის ბუნებას, იცნობდა თვით ლექსის ავტორს. სუნთქავდა საქართველოს ლალი ჰაერით. მოზიბლოდო იყო ამ მხარის ლეგენდებით. სინამდვილით,

დღევანდელივით. რაც უკვე შშობლიური და ძვირფასი გამხდარაუო მისთვისაც.

პოეტების მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების უკვლა ამ ნიუანსისა თუ თავისებურებათა ზედგულენიო თანდათანობით უალიბდებოდა და მტკიცდებოდა მთარგმნელობითი მუშაობის ჩვევები და მეთოდები, ვთქვათ, იმდაგვარი, როდესაც ავტორი შშობლიურ ენაზე კითხულობს ნაწარმოებს, მთარგმნელი კი, რომელიც წინასწარ გაცნობილია მის შინაარსს, ფხიზლად აუურადებს ლექსის მუსიკალობას, მის რიტმს, შემდეგ კი ორივენი ადგენენ აწარედს, მსკელობენ ნაწარმოების იდეასა და ემოციურ თავისებურებებზე, თარგმანის სრულყოფაზე და ასე შემდეგ...

სწორედ ამიტომ ამბობდა სიმონ ჩიკოვანი: ზაბოლოცკიმ არ იცოდა ქართული, მაგრამ კითხვა შეიძლო და ჩინებულად გრძნობდა ქართული ლექსის მუსიკალობასო. ჩიკოვანისვე გადმოცემით, ზაბოლოცკიმ ზეირად იცოდა ქართულად მთელი სტროფები „ვეფხისტყაოსნიდან“ და გურამიშვილის „დავითაიანიდან“.

ამ სტროფებს თავადაც ზიამოვნებით ვისმინდო, როცა კი ნიკოლოზ ალექსევიჩიო, თავის ქართულ მეგობრებთან ერთად ესტუმრებოდა ჩვენს გამომცემლობას, და ჩვენ დაუსრულებლად ვმსკელობდით გამომცემლობის საქმიანობაზე და ამასთან არც პოეზიას ვვიწუებდით.

განსაკუთრებით ჩამოჩა მეხსიერებაში ერთი ეპიზოდი: მე, ფატმა თვალთვამე და ვიქტორ გოლდცივი მოსკოვში, სხვებთან ერთად, ნიკოლოზ ზაბოლოცკის სტუმრები გახლდით. ჩვენი სტუმართვყოფარე მეგობარი არა მარტო გვიმასპინძლებოდა გემრიელი და ნუგბარი კერძებით, საუცხოო ლექსებითა და საკუთარი თარგმანებითაც გვატყობოდა, სუფრას გვიან დამემდე ვუსხედით, არაჩვეულებრივად შთამაგონებელი და პოეტური იყო ის სადამო...

ჭერ კიდევ ზაბოლოცკის სიციცხლზევე ჩვენმა გამომცემლობამ შეადგინა მისი ლექსების და ქართველი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანების კრებული. კრებულის შედგენაში ნიკოლოზ ალექსევიჩიო თავადაც მონაწილეობდა, მაგრამ ვაი რომ წიგნი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა.

კრებულს სათაურად აქვს „На двух Арагах пели соловьи“. სათაური აღებულია ლექსიდან „ღამე ფასანაურში“.

Сияла ночь, играя на пандури
Луна плыла в убежище любви,
И снова мне в садах Пасанаури
На двух Арагах пели соловьи.

წიგნს რედაქტორობდა ნ. ბ. ტომაშევიცი. 1973 წლის პირველ აგვისტოს იგი მწერდა: „ძვირფასო მარკ იზრაილვიჩი... თანხმად თბილისში ჩვენი მოლაპარაკებისა, დავაბრულე ნ. ზაბოლოცკის ზედნაწერების კითხვა, ესაა „ლექსები საქართველოზე და თარგმანები თანამედროვე პოეტების ნაწარმოებებიდან“. თქმა არ უნდა, რომ ამ ჩინებულ პოეტის ზედნაწერმა ერთხელ კიდევ მომანიჭა უდიდესი სიამოვნება, კრებული თითქმის აწომწურავი სისრულით არის შედგენილი, და ჩემი აზრით, დამსახურებულ წარმატებასაც. მომპოვებს მკითხველთა შორის, მაგრამ როგორც რედაქტორმა, თავს რამდენიმე შენიშვნის უფლება მივცეო, მათ ჩემს დასკვნაში გვიტყობით“.

შემდეგ ტომაშევიცი წერდა: „ერთადერთი, რასაც დაინებო მოვიზიოვ, არის გათვალისწინება იმ შესწორებებისა, რომლებიც განსვენებულ ნ. ზაბოლოცკის შეტანილი აქვს თავის ადრინდელ გამოცემებში. პოეტის ოქაში დაცულია უკვლა ამ გამოცემათა ეგზემპლარები მისივე შესწორებებით. რომლებიც ან აწუბტებენ ტექსტს, ან აუმჯობესებენ ლექსის მუსიკალობას რუსულ ენაზე ვფიქრობ, მათი გათვალისწინება აუცილებელი იქნება, თუცა უკველფერ ამას შეგიძლიათ გაცენოთ ჩემს რედაქტორულ შენიშვნებში.“

რა თქმა უნდა, გამოსაცემ კრებულში შეტანილ იქნა უკვლა ავტორისეული შესწორება. ეს შესწორებები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ნიკოლოზ ზაბოლოცკი მთარგმნელობით მუშაობას და საერთოდ, პოეტის შრომას.

კრებული „На двух Арагах...“ უკვე მზად გქონდა ჩასაშვებად, როდესაც ზაბოლოცკის მეუღლის, ეკატერინა ვასილენასაგან მივიღე წერილი, სადაც მადლობას მიხდიდა ნიკოლოზ ალექსევიჩის ერთგომეულის გამოცემისათვის, გაცილებით უფრო გვიან მანვე გამომიგზავნა ნ. ზაბოლოცკის მოსკოვში გამოცემული ორტომეული სამახსოვრო წარწერით, ეს კრებულები დღესაც ცხადლივ აღმიდგენენ წარსულს, მახსენებენ შეხანიშვარებს პოეტთან ჩემი ნაცნობობისა და ურთიერთობის საუკეთესო წლებს...

ქართველი ხალხი და მადლიერი მკითხველები არ ივოწებენ პოეტის გმირობას. ქართული ლიტერატურის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ნიკოლოზ ზაბოლოცკის, 1974 წელს, სიკვდილის შემდგომ მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.



ფრიდონ სისხარულიძე

„სვესენწკა“ — ქართული კულტურის ქერა მოსკოვში

კულტურულ-სამეცნიერო მუშაობის ნაყოფიერებით თავიდანვე გამოირჩეოდა მოსკოვის შემოგარენში არსებული ის კერა, რომელიც რუსეთში მოღვაწე ქართველების ანდერჟ-შინაწერებში, თხზულებებში თუ ნაირ-ნაირ ჩანაწერებში მოიხსენება: „სვესენწკად“, „სესენწკად“, „სხენწკად“, „სესენწკად“, „სესენწკად“, რაც რუსული „ვესესვიატსკოს“ სახენაცვალი ფორმებია. დამის შემოკლებულ და ურცელ რუსულ სახელწოდებებს იყენებს პოეტი დ. სავაძე

რელიგიური შინაარსის (Nomina Sacra) კომპოზიტური ტომონიმი „ვესესვიატსკოე“ უძველესი დასახელების („ვოლოკლამსკის ქვეყანა“) ერთი ნაწილის აღსანიშნავად XVII ს-ში მკვიდრდება უველა წმინდანის სახელობის საუდრის გამო. ადრე ურცელ ტერიტორიას „ოტაი სვიატიეს“ უწოდებდნენ. XVI საუკუნეშიც ეს მიღამოები პატრიარქის საგვარეულო მამულ იყო, ხოლო შემდეგ ხატის მამულად იქცა. XVII ს-ის II ნახევარში ამ საეკლესიო მიწა-წყლის ნაწილს გავლენიანი ბოიარინი ი. მ. მილოსლავსკი დაეპატრონა და მის მოწინებას შეუდგა (1678 წლიდან). ათი წლის შემდეგ იქ 15 ოჯახი სახლობდა. 1688 წელს აშენდა სალოცავი უველა წმინდანის სახელზე. ამიერიდან დასახლებამაც ამ საუდრისავე სახელი გავრცელდა. ცოცხა ხნის შემდეგ მედროვის მამულებიდან ეს აჯარჯ სხისოდ იქცა.

1691 წელს სოფელი „სვესენწკა“ ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს უბოძეს. ეს იყო მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა საკუთრებაში გადასული პირველი მამული.

რუსულ სამხარეო-მცოდნეო ლიტერატურაში ამ სოფელში ქართველთა ორასწლოვან მოღვაწეობაზე მწირი ცნობებია.

სვესენწკას წარსულის აღსადგენად მრავალფეროვანი წუარობები მოგვეპოვება ქართულ,

რუსულ და უცხოურ ენებზე. მათგან კანაკულტურებით აღსანიშნავია რუსეთის სიძველეთსაცავებში დაცული დოკუმენტები, რომელთაგან დიდი მნიშვნელობისაა აღწერები. მამულების განაწილებაზე, მცხოვრებთა ვინაობასა ჯა სხვა ცნობებს შეიცავს სასამართლო საქმეწა, რუსეთში მყოფ ქართველებზე შედგენილი დიდი დავთარი, ცალკეულ პირებზე გაცემული უსუფის განაკვეთის სიგელები და სხვ.

სვესენწკელ ქართველებზე ხაინტაქოვ ტაქტებს ვხვდებით რუს და უცხოურ მოღვაწეობა მემუარებში.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს აღნიშნული დასახლების ისტორიისათვის არსებულ წერილობით მასალებს არქეოლოგიური მონაპოვარიც შეემატა.

საარქიო დოკუმენტების მოწმობით, ქარხვლებში რუსეთის დედაქალაქში XVII ს-ის 40-იან წლებში მკვიდრდებიან. 1652 წელს მოსკოვში ხელმწიფის კარზე აღსაზრდელად ჩაიუვანეს ქართველი უფლისწული ნიკოლოზი (ერეკლე), დედითა და ამალით. შემდეგ იქვე ჩავიდა თიმიურა I. ქართველი ბატონიშვილი და მისი მხლებლები რუსეთის დედაქალაქში დიდხანს დარჩნენ. 1674 წელს გამოემგზავრა სამშობლოში ნიკოლოზ ბაგრატიონი, ხოლო ოთხი წლის შემდეგ — დედოფალი ელენეც. საქართველოში დაბრუნება მხოლოდ ქართველი დედოფლის უმებმა დავითაშვილებმა არ ისურვეს.

ქართველთა დასახლებას რუსეთის დედაქალაქში, არჩილმა ჩაუყარა საფუძველი.

არჩილი მეთაურობდა იმ ქართველ მოღვაწეთა დასს, სამშობლოს პოლიტიკური გადრთიანებისა და მისი კულტურული აღმავლობისათვის დაუღალავად რომ იბრძოდა. კახეთში თორმეტწლიანი მეფობით მან დაამტკიცა, რომ იყო ფეოდალური საქართველოს ღირსეული მშენებელი და მისი იდეური ხელმძღვანელი.

დამოუკიდებელი ბრძოლით (ყველა „მთარეული-საგან“ დამოუკიდებლად) არჩილის დასა ვერ შეისრულა მიზანი, ამიტომ XVII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში დასახული ამოცანის განხორციელება რუსეთთან კავშირის გზით სცადა. მოსკოვს ჭირ არჩილის ვაიშვილებს მივიდნენ (1684 წლის აკვისტო), ხოლო შემდეგ — თვით მეფე, მთელი ოჯახითა და აშალით.

რუსეთის ხელშეწყობით ბრძანებულებით არჩილის სახლსაც, მოსკოვს ადრე ჩასულ ქართველების მსგავსად, ულუფა გაუჩინეს და დროებით საცხოვრებელი გადასცეს.

ქართველი მეფე რუსეთის დედაქალაქში ენერგულად ზრუნავდა საკუთარი სამკვიდრების შექმნაზე. 1685 წლის 15 დეკემბერს არჩილმა ხელმწიფეებს სთხოვა საცხოვრებლის ახლოს სალოცავის აშენება და დროებით სარგებლობაში მასზე გადაცემული ჰინის გაფართოვებაც წამოიწყო, მაგრამ ეს დონისძიებანი მოსკოვს ქართველთა ცხოვრების ტყვედ საფუძვლის შესაქმნელად საჭიარისი არ იყო.

რუსეთის დედაქალაქში ქართველებს დამკვიდრებაზე ზრუნვა რუსეთის სამეფო კარის პერსპექტიულ გეგმაში შედიოდა, მაგრამ ამ მართაულებით დონისძიებანი ფრთხილად ზორციელდებოდა.

არჩილთან ერთად სამშობლოში გამოგზავრებულ ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილების მოსკოვს დაბრუნების შედეგ გადაწყდა მათთვის საკუთრების გაჩენა.

1691 წლის 24 მარტს ხელმწიფეებმა ქართველ ბატონიშვილებს უბოძეს პატრიარქალ ვ. ვ. გლიცინის საზამთრო, ქალაქში საცხოვრებელი სასახლე. მალე (ხელმწიფეთა 1691 წლის 21 აპრილის ბრძანებულებით) ალექსანდრემ და მამუკამ მამულიც მიიღეს მოსკოვის მარაში (სოფელი სვესვიატსკოე და სხვ). ქართველ ბატონიშვილთა საკუთრებად იქცა ამ მამულებში არსებული საცხოვრებელი სასახლე, საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

ქართული სახლის კუთვნილი საუდრები (ქალაქში და ქალაქგარეთ) ქართულ საღვთო წიგნებითა და ინვენტარით შეივსო და კულტის სასახლურად ქართულად წარმოართა.

ასე ჩამოყალიბდა XVII ს-ის 90-იან წლებში ქართველთა ახალშენი მოსკოვში. ეს დასახლება თანდათან იქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად.

1698 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მამუკა ბატონიშვილი. ამიერიდან მამულის ერთპიროვნული მფლობელი გახდა ქართული ახალშენის მეთაური ალექსანდრე ბაგრატიონი.

„სვესენწყას“ განვითარებაში ახალი ხანა დგება.

არჩილის მოსკოვს დაბრუნების (1689 წ.) შემდეგ მეფისა და მისი მხლებლების რუსეთის

დედაქალაქში დამკვიდრებით ქართველთა ახალშენი გაიზარდა. პეტრე I-მა მალე მოაწესრიგა მოსკოველ ქართველთა ეკონომიკური მდგომარეობა. 1700 წელს გაუქმდა მათზე ულუფის გაცემა. წლიური ფულადი და ნატურალური სარგოს ნაცვლად არჩილსა და ალექსანდრეს უმა-მამულეები უბოძეს ნიენიოვგოროდში.

ამვე დროს ევროპულ სამხედრო მეცნიერებებში ღრმად განსწავლულ ალ. ბაგრატიონს რუსეთის საარტილერიო მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარების ხელმძღვანელობა მიენდო, ახლადშემოღებულ გენერალ-ფელდციეხმისტრის პოსტზე დაწინაურდა.

მოსკოველ ქართველთა ქალაქგარე რუნიდენცია „სვესენწყას“ ალექსანდრე ბატონიშვილისა და არჩილ მეფის საუფარუთ ადგალდა იქცა. ქართველი ბატონიშვილი და მეფე ღრმად ურჩადლებას უთმობდნენ მის მოშენებას.

აღსანიშნავია, რომ ალ. ბაგრატიონის სვესენწყას ფლოზის ათი წლის განძობზე ამ სოფლის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა. 1704 წლისათვის იქ 31 კომლი (119 სული) ცხოვრობდა. ჩრდილოეთის ომის დროს ნარკვასთან ბრძოლაში ქართველი ბატონიშვილის მოულოდნელი მარცხი რომ არა, ეს აგარაკი უფრო სწრაფად დაწინაურდებოდა.

შვილის დატყვევების შემდეგ არჩილი განაგრძობდა სვესენწყისა და მოსკოვის გარეუბანში სხვა თავის მამულების გამშენიერებას.

ომი, ვაიშვილების გარდაცვალება და ბევრი სხვა არჩილს ფართო აღშენებლობითი გეგმების განხორციელების საღისს უკარგავდა. ქართველი მეფის აღშენებლობითი ჩანაფიქრის ნაწილი იყო სალოცავისა და საგარეულო აკლდამის აგება-მოწყობა. დონის მონასტრის მარქმის საუღარწო ალექსანდრე ბატონიშვილის დაკრძალვით არჩილმა საფუძველი ჩაუყარა ქართველ მოღვაწეთა პანთეონს. მემკვიდრის ტრადიციამ, სამშობლო ქვეყნის შეუცნობელ მომავალზე ფიქრმა, ფართო შემოქმედებითა საქმიანობამ გატება არჩილი. 1712 წელს მსკოვანმა მოღვაწემ პეტრე პირველს სთხოვა მემკვიდრეობის სრული უფლება მიენიჭებინა თავისა ქალიშვილის დარეგანისათვის, თუმცა უძრავ მოძრავი საქონელიდან ალექსანდრეს წილზე პრეტენზიას აცხადებდნენ ბატონიშვილის ქალიშვილი სოფიო და მეუღლე გლიცერია.

რუსეთის ხელმწიფემ უწყობა დაადასტურა ქართველი მეფის ანდერძი.

1713 წელს ქართველთა ახალშენის მეთაური გარდაიცვალა.

ანდერძის თანახმად მოსკოველ ქართველთა ბედის გამგებლობა მიენდო დარეგან დედო

ფრიდონ სიხარულშიძე
„სპისნაწკა“ — ქართული კულტურის კირა ნოსპოვში

ფაღს, რომელიც 1719 წლამდე დედასთან, ქეთევანთან ერთად უძღვოდა ახალშენს, ხოლო დედის გარდაცვალების შემდეგ ცაიოუკიდებლად წარმართავდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ბედს და ქართლის სამეფოსიან კავშირს თანდათან აფართოვებდა.

ხანგრძლივი და მრავალშრიტი მოღვაწეობით დარტყანა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავიდა მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიაში. დარტყან დედოფლის ბედმძღვანელობით დიდად დამშვენდა ქართველთა აგარაკი, განხორციელდა ფართო მშენებლობა.

სვეცენწყაში, დარტყანის სასახლეში, რუსეთის იმპერატორებისა და საიმპერატორო კარის უმაღლეს წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისახებოდა და წუდებოდა რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებისა და რუსეთის საბელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები.

1721 წელს სვეცენწყაში მისულმა აბრამანის გუბერნატორმა ა. ვოლინსკიმ საიდუმლოდ აუწყა ქართული ახალშენის ხელმძღვანელს ვახტანგ VI-სთან დასაკავშირებლად საქართველოში, რუსეთისა და ქართლის მცოდნე მოხელეთა გაგზავნის ხელშეწყობის კარგ მიზნებზე გადაწყვეტილება. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე რუსეთ-საქართველოს იმდროინდელ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ორგანიზაციის მნიშვნელოვან საქმეში მოსკოველმა ქართველებმა შეამავლის როლი შეასრულეს.

შემთხვევით არ ჩასულა პეტრე I სვეცენწყაში ჩრდილოეთის ომში გამარჯვების ზეპის წინ, დიპლომატიურად იყო მომზადებული ქართველთა სოფლიდან ნიშნადების ზავის აღსანიშნავი დღესასწაულის დაწყება 1722 წლის 21 იანვარს.

რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნისა და ამის შედეგად ვახტანგ VI-ის დიდი ამალით რუსეთში გადასვლის დროს სვეცენწყა ქართველ მოღვაწეთა ვეუდროს სავანე იყო. იქ ცხოვრობდა ს. ს. ორბელიანი, 1724 წლის ოქტომბრიდან გარდაცვალებამდე (1728 წლის 28 იანვარი). ზოლო შემდეგ იქვე არტუნიის საშუალო განსაკუთრებული, ს. ორბელიანის სვეცენწყაში დაკრძალვით საფუძველი დაედო ქართველთა ახალ ნეკროპოლს მოსკოვში.

დარტყანი განსაკუთრებით ზრუნავდა ვახტანგ VI-სა და მის ახალზე.

1728 წლის 10 ივლისს ქართველმა მეფემ საიმპერატორო კარის წარმომადგენელთა წინაშე განაცხადა, რომ დარტყან დედოფალი მას მეგვიდრედ აუფანას შემპირდა, ჩანს, ამ საკითხზე კვლავ უმსჯელიათ და უკეთესი გადაწყვეტილება მიუღიათ: 1727 წლის 20 აგვისტოს დარტყანმა მემკვიდრედ ბაქარის დამტკიცება მოითხოვა.

1728 წელს მოსკოველ ქართველთათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა: იმპერატორმა პეტრე II-მ ვახტანგ VI-სა და მის ამაღლის უბოძა ადრევე აღთქმული პრენაა, იმავე დროს ბაქარი დარტყანის მემკვიდრედ დამტკიცეს.

ქართველი დედოფლისადმი ყურადღებებს ინიწნდა იმპერატორი ანწა.

თანდათანობით ზრდა-განვითარების შედეგად სვეცენწყა დაბად იქცა. შეცვლილ ვითარებაში დარტყან დედოფალმა დროულად გადაწყვიტა ახალი ქართული სალოცავის აშენება. ამის თაობაზე 1728 წლის 22 მაისს დარტყან ბაგრატიონი რუსეთის იმპერატორს თხოვდა უფელა წმინდანის სახელზე აშენებულ უმცირეს და დამკვლევულ სალოცავში ღვთისმშობრების შეუძლებლობის გამო ძველი საუდრის დაწლისა და ორი ეგვტრის დამატებით ახლად აგების ნებბს. ერთი ეგვტრი შენდებოდა საქართველოს წილზევალიმლის უკვლად მწვხარე ღვთისმშობლისა და წმინდა სიმონ მიმრქმელის სახელზე, ზოლო მეორე — ანა წინასწარმეტყველის სახელზე.

11 ივნისს ქართველმა დედოფალმა სველი, რუსული სალოცავის დაშლისა და იმავე ადგილზე ახლის აგების დასტური მიიღო. ამასთან ახლადაშენებულის საკუთობებლად სპეციალური მიმართვით შეტყობინებაზე მიუთითეს.

ამ წნის მანძილზე დარტყანმა ქველი სალოცავის ახლოს, თავის სასახლესთან „წმინდა ქრისტე ღმერთის“ გამოცხადების სახელზე გამართვინა ტოლოს კარაი — საუდარი.

1728 წელს სვეცენწყას ახალი ტაძრის აგება დასრულდა.

დარტყან დედოფლის ინიციატივით აშენებული ქართველთა სალოცავი დიდებული სანწავიანი ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა, ტაძრის შესასვლელის თავზე აღმართულია მალა სამრეკლო შეჭურით, საუდრის ცენტრალური ნაწილი და საკურთხების აფსიდა გადახურულია ნახევარწრიული გუმბათით. ექვსწახანკოვანი კონქის ხანვისებური წვერი დაბოლოებულია ცვრით, მშენებლობაში ჰარბობს რუსული კლასიციზმის სტილი.

კურთხებისთან ერთად ტაძარი შეიჭო ქართული კედური ხატებითა და სხვა სამღვდელთმშახურო იწვენტარით. მათგან მოღწეულია ქართული ტიპის სამი კლის (წმინდა ნინო, თამარ და დარია) გამოსახულებიანი დიდი ხატი, ჩანსულია გვიან გაეთებულ ჩარჩოში.

დარტყანმა ტაძარს შესწირა წმ. ნინოს, თამარის, ქეთევანის პორტრეტები, ნივთები, წიგნებუნი

იმ დროიდან აღნიშნული სალოცავის ქართულითა თვალსაჩინოდ გამოიკვთა. ქართულენაზე ღვთისმშახულება იქ XIX საუკუნის 40-იან წლებამდე გრძელდებოდა. მოსახლეობა

ადინშულ ხალოცავს დღესაც ქართულ უწოდებს და ქართველების საკუთრებად აღიარებს. დარეკან დედოფლის ღვაწლი ფაქსირებულია საქართველოში, მარცხენა მხარეს, კედელზე მიკრული დაფის ზედა ნაწილის ქველ რუსულ წარწერაში, იმავე დაფის ქვემო ნაწილში შემდეგ დამატებული წარწერა გვაცნობს 1848 წელს ამ ტაძარში ღვთისმსახურების განახლებას.

დარეკან ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ (1740 წ.) მემკვიდრეობა ბაქარის ხელში გადავიდა (მამულების იმ მცირე ნაწილის გარდა, რომელიც ქართველმა დედოფალმა სიცოცხლეშივე უწილად ამისწულ სოფლისა და სიტეს — გ. ღაღინას).

ბაქარის სიცოცხლეში სვესენწკაში ბევრი რამ ახლებურად მოეწყო.

ქართველთა ახალშენის ამ მეთაურის საერთო ზედმდებანელობით დაბაში უარყო სამეურნეო და კულტურული საქმიანობა ვაიშლა.

როგორც ჩანს, 1741 წლიდან სვესენწკაში მოღვაწეობდა ნოვგოროდიდან დაბრუნებული წინამძღვარი ქრ. გურამიშვილი.

ამ დროს მოსკოვიდან სვესენწკას გადაიტანეს ქართული სტამბა და ღიდი საგამოქმედლო მოღვაწეობა დაბაში გააგრძელეს. 1748 წელს იქ დაიბეჭდა „დაბადება“ — ფეოდალური ქართული კულტურის ერთი სვეტთავანი.

სვესენწკაში შეიქმნა და გადაიწერა ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები. კულტურის ამავე ეტაპში თარგმნეს მსოფლიო ისტორია, საგმირო, დიდაქტიურა, სასწავლო და სხვა თხზულებანი.

1748 წლიდან ბაქარას მამულებში შესაზიარებლად იღვწის მისი უმცროსი ძმა გიორგი, რომელმაც 1744-48 წლებში მიაღწია კიდეც მამულების გაყოფას.

სვესენწკაში გ. ბაგრატიონს ერგო მდინარე ხოდნეას მარჯვენა მხარეზე არსებული ტუბ და მოზრდელი სახნავ-სათესი მიწდორი, რომელზედაც შემდეგ მან ორანჟერია მოაწყო.

სამშობლოში გამოგზავრებისათვის ბაქარმა სვესენწკაში შეაგროვებინა ცხენები და გაახსენებინა ახალი საჩინიო.

1749 წლის 4 აგვისტოს იმპერატორმა ელისაბედმა დამატეცა ქართველი მეფის სამშობლოში წასვლის დოკუმენტი.

გამგზავრებისთან დაკავშირებით გადაიქრა მამულების დაბრუნების სახალღების, „ქარხნების“ გაყიდვა და სხვა საქმიების მოგვარება 1748 წლის ულუფის მოუცემლობისა და საზრდოს განწილების დავთვის წადების განზრახვისათვის ბაქარს იმპერატორთან უჩივლეს სვესენწკელ თავადანაურთა ქვრივებმა და ქალიშვილებმა.

ბაქარის მეთაურობით ქართველთა ღიდი ჩვეულის სამშობლოში დაბრუნება ჯერ გაჯანაურდა,

ხოლო 1750 წლის თებერვალში ჩაიშალა ქართველი მეფის მოულოდნელი გარდაცვალებით.

ბაქარის მეუღლემ ანა დედოფალმა დაიბრუნა ქმრის მემკვიდრეობა და შემდეგ (1780 წ.) მთელი უძარც-მომძვავ ქონება მან შეიღებს გაუყო. უფროს ვაჟს ლევანს ერგო მამულის მესამედი და განძის ნაწილი. სვესენწკის ბაქარისეული წილი, სასახლეები მოსკოვში და ნიენიოვგოროდის მამულების ორი მესამედი ანა და მისმა უმცროსმა ვაჟმა ალექსანდრემ შეინარჩუნეს.

1780 წელს მართებლმა სენატმა დაადგინა ბაქარის უთვლილი მამულის ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილების მემკვიდრეებზე თანაბრად განაწილება.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში სვესენწკის განვითარებაში წვლილი შეიტანა გ. ბაგრატიონმა.

ვახტანგ VI-ის ეს მემკვიდრე, ჩანს ბაქარის პოლიტიკურ მრწამს არ იზიარებდა. იგი არ ცდილა სამშობლო ქვეყნის დაპატრონებას. ძირითადად დახჭერდა ბომბულს და დიდი ენერჯია შესწირა სვესენწკის, პარესნიისა და მისი შემოგარენის გამშენებრებას.

აღსანიშნავია, რომ მახლობლად ნაყიდ მიწაზე მან დასახლა სხვადასხვა ვუბერნიებიდან ჩამოყვანილი ხალხი და 70-იანი წლებისათვის შექმნა ახალი სოფელი, რომელსაც გიორგიეცკოე ეწოდა. ქართველთა სოფელი გიორგიეცკოე უართობით ათჯერ მცირე იყო სვესენწკას გიორგის წილზე, მაგრამ მოსახლეობით სჭარბობდა მას.

ორივე სოფელში მიწათმოქმედებისათვის ვარგისი თითქმის ერთნაირი ხილიანი ნიადაგი იყო, ძველი სვესენწკის ნაწილსა და ახალი სოფლის გიორგიეცკოეს თავისუფალ მიწდებზე უნარიანმა მეურნემ გენერალ-ანჟეფმა გიორგი ბატონიშვილმა ძირითადად დეკორატიული მემკვიდრეობა და მეუვევილეობა ვანაუთარა. გააშენა თვალწარმატაცი ბაღი, რომელსაც ეყვროდა ტუტე. საზამთრო, საზაფხულო, საცხოვრებელი თუ სასტუმრო სასახლეებიოა და გალერიით დამშენებული ქართველი ბატონიშვილის ეს ქალაქგარე რეზიდენცია წელიწადის თითქმის ყველა დროს სასიამოვნო საცხოვრებელი, სასიერო და სანადიმო ადგილი იყო.

ერთ-ერთი დოკუმენტის მონაცემებით გ. ბაგრატიონს ამ სოფლებში ჰქონდა ქვის ღუნდამენტანი ერთი საზამთრო და ხის ორი საზაფხულო სასახლე, სასამსახურო სახლი ზუიი საცხოვრებელი ბინი, სურათების გალერეა, ექვსთვალაანი ხის სახლი მზარეულ-ოფიცანტებისათვის; დამაზად შეღობილ ბაღში იდგა თოთხმეტთვალაანი სასტუმრო სახლი, ბაღშივე ქვით იყო

ფრიდონ სიხარულძე

„სმისანწკა“ — ქართული კულტურის კირა მოსკოვში

მორეობილი ხეივანი, ქვეთვე გამართულა იყო ხუთი ორანჟერეა, რომლებშიც კედლებს შუა ქოთნებში ხარობდა 1516 სხვადასხვა ქრისტიანული სურათი, იქვე ახლოს იდგა ხულა, მსახურთა სახლი, სამზარეულო...

ქართველ ბატონიშვილს არ დავიწყნია ტრადიციული (ფოთდელური) ქვის მრგვალი კოშკის აგება. კოშკიდან ხის ჭიშკრის გავლით გზა ხეივანში შედიოდა.

ამ ღირსშესანიშნაობებს ტბის პირდაპირ ეკრა დიდი პარკი.

სვესენწკაშივე მდინარე ხოდინჯაზე მუშაობდა წისქვილი, კოპიად იყო მართული გ. პაგრატიონის შემოსავლით აშენებული გიორგიევსკოე. ქართველი ბატონიშვილის საუკუნეულ სააგარაკო და სანადირო ამ სოფელში იდგა შვიდთვლიანი საზაფხულო სასახლე, სამზარეულო, დამხმარე სახლი. ამ შენობათა გასწვრივ გაშენებული იყო გრძელი ბაღი.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ბატონიშვილის გულდაჭერებული მოღვაწეობა მოსკოვის ამ შემოგარენში აისახა დ. საკაძის შემოქმედებაში.

ჩენს დროში (1957 წ.) სვესენწკაში გ. პაგრატიონის სასტუმრო ნასახლევის ადგილას დრმა ფენაში აღმოჩნდა ბუხრის შემკული მხარის ამის შესახებ, როგორც ჩვენთან საუბარში ისტორიის მეცნიერებთა კანდიდატმა გ. ლატიშევამ განაცხადა, მას შეატყობინეს 1950-ი საშუალო სკოლის პიონერებმა. ისტორიის მასწავლებელ ე. შორაშვიის ხელმძღვანელობით მხარის გასაცნობად გასული მოსწავლეები ქუჩკულისა და ბუხრის ნამტკრევეებს წასწუდამოდიან. არქეოლოგმა ნაპოვნის დასადგენად თხრა წამოიწყო; მალე სახაზლის ნანგრევები შეაჩინია შემდეგ დიდი ზომის მოხატული თევზება და ქვაბის თავსახურიც ეპოვნა.

ბუხრის ნამტკრევეებზე კარგად ჩანს მოჩუქურთმებული მოხატული სიუჟეტური სცენები. წარსულში ამგვარად შემკული ბუხარა შეინარსით ალბომს ცვლიდა.

სერვისის ქართულობას უქვეყნებს ხდის ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბი, რომელიც თევზებსა და სახურავს ცენტრში ახატია. ეს პერალდელიური ნიშანი გამოსახავს ორ უალღუბელ მღვდარ ღმრს, რომელთაც თათები უჭირავთ ფარა. ოთხ ნაწილად გაუფიქრ ფარში ჩაბატულია სახელისუფლო ნიშანი — სფერო და სკიპტრა. აგრეთვე გადაჭარბებულად ზალი და ქნარი.

მკვლევარმა გააკრვია, რომ აღნიშნული სერვისი დამზადებულია პირველ რუსულ კერამიკულ ქარხანაში (დაარსდა 1724 წელს). არქეოლოგიურმა მონაპოვარმა მნიშვნელოვანი ცნობები შეგვიძინა სვესენწკელ ქართველთა უოუა-ცხოვრების დონეზე, გემოვნაზე, რუს მოღვაწეებთან ურთიერთობაზე და ა. შ.

ნაპოვნი დაცულია ქალაქ მოსკოვის ისტორი-

ისა და რეკონსტრუქციის მუზეუმში. ორი თედში და სასოფე ქვაბის თავსახური გამოტანილია იმავე მუზეუმის ექსპოზიციაზე. მიღწეული შეთანხმების საუფველოდ აღნიშნული ნივთების ერთი ნაწილი დაამუშვენებს პრესინაზე ქართველთა დასახლებისადმი მიძღვნილ გამოყენასაც, რომელსაც წელს გახსნის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი.

გ. პაგრატიონი ფართოდ განათლებული მოღვაწე იყო. მეცნიერების (განსაკუთრებით ისტორიის) და მწერლობის მოყვარულ ბატონიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც სამშობლოში მცხოვრებ ისე რუსეთში ჩასულ ქართველ მოღვაწეებთან, აღსანიშნავია, რომ 1780 წელს გ. პაგრატიონმა სვესენწკაში მიიღო პეტერბურგს მიმავალი თეიმურაზ II ამალით ქართველი ბატონიშვილი ბელს უწყობდა რუსეთში მყოფ ანტონ კათალიკოსს, ათანახე მიტროპოლიტს, გაიოლს, ლევან ბატონიშვილსა და სხვებს. ქველმოქმედმა გ. პაგრატიონმა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობის, პროფესორ-მასწავლებლებისა და საზოგადოების სუვერული და პატივისცემა დაიმსახურა.

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე (1784 წლის დანასტრულს) უმეცნიეროდ დარჩენილმა გიორგი ბატონიშვილმა სოფელი გიორგიევსკოე და სვესენწკას მისეული წილი საიმპერატორო კარს დაუბრუნდა.

1787 წლის მარტში გიორგიეული სვესენწკა და სოფელი გიორგიევსკოე აღწერეს. ბაქარის შთამომავლებთან შეთანხმებით სვესენწკაში ქართველთა მამულისაგან სასახლის საკუთრების გამოსაცალკეებლად მიწა გაავლეს (აღნიშნული საზღვრის კვალი 40-იან წლებამდე შეიმჩნეოდა ამ დასახლებაში).

უქანსცენლად ქართველთა ამ დაბას თვალსაჩინოდ დაამჩნია ხელი ბაქარის შთამომავლთაგან რუსეთში ემერგიულად მოღვაწე გიორგი ალექსანდრეს ძე პაგრატიონმა (გრუზინსკიმ).

ახალგაზრდა გ. პაგრატიონი ერთხანს თითქმის მთლიანად გამოეთიშა მოსკოვურ ცხოვრებას. ძირითადად ნიუნიოვგოროდსა და ლისკოვოში დასახლდა. იქ იგი ორ ათეულ წელზე მეტად წინამძღოლობდა აღნიშნული გუბერნიის თავად-აზნაურობას. გიორგიმ შორთო და სახასლევით დაამშენა ქართველთა მამულის ცენტრი ლისკოვო, ზოლო პირველი სამამულო ომის მრისხანე დღეებში იგი სათავეში ჩაუდგა მთელ მხარის სახალხო დაშქრის ორგანიზაციას და ბრწყინვალედ მოაგვარა ეს საქმე.

შემდეგ ქართველი მეფის ეს შთამომავალი მოსკოვს დაბრუნდა და ფართო გეგმით წაიიწყო სამამულო ომის დროს შებღაბული სვესენწკის სალოკაციის, სახაზლის, პარკის განალება. მან შეატყობინა ქართველთა ძველი სახაზლე, ააშენებინა ახალი საზაფხულო რეზი-

დენცია, გააშენა დიდი პარკი, რომელიც დაამშენენა იშვიათი მცენარეებითა და უვავილებით. რუსეთის სახალხო ლაშქარის ამ ერთ-ერთმა მუხანაშინავემა ორგანიზატორმა თავის პარკში დააღმგვეინა რუსეთის არმიის მეომართა სტატუები, მოაწუბონა ხელოვნური ტბა კუნძულით; იქვე გაამართვინა ზეივანი და ა. შ.

გ. ბაგრატიონმა დიდი სახსრები მოახმარა ქართველთა საყდრის შეკეთებასა და მასში არსებულ ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლია დაცვას.

დაბის მშვიდი და ხალისიანი ცხოვრების სიმკუდროვე დაარღვია 1850 წელს ხვესენწკაზე გაუვანილმა სანქტპეტერბურგის ტრაქტის კვადენილმა. ტრაქტის კეთილმოწყობამ ღაჩქარა დაბის ბურჟუაზიული განვითარება. ამიერიღამ დასახლება სწრაფად შეიცვალა. აგარაკებისა და სასეირნო ადგილების მშენებლობის ნაცვლად, რაც XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ჟართოდ ვითარდებოდა, სვესენწკაში მრავლად იწუეს ხავაკრო, სამრეწველო და სახელმწიფო უწყებების შენობების, თავშესაფრებისა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათა აგება.

ჩანს, დაბის ასეთი გარდაქმნის დასაწყისს ვერ შეეგუა გ. ბაგრატიონი, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლისკოვის გაატარა.

მისი გარდაცვალების შემდეგ (1862 წ.) სვესენწკა შემკვიდრებითი ერგო ვიორგის ქალიშვილს ანას.

ანა ბაგრატიონმა (გრუზინსკაიამ) ეგრძო პირებს მიჰყიდა ქართველთა დაბის მამული, დაშვიდრდა მოსკოვში, სადაც მოაწყო გრანდიოზული სალონი და თავი გამოიჩინა მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა მეცენატობით.

ბურჟუაზიული განვითარების ზანაში სვესენწკა დიდად შეიცვალა. მოსკოვის განაშენიანება თანდათან ამზადებდა პირობებს ამ უძველესი გარდაქმნილი დასახლების ქალაქში მოსაქცევად. ამ პროცესს ორასა წლის მანძილზე ქართველებმა ობიექტურად დიდად შეუწუეს ხელი მოსკოვსა და მის მიდამოებში განხორციელებული მთელი კულტურული მოღვაწეობით, თუმცა ქართველთა ორსაუკუნოვანი ფართო შემოქმედებითი საქმიანობა მოსკოვის ამ გარეუბანში დიდი ზანა წარსულს ჩაბარდა. ჩვენი თანამემამულეების ცხოვრების კვალი უზარმაზარი მოსკოვის ამ ნაწილშიც დღემდე კარგად შემოუნახავს ქართველთა მშენიერ ხალოკავს, ქართული კულტურის დამაშვრად მოამაგეთა ნეკროპოლს, მის მახლობლად გათხრილ საფლავთა კვების წარწერებს, ტომონიმებს, იქ გადაწერილ თუ მანეტდ წიგნებსა და სხვ.

მუშაობა გვმართობს ეთნოასვლიხაგან შემოჩინილის დასაცავად!



შუქია აფრიდონიძე

ბიძინა ფოჩხუას ხსოვნას

მართლმადიდებელი ენათმეცნიერებისათვის განსაკუთრებით მძიმე და საგრძნობი დანაკლისი იყო გამოჩენილი ლექსიკოლოგისა და ლექსიკოგრაფის — ბიძინა ფოჩხუას გარდაცვალება.

დრო გადის და თანდათან ვშორდებით ბატონ ბიძინას. მაგრამ (ან, იქნებ, ამიტომაც) მის უმცროს კოლეგებს, მისი ამაგის ახლანდელ დამფუძნებლებს და, ვინ იცის, მომავალ შემფასებლებს, კიდევ უფრო გვიშფაფრდება ორი, ერთმანეთს შერეული გრძნობა: ერთი — აღტაცებისა — იმის გამო, რაც ბიძინა ფოჩხუამ მოახწრო. მეორე — გულხსტიკვილისა — იმის გამო, რაც მას არ დასცალდა.

სიტყვები მოახწრო, დასცალდა, დროის გაგებას რომ შეიცავს, შემთხვევით არ გვიხმარია, რადგან, ვფიქრობთ, უკვლავად გამახვილებული გრძნობა თვით ბატონ ბიძინას სწორედ დროის მიმართ ჰქონდა.

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცხოვრება ბიძინა ფოჩხუამ დროსთან ჰიდილს შეაღია: ხან დროს უსწრებდა, ხან დროს უსწრებდა: სკოლაში სიარული — ავადმყოფობის გამო — გვიან დაიწყო, მუშაობა კი — მამის გარდაცვალების გამო — ადრე, მოწაფეობიდანვე: უნივერსიტეტში ცხრაშვიდი წლისა შევიდა და სტუდენტობიდანვე, დროადარო, უკვე სპეციალობით — ენიშკის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

მოკვიანებით დროს კიდევ უფრო მკაცრი გამოცდა მოუწყო: გაუგებრობით შეიწირა მეცნიერული მუშაობისათვის საუკეთესო წლები; შეიწირა იმისათვის, რათა მომდევნო ჩანგატხილ ოცდაათი წელს სულის გაუტეხლობითა და თავდაუზოგავობით აენახლადურებინა ათწლიანი იძულებითი პაუზა — დროის ის ხაწუაო, რომ-

ლის ნამდვილი ტევადობა მხოლოდ ბატონმა ბიძინამ იცოდა, რადგან ჩვენი, მისი მოწაფეობის (და, ვფიქრობ, არა მარტო მათი) თვლით, მან იმდენი მოახწრო და ისე მოახწრო, რამდენიც და როგორც სხვა შემთხვევაში უნდა მოეხწრო ისევ მაღალნიშნისა და ფართოდ ერუდირებულ მეცნიერს, ოღონდ შეუწყვეტილი, ამასთან, სულიერად მშვიდი და ინტენსიური მუშაობით ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე...

ბიძინა ფოჩხუას გამოკვლევები ცხადუფს, რომ მათი ავტორი არა მარტო ფართოდ დიაპაზონის ენათმეცნიერი იყო (იგი მუშაობდა ფონეტიკასა და გრამატიკაში, ლექსიკოლოგია-სემანტიკაში და სტოლიტიკაში, ზოგად ენათმეცნიერებაში; იყო ლექსიკოგრაფი), არამედ თავისებური აღმოჩენიც და გზის გამკვალავიც — როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში.

ბ. ფოჩხუას ნაშრომთა სათაურებიდან მისი, როგორც ენათმეცნიერის, ევოლუტია, ერთი შეხედვით, წარმოგვიდგება როგორც გზა ფონეტიკისიდან ლექსიკოლოგამდე. გარკვეული აზრით, ეს ასეც იყო, მაგრამ მხოლოდ კონკრეტული მახალის კვლევის თვალსაზრისით. უფრო მნიშვნელოვანად კი ის მიგვაჩინა, რომ ბ. ფოჩხუას ლინგვისტად მომზადება მისი ხელმძღვანელის, აკად. არნ. ჩიქოხავას ინიციატივით, თავიდანვე მუარ თეორიულ ნიადაგს დაეფუძნა, როცა ქვე კიდევ სტუდენტი, ინტენსიურად ჩაება ზოგადი ენათმეცნიერების საკითხების კვლევაში, რისთვისაც ფაქტურად არც შემდგომ დაუნებებია თავი — მისხვევ სასიკეთოდ.

ბიძინა ფოჩხუას ლინგვისტური ბიოგრაფია, როგორც ითქვა, ფონეტიკური გამოკვლევებით დაიწყო (ამ დარგში მას აკად. გ. ახვლედიანი

წერონდა). სტუდენტობისას, შესრულებულ პირველ ნაშრომს „თანმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში“ მოჰყვა სხვებიც: „მარტივი წინადადების თხრობითი ინტონაცია“, „კითხვითი ინტონაციის გენეზისისათვის“, „ინტონაცია და გრამატიკა“, „ფონეტიკური კანონზომიერების საკითხის ისტორიიდან“.

ამავე პერიოდში (1989-94 წწ.) დაიწერა სრულად დამოუკიდებელი კვლევითი ღირებულების რეფერატები ზოგად ენათმეცნიერებაში: „ენგელის ენისა და ენათმეცნიერების ძირითადი, საკითხების შესახებ“, „იაკობ გრიმი და საქართლის ისტორიული სკოლა“, რეცენზია აკად. ი. მეზხინიძის წიგნზე «Общие языкознание», ითარგმნა ვ. პიწანის ნაშრომი „შლაიხერი და თანამედროვე ენათმეცნიერება“ და ტრუბეტკოს „Grundzüge“-ს შესავალი თავები. და ბოლოს, დაიწერა ბრწყინვალე საყანდიდმო დისერტაცია „ფოსტერის საენათმეცნიერო კონცეფცია“. და ეს უკმაფური გაკეთდა სულ რაღაც ხუთ-ექვს წელიწადში!.

ცნობილია ბიძინა ფოჩხუას გამორჩეულად ძლიერი ანალიზური აზროვნება, იშვიათი სიზუსტე და სიმზავილე. მაგრამ მისი ნიჭის მთავარი თავისებურება, ვფიქრობთ, მაინც ანალიზ-სინთეზის მარშმონიულობაში მდგომარეობს. კონკრეტული და უხვი მასალის ფლობა მას ზევადან, ფართოდ და ღრმად ზედვის საშუალებებს აძლევდა. მას ხელთ ეპურა სხვადასხვა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური მოვლენისა და საკითხის ურთიბლი და უბილავი ძაფი, რათა შემდეგ ისინი ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა და ამ კავშირით ხელეწიფე გაესადა იმავე მოვლენისა ან ხანძლივი არსი — ახალი შუქით განათებული.

როგორც ახლა ირკვევა, არც ერთი საკითხი ბ. ფოჩხუას შემთხვევით ან უკვლად არ უკვლივია.

ასე, მაგალითად, მარტივი წინადადების ინტონაციის შესწავლამ მეცნიერი ბუნებრივად სატყუთგანდადების საკითხთან მიიყვანა და, თუმცა ამ საკითხზე უკვე არსებობდა თითო-ორილი სპეციალური შრომა, ბ. ფოჩხუამ საუთარი და სხვისი კონკრეტული კვლევის შედეგებში პირველმა აიყვანა ზოგადლინგვისტური შეფასების სიმალღეზე, როცა გაარკვია, რომ კვებმდებარის თავიერდური პოზიცია ზოგადენობრივი მოვლენაა, ხოლო შემასმენლის ბოლოციდური-ეკრძიქართული.

ფონების, როგორც მნიშვნელობის უქონელი ოდენობის, ფუნქციური ღირებულების გარკვევამ (იხ. ადრეული სტატია „ტრუბეტკოსი ფონოლოგიური სისტემის ძირითადი ცნებები“) ბ. ფოჩხუა შეიარაღა მუარე არგუმენტებით სინონიმისა და ომონიმის მოვლენათა ახსნისას. ქართული ლექსიკისა და მისი ისტორიის კვლევისას, სხვა ენებთან საზიარო ლექსიკის ძიებით

სას ბ. ფოჩხუა ბუნებრივად და თანდათან იწყებდა ქარ ქართველური, შემდეგ კი მთის იბერიულ-კავკასიური ლექსიკის სტეროსკენ.

მაგრამ პრაქტიკული საკითხებიდან მას ბუნებრივადვე მოუხდა ენათა გენეტური ნათესაობის ფუნდამენტურ პრობლემაზე საკუთარი თეორიული პოზიციისა და თვალსაზრისის შემუშავებაც. მზედველობაში გვაქვს, ვერძალ, მტკაღ ანგარიშგასაწევი დებულება, რომ რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობა შეორეულია ენათა ნათესაობასთან შედარებით და მონათესავე ენათა შორის ამგვარ შესატყვისობათა არსებობის შესაძლებლობა ვერ ხსნის ენათა ნათესაობის („შესატყვისობის როლი ქნისა ნათესაობას“ — მისი სიტყვებით).

ამ ფონზე ერთნაირად ლოგეურად და მზავილგონივრულად გამოიყურება მსხვული სქემა ქართული კაცისა და მგურული კორის ურთიერთობისა, რომელიც აგებულა ერთ ფურეში, ერთი მზრით. გაუფიქრეწეციებელი მასალის და, მეორე მზრით. გადიფრეწეციებელი შესატყვისის თანარსებობაზე.

ლექსიკოლოგიური კვლევის ღრმა და მუარე მეთოდოლოგიის მომარკვებით კრიტიკულად იქნა აგრეთვე შეფასებული „ნესტრატული მიპოდიზის“ ქართული ნაწილი.

ზემოთ ითქვა, რომ ბიძინა ფოჩხუას წილად ხვდა, სტუდენტობიდანვე ზიარებოდა ლექსიკოგრაფის მტკაღ სამატიო. მაგრამ არამალემ მძიმე და მომქანყველ შრომას, სტუდენტად უკუნისას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვანის შედგენაზე მუშაობდა. ასიარსტობისას შეადგინა უფველესი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების სიმფონია: მოგვიანებით მონაწილეობდა არუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაში, დაეცინრა განმარტებითი ლექსიკონის VIII ტომის თანარდექტორობა, და VI ტომის რეცენზენტობა, ეთხოვა ქართული სახჭოთა ენციკლოპედიის მთელი I ტომის რეცენზენტობა და სტატეების მოშადგენა-რეცენზირება ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიასა და სტეორიტიკაში.

ბიძინა ფოჩხუა იმ ტიპის მეცნიერი იყო, რომელიც ვველა პოზიტიურ მონაპოვარს პერსპექტივაში ზედავდა და ამ პერსპექტივის საზღვრებს საკუთარი ძალისხმეითა ახსოვებდა და რეალობად აქცევდა ასე. მაგალითად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის დამთარგმბიდან სულ მალე ბ. ფოჩხუას ზელმძღვანელობით მოშადდა და გამოიცა ინვერსიული ლექსიკონი, რომელიც განმარტებით ლექსიკონს უარდნობდა. ასეთი ტიპის ლექსიკონი კი ბევრ ეულტურულ ერს არა

შეძინა აზრდენენიძე

ბიძინა ფოჩხუას ხსოვნა



აქვს, მათ შორის ისეთებსაც კი, რომელთაც განმარტებითი ლექსიკონები კარგა ხანია გამოცემული აქვთ; ინვერსიული საძიებელი გაუთუთდა ავრეთვე ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონს“. ბ. ფოჩხაძე ურდულაქტორა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ტოპონიმიის ლაბორატორიის მიერ შედგენილ „საქართველოს ოკონომია ინვერსიული ლექსიკონს“. ვაჟა-ფშაველას კაბინეტში კი კვლავ ბ. ფოჩხაძე ჩაუდგა სათავეში ვაჟის სიმფონიის შედგენის საქმეს.

ამას დაუფრთხილეთ ენათმეცნიერების ისტორიულ მის მიერვე შემოღებული პროსემინარის ბელმდგანელობა და უკანასკნელი ათი წლის მანძილზე უნივერსიტეტში ქართული ლექსიკოლოგიის კურსის კითხვა ფილოლოგიის ფაკულტეტზე — პირველად თბილისის უნივერსიტეტის ისტორიაში. სწორედ ამ ლექციების საფუძველზე შეიქმნა ბ. ფოჩხაძის საეტაპო, თავისი თვისებებით მართლაც კლასიკური მონოგრაფია „ქართული ენის ლექსიკოლოგია“.

ამ წიგნის ცალკეული პარაგრაფების ჭერ მართა სათაურების, შემდეგ კი შინაარსის გაცნობა ცხადყოფს, თუ საკითხების მრავალფეროვნებით, კონკრეტული მასალის ბრწყინვალე ფლობით, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში შესანიშნავი გავრთნილობით და ღრმა თეორიული გააზრებით რა შეუდარებლად ძვირად ღვატს იგი ანალოგიურ გამოკვლევებზე, რომელთა ავტორები ფრიალ სახელიანად ითვლებიან.

„ლექსიკოლოგიის“ წინასიტყვაობის პირველივე ორ აბზაცში კარგად ჩანს ავტორის პიროვნება: ერთი მხრით, ინტელექტურად თავდაბალი და მოყრდამებული, როცა თავის ფუნდამენტურ წიგნს „ნარკვევად“ იხსენიებს, ხოლო, მეორე მხრივ, შაკური და მომთხვინი, როცა განმარტავს, რომ წიგნი სპეციალური ლინგვისტური მომზადების აუდიტორიისათვისაა განკუთვნილი.

მონოგრაფიის უკველი ნაწილი, თავი, პარაგრაფი, ასე გასინჯეთ, საგნობრივი საძიებელიც კი, რომელიც დიდოსტატის სილაღლითა და გაქანებით არის შედგენილი, წამახული კალმითაა ნაწერი და ამისი ავტორი კოლორიტულ პაროვნებას სანიშნულო ენითაც გვიცოცხლებს — პიროვნებას, რომელიც ზუსტად ანალიტიკოსი მეცნიერისა და ფაქიზი პოეტის სინთეზადაა შეტრული.

დასასრულ, სიამაყით და, იმავდროულად, სიანუნლითაც უნდა მოვიხსენიოთ ბიძინა ფოჩხაძის მიერ წამოწეული უზარმაზარი საშვი-

ლიშვილი საქმე — ქართული ლექსიკონის მანტიყური კლასიფიკაცია, სხვანაირად, ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის შედგენა, რომელიც სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობას გვირგვინად უნდა დასდგომოდა და რომელსაც მისი მშობლიური ერი კიდევ უფრო უნდა დაეწინაურებინა და უკვლავ კულტურულ ენთა ავანგარდში მოექცია.

სიკვდილში ამ გატაცებულ მუშაობაში მოუხწრო ბიძინა ფოჩხაძეს...

პარადოქსებით ხავე იყო ბიძინა ფოჩხაძის ბიოგრაფია: უფოთველი ფიქრისა და წერილობითი, განსჯისა და ბრძოლისათვის ცანაზადებული-განსწავლული ფათერაკებთან გვირგვინა არგუნა ბედმა — ისიც, ბედისავე ირონიით, მშვიდობიანობის ღრეს; ფიზიკურად სუსტს მისი ინტელექტისათვის შეუფერებელი მძიმე ფიზიკური შრომა შეხვდა; კულტურულ ოქაზურ გარემოში (და პაინისტი მუავდა, ძმა — არსენ ფოჩხაძე — მევიოლინე და მხატვარი) პოეზიისა და კლასიკური მუსიკის სინანარტეს მიჩვეულ უფრო მრავალი წლის განმავლობაში ბილწისიტყვაობის საზღვრები უნდა ეწომა, ბაბილონის ვილოლიში, ხოლო ფაქიზ, კეშმარტის მწერლურ თვალს — ემზირა, როგორ იქცევა აღმამიანი პირუტყვად, და ეფხიზლა, ეფხიზლა, რათა სული გადაერჩინა, მასთან, არა მარტო თავისი, არამედ და უწინარეს უკვლისა — სხვისი, მოუვასისა.

აკი ამიჭომ, თვითონ — ფიზიკურად, მატერიალურად და სულიერად შეჭირვებული, სამშობლოს მოწვევითი, უცნაური ბედის მიერ „ერთვან შეურილ“ სხვადასხვა რჩულითა და ეროვნების თანამოქმედებს „ეფხისიტყაობით“ ანათლებდა: კეშმარტი მისიონერის ღირსი საქციელი იგი გრძობდა, რომ ამგვარი მისიისათვის იყო მოწოდებული და ნიადაგ მას მშახურებდა, მშახურებდა მხურვალედ. პილიგრიმის გზებითა და კეთილშობილებით.

აქედან გასაგები ხდება, თუ რა უნდა უფილიყო ბიძინა ფოჩხაძის დეკარტე მეტადრე იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც ცოდნა და სიკეთე, ნდობა და მხარდაჭერა სწუხრიათ, რომლებიც უკველივც ამას ბატონ ბიძინაზე ბედავდნენ და ეწაფებოდნენ...

ნუგეში, გარკვეული აზრით, ბედთან შერევა...

ამ აზრით ჩვენ, ასე თუ ისე, უკვე ნაწუგეშები ვართ.

მაგრამ ნუგეში მოსახდელი ვალიცაა.

ამ აზრით კი ჩვენ კვლავაც საწუგეშებლები ვრჩებით.



ზურაბული

ელგუჯა სინთიბიძე

„უამბოვსენ, მოვეფლენ...“

ვეფხისტყაოსნის მეგობრობის კონცეფციის ინტერპრეტაციისათვის

ნოსტრის უწყალო ძებნაში ტარიელს მხლებლები შემოეფანტა. ასმათსა და ორიოდ უმასთან ერთად ჩაინდი ერთი ქალაქის შემოგარენს მიადგა. ცოტა მოისვენა და გამოღვიძებულმა უცნაური ხანაზავი ნაბა: ზღვის პირ-პირ მერანს დააქროლებდა დაკრილი ჩაინდი. ტარიელი ჩაეგება პირში მუოფ გმირს, გაეცნო. მისი საქმიო დაინტერესდა. გმირები ერთი შეხედვისთანავე მოიხიბლნენ ერთმანეთით. ასე დამეგობრდნენ ტარიელი და ფრიდონა.

ასევე პირველი შეხვედრისთანავე დამეგობრდნენ ტარიელი და ავთანდილი. ამოდ ეშინოდა ასმათს, ტარიელს სტუმარის არ მოეკლა.

„მით აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპრიდეს, ... ყელი ყელსა გადააქვედეს, ერთმანერთსა აუტირდეს.“ (284)*

დიდი სიუჟარულით შეუჟარდათ ერთმანეთი პირველი შეხვედრისთანავე ფრიდონსა და ავთანდილს. ერთად გატარებული რამდენიმე დღე საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის. რომ მათი განშორება მოუჟარულ ძმათა სამუდამო გაურას დამხვავებოდა:

„მოვეხიენეს ერთმანერთსა. გაამრავლეს ცრემლთა ღერანი.“

* ვეფხისტყაოსნის ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბაიანაძის რედაქციით შესრულებულ 1966 წლის ვარიანტშიანი გამოცემით (27).

აკოცეს და გაუხლდეს მათ ორთავე მათნი წყანი. გაიყარნეს გაუყოფელი მამა-ფიცნი და ვითა ძნაბი...“ (1024).

ახე ერთბაშად იკედება ვეფხისტყაოსნის გმირთა ის დიდი მეგობრობა. რომელიც უოვლის შემძლებელ ძალად იქცევა და მაღალი ადამიანურობის უდიდეს გამოკვინებად ჩამოიკვეთება.

მეგობრობის იდეალიზაციით ვეფხისტყაოსანი უნიკალური ძეგლი არ არის.

გილგამეშისა და ენქიდუს მეგობრობას უმღერის დღემდე ლურსმულ წარწერებში შემონახული უძველესი მხატვრული ნაწარმოები, ასურულ-ბაბილონური ეპოქის ძეგლი „გილგამეშის ეპოსი“. ეპოსის მიხედვით ეს მეგობრობა გილგამეშის კათარზის ემსახურება. მასში ეთიკურ სამუაროს განხილს და მის მომავალ მოღვაწეობას ზნეობრივი ნიშნით წარმართავს. ეს სულიერი კათარზისი ახალ სიმალდემდე — გონით კათარზისამდე აშავს მეგობრის სიკვდილს. ენქიდუს სიკვდილში გილგამეში ხედავს ასახვას საქუთარის აღსარულითა და ადამიანური არის ფილოსოფიას წვდება (იხ. მ. გვ. 220-222).

როგორც შენიშნულია (22, გვ. 279; იხ. 12, გვ. 304), ახალ ინტელექტუალურ პოზიციამდე (უგუნურებიდან კეთილგონიერებამდე), ამაღლებს მეგობრის სიკვდილი გმირს ბერძნულ ეპოსში. პატროკლეს დაღუპვით გამოწვეული სულიერი ტკივილი ამაღლებს აქილევსს საქუ-

თარ რისხვაზე აკამენონის მიმართ („ლილია“, XVIII-XIX — 83).

ინდოეთის მეფის ასულისა“ და მეფის ძის, ნესტანისა და ტარიელის. ამბავს ფაბულის თვალსაზრისით უფრო საგრძნობლად მიმართება აქვს ინდურ ეპოსთან „რამაიანა“. ეს მსგავსება, პირველ რიგში, შეგობართა მიერ ჰინდო-ინდო ტარიელისა და რამას დახმარებაში ჩანს. რამას მეუღლე სიტაც დემონურ არსებებს — რაქსანებს შეუპურათ. სიტაც განსათვისუფლებლად რამას გვერდით მის უერთგულეს ნახევარ-ძმასთან ლაქშმანასთან ერთად მაიმუნთა მეფე სუგრივას ლაშქარიც იბრძვის. მსგავსად ტარიელისა და ფრიდონის ამბისა, რამა იარაღი და-ეხმარა ამ მეფეს სამეფოს დასანარჩუნებლად; ხოლო თავის მხრივ ამ უკანასკნელს თავის მძღებლებთან ერთად დაუწახავს. თუ როგორ მიჰყავდა დემონ რაჯანას გატაცებული სიტა (24: 25). ასე რომ, ინდური ეპოსი „რამაიანა“ უმეტერის სამი დიდგვაროვანი გმირის“ მეგობრობის ძალით დემონთა მიერ დატყვევებული მეფის ასულის გამოხსნას.

სატრფოს განზოგადებული მიჯნურისათვის ბევრ რაინდს გაუწვდია მეგობრობის ხელი. ეს თემა შორსულია სპარსულ ლიტერატურაში. დღემდე ვხვებით იგი ნიშამი განჯელს (XII საუკუნე) პოემაში „ლილი“ და მაჯნუნი“. ლილიის სიყვარულით გაბუდებული მაჯნუნი ტყეში იხილდა რაინდმა ნავფაღმა. შეებრაღა იგი. დაიმეგობრა და მისი წულუღის განსაყურნავად ზელში აიღო იარაღი.

ბრძოლის ველზე ერთგულ მეგობრობას დასავლეთ ევროპული საგმირო ეპოსიც უმდერის. XI საუკუნეში შექმნილი „როლანდის სიმღერა“ ამკობს როლანდისა და ოლივიეს მეგობრულ თავდადებას უთანასწორო ბრძოლაში.

მეგობრობის ლიტერატურული იდეალიზაცია არ არის მხოლოდ უძველესი ეპოსისა და რუსთ-

ველის თანამედროვე ეპოსის სპეციფიკა. იგი ახალმა ლიტერატურაშიც იმეცხიდა. საკმარისია დავასახელოთ შექსპირის მამლეტი და პორციკო და შეიღროს დონ კარლოსი და შარკო დე პოზა.

ვეფხისტყაოსნის მეგობრობას მსოფლიო ლიტერატურის დასახელებულ შედევრებთან ბევრი საერთო აქვს: ავთანდილი ტარიელისათვის. ასე როგორც ლაქშმანა რამასათვის. ტყვეებს სასახლეს და მეგობრის მსგავსად ტყე-ღრეში შეტალს ირგუნებს ზვედრად. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, მსგავსად როლანდისა და ოლივიესი, უთანასწორო ბრძოლაშიც გამოცდიან თავიანთ მეგობრობას. სატრფოს და შორიგულ მიჯნურსა და გმირს (რამა, მაჯნუნი, ტარიელი) დახმარების ხელს ვაუწყდის შეფე და რაინდი (სუგრივა, ნავფაღი, ფრიდონი) და საკუთარ მხედრობის მეგობრის სატრფოს დასახსნელად უთანასწორო ბრძოლაში წაუძღვება. ავთანდილი ტარიელის მესაღდამეფე და მარჩეველია, ისევე როგორც პორციკო მამლეტისა და შარკო დე პოზა დონ კარლოსისა და ბოლოს, ავთანდილს ტარიელის პიროვნების შეცნობა ინტელექტუალურად და წინებრივად ამაღლებს — იგი მაღადღება მშვენიერ საგანთა სამსახურიდან მშვენიერი საქმის სამსახურზე. პირადი ბედნიერებისკენ სწრაფვიდან მოუვასის ბედნიერების ძიებაზე: ტყვეებს სატრფოს და ემსახურება ტარიელისა და ნესტანის შეერთების საქმეს. ვიღამეშსა და აჭილევსშიც ინტელექტუალურ გარდაქმნას, ან გარდატეხას იწვევს მეგობრის პიროვნება. ეყრდნობა კი მისი სიკვდილი.

ამგვარი ლიტერატურული პარალელების გავრცელება შეიძლება. ეს პარალელები მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ რუსთაველის გმირთა მეგობრობა ის მაღალი შორალურ-ინტელექტუალური კატეგორიაა, რომელიც მსგავსი ნიუნსებით სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ შედევრებში და განსხვავებულ ეპოქებში გამოვლინდა. იგი ზოგადასაკებობრივ და ზოგადადამიანურია. მაგრამ ამის გვერდით ვეფხისტყაოსნის მეგობრობას აქვს თავისი სპეციფიკური სახე, რომელიც განსხვავებს მას მეგობრობის სხვა გამოვლინებისაგან და რომელიც შედარებით მისი შემქმნელი ხალხის სული, ეპოქის მაჩვენებელია, ავტორის ინტელექტი და მოსწრაფება...

ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მეგობრობას, უპირველეს უცვლელა, ქართულ ძმანაფიცობაში აქვს საფუძველი. უძველესი ქართული ხალხური თქმულების „ამირანის ეპოსის“ მიხედვით მიუვალ კოშკში ჩაყტილი მზეთუნახვის მოსატაცებლად ხამი ძმა — ბადრი, უსიამოვნად ამირანი გაემართნენ და უკან დავეფრთხილ მდევრებს სამიყენი შეებნენ:

„მოკლენ და მეც აქ დავხვდები ამ ჩემს ვოლად ხმალთია, უსიამოვნად და ბადრითა, მესამით ამირანითა“ (31, გვ. 320).

ხამი ძმის სათავადასავლო მოგვარობას

ქართული ზღაპრის უაღრესად ნიშნდობლივი სპეციფიკა. ვეფხისტყაოსნის სამი რანდის მეგობრობის მხოლოდ ქართული ხალხური ზღაპრის ფაქტობრივად სამივე ვერ დაუკავშირებთ, რადგანაც პოემის საზოგადოდ შეინიშნება რიცხვი სამისადმი ურადღებო მანვილებს; ავთანდილმა სამი წელი უნდა ეძებოს უცხო მოყვნი; მან კი მაშინ მიიღო ტარიელის კვალს, როცა „წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“ (188). როსტაფანისა და ავთანდილის პირობის თანხმად, ნადირობაში დამარცხებული თვეშიშველი უნდა დადიოდეს სამ დღეს. ნესტანის ხილვით დახინდული ტარიელი სამ დღემდის უსულოდ იყო. არახეთიდან ახმთთან დაბრუნებული ავთანდილს სამ დღეს ეძებდა ტარიელს შამხარსა და ტყე-ველზე. „შინა შექთა მომლოდინე ვარდი სამ დღეს არ დაქნების“ (904). უცხო მოყვნი გზა ავთანდილს ხატელმა სამმა მამა მიასწავლა. ფრიდონის სამეფოსაგან ქაქეთისაკენ საომრად წასულმა გმირებმა სამი ზღვა გაიარეს. ქაქეთის ციხეს სამი კარი ჰქონდა. გმირებაც სამივე მხრიდან ეკეთონენ. ტარიელი მოვიდა და ფარული სამხედრო ოპერაციისათვის ყველთვის სამს კაცს იჩრევს. პოემაში ხშირადაა აგრეთვე აქცენტირებული სამი დღე ხელა, დარაზს სამ დღეს დარჩენა და სხვა. სამის სიმბოლიკას ძველი მითოლოგის მითოსსა და ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი გამოვლინება აქვს. აქვრად, ვეფქრობთ. განსაკუთრებულ ურადღებებს მოითხოვს. ერთი მხრივ, ანტიკური ბერძნული ლიტერატურა და ფილოსოფია; ტრიადული კომპოზიცია ჯერ კიდევ მომეროსის ეპოსისათვისა და მახასიათებელია. „ილიადისა“ და „ოდისეაში“ ხშირად ადგილი აქვს მოქმედების სამგზის განმარტებას და საზოგადოდ სამეფო-მეტეორ კომპოზიციას (2, გვ. 222), რაც, როგორც შეინიშნულია, კიდევ უფრო გამოიკვეთა არქაულ ბერძნულ ლირიკაში. ბერძნულ ფილოსოფიაში, კერძოდ პითაგორელებთან, სამს სამუაროს და სიკუცხლის ხაწყისის სიმბოლოდ მიიჩნევიდნენ (19, გვ. 48). უფრო ნიშნდობლივანია, ვეფქრობთ. მაინც სამის ბიბლიურ სიმბოლიკასთან პარალელის გაულება უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ურადღებებს ქრისტიანული სამება მოიპურებს, რაც, უმეტესად, ძირითადი ფაქტობრივი რიცხვი სამის პრიორიტეტობა უვედა ქრისტიან ხალხში. სამზე აქცენტირება შეინიშნება როგორც ძველ ისე ახალ აღთქმაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ურადღებებს აქცევენ (7, გვ. 911) ბიბლიური წიგნებისათვის დამახასიათებელი ცერემონიული თუ სხვა ოფიციალური გამოხატუვების. ან შეკითხვებისა და ბრძანებების სამგზის განმარტებას (იხ. მაგალითად იოანე 21, 15-17; საქმე 10, 10-14), ძველ აღთქმაში ხშირია ზაზაბა სამ წელზე (სამ წელს მეფობა — მსაჯ. 9, 22; 8 მეფ., 15,2 და სხვ.; სამ წელს შემოშლილა — 2 მეფ., 21,1;

სამ წლიანი ალუა — 4 მეფ., 17,3; სამ წელიწადს აღზრდა — დქნ. 1,6; სამ წელიწადს დარჩენა — 2 მეფ., 18,64 და სხვა), სამ თვეზე (სამ თვეს დამალვა — გამ. 2,2; სამ თვეს მეფობა — 3 მეფ., 28,81; სამ თვეს გვალვა — ამოს. 4,7 და სხვა), სამ დღეზე, სამჯერად მოქმედებაზე და სხვა (იხ. 29, გვ. 1808-1810). ვეფხისტყაოსნის სამ მოყვნიველ უფრო ალუ პარალელად მაინც დავითის სამი გმირი თუ გამოდგება: ებრაელთა სანთელანთქმული მეფის დავითის სამეფო კარის სიძლიერეს მრავალი გმირი ემსახურებოდა. მათ შორის განსაკუთრებითაა გამოყოფილი სამი მთავანი, რომელთაც ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციები „ძლიერთა“ სახელით იცნობს. ესენია: იესაიალ ძე აქიმანისა ელევანარ ძე დოდეს აქოკისა და სამია ძე ასესა არუქენელია. მათ მრავალ საგმირო საქმეთა შორის საგანგებოდაა ზაზახსმული ერთი: დავითი ალუაშემორტყმული იყო უცხო თესლთაგან. რომელიც ბეთლემს იყვნიენ დახანავე, ბუღნი მისწუურდა დავითს და მოითხოვა წყალი იმ ქვისაგან, რომელიც ბეთლემის კართან იყო. და ამ სამმა გმირმა გაარღვიეს სიმრავლე მტერთა და წყალი მიართვეს მეფეს (2 მეფ., 28,9-17; 1 ნეშტთა 11,10-19).

ვეფქრობთ, ქართული ზღაპრის სამი მამთემა მაინც გარკვეული ნიშნდობლობის მქონეა ფრიდონის, ტარიელის და ავთანდილის მეგობრობის შემოქმედისათვის. საქმე ისაა, რომ ქართული ზღაპრის ტიპური ქარგის მიხედვით ამ სამი მძიდან უმცროსის ცდა, მოგზაურობა, ძიება მთარღება წარბაებობა. უნებლიე არ უნდა იყოს, რომ ვეფხისტყაოსნის ტრიადაში ავთანდილია უმცროსი და მისი ეს, უმცროსი მძის პოიციან რუსთველს სწორედ მაშინ აქვს განაზული, როცა ავთანდილი თავისი ძიების წარბაებობის ამხვს მეგობრებს აცნობებს; ავთანდილი ნესტანის კვალს მიგნებისთანავე წერილს მისწერს ფრიდონს:

„ადურა: „ფრიდონ მაძლო, სვე-სრული, მეფეთ-მეფეთ, ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შექ-მოიფეთო, მოვლენილო და მორკმულო, მტერთა სისხლისა მქეფეთო. უმცროსმან მამამან შორის-შორ სტლამი დავიუქეთო“ (1318)

მომხმობა ანუ მძადნაფიცობა საქართველოში უძველეს ფფლებრივ ინტიტუტს წარმოადგენდა. მძადნაფიცულებს მათი ოჯახით და ქვეშევრდომებით ევადებოდათ ერთმანეთისათვის ერთგულება და თავდადება. ისინი მზად იყვნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცათ ერთმანეთის ინტერესები, მძადნაფიცვის სხვადასხვა-

ელბუჯა ხინთიბიძე
„შემოხანდნა, მოვფოწო...“

გვარი წესი და რიტუალი იყო დადასტურებული
ქერ კიდევ XIII საუკუნის საქართველოს მთი-
ანეთში (მ). ვეფხისტყაოსნთან, კერ-
ძოდ ტარიელისა და ასმათის მეგობრობასთან,
მიმართების თვალსაზრისით უთუოდ მნიშვნე-
ლოვანია საქართველოს, და სწოვადოდ, კავკა-
სიის ზღვითა ტრადიციით დღემდე შემონახული
და-ძმად გაიცვის ჩვეულება. საქართველოს
მთიანეთში ძმადნაფიცობის ინსტიტუტი უძვე-
ლესი რელიგიური წარმოდგენებითაცაა დაკული.
შემონახულია რწმენა ღვთაებათა (გუდა-
ნის ჭვარი, ხახმატის გიორგი, კისტანის ღვთის-
მშობელი და სხვ.) ძმადნაფიცობის, დაღსაფი-
ცობის და ნაღობ-ნაძმობისა (იხ. მ, გვ. 48-49).

ვეფხისტყაოსნის მეგობრობის უთუოდ
აქვს კავშირი მოძმობის ამ ქართულ ხალხურ
ინსტიტუტთან (იხ. 23).

შემთხვევით არ უწოდებს თავის გმირებს რუს-
თველი ძმობილებს: ქაქეთის ციხის ადების შემ-
დეგ ერთად შეკრებილ რაინდებს პოეტმა საში
ძმობილი უწოდა:

„აწ ესენიცა გავიდეს, შეკრებს საშინევ
ძმობილინი,
მას მზესა მისცეს სალაში, წადგეს მართ ვითა
ხმობილინი“. (1421).

ამავე სახელით ახასიათებდა იგი უფრო ადრე
ტარიელისა და ავთანდილის ურთიერთობას. აი,
როგორ შეხვდა ტარიელი გულანშაროვან დაბ-
რუნებულ მეგობარს:

„ხრმალი გასტყორცა ტარიელ, მიჰმართა
მისსა ძმობილსა.
ყმა ცხენისაგან გარდკეპა, ჰგვანდა ეტლისა
სწრობილი“ (1335).

ასევე ახასიათებს ასმათი ტარიელისა და ავ-
თანდილის მეგობრობას:

„შენ უმართლე ხარ. ემდურვი, შენ გაეყარე
ძმობილსა“ (850).

ავთანდილც ტარიელის ძმობილად რაცხს
თავის თავს. აი, როგორ მიმართავს იგი მეგობარს:

„შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა
უნდა ძმობილი“ (935).

ძმობილთა გვერდით ვეფხისტყაოსნი
იძნობს დობილებსაც. კერძოდ, ნესტანი
და თინათინი ერთმანეთის და-ღ-შეფიცუ-
ლებად, დობილებად არიან წოდებულნი:

„ერთმანერთისა გაყრილინი ქალნი ორნივე,
დობილინი,
ერთმანერთისა დაღ-ფიცნი, სიტყვისა
გამონდობილინი“ (1567).

ძნელია სხვაგან მოეძებნოს პარალელი ტარი-
ელისა და ასმათის მეგობრობას, გარდა ქართუ-
ლი ხალხური და-ძმად გაიცვის ჩვეულებისა.
ასმათი პოემაში სახელდებულია ტარიელის
დობილად. ავთანდილი საუკვედრობს ტარი-
ელს:

„ალარად გინდა ასმათი — ნახე მართალი
ბრკობილი! —
პირველ, გლახ, მისი ნაპერკეტი, თვით მერმე
შენი დობილი“ (899).

„თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან
ნახმობი დობისა“ (900)...

ავთანდილც საუბრობს თავის მხრივ ასმათ-
თან დადობილებსაც:

„უთხრა: „ვიცი, ალარ ვარგ ხარ შენ აწ
ჩემად დასაღობლად“ (247).

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მე-
გობრული ურთიერთობის დასახასიათებლად
რუსთველი ქართული მოძმობის ინსტიტუტიან
მეორე ტერმინაც ესახება: მათ ერთმანეთის
ძმადნაფიცობას უწოდებს:

ნესტანის კვალის მიგნებისთანავე ავთანდილ-
მა ფრიდონის მონები თავიანთ მეთესთან დააბ-
რუნა:

„უბრძანა: „წადით, წადით, ვა წავლეთ
მისვე არისა,
ფრიდონს მიართვით უსტარი ჩემგან
ძმად-ნაფიცობისა. (1317).

ტარიელის ძმად-ფიცობად წარუდგენს თავ-
ვის თავს ავთანდილი ფრიდონს პირველი შეხ-
ვედრისთანავე:

„ვარ უტხო ვინმე ღარიბი, საყოფთა
მოსორკებული,
ძმად-ღვიცი ტარიელისი, თქვენს წინა
მომგზავრებული“ (984).

ლექსიკურ ერთეულებს: ძმად-ფიცობა და
ძმად-ნაფიცობა. ზოგჯერ ვეფხისტყა-
ოსნში ძმად-შეფიცულები ენაც-
ლებს:

ფატმანა ქაქეთის ციხეში მიხწრა ნესტანს:
„მოსრულა შენად საძებრად მისი
ძმად-შეფიცებულა,
ავთანდილ მოყუმე, არაბი, არაბეთს შიგან
ქებულა“ (1272).

ერთმანეთთან ძმად-შეფიცებულს ან
ქმად-შენაფიცობარს უწოდებს რუსთველი
სამივე გმირს:

„ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან ძმად
შეფიცებულთა“ (1389).
„გამოვლენს ზღვანი სამთავე, ერთგან ძმად
შენაფიცობათა“ (1447).

ლექსიკური ერთეულები ძმა და ძმობა
ქართულ ენაში ოდითგანვე შემცველი ჩანს მე-
გობრობის ნიუანსისა. ეს გაგება აქვს მას ქერ
კიდევ აბაალი ალუქმის ტქსტებში (I
პეტრე, 2, 9). სასულიერო მწერლობაში ძმო-
ბა მოწაწონთა კრებულსაც ეწოდება. ზოლო
ძმა — ამ კრებულის წევრს. ძმადნაფი-
ცობა, როგორც ლექსიკური ერთეული, კი
დამახასიათებელი ზეპირსიტყვიერებისა და სა-
ერო ლიტერატურული ძეგლებისთვისაა.

პოემის გმირთა ძმობილბად და ძმადშეფი-
ცულებად სახელდება რუსთველისათვის არ არის
მხოლოდ ლექსიკური ვარიაციები. ცნება შე-

ფიცვა პოეტისათვის შემცველია მთელი იმ
სპეციფიკისა, რაც მას გააჩნია ხალხური ტრადი-
ციით. ეს ვარგობა დასტურდება არა მხოლოდ
იმით, რომ ვეფხისტყაოსნის გამართა მე-
გობრობა ტიპური მაგალითია მხადშეფიცულ-
თა ურთიერთობისა (მეგობრისათვის თავისდა-
დებდა, მისი ინტერესებისათვის მოღვაწეობა და
ბრძოლა, თავისი საქმის გადადება და წინ
მხადფიცულის საქმის დაუწება), არამედ იმიტაც.
რომ პოემაში ინსცენირებულია თვით მშობის
ფიცისდება:

ტარიელის პიროვნება შეძრავს ავთანდილს.
იგი გადაწყვეტს სიკვდილამდე მეგობრის სამსა-
ხურს, ფიცს დებს მის წინაშე, რომ დატოვებს
პატრონს, დატოვებს მიწურს და გაიზარებს მე-
გობრის ზედერს:

„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ
დაბინდა:
დამიგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა
გინდა:
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათსაქრემცა მინა
მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა
მინდა!“ (300).

ტარიელთან გაყრის და არაბეთში შექცევის
წინ ავთანდილი სთხოვს მეგობარს ერთგულების
ფიცს:

„შენ გენუყვებ, შემაქრო ღმერთი იღმერთო,
ცაცა იყო,
ერთმანერთი არ გაუწიროთ, მათიყო და
შემომფიცო!“ (666).

ტარიელიც არ უგვიანებს პასუხს:
„თუ გიტყო, მოგალორო, ღმერთთან
რისხეთ გამიკითხოს!
შენმან ქვერტა — სიახლემან მომაქარეს!
სივდა, მითოს!“ (669).

ახე ერთმანეთის პირისპირ და ღვთის წინაშე
დებენ მშობის ფიცს ტარიელი და ავთანდილი:
„ამას ზედა შეიფიცენს მოყვარენი

გულ-სადაგნი,
იაგუნდნი ქარვისფერნი, სიტყვა-ბრძენნი,
ცნობა-შმაგნი;
შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყუ
გულსა დაგნი,
მას ლამესა ერთგან იყენს შეწიერნი
ამხანაგნი“ (670).

ამრიგად, ვფიქრობთ, აშკარა რომ მხადშე-
ფიცულ მოყვმთა სახეების შექმნისას რუსთა-
ველი შთაგონებულია ხალხური ტრადიციითა
და შემოქმედებით. ამასთანავე, ჩვენის აზრით,
საკითხი სხვაგვარ დასმასაც მოითხოვს: არის თუ
არა რუსთველისეული მოყვმები ქართული ხა-
ლხური ტრადიციის ტიპური ძეგლები, ეტე-
ვა თუ არა რუსთველისეული მეგობრობა ქარ-
თული მხადნაფიცობის ინსტიტუტში. ამ კითხ-
ვაზე გადაჭრით პასუხს იძლეოდა აკადემიკოსი
ნიკო მარა: „რუსთველისეული ფუნჯით დაზა-
ტული სახეები „მოყვინა“ და „კაბუქისა“ არიან

არა ხალხური. არამედ პოეტის თანამედროვე
საერო განათლების მქონე საზოგადოების გმი-
რები“ (23, გვ. XXXVIII). ამიტომ იყო, რომ
მკვლევარი დაბეჯითებით ეძიებდა იმ საფუძ-
ველს, რომელსაც იყენებდნენ ქართველი მოაზ-
როვნები, და ეკრძოდ რუსთველი, თავიანთი
ამქვეყნიური ადამიანური ფილოსოფიის ლიტე-
რატურული გაფორმებისათვის (23, გვ. LIV).
მაგრამ ამავე დროს ამ კითხვის ამოსახსნელად
ნიკო მარა ამაოდ იცქირებოდა სპარსულ ლი-
ტერატურაში. ქართული ლიტერატურათმცოდ-
ნეობა არ იყენარებს საკითხის ამგვარ დასმას.

რაცა რუსთველისეული მეგობრობის კონ-
ცეფციის წყაროებს ვიძიებთ, უპირველეს ყოვ-
ლისა, გარდა ქართული ხალხური ტრადიციისა,
ეურადდება უნდა შევაჩეროთ ქრისტიანული
ეთიკის „მოყვანის სიყვარულის“ იდეაზე.

ქრისტიანულმა იდეალმა ღვთაებრივ მოძღვ-
რებას სათავეში ორი მცნება ჩაუყენა: ღმერ-
თის სიყვარული და მოყვანის სიყვარული:
„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა
გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შე-
ნითა, და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე
არს დიდი და პირველი მცნებაჲ, და მეორე,
მსგავსი ამისა: შეიყუარო მოყუანი შე-
ნი, ვითარცა თავი თჳსი. ამათ ორთა მცნებათა
ყოველი სჯული და წინააღმართებულნი
დამოკიდებულ არიან“ (მეოთე 22,37-40; მარკ
12,30-31). ერთმანეთის სიყვარულის მცნება
ის ახალი მცნება იყო, რომელიც იესომ მისცა
მოწაფეებს საიდუმლო ხერობაზე: „მცნებასა
ახალსა მიცემ თქუენ, რამთა იუჟარებოდით
ურთიერთას, ვითარცა მე შეიყუარენ თქუენ,
რამთა თქუენცა იუჟარებოდით ურთიერთას.
ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწა-
ფენი ხართ, უკუეთუ იუჟარებოდით ურთი-
ერთას“ (იოანე 13,34-35). მოყვანის სიყ-
ვარული ქრისტიანული მოძღვრების სპეცი-
ფიკადაა მისწვეული. ამიტომაც, იოანე მახა-
რებლის თანახმად, იესო კატეგორიულად რომ
აცხადებებს: „ესე არს მცნებაჲ ჩემი, რამთა
იუჟარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეიყ-
უარენ თქუენ“ (იოანე 13,12). ამასთანავე ერ-
თად იესო იმასაც უმტკიცებს თავის მოწაფეებს,
რომ არ არსებობს სიყვარულის უფრო დიდი
სახეობა, ვიდრე მეგობრის მიმართ სიყვარუ-
ლი: „უფროასი ამისა სიყვარული არავის აქუს,
რამთა სული თჳსი დაღვას მეგობართა თჳსთა-
თჳს“ (იოანე 15,13). თეზისი „ურთიერთას
სიყვარულია“ თავის სიმკვეთრეს ინარჩუნებს
მოციქულთა მოძღვრებაშიც (1 იოანე
2,8-11; 2,10-16,23; იაკობ 2,5; თესალონი
1 ექვლთა 4,11).

მოყვანის მიმართ სიყვარული, თანახმად „ახა-

ელაშუჯა ხინთიზიძე
„შემომხინდა, მომეწონა...“

ლი აღთქმისეული" კონცეფციისა, რამდენიმე სპეციფიკის შემცველია: ჭერ ერთი, ეს სიუჟეტური ნაწილია ღმერთის სიუჟეტულისა, მისი გაგრძელება და განვითარება. მეორეც, „ახალი აღთქმისეული" მოუყვასი ფართო ცნებაა, რგი არ უდრის მეგობარს თანამედროვე გაგებით. მოუყასია უცელა აღმართი, განფრთვლად რასისა, ეროვნებისა, რელიგიური აღმართობისა; მოუყასია თვით კოდიფიცი კი. შენიშნულია (18, გვ. 580), რომ ამ თვალსაზრისით „ახალი აღთქმის" პოზიცია აღემატება „ძველი აღთქმისეული" კანონს; სიუჟეტურში მოუყასის მიმართ ჩვენ არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ კმათი სიუჟეტურით, ვისკე ჩვენ ვუყვარვართ. აგაკე ანუ „ახალი აღთქმისეული" სიუჟეტური, გვაკვლავდებულებს კეთილს ვუყოფდეთ არა მხოლოდ კეთილისმყოფელთა ჩვენდა მომართ (ლუკა 6, 32-33). არამედ თვით მტერთა ჩვენთა: „ხოლო მე გეტყუ თქუნენ: გაუყარდედ მტერნი თქუნენი და აყურთხვდით მწყევართა თქუნეთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუნეთა და ულოცვდით მათ, რომელნი გამძღავრებდენ თქუნენ და გდევნიდენ თქუნენ. რამთა იუვენთ თქუნენ შედლ მამისა თქუნენისა ზეცათამასა; რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბორბოტთა ზედა და კეთილთა, და წუმს მართალთა ზედა და ცრუთა. უყუეთუ გუყარდენ მოყუასნი ხოლო თქუნენი, რამ სასუფდელი გაქუნს? რამეთუ მეზუფერეთაცა ეგრეთვე უყუენ, და უყუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუნეთა, რამა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუფერეთაცა ეგრეთვე უყუენ? იუვენთ თქუნენ სრულ, ვითარცა მამამ თქუნენი ზეცათამ სრულ არს" (მათე 5, 44-48, იბ. აგრეთვე: ლუკა 6, 28-36; მათე 5, 39-43; რომ. 12, 14-20).

მოუყასის სიუჟეტურის თუხისი პატრისტიკის ერთი ძირითადი თემაა, განსაკუთრებით პოპულარული იყო იგი სამონასტრო ცხოვრებაში, რამდენადაც ამ მცნებაზე იყო დაფუძნებული თანამოღვაწე ბერთა ურთიერთობისცემა, მზრუნველობა და თანამშრომლობა, ამიტომ არის, რომ ასკეტაურ კრებულებში ეს სკოლიზირავალმორივი განხილვის საგანია.

უფიქრობთ, რომ რუსთველისეული მეგობრობა შთაგონებულია მოუყასის სიუჟეტურის ქრისტიანული თეზისითაც? ვეფხისტყაოსნის გამართა ურთიერთდახმარება, მათი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, ჩვენი აზრით, ითვალისწინებს იმ წესობრივ კოდებს, რომელიც ქრისტიანულმა ეთიკამ ქართველი ხალხის საუკუნოვან ტრადიციად აქცია და რომელიც არაორაზროვნად აცხადებს: „და ვითარცა იგი თქუნენ განებაჲს, რამთა გუყონ კაცთა, თქუნენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ" (ლკ. 4, 81; მთ. 7, 12).

ქრისტიანული სწავლულების კვალი ჩანს ავთანდილის გადაწვეტილებებში, დატოვოს თა-

ვისი სატრფო, ხელმწიფე, სამშობლო და თავი გადადოს ჭირში ჩავარდნილი, გზაბნეული მოუყვასის სამსახურისათვის. (ნაწილობრივ იგივე ჩანაფიქრითაა ტარიელის ქმედებაში — იგი გვერდით გადადებს საკუთარ საქმეს და ფრიდონის სამეფოს წარტაცილი კლმულის დაბრუნებისათვის იბრძვის), ავთანდილის ამ მოქმედებას შთავალგვარა ახსნა შეიძლება მოქმედების (იბ. 82, გვ. 405-406); მათ შორის არსებითი მანც ქრისტიანულ სწავლულებასთან მიმართება უნდა იყოს. აქი მოცემულთა სიბრძნეუ მითითებით უმტიკებებს ავთანდილი როსტყევანს თავისი გადაწვეტილების სისწორეს:

„წაგიკითხავს, სიუჟეტურსა მოკიქულნი რაგვარ წერენ ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან ცნობანი მიაფერენ. „სიუჟეტური აგვამაღლებს", ვით ევეანნი, ამას ეღერენ" (793).

უფიქრობთ, ავთანდილის აქტის პარალელად შეიძლება გამოვადგეს „წარწყმდილი ცხოვრების" სახარებისეული იგავა: „რამეთუ მოვიდა მე კაცისაჲ ცხოვრებად წარწყმედულისა, ვითარ მკონებთ თქუნენ? კაცთა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვრებ, და შესცოვს ერთი მათგანი, არამე დაუტევინება ოთხმოც და ასობრამეტნი იგი მათა ზედა და წარვიდეს და მოიჩიოს შეცთობილი იგი? და რაჟამს მოვოს იგი, ამინ გეტყუ თქუნენ, უფროამ უნარადის მის ზედა, ვიდრე ოთხმოც და ათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთობილ იყვნენ" (მთ. 18, 11-13; ლკ. 15, 4-6).

უფიქრობთ, ავთანდილის სახის შემქმნელი ერთგვარად შთაგონებულია ქრისტიანული აგიოგრაფიის ესოდენ პოპულარული „წმინდა მხედრის" თემითაც. გიორგი კამბეკელი იხილავს ტბის პირას მქდომარე, მწარედ მტირალ კალს, ტირილის მიზეზს მკითხავს და თავის სამსახურს შესთავაზებს:

„მითხარ უკვილედე და შენ თანა მოკეუდე და არა დაიკეთო შენ!" (იბ. 18).

ასე რომ, რუსთველისეული მეგობრობა უთუოდ პოულობს საყრდენს ქრისტიანული ეთიკის ერთ უმთავრეს მცნებაში — „გუყარდეს, მოუყუასი შენი, ვითარცა თავი თუხი". მაგრამ ამანვე დროს უმეცველია იხიცი, რომ ვეფხისტყაოსნის გამართა ურთიერთობისცემა არამე და არამე არ დაიყვანება „მოუყასის სიუჟეტურის" მცნებაზე ქრისტიანული მოუყვასი ძალზე ფართო ცნება, და მას არ ფარავს რუსთველისეული მეგობრობა. ქრისტიანული მოუყვასი მოიცავს ავის მსურველსაც, მოწინააღმდეგეცაც, მტერსაც, რასაც პირისპირად ეწინააღმდეგება ვეფხისტყაოსნისეული მეგობრობა. პოემის მეგობრობისათვის ბოლომდე შესაწყნარებელი არაა ქრისტიანული მოუყასის

ფილოსოფია, ეკრძოდ კი: „რომელმან გცეს შენ ურთიმაღლა შენსა მარტყუნესა, მიუყარ მას ერთკერძოცა, და რომელიცა უნდეს ხასჯელად და მიღებდა კუართი შენი, მიუტრევე მას სამოსელისა შენი“ (მთ. 5, 23-24); ლკ. 6, 29); „ვიუარდედ მტერნი თქუენნი და აკურობედელი მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფელით მოძულეთა თქუენთა და ულოცველით მათ, რომელნიცა გმძლავრობდენ თქუენს და გღვენიდენ თქუენს“ (მთ. 5, 43; ლკ. 6, 25).

ვეფხისტყაოსნის მეგობრობა, გარდა ქართული ხალხური ქმანდაფიცობის ტრადიციისა და ქრისტიანული „მოკვდისის სიყვარული“ იდეისა პრინციპულ დამოკიდებულებას ამდგენებს რუსთველის ეპოქის სოციალური სინამდვილის ერთ უაღრესად კოლორიტულ მოვლენასთან — რაინდობის ინსტიტუტთან. რაინდობა XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი განუყოფელი ნაწილი იყო. ნიკო მარამ ეტყვიანად დაამტკიცა, რომ ტერმინი მოყმე XII საუკუნის საისტორიო თხზულებებსა და საგმირო ეპოზოში ხშირ შემთხვევაში ნახმარია აშკარად რაინდის მნიშვნელობით. ქართული ძეგლების მიხედვით, ტერმინთან ურთი დაკავშირებულია წარმოდგენა იმგვარ გმირისა და ვაჟაკცხე, რომელიც სახელს გაუთქვამს ზოლმე პატრონს თავისი მამაცობით, ცხენოსნობით, მშვილდოსნობითა და ბერთაობით, სახელოვან მოწინააღმდეგეთა დამარცხებით და ბრწყინვალე გამარჯვებებით მტერზე, ბოროტ სულეებსა და საშიშ მტეკებზე. ის, ვინც ატარებს მოყმის დიად სახელს, ოცნებობს მსოფლიო აღიარებაზე და მის ძიებაში ცდის თავის ზედს. ცნობილი მოყმეთა შორის იმართება შეჭიბრო-ორთაბრძოლა (28, გვ. XIII). ფრთხილობდა ნიკო მარი, რომ ჩვენში ყოველივე ამის გამო არ დაწყუთო პ ა რ ი ო რ უ ლ ი აღიარება საქართველოში ევროპული რაინდობის ინსტიტუტის არსებობისა მთელი თავისი ატრიბუტებითურთ (28, გვ. XIII). მაგრამ ქართველი ისტორიკოსები პირველწყაროებზე დაყრდნობით ადასტურებენ XII საუკუნის საქართველოში ამგვარი ინსტიტუტის არსებობას.

ქართული და უსპორიო საისტორიო წყაროებით დასტურდება, რომ, ერთი მხრივ, ევროპული ჯვაროსანი რაინდები იბრძოდნენ ქართველთა დაშქარში (დიდგორის ომი, 1119 წ.), ზოლით, მეორე მხრივ, ქართული მხედრობაც დებულადა ომში მოწაწილეთას ევროპულ ჯვაროსნებთან ერთად პალესტინაში. „შემდეგ აღვიღეთ“ გასათავისუფლებლად. ისიც ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ქრისტიან მეფეებთან. სარწმუნოდ ჩანს აგრეთვე თვალზარბისი იმის თაობაზე, რომ დავით აღმაშენებელი და მისი დროის ქართველი მოყმეები იცნობდნენ 1119 წელს იერუსალიმში დაარსებულ ტემპლიერთა ორდენს.

რომელიც ძლიერი რაინდული რელიგიური ორგანიზაცია იყო (17, გვ. 186-208). ქართული საისტორიო წყაროები ადასტურებენ მოყმეთა ინსტიტუტის არსებობას საქართველოში. „ისტორიანი და აშანი შარავანდედოანი“ დავით სოსლანს მოყმედ სახელებს. ასევე მოყმეებს უწოდებს მემბრანე ამირსპასალარ ზაქარას, მხახურო-უბუცევის ივანეს და მერეთის ერისთავს გრიგოლს და დაწვრილებით აღწერს მათ შეჭიბრსა და ასპარეზს სამეფო კარისა და თამარის თანდასწრებით საპატოო სტუმრებთან, ასევე მოყმეებთან — ყიზილ-არსლან სულთანის ძმისშვილ ამირ-მირმანთან და მის დიდებულებთან:

„უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარას და მხახურო-უბუცესსა ივანეს, ჰერეთის ერისთავსა გრიგოლს და სხუთა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან მისითა დიდებულთა და შონითა, და თუთ თამარ საქურტეჟელად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელთა-მფუნითა. ისლიმნი, დაქრებულნი მეციციგობისანი და მძლუმბროდნი, მსწრფელ იძლიენეს დავით მეფისა და მისთა მოყმეებთან და შეიქცეს ძლეულნი და მტუენებულნი“ (16, გვ. 67).

რაინდულმა საზოგადოებამ საქართველოში რაინდული ცხოვრებისა და ზეობის იდეალიზაციაც მოახდინა, რაც კარგად ჩანს XII საუკუნის ქართულ საერო მწერლობაში და, ეკრძოდ, „ამირანდარეჯანიანში“. რაინდული წენობის მიხედვით კი მოყმის ერთი ძირითადი თვისებაა თანაგრძნობა სხვისი და ეკრძოდ თანაწროის მწუხარებისადმი, აღტაცება სხვა რაინდის ვაჟაკობითა და მამაცობით და მასთან დამეგობრება, დამოხიბლება.

იამან ჰაბუქმა ამირან დარეჯანის-ძესთან შაოსანი კაცი გამოგზავნა და მისი ძის ბადარი იამანის-ძისა და ნოსარ ნისრელის დედათაგან შეპყრობის ამბავი შემოუტოლა. ამირან დარეჯანის-ძე დაუყოვნებლივ ეახლა მოხუც იამან ჰაბუქს და ჰაბუქური პასუხიც მოახსენა: „მეტსა ვერას გიჟადებ, ანუ მოკვლდები მათთანავე, და ანუ ვისწინ იგინიცა“ (1, გვ. 17). ამირან დარეჯანის-ძემ სიტყვა შეასრულა და განთავისუფლებულ რაინდებთან ერთად იამან ჰაბუქს ეახლა. „წამოვედით და მოვედით იამანსა ჰაბუქსა თანა, — მოგვითხრობს სავარსიშის-ძე, — დავავით კუიარა ერთი და შეიუარეს ერთობა ერთი და მძალ იფიციეს სამნივე. თავმან თქუენმან, სამთა მათ ვერავინ მოერეოდეს“ (1, გვ. 20). ერთმანეთის თანაწრო ჰაბუქთა მძალ შეფიცვაც რაინდული ეთიკის ერთი ძირითადი კანონია. ასე შეიფიცნენ მძალ სამკვდრო-სასიცოცხლად

ელბუჯბ ხინთიბიძე
„შემოხიბდნ, მოვეფინა...“

შერკინების შემდეგ სეფედავლემ დარისპანის-ძე და ამირან დარეჩაის-ძემ (1, გვ. 78).

ვფიქრობთ, არ არის ძნელად მისახვედრი, რომ ვეფხვის ტყაოსნის გმირთა მეგობრობა რაინდული ეთიკითა და ჩაგონებული. ჭირში ჩაპარდნილი მოყმის (ტარიელის) საშველად მოყმე (ავთანდილი) თავისი ცხოვრების მსხვერპლად მიტანას არ ერიდება. ვერც ტარიელი აუფლის გვირდს შეჭირვებულ ფრიადოს. ტარიელის, ავთანდილისა და ფრიადოსის მშობის საფუძველი სწორედ ის თანასწორობაა, რამაც სეფედავლემ და ამირანი დაამოძილა. მხოლოდ ამ თანასწორობის დასადგენად ვეფხვის ტყაოსნის გმირთათვის აღარ არის საჭირო „დიდთა კლდეთა ქაზების“ (1, გვ. 77). მსგავსი შეხმა და ომი ერთმანეთს შორის. რუსეთელის გმირთა თანასწორობის საწინააღმდეგო კატეგორიაა და მშვენიერებაში მდგომარეობა.

ვეფხვის ტყაოსანში მეგობრობის სრულყოფილი ავტორიტული კონცეფციაა განახიერებული. მხატვრულ სახეებში ვადაზრებული. სწორად ხედავდა ნიკო შარა: პოემისეული რაინდობა და ქალის კულტი რომ ერთვეულ ქართულ კულტურას დაუკავშირდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის წმინდა ფილოსოფიური იდეალი, რომელმაც გააფართოვა X-XII საუკუნეების ქართული საზოგადოების გონებრივი პრიციპალი. ამ მხრივ მკვლევარი უტრადედებს ნეოპლატონიზმზე ამბავილებდა (23, გვ. XLVI). როდესაც ვეფხვის ტყაოსნის მეგობრობის კონცეფციის ფილოსოფიურ საფუძველს ვეძიებთ, პირველ რიგში, უტრადედება უნდა შევარჩიოთ მეგობრობის იმ ფილოსოფიურ თეორიაზე, რომელიც ანტიკური ეპოქიდან გვიანდელმა შუა საუკუნეებმა იანდერძა და რენესანსის ეპოქის უაღრესად პოპულარულ მოძღვრებად აქცია. ესაა არისტოტელისეული მეგობრობის ფილოსოფია. ჩართული რენესანსის ეპოქაში არისტოტელეს სახელით ცნობილ სამ ეთიკურ თხზულებაში: „ნიკომაქეს ეთიკა“, „ევდემეს ეთიკა“ და „დიდი ეთიკა“. ამჭერად ჩვენთვის არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას ეკუთვნოდა თუ არა ეს სამივე თხზულება არისტოტელეს (გავრცელებული ავადსაზრისით ავთენტურია მხოლოდ „ნიკომაქეს ეთიკა“; „დიდი ეთიკა“ გვიან ელინისტურ ეპოქაში პერიპატეტული სკოლიდან გამოსულ თხზულებადა ითვლება: „ევდემეს ეთიკის“ საკითხი“ კი დიად რჩება — ზოგი თვლის არისტოტელეს თხზულებადა, ზოგი არა — 21, გვ. 610-611; 32, გვ. 213-214). არსებობს იმ გარემოება, რომ გვიანდელი შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის მოაზროვნეებისათვის სამივე თხზულება არისტოტელეს სახელთან იყო დაკავშირებული და სამივე მათგანი უაღრესად პოპულარული იყო. ახალი ეპოქის ეთიკური იდეალი საუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციის დონეზე არის-

ტოტელეს მორალური კონცეფციის ათვისებას ცდილობდა, ქრისტიანობიდან ანტიკისკენ იუქირებოდა. ვფიქრობთ, გვიანდელი შუა საუკუნეებიდან რენესანსის ეპოქაზე გარდამავალი ხანის ქრისტიანული საშუაროს აზროვნებაში არისტოტელეს ეთიკის უდიდესი პოპულარობის დასამტკიცებლად საქმარისაა დავსახელოთ ერთი ფაქტი. დადგენილია, რომ დანტე ალიგიერი იცნობდა არისტოტელეს თითქმის უველა თხზულებას, მაგრამ განსაკუთრებით ახლობელი და საყვარელი მისთვის „ეთიკა“ იყო (11, გვ. 92). სწორედ „ნიკომაქეს ეთიკა“ უნდა უფილიყო პირველი ფილოსოფიური ნაწარმოები, რომელიც ადენო დანტემ ამ თხზულების თთმა აქვნიელისეულ კომენტარებთან ერთად და რომელმაც მისცა მას სტიმული შუასაუკუნეებრივი განათლებიდან ბუნების ფილოსოფიის, ეთიკისა და მეტაფიზიკისკენ ინტელექტუალური სწრაფვისა (29, გვ. 63).

მეგობრობის პირობებთან არისტოტელეს ეთიკურ თხზულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას ეძღვნება „ნიკომაქეს ეთიკის“ VIII წიგნი — VIII და IX; „ევდემეს ეთიკის“ VIII წიგნი და „დიდი ეთიკის“ II წიგნის XI-XVII თავები. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ზოგადად შეინშნულია, რომ არისტოტელისეულ მეგობრობის კონცეფციასა და ვეფხვის ტყაოსნის მეგობრობას შორის მსგავსება (10, გვ. 26; 15; 32, გვ. 246-247), მაგრამ საგანგებო კვლევას მოითხოვს ის გარემოება, რომ ვეფხვის ტყაოსნის გმირთა ურთიერთობაში არის ზოგი რამ სპეციფიკური, რომელიც თავის ფილოსოფიურ გააზრებას მხოლოდ არისტოტელისეულ მეგობრობის კონცეფციაში პოულობს.

1. არისტოტელეს მტკიცებით, მეგობრობა უველად უფრო აუცილებელია ცხოვრებისათვის („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII,1). მეგობრობა უდიდესია გარეგნულ სიკეთეთა შორის („ნიკ. ეთ“, IX,9). ფილოსოფოსი იხსენებს ჰომეროსის სიტყვებს: „თუ ორნი მიდიან ერთად...“ („ილიადა“, X, 224) და განმარტავს, რომ ორისათვის მოსაბერებელია, ადვილია აზროვნება და მოქმედება („ნიკ. ეთ“, VIII, 1). არისტოტელე ერთმანეთისაგან ასხვავებს მეგობრობის სამ სახეობას სამი სხვადასხვა საფუძველის — კარგის, სასიამოვნოს და სასარგებლოს მიხედვით („ნიკ. ეთ“, VIII, 2). უმაღლესი ფორმა მეგობრობისა არის კარგი ადამიანების, ზნეობრივად სრულქმნილი ინდივიდების მეგობრობა („ნიკ. ეთ“, VIII, 3.4). ამ კონცეფციაში არის ზოგიერთი პრინციპული მომენტი, რომელთა მემართება ვეფხვის ტყაოსნის გმირთა ურთიერთდამოკიდებულებასთან არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს.

ფილოსოფოსის მტკიცებით, კარგი ადამიანების, ზნეობრივად სრულქმნილი ინდივიდების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი ისეთია, რა-



„მე ვარ ვმა რუსტან მეფისა, მოყმე
 არიბეტს ზრდილობით,
 დიდი სასპეტო, სახელად მიხობონ
 ავთანდილობით,
 ძე დიდებულთა დიდ-გაბოთა, ზრდილი
 მეფეთა შეილობით,
 საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან
 ცილობით“ (992).

ვეფხისტყაოსნის გმირებს შეგობრობ-
 ხისაკენ ეზიდება მათი ახალგაზრდული ასაკი:
 „ავთანდილ იყო სასპეტო, ძე ამირ-
 სპასალარისა,
 ვამ საროსა მცობი, ნაზრდი, მსტეესო მზისა და
 მთვარისა,
 იდი ჭერთ უწვევრული, სადარო ბოლ-მინა
 ციკა საცნობარისა“ (41).

„მახვევ ახალგაზრდა კახეთა ტარიელი (იგი
 ავთანდილზე ცოტათი უფროსია). ფრიდონი
 ასაკით შეგობრებს ჯიშის ვეფხაზე უფროსია,
 თმსტა ისიც ჭერთ კიდევ ახალგაზრდა მოყმეა.

რუსთველის გმირები არა მხოლოდ ასაკით,
 აღზრთ და ხაზოვადობებრივი მდგომარეობით
 არიან ერთმანეთის თანასწორნი, არამედ ისინი
 ხაზოვადოდ ერთმანეთის მსგავსნი არიან თა-
 ვინათი კაცეით, მისწრაფებებით, ინტერესებით
 და შეხედულებებით. სწორედ ამ გარემოებას
 ანიჭებს შეგობრობაში ვალამწევეტ მნიშვნელო-
 ბას არისტოტელე, ფილოსოფოსი წერს: სრულ-
 ყოფილია შეგობრობა იმ ადამიანებისა, რომელ-
 ბიც არიან კარგნი და მსგავსნი თავიანთი სრულ-
 ქმნილებით („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 4). არის-
 ტოტელე ავითარებს ამ აზრს: კარგი ადამიანები
 თავისთავადაც სასიამოვნონი არიან და ერთმა-
 ნეთზეც სასიამოვნო შეთავებულებას ახდენენ.
 უვლას კმაყოფილებას ანიჭებს. საყოთარი ხა-
 სიათის მსგავსი მოქმედება. ხოლო კარგი ადა-
 მისანების მოქმედება ერთმანეთის მიმართ იგი-
 ვეობრივია ან მსგავსია („ნიკომაქეს ეთიკა“,
 VIII, 4). აქედან გამომდინარე კი ფილოსოფო-
 სი ასკვინს: ყოველგვარი შეგობრობა... დაფუ-
 ნებულია ვარკვეულ მსგავსებაზე („ნიკომაქეს
 ეთიკა“, VIII, 4). შეგობრობის არსის აშგვარი
 ინტერპრეტაცია არისტოტელეს საშუალებას
 აძლევს ისიც დაასკვნას, თუ ვის შორის წარ-
 მოიშვება შეგობრობა: მსგავსი თვისებების მქო-
 ნე ადამიანებს აქვთ მიღრეკილება შეგობრობი-
 საკენ („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 14).

ზემოთ წარმოდგენილი მიმართებანი არისტო-
 ტელეს შეგობრობის თეორიასა და ვეფხისტყაო-
 სნის შორის შემთხვევითი ხასიათის
 მსგავსებად შეიძლება მიგვეჩინა, რომ მათ
 გვირდით უფრო კონკრეტული და სპეციფიკური
 გარემოებანი არ აპურობდეს ეურადღებებს. შევ-
 ჩერდებით ორ გარემოებაზე, რომლებიც, ჩვენი
 აზრით, არსებითი უნდა იყოს.

1. ვეფხობთ, ვეფხისტყაოსნის პერ-
 სონაჟთა დამეგობრება ექვემდებარება ვარკ-

ვეულ ავტორიბულ კონცეფციას, რომელიც
 თავის მხრივ მიმართებას ამაყრებს შეგობრობა
 მსგავსებისა და თანასწორობის არისტოტელე-
 სულ თვალსაზრისთან. საქმე ისაა, რომ რუსთ-
 ველი ფილოსოფიური მოტივირების გარეშე არ
 ტოვებს გმირთა დამეგობრების ფაქტს. იგი უკო-
 ლა შემთხვევაში აქცენტს აეთებს ამგვარ სე-
 ნაზე და არსი ამ აქცენტისა ისაა, რომ მსგავს-
 უმეგობრდება მსგავსს.

ტარიელია და ავთანდილის ირისპირ შებ-
 ველის სცენას, რომელსაც გმირთა დამეგობ-
 რება უნდა მოჰყვეს, რუსთველი გმირთა მსგავ-
 სებისა და თანასწორობის მტკიცებით იწყებს:
 ასმათმა ტარიელთან მისაახლებლად ავთანდი-
 ლი გამოიყვანა.

„გაოთეგება ტარიელ, კმართებს ორთავე
 მზე დობად,
 ანუ კით მთვარე უღრუბლა შექთა
 მოჰფენდეს ქვე ბარად,
 რომე მათ თანა ალვისა ხეცა ვარგ იყოს
 ხელ არად,
 ჰგვანდეს შეიდავე მნათობთა, სხვადმცო
 რისად ვთქვი მე და რად!“ (283).

მსგავსი აქცენტირებით იკითხება ფრიდონისა
 და ავთანდილის პირველი შეხვედრის ეპიზოდი:
 მონადირე მეფე-რანდისა და სანადიროდ შემოკ-
 რბილი მისი ღაშკრის წინაშე მაღალი სამონა-
 დირო ხელოვნების დემონსტრირებას ახდენს
 ავთანდილი. ტარიელისაგან ფრიდონისაკენ წა-
 სული რანდი მულაზანზარს მიუახლოვდა. მე-
 ფე სანადიროდ გამოსულიყო. ღაშკარა ნადი-
 რისათვის ალუა შემოეკრა. ისრთან და ისხიან,
 მზეცთა სტრიან ვითა მუგლასა “(1177). ავთანდი-
 ლი ერთბაშად ჩაერთო ამ ასპარეზში და ჩაერ-
 თო, როგორც სწორტოვარი რანდი.

„მათ ღაშკართა ყოლბასა შუა ორბა სითმე
 გამოფრინდა:
 ყმამან ცხენი შეუტევა, გაამყადა, არ
 შეშინდა,
 შესტყორცნა და ჩამოაგდო, დაეცა და
 სისხლი სდინდა,
 გარდახნა და ფრთენი დასკრნა, წყნარად
 შექდა, არ აქმინდა“ (980).

ანალოგიური ქვეტექსტი იკითხება ტარიელისა
 და ფრიდონის დამეგობრების სცენაში. სოფლის
 სიმუხთლისაგან კაცთა მოდგმაზე გულაყრილი
 და ნეტანის უნაყოფო თებანაში ერთვულ მხლე-
 ბელთაგან შემომარტული ტარიელი უცნაურ
 სანახავს ხედავს: ადამიანთა სიმუხთლისაგან
 მახავით განწირული, გულად და მისანდობ მეო-
 მართა დამკარგავი და მახავით სულით დაკო-
 დილი, გამწარებული რანდის ქადილი ზეცას
 წვდებოდა. ტარიელი შეაკრთო ნახულმა ხუ-
 რათმა:

„ხაზილი მესმა. შევხედენ, მოყმე ამაყად
 ყოიდა.“

შემოარბევდა ზღვის პირ-პირ. მას თურე
წულული სტკიოდა:
ბრმლისა ნატეხი დასერილი კვს. სისხლი
ჩამოსდიოდა,
მტერთა ექაღდა, წყრებოდა, იგინებოდა,
ჩიოდა" (596).

ამ ამალღებულმა ხანახავმა მიიპარო ტარიე-
ლის ურადღება, მშვენიერის განცდით გამოწ-
ვეული ესთერკიური ტპობა იმდენად ძლიერია,
რომ გმირი, რომელიც ადამიანებს გაურბოდა,
მისი ვინაობის შეტყობის მსურველთ იხე უმას-
პინძღებოდა, როგორც როსტევეანის მოწენსა
და მონადირე ხატელ ძმებს, გამოფხიზლდა,
შეურაცხულოილი ამაჟი მოუშის ვინაობით და-
ინტერესებდა. არ მალავს ტარიელი, რომ, უწი-
ნარეს ფრიდონის შეხვედრისა, ადამიანის ნახვა
მას საზოგადოდ არ უნდოდა:

"არ შეამის კაცთა ნახვა, მიდაღვიდეს
გულსა დაღნი" (594).
„ვერა მეცნა ეგზომ გრძელად ვერ კორი
და ვერ დასტური,
ველთა ცრემლი ასოველებდა, თვალთა
ჩემთა მონაწერი" (595).

მაგრამ არც იმას მალავს გმირი, რომ ამალღე-
ბულის ესთერკიურმა განცდამ მისი პიროვნება
შეძრა. ტარიელი მიიზიდა მასავით კირში ჩა-
ვარდილმა, „გაფიცებულმა და მწურრომელმა“
გმირმა:

„მონა მივსწიე, მისისა შეყრისა ვიყავ
მნდომელი;
შევსთვალე: „დადებ, მიჩვენე, რომა ვინ
გაწყენს, რომელი?“

და ვფიქრობთ, აქ ჩანს ერთი არსებითი დე-
ტალი იმ მეგობრობის კონცეფციისა, რომელ-
საც რუსთველი გვათავაზობს. საქმე ისაა, რომ
იმ მსგავსებამ, რომელიც ტარიელსა და ფრი-
დონს შორის, ერთი მხრივ, წნეობრივ და ფი-
ზიკურ სრულქმნილებაში მდგომარეობს, ბოლო,
მეორე მხრივ, ბედის სიმუხთლენსა და სოფლის
სამდურავში, ტარიელის სამყარო მოიცვა. მას
მეოცონა გმირი.

მეგობრობის არისტოტელესეული თეორიით
არა უკელა მსგავსი უმეგობრდება თავისხავე
მსგავსს. მეგობრობის ჩასახვისათვის აუცილე-
ბელია სიმპათია. მოწონება, რომელსაც პიროვ-
ნებები ერთმანეთში აღძრავენ. მეგობრობა, —
აყბადებს არისტოტელი, — აღმოცენდება სიმ-
პათიიდან, ანუ ვინმეს მიმართ კეთილის მოსურ-
ნეობიდან („დიდი ეთიკა“, II, 11). არ შეიძლე-
ბა უკვლავის შეყვარება, — ამტკიცებს ფი-
ლოსოფი, — შეიძლება შეიყვარო მხოლოდ
ის, რაც მიშვიდველია. ეს კი შეიძლება იყოს ან
კარგი, ან სახიამოვნო, ან სახარებლო. მაგ-
რამ, როგორც ჩანს, სახარებლოა ის, რაც გვა-
ნიჭებს სიკეთეს, ან სიამოვნებს; ასე რომ, და
ბოლოს მიშვიდველად უნდა ჩაითვალოს კარგი
და სახიამოვნო. კეთილმოსურნეობა, — აგრ-

ძელებს ხხვა ადგილას ფილოსოფოსი, — რო-
გორც ჩანს, დასაწყისია მეგობრობის, იხევე რო-
გორც მოწონება — სიყვარულისა, რამდენა-
დაც უკველი ადამიანი უწინარეს მოიხიბლება
სატრფოს ხილვით და მხოლოდ მას შემდეგ შე-
იყვარებს... მსგავსად ამისა, ადამიანები უწი-
ნარეს განიმსკვალეზიან ერთმანეთის მიმართ
კეთილმოსურნეობით და შემდეგ დამეგობრდე-
ზიან („ნიკ. ეთ.“, IX, 5).

სწორედ ეს კეთილმოსურნეობის გრძნობა,
სიმპათია, მოწონებაა ის განცდა, რომელსაც
რუსთველის გმირები განიცდიან ერთმანეთთან
პირველი შეხვედრისას და რომელიც არის ხაწ-
ყისი მათი მეგობრობისა.

ტარიელს მოეწონა ზღვის პირას ქარივით
შქროლავი შავ პაიჭზე ამხედრებული გაფიც-
ხებული მოყმე. კეთილმოსურნეობის გრძნობით
განიმსკვალა მის მიმართ, მისი ამბით დაინტე-
რესდა, თანადგომა შესთავაზა:

„კუთხარა: დადებ, გამიგონე. შენი საქმე
მეკა მინა!“ (598).

მხოლოდ ტარიელი არ მოიხიბლულა ფრიდონ-
ის ნახვით. გაფიცებულ მოყმეზეც მომაჯადო-
ებელი შთაბეჭდილება მოახდინა ვეფხისტყაოსა-
ნი კახუკის ხილვამ. ტარიელის მიგზავნილ მონას
ფრიდონმა ზედაც არ შეხედა. მაშინ თვითონ
ტარიელმა მოუჭრა გზა დაჭრილ მოყმეს:

„მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა
მოუსმინა;
ფიცულა შეჭყე, ჩაეგებე, მე ჩაუსწარ,
ჩავე წინა...“ (598).

და ეს გააფთრებული კახუკი, რომლის წყრო-
მა, ყვილი, ქაღილი და გინება ზეცას წვდე-
ბოდა, გაჩერდა. ფრიდონს მოეწონა მის წინ
ამართული კახუკი:

„შემომხედნა. მოვეწონე. სიარული
დაითმინა“ (598).

მოიხიბლა მისი ხილვით:
„გამიკადა. დმერთსა ჰკარდა. „შენ ასეთნი
ხენი ვით: ჰხენ!“ (599).

სწორედ ეს ურთიერთმოწონება იმ მეგობ-
რობის საწინდარი, რომელიც ასე სწრაფად გა-
იზშება ტარიელსა და ფრიდონს შორის. ამის
შემდეგ კი მეგობრობის საბელი ელვის სისწრა-
ფით იკვრება. ფრიდონმა პასუხი არ დაუთვინა
მშვენიერ კახუკს:

„მერმე მითხრა: „მოგახსენებ, აწ სიტყვანი
რომე მკითხენ;
იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე
ვიოხენ,
უკანმავსა მილაატეს, საჭურველნი ასრე
ვიოხენ“ (599).

არც ტარიელმა დაუგვიანა ვაჟკაციური პა-
სუხი, თან დააშწინა მოყმე:

მღაუჭა სინთიზიძე
„შემომხედნა, მოვეწონე...“



„მე ვუუხარ: „დადგე, დაწინარდი.
 ვარდაუხდეთ ძირსა ხეთასა;
 არ შეუღრკების კაბუტი კარგი მახვილთა
 კეთასა“ (600).

მეგობრობის სიბოძმ წულული დაუამა ფრი-
 დონს და, თუ რამდენიმე წუთის წინ ამ შეუ-
 რაცუოდილი მოყმის გამაფრებულმა კადილ-
 მა აღ გინებამ ტარიელი შეაკროთ, ახლა მისმა
 სინაწემ გააკვირვა იგი:

„თანა წამომყევა, წავედიო უტკბონსი
 მამა-ძეთასა.
 მე გავეკვირვე კურეტსა მის ყმისა
 სინაწეთასა“ (600).

ამ თვალსაზრისით ტარიელისა და ფრიდონის
 შეხვედრის სცენა გამოანაკლისს არ წარმოად-
 გენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთველი
 გმირთა პირველი შეხვედრის აღწერისას უო-
 ედოთვის აქცევს უურადღებას მათ სილამაზეს
 და მშობიბედლეობას. უფრო მეტიც, ავტორი
 უკელა შემთხვევაში გახაზავს იმას, რომ გმირებ-
 მა ერთმანეთზე მოახდინეს დიდი შთაბეჭდილუ-
 ბა, რომ მათ მოეწონათ ერთმანეთი.

ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრას და
 ავთანდილის მიერ საყუთარი თავს წარადგენს
 ვეფხისტყაოსანს კაბუტთან, უშუალოდ მოსდევს
 ტარიელის მიერ ავთანდილის შექება და იმის
 აღნიშვნა, რომ მას ესაიშოვნა გმირის ნახვა:

„აწ ვაშად მოხვე, მეამე ნახვა შენისა
 პირისა!
 ტანად სარო და პირად მზე, მამაცად
 მსგავსი გმირისა...“ (298).

ავთანდილმაც არ დაუგვიანა შესაბამისი პა-
 სუხი:

„ავთანდილ უთხრა: „ვით მაქვს საქები
 ბრძენთა ენისა?...
 სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა
 ზენისა,
 რათგან ვერ შეგცვლის პატივი ეგზომთა
 ცრემლთა დენისა“ (299).

ავთანდილის მაღალმა სამონადირეო ხელოვ-
 ნებამ და კაბუტურმა იერმა ფრიდონის მთელი
 ლაშქარი მოხიბლა:

„იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა
 მოეშლებოდეს,
 ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს,
 ბნდებოდეს,
 იქით და აქით უვლიდეს; ზოგნი უკანა
 ჰყუებოდეს,
 ვერცა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო“, ვერცა
 რას ეუბნებოდეს“ (981).

ფრიდონიც ასევე მოხიბლა ავთანდილის ხი-
 ლვით:

„რა შეხენდა, ესე თქვა თუ: „თუ არ
 მზეო, ისე ვინ-ა?“ (987).

რუსთველი ამ შემთხვევაშიც ერთგული რჩე-
 ბა მეგობრობის იმ კონცეფციისა, რომლის მი-

ხედვითაც გმირთა დამეგობრებას
 მათ მიერ ერთმანეთის მოწონებაც:

„თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და
 მოეწონა ყმასა ფრიდონ“ (988).

მ. რუსთველისეული მეგობრობის კონცეფ-
 ციის მიმართება მეგობრობის არისტოკრატული
 ფილოსოფიასთან ამითაც არ ამორწურება.

ვეფხისტყაოსნის თანახმად მეგობრო-
 ბის გამოვლენის ფორმები სხვადასხვაგვარია:

„სამი არის მოყურისაგან მოყვრობისა
 გამოჩენა:
 პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ
 მოთმენა,
 მიცემა და არას შური, ჩუქებისა
 არ-მოწყენა,
 გავლენა და მოხმარება, მისად რგებად
 ველთა რბენა“ (779).

ვეფქობთ არ საჭიროებს საგანგებო მტკი-
 ცებას, რომ მეგობრობის გამოვლენის ეს სამი
 ფორმა ვეფხისტყაოსნის გმირთა ურთი-
 ვრთდამოკიდებულების პრინციპებია:

ერთად უოფნა ტარიელის, ავთანდილის და
 ფრიდონის მისწრაფებაა. ავთანდილი:

„უმისომეცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე,
 ნუცა შინა“ (777).

„ვერ დავდგები შეუყურლად ჩემთა
 ცეცხლთა მომღებრისად“ (790).

ფრიდონი:

„რა მოგეშორე, მას აქათ სიცოცხლე
 მომძულევებია;

თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის
 მომსურევებია;

შენ უჩემობა ლხინად გირის, მე დია
 მიმპირევებია,

ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი
 გამარშებია!“ (1008).

გმირები შეპყრობილნი არიან ერთმანეთისად-
 ში პატივისცემის გრძობით, რომელიც გამო-
 რიცხავს ყოველგვარ შურს („მიცემა და არას
 შური“). გავიხსენოთ ფრიდონის მიერ ტარიე-
 ლისადმი ნაჩუქარი ზღაპრული ცხენი, ტარიე-
 ლის მიერ ფრიდონის სამეფოში გაგზავნილი
 დევთა მთელი საგანძური, ფრიდონთან მისული
 ავთანდილის უხვად დაჭილდობა:

„გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს
 მუნ ატლასისა,

შესამოსელი შემოსეს ღრაქნისა
 ბევრ-ათასისა,

შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუღებელი
 ფასისა“ (1013).

ერთმანეთისათვის სასარგებლოს კეთება პოე-
 მის გმირთა მოქმედების ძირითადი მიმართუ-
 ლებია. ფაქტიურად ესაა პოემის ერთ-ერთი
 ღერძი. იგი სიტყვიერადაცაა მოტივირებული:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოგკერფე
 კიტრად ბერად.

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად
და მიმიჩნის მღერად (788).
„მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა
და ქვიშითა“ (1002).

აქვს თუ არა მეგობრობის გამოვლენის ამ
ვეფხისტყაოსნისეულ ფორმებს რაიმე მიმართება
არისტოტელეს ეთიკასთან? პასუხი რომ უშუა-
ლო იყოს, მოვიყვანო ამონაწერს არისტოტელეს
მეგობრობის კონცეფციის რუსი კომენტატორის
ვ. ჩისტიაკოვის 1918 წელს გამოქვეყნებული
სტატიიდან. მკვლევარი გადმოსცემს არისტო-
ტელეს მეგობრობის თეორიის შინაარსს „ნიკო-
მაქეს ეთიკის“ მიხედვით:

«...когда эта дружба заключена, то ей
первое и постоянное условие: близкое и
постоянное присутствие друга... второе и
непременное условие: это искренность и
отсутствие подозрений друг к другу...
третье и главное условие: «дружба нетоль-
ко почти пассивная склонность, но и актив-
ное благожелательство, переходящее и в
благоденния другому». (30, გვ. 553—554).

მართლაც არისტოტელეს მეგობრობის ფი-
ლოსოფიით ზემოთ მითითებული სამი პრინცი-
პი ქვეშაირტი მეგობრობის აუცილებელი პრინ-
ციპებია.

მეგობრობის არსი ერთად უოფ-
ნაა — ესაა არისტოტელესეული მეგობრობის
ფილოსოფიის ერთი ძირითადი თეზისი („ვედე-
მეს ეთიკა“, VII, 12; „ნიკომაქეს ეთიკა“,
VIII, 3; VIII, 5-6; VIII, 9; IX, 4; IX 12).
როგორც შეყვარებულთათვის უველაზე სასი-
აღოა ერთმანეთის ხილვა, რამდენადაც ამ
მხედველობით შეგრძნებას იხიწი უველაზე მაღ-
ლა აყენებენ... ზუსტად ასევე მეგობრები უვე-
ლაზე მეტად მიისწრაფიან ერთად უოფნისაქენ,
რამდენადაც მეგობრობა ურთიერთობაა (პარტ-
ნიორობაა) და როგორცაა პიროვნება საქუთა-
რი თავისათვის, ასეთივეა იგი მისი მეგობრისა-
თვის („ნიკომაქეს ეთიკა“, IX, 12). არისტო-
ტელე იხსენებს სიბრძენს: „მეგობრებს უველაფე-
რი საერთო აქვთ“ და ასკვნის, რომ იგი სწო-
რია, რამდენადაც მეგობრობა ურთიერთობაში
მდგომარეობს („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 9).
ადამიანები, რომელთაც მოსწონთ ერთმანეთი,
მაგრამ არ ცხოვრობენ ერთად. — წერს სხვა
ადგილას ფილოსოფოსი, — ჩათვლებიან ერთ-
მანეთის მიმართ კეთილგანწყობილად, მაგრამ
არა ქვეშაირტი მეგობრებად; რადგანაც არაფე-
რია უფრო დამახასიათებელი მეგობრობისათ-
ვის, ვიდრე ერთად ცხოვრება („ნიკომაქეს ეთი-
კა“, VIII, 5). მეგობართათვის ესოდენ პრინ-
ციპულად დამახასიათებელი თვისება — ერთად
უოფნა, — არისტოტელეს აზრით, არ წარმოად-
გენს თვითმიზნურ და პასიურ ურთიერთობას.
ჭერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, იმ ადამიანთა
ერთად უოფნა გადაიზრდება მეგობრობაში, რო-

მელთაც მოსწონთ ერთმანეთი მსგავსი თვისებ-
ებების გამო. მეორეც, მეგობართა ერთად უოფნა
სიხარულისა და საზურუნავის თანაზარობისაც
იწვევს. ზოგნი, — წერს არისტოტელე, — მე-
გობრებს მათ უწოდებს, რომლებიც ერთად
ცხოვრობენ და ერთნაირი თვისებების მატარე-
ბენი არიან, ანდა მეგობრების მწუხარებით
წუხან და სიხარულით ხარობენ („ნიკომაქეს
ეთიკა“, IX, 4). ასე რომ, არისტოტელეს აზ-
რით, მხოლოდ ერთად უოფნით არ გამოვლინ-
დება ქვეშაირტი მეგობრობა.

ერთმანეთისადმი პატივისცემა და ნდობა; და
არა შური ერთმანეთის მიმართ — აი, რა ახა-
სიათებს კარგი ადამიანების მეგობრობას, არის-
ტოტელესეული ფილოსოფიის მიხედვით. მხო-
ლოდ და მხოლოდ კარგი ადამიანების მეგობ-
რობა მტკიცე ცილისწამების მიმართ, — წერს
არისტოტელე, — რადგანაც ძალზე ძნელია და-
უჯერო ვინმეს ადამიანზე, რომელიც გამოცდი-
ლი გუავთ დიდი ხნის მანძილზე. ასეთ ადამი-
ანებს სწამთ ერთმანეთის. არ აუენებენ ერთმა-
ნეთს შეურაცხყოფას, საერთოდ მათ ურთიერ-
ობაში უველაფერია. რაც საჭიროა ქვეშაირტი
მეგობრობისათვის („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 4).
არისტოტელე სხვა სიტყვითაც გამოხატავს მე-
გობრობის ამ თვისებას. იგი მიუთითებს, რომ
ქვეშაირტი მეგობრები ტკბებიან ერთმანეთთან
ურთიერთობით. მათ სიხარულს ინიჭებთ ეს
ერთად უოფნა. ხოლო ეს კი, აღბათ, მეგობ-
რობისთვის უველაზე მეტადაა დამახასიათებელი
 („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 6).

დაბოლოს, არის კიდევ ერთი ფორმა მეგობ-
რობის გამოვლენისა — ესაა სიკეთის კეთება
მეგობრისათვის: არა მხოლოდ მეგობრული
ურთიერთობით ორმხრივი ტკობა, არამედ მხო-
ლოდ მეგობრის (და არა პირადად) სიცოცხლისა
და სიხარულისთვის შეჟირი და არა მხოლოდ
ფიქრით და სურველი მეგობრის პირადი ზედნიე-
რებისა, არამედ მთლდვაწეობა ამ ზედნიე-
რების შესაქმნელად.

ამიტომ არის, რომ არისტოტელეს აზრით,
მეგობრული დამოკიდებულება იმ მიმართების
მსგავსად უნდა შეფასდეს, რაც შეიძლება ადა-
მიანს ჰქონდეს საკუთარი თავის მიმართ. რად-
განაც, — წერს ფილოსოფოსი, — მეგობრად
თვლიან მას, ვისაც სურს და აკეთებს კიდევ
სიკეთეს, ქვეშაირტს ან მის მიერ სიკეთედ მიჩ-
ნეულს, თავისი მეგობრისათვის; ანდა მას, ვისაც
სურს მეგობრის არსებობა და სიცოცხლედ, მხო-
ლოდ ამ მეგობრისათვის („ნიკომაქეს ეთიკა“,
IX, 4).

ამრიგად, ეს სამი თვისება — ერთად უოფნა,
ერთმანეთით სიხარული და ერთმანეთისათვის
სიკეთის, სარგებელის ქმედება, — არისტოტე-
ლეს შეხედულებით, ქვეშაირტი მეგობრობის

ელმუჯაბ სინთიზმძ
„შემოწმადნა, მოწმეონ...“

გამოვლენის ფორმებია. ამიტომაც, რომ იმის დასამტკიცებლად, თუ რა არ არის მეგობრობა, ფილოსოფოსი ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სახეზე მეგობრობის ამ ფორმებთან შეპირისპირებით განიხილავს. ასე, მაგალითად, „ნიკომაქის ეთიკის“ VIII წიგნის VI თავში ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ იშვიათია კუჭმარის მეგობრობა პარტიუშ და მოხუც ადამიანებს შორის, რადგანაც, რაც უფრო შიშვე ხასიათიანი არიან ისინი, მით უფრო ნაკლები მისწრაფება აქვთ ურთიერთობისაკენ, რაც, როგორც ფიქრობენ, ყველაზე უმთავრესი და პრაქტიკული ნიშანია მეგობრობისა. ასეთი ადამიანები, — აგრძელებს ფილოსოფოსი, — ერთმანეთის მიმართ გრძობენ ხოლმე კეთილგანწყობას, სურთ ერთმანეთის კარგი და მხარეობიან კიდევ ერთმანეთს. მაგრამ ისინი მაინც არ არიან ერთმანეთის მეგობრები, რამდენადაც არ ატარებენ თავიანთი ცხოვრების დღეებს ერთად და არ ტყებნიან ერთმანეთთან ურთიერთობით. ეს თავიანთი კი, როგორც ფიქრობენ, ყველაზე მეტადა დაშახსიათებელი მეგობრობისათვის. ერთდროულად მრავალ ადამიანთან კუჭმარის მეგობრობაც არ შეიძლება, — აგრძელებს იქვე არისტოტელე, — რამდენადაც არ შეიძლება ადამიანს ერთდროულად უყვარდეს რამდენიმე, გარდა ამისა, მეგობარში, — წერს ფილოსოფოსი, — თავის თავზე უნდა გადაიტანოს მეგობრის ცხოვრებისეული განცდები და მისი ახლობელი უნდა გახდეს, ეს კი უაღრესად ძნელია.

ამგვარად, არისტოტელისეული მეგობრობის ფილოსოფიით, კუჭმარის მეგობრობას მართლაც ახასიათებს ეს სამი თვისება — ერთად უოფნა, ერთმანეთით ვახარება და ერთმანეთისათვის სიყეთის ქმნა. „მეგობრები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთით ღარობენ და ერთმანეთისთვის სარგებელს მოიმოქმედებენ“, — წერს არისტოტელე („ნიკ. ეთიკა“, VIII, 5).

კუჭმარის მეგობრობის გამოხატულების ეს სამი ფორმა გამოვლენილია, როგორც ზემოთ მივთითებდით, ვ ე უ ხ ი ს ტ ა ო ს ა ნ შ ი ც. საზოგადო, ვფიქრობ, რუსთველისეული მეგობრობის კონცეფციის ფილოსოფიური პრინციპების მიმართება არისტოტელეს ეთიკის სინტეზისთან უეჭველია.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვეფხისტყაოსნისეული მეგობრობა არისტოტელეს მეგობრობის ფილოსოფიის მხატვრული გამოხატვაა? ანდა ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ რუსთველი არისტოტელისეულია და მისი ფილოსოფია ე. წ. არისტოტელისეული ვფიქრობ, რომ არა! ასეთი დასკვნა შეცნობილად არ გუშენტირებული არ იქნება. საქმე ისაა, რომ რუსთველისეული მეგობრობის კონცეფცია, განსხვავებით არისტოტელეს ფილოსოფიისაგან

სრულიად სხვაა, ახალი ეპოქის მხატვრული ამიტომაც, რომ, როგორც ზემოთ ვახსენებდით, ეს კონცეფცია, გარდა არისტოტელისეული ფილოსოფიისა, ეფუძნება ქართული მხადნაფიცობის ინსტიტუტის ეროვნულ იდეალს, ქრისტიანული ეთიკის ძირითად პრინციპებს და XII საუკუნის საერო, რაინდული საზოგადოების წინებრივ კოდებს. ამ საფუძვლიდან მალედება რუსთველისეული მეგობრობის კონცეფცია ზოგადსაყოფირო იდეებამდე. ამიტომაც იგი წარმოადგენს არა გარკვეული ფილოსოფიის გამოვლენას, ან გარკვეული საზოგადოების შეზღუდულების უბრალო გამოცემას, არამედ ყველა ეპოქის ადამიანური აზროვნების საუკეთესო იდეალს. ამიტომაც აშკარა ამ კონცეფციის იდეურ-ტიმოლოგიური პარალელუბა როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო მითოსთან (ამიხანისა თუ გილაგემუის ეპოსი), როგორც აღმოსავლურ ასევე ევროპულ ეპიკოსთან („რამიანა“, თუ „ილიადა“), როგორც ატორისეული ეპოქის, ასევე მომავლის ლიტერატურულ შედეგებთან („როლანის სიმღერა“ თუ „მამლიტა“). არც იმის თქმა შეიძლება, რომ თვით ფილოსოფიური პრინციპები რუსთველისეული მეგობრობის კონცეფციისა უცვლელად მისდევს არისტოტელისებს. ახალმა ეპოქამ და ახალმა იდეებმა ფილოსოფიაც ახლებური შექმნა; ამ ახალი ფილოსოფიის საფუძველში შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ ძველი წყარო თუ წყაროები. ეს განსხვავება ჩანს, როგორც რიგით, რაინდულ დებულებებში, ასევე არსებით, პრინციპულ შეზღუდულებებში. ასე მაგალითად: არისტოტელეს ეთიკური კონცეფციის თანახმად კუჭმარის მეგობრობა მხოლოდ ერთის მიმართ შეიძლება („ნიკომაქის ეთიკა“, VIII, 1; VIII, 5), როგორც ჩანს, — წერს ფილოსოფოსი, — არ შეიძლება კუჭმარის მეგობრობა რამდენიმე მიმართ, ამიტომაც და ასევე არ შეიძლება სიუვარული რამდენიმესი ერთისა და იმავე დროს; რამდენადაც სიუვარული იდეალური სახე უმაღლესი მეგობრობისა, მიმართული ერთი ადამიანის მიმართ; ასე რომ, მლიერი სიუვარული არ შეიძლება მრავალის მიმართ; და მეგობრობაც, რომელსაც უმღერიათ მიმდებში, მხოლოდ და მხოლოდ ორი პიროვნებას აკავშირებს („ნიკომაქის ეთიკა“, VIII, 10). აშკარაა, რომ ვ ე უ ხ ი ს ტ ა ო ს ა ნ ი ს სამი რაინდის მეგობრობა არაა შთაგონებული ციტირებული თვალნახრისით; იგი უფრო ეროვნული ტრადიციოდან იღებს საწყისს. უფრო მნიშვნელოვანია სხვა ვარაუდები: არისტოტელეს მეგობრობის კონცეფცია ორგანული ნაწილია ბუერტნი ფილოსოფოსის ეთიკური სისტემისა, რაც, თავის მხრივ, ანტიკური საბერძნეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის მეტ-ნაკლებად ზუსტ ანალიზზე დაყრდნობული. ასე რომ, არისტოტელეს შეზღუდულებებს მეგობრობაზე აქვს არა იდეა-

ლურობის, არამედ რეალურობის პრეტენზია; იგი ხომ ვარკვეული ეპოქის და ვარკვეული ხალხის საზოგადოებრივი ურთიერთობის ასახვაა. რუსთველისეული მეგობრობის კონცეფცია თავისი ჩანაფიქრით იდეალურია. იგი არა მარტო ანალიზია ვარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობისა, არამედ სასურველი ურთიერთობის დამსახავიცაა. ეს პრინციპული ფილოსოფიური სხვაობა მეგობრობის გაგებაშიც აქცენტების არსებითად სხვაგვარ დასმას იწვევს. მაგალითად, არისტოტელეს თვალსაზრისით, კემ-მარტი მეგობრობა ახალგაზრდული ასაკითაცაა განპირობებული და მოხუცთა შორის ამგვარი მეგობრობა მოულოდნელია: ამ თვალსაზრისის ფილოსოფოსი ასაბუთებს კიდევ („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 5-6). ვ ე ფ ხ ი ს ტ ვ ა ო ს ნ ი ს მეგობრობაც ჰაბუკუთა მეგობრობა, მაგრამ პერსპექტივა ამ მეგობრობის დაბრუნებას იგნორირებულია. რუსთველისთვის მეგობრობა სიყვარულთან ერთად ადამიანური უფლის იდეალადაა ქცეული და ამიტომაც მისი რეალური საფუძველი იდეალურ სამოსშია გახვეული. რუსთველისეული მეგობრობა ერთგვარად იდეალურ-პირობითია და არა ემპირიულ-ობიექტური. ამიტომაც წარმოსადგენი მხოლოდ მისი გამოვლენის ის ერთადერთი ჰაბუკურ-ახალგაზრდული სახეობაა, რომელიც პოემაშია გაიღვადებული; ბოლო მისი ახალგაზრდული ხანმოკლეობა რუსთველისეული კონცეფციის პრობლემატკაში აღარ შემოდის.

რუსთველისეული აზროვნების მიმართება არისტოტელეს ფილოსოფიასთან იმავე კატეგორიის მოკლენია, რაც საზოგადოდ გვიანდელი შუა საუკუნეების ანუ ადრინდელი რენესანსის ქრისტიანული ევროპული აზროვნების მიმართება არისტოტელესთან. თანახმად აზროვნების განვითარების ისტორიული კანონზომიერებისა, ახალი ინტელექტუალური პოზიცია უყოველთვის ეფუძნება რომელიღაც ფილოსოფიას წარსულის აზროვნების შემკვიდრებთან. ადრინდელი რენესანსის ევროპული აზროვნებისათვის, რომელსაც ადამიანური არხებობის იდეალი თანდათანობით და გაუაზრებლად ზეციდან დედამიწაზე ჩამოქონდა, ერთადერთი დასაყრდენი წარსულის ფილოსოფიურ აზროვნებაში თავისი ბუნებრივ-ჰუმანური ორიენტაციით გვიანდელ შუა საუკუნეებში არისტოტელეს სახელით ცნობილი ეთიკური კონცეფცია იყო (8, გვ. 12-13). ამაზე დაყრდნობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თავისი ფილოსოფიური ასპექტით მეგობრობის რუსთველისეული გააზრება ტაოლოკატორ მგავსებას ამჟღავნებს რენესანსის ეპოქის ევროპულ აზროვნებასთან.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ მიზანწეწონილი უნდა იყოს პარალელის გაკლება იტალიის რენესანსის დიდი წარმომადგენლის მარსილიო ფინიონს პლატონური სიყვარულისა

და მეგობრობის დოქტრინასთან, რომელიც უფრო გვიანდელ ტრაქტატებში „პლატონური სიყვარულის“ სახელით დამკვიდრა. ისევე როგორც რუსთველისეული მეგობრობის კონცეფცია, ეს დოქტრინაც რამდენიმე წუთარს ეფუძნებოდა. მათგან, როგორც მითითებულია, უნდა გამოიყოს სიყვარულისა და მეგობრობის ანტიკური თეორიები. საქველმოქმედო და სულიერი ძმობის ქრისტიანული ტრადიცია და ხელოვნური სიყვარულის შუახაუკუნეებრივი კონცეფციები (20, გვ. 131). უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ იტალიელი პლატონისტთა მიერ სიყვარული და მეგობრობა მთავრებულ იქნა ადამიანური შემეცნების უმაღლეს ფორმებად. ფილიონ შემეცნება, თანახმად პლატონის და არისტოტელესეული ანტიკური იდეალისა, არ იყო გაავსებული მხოლოდ ინტელექტუალურ აქტად. სიბრძნის წყდობა პრაქტიკულ და ეთიკურ სფეროებშიც ხდებოდა. ამგვარად, უკვეშორდება ფინიონეული დოქტრინაში ადამიანური უფლის ეველზე უფრო ინტიმური და პირადული ვანცა (შემეცნებით სიცოცხლე) ადამიანური ურთიერთობის უმაღლეს ფორმას — მეგობრობას და სიყვარულს (20, გვ. 131).

ვფიქრობთ, რუსთველისეული სიყვარულისა და მეგობრობის იდეასაც გააჩნია ამგვარი ფილოსოფიური დაკვირთვა. გვიანდელი შუახაუკუნეების აზროვნების პროცესში სიყვარულისა და მეგობრობის რუსთველისეული ზატკა ფილოსოფიური დებულებაა, მსოფლმხედველობითი პოზიციის გამოვლენა: სამუაროს ცენტრში მოთავსებულია ადამიანი — შემეცნებითი სიცოცხლის უმაღლესი, უწმინდესი, ღვთაებრივი და ამავე დროს რეალური ფორმები — სიყვარული და მეგობრობით. ადამიანის რაობისა და დანიშნულების ამგვარი გააზრება კი უკვე ახლებური გადაჭრაა კაცობრიობის მოავარი ფილოსოფიური კითხვისა, რომელიც სამუაროსეულ არსებათა შორის ადამიანის ვინაობისა და მიზანს შეეხება და რომლის აღგებრიულ გამოხატვას შუა საუკუნეებში ბიბლიისეული კითხვაში ხედავდნენ: „ვინაა მოხუალ, ანუ ვიღაც ხუალთო“ (მს გ. 19,17).

ამგვარად, რუსთველისეული მეგობრობის კონცეფცია ქართულ ეროვნულ ძირებზე შენდება (ხალხური მშენებლობის ინსტიტუტა). იგი იმერეკიდრებს საუკეთესო ქართული ქრისტიანული ეთიკის საუკეთესო ტრადიციებს (მოყვანის სიყვარული). ითვალისწინებს გვიანდელი შუახაუკუნეების ფეოდალური და სამხედრო არისტოკრატის ახალ წინაშე იდეალს (ჩაინდული ეთიკა). თანახმად ამავე ეპოქის

ელბუჯა ხინთიბიძე
„შემოხმადნა, მოხეწონა...“

ინტელექტუალური წიადსელებისა, ეყრდნობა ანტიკურ ფილოსოფიას (არისტოტელეს მოძღვრება მეგობრობაზე). ამ გზით შექმნილი მეგობრობის კონცეფცია ვეფხისტყაოსანში ტიპოლოგიურად უახლოვდება რენესანსის ეპოქის ევროპაში ფორმირებულ შეხამების თეორიებს და მსოფლმხედველობითი დანიშნულე-

ბიხაა. მეგობრობა და სიყვარული რუსთაველის მიერ იმ იდეალადაა ქცეული, რაც ღვთაებრივ ამაღლებულობას ანიჭებს ადამიანის აშკვენიერ ყოფას. არის ადამიანური ყოფისა, მისი შემეცნებითი სიკაცსებე ადამიანურ ურთიერთობაში — მეგობრობა და სიყვარულშია დანახული.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. „მიზანდარჯიანი“; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბილისი; 1949.
2. ანდრეე ბ., ფლასპარი პ., სტრუქტურული ექვივალენტები ჰომეროსის ენოსა და ადრეულ ბერძნულ კერამიკულ ხელოვნებას შორის; ერ. „პოეტიკა“, 9, II, 1977 (გერმ. ენაზე).
3. არისტოტელე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, პარიზი, 1883 (ბერძნულ-ლათინური პარალელური ტექსტები).
4. „არისტოტელეს შრომები“ (ინგლისური თარგმანი ო. როსის რედაქციით), ტ. IX, ოქსფორდი, 1975.
5. Аристотель, Этика (Этика Аристотеля — перевод с греческого Э. Радлова), С.-П., 1908 г.
6. ბარდაველიძე ვ., მთისა და ბარის მსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში; „მაცნე“, (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1971, 3, გვ. 64-76.
7. ბაუერი ი., სამი; ბიბლიური თეოლოგიის ენციკლოპედია (იოჰანეს ბაუერის გამოცემა), ლონდონი, 1976 (ინგ. ენაზე).
8. Боргов Ю., Фома Аквинский, М., 1966.
9. „გილგამეშის ეპოსი“, (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ), თბ., 1963 წ.
10. გოგიბერიძე შ., რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, „რუსთაველი, პეტრიწი. პრელუდიები“, თბ., 1961, გვ. 19-27.
11. Голенищев-Кутузов И., Творчество Данте и мировая культура, М., 1971.
12. Гордезиани Р., Проблемы гомеровского эпоса, Тб., 1978.
13. ვარნაპი ვ., სიყვარული; ბიბლიური თეოლოგიის ენციკლოპედია, ლონდონი, 1976 (ინგ. ენაზე).
14. ვივიანი კ., ვეფხისტყაოსანი: ელემენტები აღმოსავლური და დასავლური კულტურის; „რევიუ დე კარტელოლოგი“, ტ. XXXIX, პარიზი, 1981, (ინგ. ენაზე).
15. თარხნიშვილი მ., არისტოტელეს მეგობრობა და შოთა რუსთაველი; ჟურნალი „ლა პატრია“, 1952, № 5, № 6.
16. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“,

- „ქართლის ცხოვრება“, II, (ს. ყაუხჩიშვილი ის გამოცემა), თბ., 1959.
17. ეკაბაძე ს., რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
18. ექველიძე კ., „წმინდა“ მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში; ეტრუდები, II, 1945, გვ. 6-12.
19. ეოპალიევილი ვ., მისტიკური რიცხვები და სინამდვილე, თბ., 1979.
20. კრისტელერი პ., რენესანსული აზროვნება, ნიუ-იორკი, 1961, (ინგ. ენაზე).
21. ლესკი ა., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ბერლი-მიუნენი, 1963, (გერმ. ენაზე).
22. ლომანი დ., ილიადის სიტყვების კომპოზიცია, ბერლინი, 1970.
23. Марр Н., Вступительная и заключительная строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Руставы (Грузинский текст, русский перевод и пояснения к этому) «Культ женщины и рыцарство в поэме», С.-П., 1910.
24. «Песня о Ролаиде» (Перевод Ф. де ла Барта), М., 1968.
25. «Рамаяна» (Литературное изложение В. Г. Эрмана и Э. Н. Гемкина), М., 1965.
26. „რამაიანა“, (მთარგმნელი რ. გვეტაძე; წინასიტყვაობა ს. იორდანიშვილისა), თბ., 1951.
27. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი და ვარიანტები, (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით), თბ., 1966.
28. Симфония на Ветхий и Новый завет, С.-П., 1911.
29. ფოსტერი კ., რელიგია და ფილოსოფია დანტესთან; „დანტეს გონება“, კემბრიჯი, 1965, (ინგ. ენაზე).
30. Чистяков В., Дружба и ее сущность (Взгляды греческого оратора Аристотеля, римского оратора Цицерона и немецкого писателя-романтика Шиллера); Журн. «Филологические записки», вып. IV, 1913, Воронеж, стр. 546—567.
31. ჩიქოვანი მ., მიჯნველი ამირანი (ტექსტები), თბ., 1947.
32. ხინთიბიძე ვ., მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975.
33. ჰომეროსი, ილიადა (რ. მიმინოშვილის თარგმანი), თბ., 1979.

გურამ ყორანაშვილი

ბუნება და ისტორია

(საბარტველოს ისტორიის მბალოთზე)

„ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენია. ნა-
ით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან
ავიშორეთ, იმას გავუქცეთ, დავვიშა-
ნეთ?! ცოცხალიც მისი ვართ, მკვდარ-
ნიც!“

მამა-მშავაკლა

ბღმინდთა წარმოებითი აქტივობა, რასაკ-
ვირველია, ეს ერთი მნიშვნელოვანი პირობაა
საზოგადოების განვითარებისათვის, მაგრამ,
შეორეს მხრივ, ეს აქტივობა ვლინდება ზელ-
საყრელ ბუნებრივ პირობებში. უამრავი მაგა-
ლითია იმისა, რომ ამ უკანასკნელი ფაქტორის
არარსებობისას მოხდა საზოგადოების სტაგ-
ნაცია დაბალ ფორმაციებზე. თუ კაპიტალიზ-
მამდელ ევოლუციაში გეოგრაფიული გარემოს
განსხვავებულობებს ძალიან დიდი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა საზოგადოების ევოლუციაში, რამ-
დენადაც მრავალ საზოგადოებას განვითარება
უზღებოდა იზოლირებულად, არ არსებობდა
რა მოწინავე საზოგადოება, რომელიც პირველ-
თათვის ისტორიულ გარემოდ იქცეოდა, კაპი-
ტალიზმის განვითარების პირობებში ამ მხრივ
ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ამან გან-
საზღვრა საფუძველი მოედს პლანეტაზე ეკო-
ნომიკური, სოციალური და ა. შ. ცხოვრების
უნიფიკაციისათვის, რისი მძლავრი ტენდენცი-
ებიც გაიშალა XIX და განსაკუთრებით XX
სუუუუუუუ.

მაგრამ ახალ ვითარებაშიც კი სულაც არაა
უგულვებელსაყოფი ბუნებრივი პირობების
როლი საზოგადოების განვითარებაში. მაგა-
ლითისათვის შევჩერდებით საქართველოზე.

მიუხედავად სხვა ქვეყნებთან შრომის
დანაწილების თვალსაჩინო განვითარებისა, რის

შედგავდაც გადაიღება ჩვენი ბუნების ზოგიერ-
თი არახელსაყრელობა, მაინც ცხადია საქარ-
თველოს გეოგრაფიული გარემოს დიდი მნიშ-
ვნელობა ახალ ვითარებაში დავიწყებთ სოფ-
ლის მეურნეობიდან. მეურნეობის აღნიშნული
სფეროს დარგების განვითარება დაკავშირებუ-
ლია გარკვეულ ბუნებრივ ზონებთან, ჩიხსა და
ციტრუსების კულტურების გავრცელება ყრო-
გორც ცნობილია, მოხდა სუბტროპიკულ ზო-
ნაში, განსაკუთრებით შავი ზღვის რანაპიროზე.
მევენახეობის ყველაზე მჭიდრ განვითარება —
კახეთში, სადაც ამ დარგისათვის საქართველო-
ში — და მსოფლიოშიც კი — ძალზე ოპტიმა-
ლური პირობები არსებობს. შეზღუდობა, ამავე
მიზეზის გამო, ფართოდ გავრცელდა შიდა ქარ-
თლის რაიონებში. აღმოსავლეთი საქართველო
კვლავ რჩება ზორბლის მწარმოებელ რეგიონად
საქართველოში. ახევე იოქმის მეცხვარეობის
განვითარებაზეც, სამხრეთ საქართველოს რაი-
ონებში გავრცელდა სოფლის მეურნეობის ახა-
ლი დარგი — მეკარტოფილეობა. მარცვლეუ-
ლი კულტურებიდან დანაკლებთ საქართველო-
ში უველაზე გავრცელებულ სახედ რჩება სი-
მინდი, რაც შეეხება ბოსტნეულისა და ბაღჩე-
ულის წარმოებას. იგი უველაზე მჭიდრ კონ-
ცენტრირებულაა გარდაბნის, მარნეულის,
წყალტუბოსა და სამტრედიის რაიონებში, რაც
გასაღები ბაზრების გარდა (თბილისი, რუსთა-



ვი. ქუთაისი, წყალტუბო) აიხსნება — განსაკუთრებით პირველ ორ რაიონში — ხელსაყრელი პუნქტები პირობებისთვის.

კვლავ რთულ პარობებშია რჩება საქართველოს მთიანი ნაწილებში, — განსაკუთრებით ჩრდილოეთი ნაწილის, — სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. მიწათმოქმედების ფართობი განვითარება. ინტენსიური დარგები ამ რეგიონებში გამოირჩევა. რაც შეეხება მესაქონლეობას; ამ მხრივ უკეთესი პირობები განიდა აღმოჩნდნენ საქართველოს მთის რაიონებისათვის. ჩრდილოეთ კავკასიის წამორის საძირკვების გამოყენების გამო. მესაქონლეობის სხვა დარგებისათვის კი ჩვენი რესპუბლიკის ჩრდილოეთ მთიან მხარეში ოპტიმალური პირობები ვერ შეიქმნა ახლაც კი, ბუნებაზე საზოგადოების ასეთი ძალაუფლების პირობებში.

ავიღოთ მრეწველობის სამთო-მომპოვებელი სფერო მისი დარგებიდან ჩვენში თვალსაჩინოდ განვითარდა: შარგანების, ქვანახშირის, სპილენძის მოპოვება ახლა გაჩნდა კარგი პერსპექტივები ნავთობის მოპოვებისა. ამრიგად, მრეწველობის აღნიშნული სფეროდან განვითარდა ხშირი დარგი და განვითარდება კიდევ ერთი. ახე რომ საქმე გვაქვს ოთხ დარგთან, სახელდობრ ოთხთან და არა ორთან ან ტექსტთან. შესაძლებელია შემდეგში ექვსი დარგაც გაჩნდეს. მაგრამ ეს დარგები რეალური იქნება, მომპოვებელი ტექნიკის ბევრად უფრო მაღალ დონესთან, დღევანდელმა დონემ კი განსაზღვრა სახელდობრ ზემოთ ჩამოთვლილი დარგებში.

აღნიშნული გარემოება უფრო ნაკლებ ითქმის დამმუშავებელი მრეწველობის მიმართ, ვინაიდან ნედლეულის, და სათბობის გადატანის, ტრანსპორტის გადაცემის წყალობით ეკონომიკის ეს დარგი უფრო ნაკლებადაა „მიკროული“ შეხებაში ბუნებრივ პირობებთან, ე. ი. ნედლეულის, სათბობის და ა. შ. მოპოვების ცენტრებთან. ახე მაგალითად, თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის, როგორც რესპუბლიკის ოვალსაჩინო დამმუშავებელი ცენტრების არსებობა, ხელაღ არ განისაზღვრება ადგილობრივ ნედლეულისა და სათბობის მოპოვებით. მაგრამ ზემოთ აღნიშნული აზრი არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური მნიშვნელობით, ითქმის დამმუშავებელი მრეწველობის დარგების ხარულიად არ იყვნენ დარგ-შირებულნი შესაბამის ბუნებრივ პირობებთან ცხადია, რომ ნედლეულისა და სათბობის სახაზოების, სხვა თანაბარ პირობებში, წარმოების რენტაბელობა უფრო მაღალია. ცნობილი ფაქტია. თუ როგორ ადავს იწვევდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის შექმნა. აღნიშნული ქალაქის სახაზოებს, როგორც ვიცით, რაც ქვანახშირითა და არც რკინის მადნე-

ბი. შემოტანა ხდება წედლეულის მოპოვებისა, ამასთანავე დაშქვანის რკინის მადნი საქმიად მდარეა. თუ შვი მეთალურგიული ცენტრი შეიქმნებოდა ტყვარჩელსა ან ტყიბულში და იგი იმუშავებდა დონასის ბევრად უფრო მაღალბარისხოვან რკინის მადნზე, მაშინ ჩვენი მეტალურგიული ცენტრის ეკონომიური ეფექტიანობა უფრო მაღალი იქნებოდა. რასაკვირველია, შექმნილი ბუნებრივი სახის დებარებებიანი შვე მეტალურგიაში შესაძლებელია გადათავის, მაგრამ ამისათვის საჭიროა უფრო კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშების, აღმინსტრაციის და ა. შ. აჩსებობა.

თუ კომუნიაკაციებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ საქართველოს ბარი ამ მხრივაც ბევრად უფრო განვითარებულია მთიან ნაწილზე. მთაში, ბარისაგან განსხვავებით, დღემდე ვერ განვითარდა სარკინიგზო ქსელი. ეკონომიური მიზანშეუწონლობის გარდა მგზავრობა ვადეჟანა და ტვირთის გადატანა მთაში ნაკლებად წარმოებს — ამას აძინელებს რთული რელიეფი.

მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის კონცენტრაციამ საქართველოს ბარის რაიონებში, აქ ნატარანსპორტო არტერიების ფართოდ ვაშლამ. შედეგად გამოიღ ქალაქების მნიშვნელოვანი მსხვებებით გაერთიანება. მილიონზე მეტი მცხოვრების შემცველი ქალაქი (თბილისი). ქალაქი, რომლის მოსახლეობა 200 ათასს აღწევს (ქუთაისი), ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 100 ათასს აღემატება (ბათუმი, სოხუმი, რუსთავი); განვითარდა სახელდობრ საქართველოს ბარის რაიონებში. ამთაგან განსხვავებით საქართველოს მთაში 20 ათასი მცხოვრების შემცველი ქალაქებიც კი ვერ განვითარდა.

ერთი სიტყვით. ის დღე პარობებში, რომელიც ეხება საქართველოს მთის მოსახლეობის ცხოვრებისა და კულტურული დონის აღილებას, წარმოიშვა აქ გეოგრაფიული გარემოს არახელსაყრელობის ნიდადგზე; წარმოების ახალი განვითარების პირობებშიც კი ვერ ვადალბათ ის დღე სხვაობა. რასაც წარმოიშობდა საქართველოს მთა და ბარი წარსულ ისტორიულ ვითარებაში.

კიდევ მეტი. შევჩერდებით ერთ გარემოებაზე. საქართველოში ბარს უკავია მთერთი ტერატორიის დაახლ. 1/3 ნაწილი, ე. ი. დაახლ. 28000 კმ.2 თუ კოლხეთის ქტრ ამოუშრობელ კაობთა მანის გამოირჩევათ — 21000 კმ.2 და ამ ფართობზე ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის 50%. საშუალო სიმჭიდროვე მოსახლეობისა აქ აღემატება 180 მცხოვრებს მთელი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რომ ასეთი სიმჭიდროვე არსებობდეს, მაშინ ჩვენი მოსახლეობა 11 მილიონ მცხოვრებს გადააქარ-

ბება, ე. ი. მეტი იქნებოდა. ვიდრე დღევანდელ პორტუგალიასა ან უნგრეთში. შესაბამისად, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 80%-ზე მეტი იქმნება ბარის რაიონებში. სხვა რეგიონებშიც რომ ისე უოფილიყო კონცენტრირებული წარმოება და მოსახლეობა, როგორც ბარში, მაშინ ჩვენი ეროვნული შემოსავალი სამჯერ მეტი იქნებოდა.

აი ასეთია ის დაბრკოლებანი, რაც ვერ ვაღი-
ლხა ჩვენს რესპუბლიკაში ინდუსტრიალიზაციის პირობებშიც კი. ამის გამო განსხვავებულობა-
ნი ბარსა და შთას შორის კვლავ დიდია.

თუ სოციალური ევოლუციის დღევანდელ დონეზეც კი ასე დიდია გეოგრაფიული პირო-
ბების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ქალაქებისა და ა. შ. განვითარებაში, მით უფრო მეტი იქნებოდა, რასაკვირ-
ველია, ამ პირობათა როლი ჩვენს განვლილ ისტორიულ პროცესში.

აზრი საქართველოს ბუნების როლის შესახებ ჩვენს ისტორიულ პროცესში საკმაო ისტორიის მქონეა. მაგრამ ეს ისტორია ნაკლებად იწყება ჩვენი ისტორიოგრაფიის გაჩენიდან. აიხსნება ეს იმით, რომ ჩვენი ისტორიოგრაფიის გად-
მოსცემდნენ პოლიტიკურ ან რელიგიურ ისტორიას. მათი აზროვნების სფეროში არ შედიო-
და საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ, საფუძ-
ველს წარმოადგენდა ჩვენი ბუნება ქვეყნის ისტორიული პროცესისათვის, როგორ აფა-
სებდნენ მას (ამ ბუნებას) ისინი. თუ ლეონტი მროველით ვიმსჯელებთ და გამოვალთ რა მი-
სი საკმაოდ „სწორბაზოვანი“ აზროვნებიდან (ნაციონალიზმის აზრების ბირთვით), შეიძ-
ლება დავაკნათ, რომ საქართველოს ბუნება მხოლოდ სიმშეთისას ჩამორჩებოდა. (თარგა-
მოსმა „უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა მა-
ოსს, ზოლო შვეთა ამით მისცა ზუედრი მათი არსანგებისაებრ მათისა“), სჯობდა რა დანარ-
ჩენ მიმდებარე ქვეყნებისას*. სხვა რამ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გარშემო ჩვენს ისტო-
რიკოსებთან ვახუშტი ბაგრატიონამდე არა ვახვდებ-
და.

ბევრად უფრო საინტერესოა ამ მხრივ ბერ-
ძენ-რომელთა და ბიზანტიელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ. ვარდა იმისა, რომ ისინი, ქართველ ავტორთაგან განსხვავებით, აღ-
წერდნენ მათთვის უცხო ქვეყანას, ეს აიხსნე-

* მეორეს მხრივ ამ დროისათვის ხანგრძლი-
ვი ისტორია ჰქონდა ქართველთა ყოველდღი-
ურ ცხოვრებაში გავრცელებულ აზრს იმის
შესახებ, რომ საქართველო ბუნების მხრივ
ყოველწარმოად შემცული ქვეყანაა, ისეთი, რო-
გორც ლეონტიმომბელს შეეფერებოდა წილად
და კიდევაც „იქცა“ ასეთად.

ბა იმითაც, რომ მათი მსოფლმხედველობა უფ-
რო ფართო იყო და ქართველთა პოლიტიკური
ცხოვრების ჩვენების გარდა მოიცავდა შესა-
ბამისი ქვეყნის ბუნებასაც.

პირველი ბერძენი მეცნიერი, რომელსაც
ფართო ხასიათის მსჯელობანი ჰქონდა საქარ-
თველოს, კერძოდ კოლხეთის; ბუნებაზე, მის
როლზე მოსახლეობის განვითარებაში. იყო
მიპოკრატე (ძვ. წ. 460-877 წწ.). მედიცინის მა-
მამათვარს შენიშნული აქვს კოლხეთის კლი-
მატის ცუდი თვისებები: ნამეტანი წვიმიანობა,
სინოტივე, ამის გამო ქვეყნის თვალსაჩინო მა-
სივების დაჭაობებულობა. არახელსაყრელი
ბუნებრივი პირობების როლი მოსახლეობის
ნაწილის ხასიათის ჩამოყალიბებაში, გავრცელებ-
ული სწავლებლების წარმოქმნაში.

აღსანიშნავია სტრაბონის ცნობები საქართვე-
ლოს შესახებ. მისთვის, უფრო ზუსტად მათ-
თვის, ვინც სტრაბონისათვის ინფორმაციად
იყვნენ, შეუმჩნეველი არ დაარჩენილა ბარისა
და შთის, ან მთებთან მიმდებარე მოსახლე-
ობის ცხოვრების პირობების (ცხადია, მხოლოდ
ბუნებრივი არა!) განსხვავებულობა სტრაბონი
რამდენჯერმე იმეორებს, რომ ქვეყნის ჩრდ-
ლო-დასავლეთში მცხოვრები აქველები, ძიგე-
ბი და მენდროები და საერთოდ კავკასიონის
მახლობლად მცხოვრები ტომები, მათ შორის
სვანები, ლაზები და მცირე მიწის მქონენი
არაიან, ცხოვრობენ ვიწრო და მწირ ადგილებ-
ში. ამის გამო, — აღმათ ამას აცნობიერებდა
სტრაბონი, — მათი ცხოვრება თვალსაჩინოდ
ეფუძნება უჩალობასა და მეცობრობას. სახელ-
დობრ იხერხის მთიანეთზე ამბობს, რომ მი-
წათმოქმედებას, — ვარჯისი მიწების სიმცირის
გამო, — ისინი ნაკლებად მისდევენ. ამ ნაწი-
ლებისაგან განსხვავებით, უკეთესია ბარი. კერ-
ძოდ, კოლხეთზე ლაპარაკობს, რომ ქვეყანაში
კარგი ნაყოფები იცის (გარდა თაფლისა). უფ-
რო მკვეთრად ლაპარაკობს სტრაბონი იბერი-
ის ბუნების ხელსაყრელობაზე.

საერთოდ, კოლხეთის შესახებ ანტიკურ
მწერალთა ნაწილი ლაპარაკობს, როგორც ნა-
ყოფიერ ქვეყანაზე, ნაწილი — კი როგორც
ნაკლებად ნაყოფიერზე (პროკოპი კესარიელი,
შენაწერე და სხვ.). ფართო მსჯელობა აქვს
მესხეთზე პროკოპი კესარიელს, რომლის მი-
ზედვითაც ქვეყანა ბუნებრივი პირობების მი-
ზედვით მთლად ოპტიმალური არაა, მაგრამ
მესხების შრომისმოყვარეობის წყალობით იგი
საკმაოდ მდიდარია.

აღნიშნული ავტორებისაგან განსხვავებით,
ბევრად უფრო მწირ ცნობებს გვაწვდიან სა-
ქართველოს ბუნების შესახებ აღმოსავლეთის
ისტორიკოსები. ისინი ძირითადად აღნიშნავენ

ბურამ უორანაშვილი
ბუნება და ისტორია

ქვეყნის დაპყრობის ხიძნელებს მთა-გორიანობის გამო.

ახალ ხანაში VIII საუკუნიდან მოყოლებული უცხოელი აკორებნი (პარქანჭილო ლაშხერტი, პიეტროს დე ლა ვალე, ე. შარდენი, რუსი ელჩები, ი გიულდენშტედტი) იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებას უფრო ფართოდ, ვიდრე ანტიკური ხანის მწერლები.

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც ფართო ხანის ნააზრევა დაგვიტოვა საქართველოს ბუნებაზე, მის როლზე მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში, იყო ვახუშტი ბაგრატიონი. იგი, როგორც ცნობილია, თავის „გეოგრაფიაში“ ფართოდ აღწერს საქართველოს ცალკეული კუთხეების ბუნებას, მოსახლეობის თვისებებს, მეურნეობის ფორმებს. იგი კუთხეებს ანსხვავებს უკელაზე მეტად იმ ნიშნით, მისივეენ მიწათმოქმედებას და შესაქონლებობას შეგენახებობა-პეღვიერობასთან ერთად, თუ ლყანასკნელი დარგების გარეშე. ვახუშტიმ კარგად იცოდა, რომ ზღვარი მევენახეობის გავრცელებისა იყო რელიეფის სიმაღლე. შესაბამისად—ჰავის სითბო-სიცივე. გარდა აღნიშნულისა, ვახუშტი თვით ბარის რაიონებს არჩევდა აგრეთვე ბრინჯ-ბაშის გავრცელება-გაუფრცელებლობის მიხედვით. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ვახუშტის დროს ეს კულტურები გავრცელებული იყო ქვემო ქართლის მცირე ნაწილსა და კახეთში, შუა ქართლში კი — არა. დასავლეთ საქართველოს ნაწილში — ასევე მესხეთის ერთ მხარეში — გავრცელებული იყო ნარინჯ-თურინჯი. აგრეთვე ჴეთისხილი. ასე რომ ნარინჯ-თურინჯის მეურნეობა წარმოადგენდა, ვახუშტის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის სპეციფიკას აღმოსავლეთისაგან განსხვავებით.

ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფია“ შესანიშნავ ფაქტს წარმოადგენს ქართული კულტურისას. მისი იდეა მეურნეობის დარგების გავრცელებისა შესაბამის ბუნებრივ პირობებში სიახლეს წარმოადგენდა იმდროინდელი ევროპული მეცნიერებისათვისაც კი. მაგრამ თავის „საქართველოს ისტორიაში“, ვახუშტი ტრადიციების, — ეეროდ ქართული, — მიმდევარი ისტორიკოსისა და გადმოსცემს ძირითადად პოლიტიკურ ისტორიას. ამ მხრივ, ვიმეორებთ, ვახუშტის ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი (თვისობრივი აზრით) არაფერი არ უთქვამს. საქართველოს ისტორიის გადმოცემისას ბუნების როლს ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ ნაშრომში არაფერი დარჩა.

აღნიშნული პრობლემის გააზრებაში ვახუშტის შემდეგ აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი.

ილიას მიხედვით, — და იგი გამოიდიოდა ორიენტალისტკაში მაშინ არსებული ტრადიციიდან, — ქართველები მოსულნი არიან ცხე-

ლი ქვეყნიდან, რის გამოც ქართულ დღემდე შემორჩა სიტყვები „მიწა-წყალი“, „წყალობა“ და სხვ. რაც, მისი აზრით, უნდა მიუთითებდეს წყლის დიდ მნიშვნელობაზე ქართველთა პირველსაქორის ქვეყანაში.

სტატიკაში „ეეროდ და სათემო მიწათმოგლობელობა“ (დაწერილია 1888 წელს) ილია ჭავჭავაძე ეხება „საკომლოს“ საკითხს და აღნიშნავს, რომ იგი მეურეობდა 19-60 დღიურს (ე. ი. 4-24 ჰა-ს) შორის. საკომლოს სიდიდე იმაზე იყო დამოკიდებული, სად რა ზომის მამულია საჭირო ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახურის (ილიას დროინდელი მოკლენა) გადასახდელად. ილიას მიხედვით, იქ, სადაც მიწისა და ჰავის თვისებების გამო, მიწათმოქმედება შესაქონლებობასთან შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, საკომლო, შესაქონლებობის მეტი გავრცელების გამო, მეტი იყო, პირიქით, სადაც პურეული კარგად მოდიოდა და გლეხის უმთავრეს წყაროს შეადგენდა, საკომლო უფრო ნაკლები იყო. ასე რომ, ილიას თანახმად, საკომლო მთაში ერთი ზომისა იყო, ქართლში — მეორისა, კახეთში, — მესამისა და ა. შ., რაც აიხსნებოდა ბუნებრივი პირობებით.

ძალზე საინტერესოა ილიას მოსაზრებანი საქართველოს აგარული ისტორიის სპეციფიკაზე რუსეთისაგან განსხვავებით. ჰავისა და ნიადაგის ნაყოფიერების გამო, ქართველი გლეხი უფრო მჭიდროდ არის მიჭაჭვული მიწაზე; ნაყოფიერი მიწები, ვენახი, ბებილი აიძულებს მას ერთ ადგილას ხანგრძლივ ცხოვრებას. აქედან ხსნის იგი სიტყვებს „მკვიდრს“, „მკვიდრობას“, რუხი გლეხობისაგან განსხვავებით „ნროდრაჰნი-ნესტო“ ქართველთათვის უცნობია. კიდევ მეტი. თუმცა სახასო გლეხობას სასოფლო მამული სოფლისად მიაჩნია, (მაგ. ქიზიყში), მაგრამ საკომლო აქ საშვილიშვილოდ გადაიცემა, მაშინ, როდესაც რუსეთში გლეხობა მერ მიწების მფლობელობის ვადა შეზღუდულია 10, 12, 15 წლით. მეორისაგან განსხვავებით, ეს გარემოება პირველ შემთხვევაში დადებითად მოქმედებს: გლეხი დაინტერესებულია აგროტექნიკის გაუმჯობესებით, ინტენსიური მეურნეობის წარმოებით.

იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში“ შენიშნული აქვს მთელი რიგი მომენტებისა, რაშიც აიხსება საქართველოს გეოგრაფიული პირობების როლი. ასე მაგალითად, ეხება რა მძიმე გუთნის გავრცელებიას არაღას საქართველოში, იგი წერს: „რადგანაც მიწის ღრმად მოხვნა მავნებელია მოსავლისათვის, ამიტომ დასავლეთს საქართველოში გუთანი სრულიად არ იციან; ამის მაგივრად მხარობენ კავსა, რომელიც ერთი გვიის სიღრმეზედ ჩიქნის მოწინაა“. მაღლარი გვიანების გავრცელებას დასავლეთ საქართველოს მთელ რივ ადგილებში ი.

გოგებაშვილი სახსრით სწორად ხსენი ნესტიანი ნიადაგების არსებობით, რის გამოც მიზანშეწონილია ურძინის მტევნები უფრო მოშორებული იყოს ნიადაგს. ქანების შესახებ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ისინი მიწის სიციწროვებში აიძულა ზღვაოსნობაში ჩაბმულიყვნენ და ა. შ.

ივანე ჯავახიშვილის შრომებში ჩვენთვის საინტერესო საკითხი უკვლავზე ფართოდ განხილულია „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“. ნაშრომში ჯავახიშვილი აღიარებს კულტურული მცენარეულობის ცალკეული სახეების გავრცელების არეალებზე სხვაგან იგი მიუთითებს კავკასიონის ქედის დიდ როლს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში.

ახლა შევჩვენებთ ქართველი ისტორიკოსების საბჭოთა ხანაზე, მთლიანად აღებული საკითხი საქართველოს ბუნების როლისა ქვეყნის ისტორიის მსვლელობაში. აქ არაა სათანადოდ დამუშავებული, რასაც ხელი შეუშალა არასწორმა მეთოდოლოგიურმა დებულებამ საერთოდ გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ შაგრაშ მიუხედავად ამისა. ქართველ ისტორიკოსებთან პრობლემის გააზრება უფრო მეტადაა მოცემული, ვიდრე ფილოსოფოსებთან და ეკონომისტებთან. და ეს უბრალოდ იმტომ, რომ უკანასკნელებთან ეს საკითხი თითქმის არ დამდგარა.

ნ. ბერძენიშვილი იმ ფაქტში, რომ მახლობელი აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით, საქართველოში მოშობაბრათა მრავალგანის შემოსევები ვერ იწვევდა მნიშვნელოვან სამეურნეო (აგარულ სფეროში) კატასტროფას. ხედავდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების (მაყის) დიდი მნიშვნელობის გამოკვლევას. იგივე ისტორიკოსი მიუთითებდა გვიანი შუასაუკუნეების პირობებში საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების ბუნებრივი პირობების სხვადასხვანაირ როლს.

„საქართველოს ისტორიის“ I წიგნის გამოცემაში (1958 წელს) გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ ქვედა პალეოლითის ბოლოს დიდმა გამყინვარებებმა ხელი შეუწყო გვირგვინის ჩამოყალიბებას. ე. ი. კლიმატის ერთად ცხოვრებამ გამოქვაბულებში, ბუნების გამოკვრებამ აიძულა ისინი მკიდრო კავშირითიერთობისათვის. იმავე ავტორის მიხედვით, ბინჯაოს მეტალურგიის ხანაში მთა, სასაფხულო საძოვრებისა და სპილენძის შემსველი ქანების გამო. მოწინავეობდა ბართან შედარებით, მაგრამ ტომთა შორის აღებ-მციეობის დროს იბარი დწინაურდა. სხვა ადგილას გ. მელიქიშვილი მიუთითებს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ხალხების შედარებით ჩამორჩენილობას მწირო მიწებისა და მთა-გორიანობის ფართოდ გავრცელების გამო. ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის დიდ

როლს დასავლეთ საქართველოში ხართო მიწათმფლობელობის შედარებით სწრაფად დაშლაში, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში — მის განაგრძობებაში მიუთითებენ კ. გუგუშვილი. ი. ანთელავა, დ. გოგოლაძე. აღნიშნული პრის მტკიცებისას ისინი გამოდიან ცუ ენგლისის „მარკის“ ცნობილი ადგილიდან, სადაც ლაპარაკია გერმანიის მთიან ნაწილებში ეტრო საკუთრების სწრაფ განვითარებაზე მიწის მცირე ნაკვეთების არსებობის გამო“. კ. გუგუშვილსა და ი. ანთელავას აღმოსავლეთ საქართველო ნაწილში სადგომ მიწათმფლობელობის შენარჩუნებაში მიაჩნიათ ირაგაციის საჭიროებანი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში locus communis-ად იქცა მტკიცება მცხეთისა და თბილისის აღწევების შესახებ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შედეგად. მართლაცაა, მცხეთა და თბილისი წარმოადგენდნენ ბუნებრივად შესანიშნავად გამაგრებულ ადგილებს. რასაკვირველია, მხოლოდ ეს პირობები რომ უოფილოე საეპარისი ქალაქების წარმოშობად, მაშინ ისინი ბევრად უფრო ადრე წარმოქმნილდნენ მცხეთისა და თბილისის ადგილებზე დედაქალაქის წარმოშობა. რა თქმა უნდა, განპირობებული იყო პირველ რიგში ქართლის სახელმწიფოს წარმოშობით, რამაც თავის მხრივ დედაქალაქის შექმნის საჭიროება გამოიწვია.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ი. კიკვიძისა და დ. მუხნელიშვილის მონოგრაფიებში ავტორები ცდილობენ სათანადო როლი მიაყუთონ ბუნებრივი პირობების როლს ჩვენს ისტორიულ პროცესში.

ჩვენი ტერიტორია ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანი იყო, სადაც ადგილი ჰქონდა უმაღლესი ანთროპოიდებიდან გაადამიანების დაწეებას, როგორც ცნობილია, განაპირობა დღევანდელთან შედარებით უფრო თბილმა პირობამ და უფრო მდიდარმა მცენარეულობამ. — უკველ შემთხვევაში აღმოსავლეთ ნაწილში, — რის გამოც ანთროპოიდებს შეეძლო შეგრძობვა-

*გაუსული საუკუნე 80-იან წლებში მთავრობის მოხელე ე. ეგიაზაროვი შენიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოში ნაყოფიერი მიწები დაფანტულია მცირე ნაკვეთებად. მათ შორის ბევრი ფერდობებზეა. აქ ვარგისი მიწების დიდი მასივები არ არსებობს. აღმოსავლეთ ნაწილში კი — პირიქით. იხ. Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края. т. I. 1887. с. 162—163.

მურამ შორანაშვილი
ბუნებრივი და ისტორიული

ლობით ცხოვრება მთელი წლის მანძილზე, ამ-
რიგად: ბუნება იძლეოდა საშუალებას, რომ გა-
ადამიანების გზაზე მდგარ მაიმუნებს ეცხოვ-
რათ მცენარეული საკვებით. პრიმიტიული ბი-
ნით (ზის ტოტემისაგან) და ტანსაცმლის გარე-
შე შემდგომში შავის აცოვებას, ცვლადებებს
მცენარეულ საფარში შედგება არ გამოუღია
ცხოველთა ქოგადან საზოგადოებაზე გადას-
ვლის პროცესის შექვეყნა. პირველყოფილ ად-
ამიანთა ქოგებმა შეიძინეს საკმაო შრომითი
გამოცდილება იმისათვის, რომ შეგუებოდნენ
ახალ, შეცვლილ ბუნებრივ პირობებს მათ შე-
ურნებობაში ბევრად უფრო მეტი ადგილი დაი-
კავა ნადირობამ. შემდეგში მათ ისწავლეს წე-
ლოვეჭობადაც ცეცხლის ძალის დაუფლების წე-
ლობით. უფრო მეტი დამუშავებული ტუპის ტი-
პის მშობლით, ამ ქოგებმა შესძლეს შეგუებოდნენ
ახალ პირობებს გერატობით უცნობა, ეს
პროგრესი ცხოველთა სამყაროსთან შედარე-
ბით დაჩქარდა თუ არა შავის აცოვებით, მაგ-
რამ მინდფული პროგრესი არ იყო საყარისი
იმისათვის რომ პირველყოფილ ადამიანთა ქო-
გებს ამ პერიოდში დაესაღებინათ დიდი კაუ-
კასიონისა და მცირე კავკასიონის კალთები.

საზოგადოებრივი ევოლუციის აღნიშნული
საფეხურისათვის ქვეყნის ბუნებრივი პირობე-
ბი ოპტიმალური იყო, ხეობათა, საკმაოდ მდი-
დარი იყო მცენარეული სამყარო (ახლაც კი
ჩვენს ტერიტორიაზე მოითვლის 4500 სა-
ხეობა, ე. ი. იმდენს, რამდენსაც საბჭოთა კავს-
რის მთელი ევროპული ნაწილი). ქვეყანა მდი-
დარი იყო ფაუნათაც (მცენარეთა და ცხოველ-
თა სახეებითა და პოპულაციებით ქვეყნის სი-
ნდიდრე, რა თქმა უნდა, აიხსნება მისი მდებარე-
ობით ხელსაყრელ ადგილას და ბუნებრივი
პირობების სხვადასხვაობით). ამისთანავე ჩვენს
ტერიტორიაზე ხალებად იყო გავრცელებული
მსხვილი ზომის მტაცებელი ცხოველები, რაც
აქალი არსებების პოპულაციებს უადვილებდა
არსებობისათვის ბრძოლას, ხელს უწყობდა
მათს გამრავლებას, საქართველოს, განსაკუთ-
რებით დასავლეთი ნაწილის, სიმდიდრე მიდ-
რაგრაფიული ქსელით განაპირობებდა თევზე-
ულის ტიხურებით სიუხვევაც.

ქვეყნის ზომიერი კლიმატი, წლის დაყოფა
თბილ და ცივ სეზონებად, ხელს უწყობდა ადამი-
ანთა აქტივობის გაძლიერებას, მოთხოვნილე-
ბათა გამრავალფეროვნებას ქვეყანა მდიდარი
იყო აგრეთვე იარაღების დასამზადებლად ვარ-
ჯილი ქვის მასალითაც (პალეოლითში კატი, ნეო-
ლითში: დორტიტი, ნეფრტიტი, გრანიტი და
სხვ.), ძვლით, ზედა პალეოლითის დროის მან-
ვის აცოვებამ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილ-
ში ადამიანები აიძულა უფრო თბილი სადგომე-
ბი ეძებნათ. ამ საქმეში ქვეყნის ბუნება დასავ-
ლეთ ნაწილში კარგ საშუალებას, იძლეოდა გა-
შუვებულების სახით.

აი მოკლედ ის, რის თქმაც შეიძლებოდა სა-
ქართველოს ბუნებრივი პირობების როლზე მი-
მოვისებლური მეურნეობის რეალიზაციაზე მეურნე-
ობის ეს სახე, როგორც ცნობილია, შეიცავდა
შემდგომ ფორმებს შემგროვებლობას, ნადი-
რობას და მეურვეობას, საერთოდ, როგორც
ენგელსი შენიშნავდა, ეს სტადია შეესაბამებო-
და ველურობის პერიოდს, როცა ადამიანები
ძირითადად იფარგლებოდნენ ბუნების შუა პრო-
დუქტებით მითვისებით. ხოლო ადამიანთა მიერ
ხელოვნურად შექმნილი პროდუქტები (შრომის
იარაღები) ამ მითვისების დამხმარე იარაღებს
წარმოადგენდა*. აქედან ცხადია ის დიდი მნიშე-
ნელობა, რაც ბუნებრივ რეურნებს გააჩნდა სა-
ზოგადოების განვითარებაში აღნიშნულ საფეხე-
რზე, როცა ადამიანთა დამოკიდებულება ბუნე-
ზე, ხაწარმოო პრაქტიკის დაბალი დონის გამო,
მაქსიმალური იყო. უკვე ამ საფეხურზე შეინიშ-
ნებოდა განსხვავებულობანი საქართველოს
ცალკეულ რეგიონებს შორის და მათ საფუძ-
ველს შეადგენდა ბუნებრივი პირობების სხვა-
დასხვაობა: იქ სადაც მეტი ტუპები იყო, მეტი
იყო ნადირთა პოპულაციები. თევზეული, უფ-
რო იოლი იყო ცხოვრება, უფრო მეტად სდე-
ბოდა მოსახლეობის გამრავლება მაგრამ ეს
განსხვავებანი, გერატობით არსებობდა მველი
თვისების ფარგლებში.

საზოგადოების ევოლუციის დაჩქარება გამო-
წვეული იყო მიმოვისებლური მეურნეობიდან
მწარმოებლურზე გადასვლით. ანუ უკვე ნეო-
ლითური რევოლუციის ეს პერიოდი, ენგელ-
სის მიხედვით, შეესაბამებოდა ბარბაროსობას,
ე. ი. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე
გადასვლას, როცა ადამიანები დიდიფლენ ბუ-
ნების პროდუქტების გაზრდილი მასის წარმოე-
ბას ადამიანთა მოქმედების წყალობით**. გრ-
თი სიტუვით, მონადა უდიდესი ნახტომი საზო-
გადოების ეკონომიკურ განვითარებაში ამ სა-
ფეხურისთვისაც საქართველოს გეოგრაფიული
პირობები ოპტიმალურს წარმოადგენდა | იგი
იმდროედა საშუალებას მთელი ოცი მარცვლ-
ული სახეებისა და ცხოველთა სახეობების მო-
საწინებლად და გასაშენებლად ჩვენთვის აქ
აქა არსებითი საციობი იმის შესახებ, თუ მარ-
ცვლელი და ცხოველთა კულტივირებული სა-
ხეობები რომელინ წარმოიშვნენ ადგილობრივ
ნიადაგზე და რომელინ გავრცელდნენ დიფუ-
ზიით უფრო მოწინავე წინა აზიის ცენტრები-
დან

მაგრამ ცხადია, მხოლოდ ბუნების მიერ
მოცემული „წყალობა“ როდი კმაროდა, ე. წ.

* ე. ენგელსი, ოჯახის, კერძო საყუთრე-
ბისა და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი
და ფ. ენგელსი, რევოლუციური ნაწევები, ტ. II,
1950, გვ. 217-218.

** იქვე, გვ. 218.

ჩელოთური რევოლუციის მოსახლენად ეს რომ ასე უოფილიყო, მაინც ამ მოვლენას ადგილი ექნებოდა ანთროპოგენეზისა და სოციოგენეზის დასაწყისშივე მაგრამ აღნიშნულ მოვლენას ზეირდებოდა მეორე საფუძველი, სახელდობრ ადამიანთა წარმოებითი პრაქტიკის განსაზღვრული პროგრესი, მეურნეობის ახალ დარგებზე გადასვლა მოითხოვდა მინადაც ცხოვრებას, ზედმეტი პროდუქტის გარკვეული მასის გაჩენას, ახალი შრომითი იარაღების (მეწამოქმედებანი) შექმნას, აღნიშნულ საფესურზე ბუნების რილი მდგომარეობდა ალბათ იმშიც, რომ მეურნეობის ახალი ფორმების, განსაკუთრებით მეწამოქმედებისა, გაჩენა, გამოწვეული უნდა უოფილიყო მოსახლეობის გაზრდილი მასის დაწლით წარმოების არსებულ საშუალებებზე და ეს დაწლია კი უფრო მეტად უნდა მომხდარიყო იმ ადგილებში, სადაც მეურნეობის პირვანდელი ფორმები, სათვის ბუნებრივი საწარმოო ძალები უფრო ნაკლებად არსებობდა. ვფიქრობთ, რომ ალბათ კვეთს ქართლისა და იორალაზნის ორმდინარეთის კვეთი წელი უფრო ოპტიმალური იქნებოდა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისათვის. სახელდობრ ტყეების ნაკლებობა, შესაბამისად ცხოველთა ნაკლებობა, ჰიდროგრაფიის ქსელის სისუსტე და მით გამოწვეული თევზჭერის პოპულაციებით სიღარიბე და ა. შ. ამ რეგიონებში უფრო განვითარებდა მწარმოებლურ მეურნეობას (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი ცდები ამ მიმართულებით მიწვედებოდა აქ უნდა მომხდარიყო). შესაძლებელია, აღნიშნული პროდუქტი ამ უფრო დარქარდა წინა აზის მოწინავე ცენტრების ზეგავლენითაც.

ახლა თუ ისე, ახალი ეკონომიკური პროგრესის პირობებში სხვაწარად ადაცა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობის საკითხი სოციალურ პროცესში. თუ მიმთვისებლურად მეურნეობის საფუძვრისათვის და გარემო ოპტიმალური იყო, ოპტიმალურად დარჩა ჩელოთური რევოლუციის დაწებისათვის. ამ რევოლუციის გაშლისათვის იგი არაოპტიმალური გახდა. ჭერ დასვლათ კითხვა: რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჩვენი მიწამოქმედებისა და შესაქონლეობის დაწებისა ამ რა ათასი წლის წინათ, ცივილიზაციის (ტერმინის საკუთვლათად მიღებული მნიშვნელობით) გაჩენამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საგრძობლად დაიკვიანა? დავიწყოთ მიწამოქმედებით მეურნეობის ამ ფორმის ფართოდ გავრცელება ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე ვერ მოხდებოდა. ამას განაპირობებდა ტყეების ფართო მასივების, მაგარი ნიადაგების არსებობა. რაც ვერ გადაილახებოდა ქვის ამ

სილენძის ცულისა და თხილური მიწამოქმედების პირობებში, ეს ფორმა მეურნეობისა უფრო ოპტიმალურ პირობებს შეხედებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მშრად სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ტყეები იშვიათი იყო. მაგრამ მაგარი ნიადაგები თხილურ მიწამოქმედებას აქაც დაპრობებებს უქმნიდა. ერთი სიტყვით, რბილი ნიადაგების არაბუნებრივად, ტყეთა ფართო მასივებში განაპირობებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე ათასი წლის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე ცივილიზაციად ვერ ჩაისახა მიუხედავად ჩელოთური რევოლუციის მიერ შექმნილი წინამდებობისა.

შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობები იყო მეურნეობის მეორე ახალი დარგის—მებაქონლეობის განვითარებისათვის. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს სამხრეთი ნაწილი ნაბმულ იქნა ფართო გავრთიანებაში. თბილისის კულტურა შეიქმნა სახელდობრ განვითარების ამ საფეხურზე ამ კულტურის ბაზას წარმოადგენდა მებაქონლეობის ფართო განვითარება. მაგრამ პირუტყვის შენახვა, რასაკვირველია, მაღალგანვითარებულ მიწამოქმედებას როდი ეფუძნებოდა წყლიწადის უფრო მეტ მანძილზე, — შემოდგომით. წამართობთ და ადრე გაზაფხულზე. — მას ინახავდნენ ქვემო ქართლის (ახლანდელი ქვემო ქართლისა და აზერბაიჯანის ნაწილის) ტერიტორიაზე, რომელიც ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა. ზაფხულობით კი მათთვის მანძილზე, საქონელს ინახავდნენ წალკის, ჯავახეთის და უფრო სამხრეთით მდებარე ზეგნების საზაფხულსო საძოვრებზე, აღნიშნული ტერიტორიები კი ერობანოდ საშუალოდ ასობდენ კმ-ით იკვნიენ დაშორებული. რაც დაბრკოლებას არ ქმნიდა მოსახლეობისა და პირუტყვის გადაადგილებისათვის შესაბამის ზღუნებში. ამდენად, მწარმოებლური (სამებაქონლ) მეურნეობისათვის ოპტიმალური გახდა საქართველოს მოხსენიებული რეგიონი. მაგრამ ამდენად ოპტიმალური არა, რომ აქ ცივილიზაციის გაჩენას მქონდა ადგილი: ეს, როგორც ცნობილია, მებაქონლეობის საფუძველზე გამოიკვებოდა.

აწლოგეოგრაფიკულ მოვლენას მქონდა ადგილი თითქმის იმავე პერიოდში იორალაზნის ორმდინარეთის კვეთი წელზე ამ მოვლენის შენახვად მხოლოდ ახლა ვგებულობთ უახლესი არქეოლოგიური გათხრების წყალობით. მებაქონლეობის ფართო განვითარება ამ რეგიონში საფუძველად დაედო ტომთა ფართო გავრთიანებას და შესაძლოა სახელმწიფოს ჩანახოვანი ფორმით არსებობასაც. აქაც პირუტ-

ბურამ შორანაშვილი
ბუნება და ისტორია

უვის შესახვა ბუნებრივად შეიძლება და წელიწადის მთელი დროის მანძილზე.

დასავლეთ საქართველოში მსგავს მოვლენებს ამ საფეხურზე ვერ ექნებოდა ადგილი, ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა ტუტეთა დიდი მასივები. რაც შეეხება საქართველოს ჩრდილოეთ მთიან ნაწილს, აღნიშნული პროგრესი აქაც გამოირკვებოდა, რადგან მხოლოდ ალპური სამოვრებით საქონელი მხოლოდ სამოღებ თვით თუ გამოიყვებებოდა.

ძვ. წ.-ის მეორე ათასწლეულის ბოლოსა და I-ის დასაწყისში დაწინაურდა ისტორიული საქართველოს ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ჯორჯიის აუზსა და მტკვრის სათავეებს. გმელიკიშვილის მისაზრებით, ამ მხარის დაწინაურება გამოწვეული იყო პრიმარის მეტალურგიის ფართოდ გავრცელებით (მხარის სიმიდრე სპილენძისა და ანთიმონის მადნებით). კვის მიწათმოქმედება, შედარებით ფართო სამოვრები საფუძველს ჰქმნიდნენ აღნიშნული უთვის დაწინაურებისათვის. ამ რეგიონის შემდგომი მსვლელობა აღმავალი მიმართულებით შეფერხდა, როგორც ცნობილია, საგარეო ფაქტორის მიზეზით.

ამრიგად, თუ არკაული კომუნისტური საზოგადოების თავდაპირველ საფეხურებზე საქართველოს გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელ საფუძველს წარმოადგენდა, ცივილიზაციის გენეზისისა და გაშლისათვის იგი ნაკლებ ოპტიმალური აღმოჩნდა. საქირა იყო საზოგადოების მიერ შექმნილი ტექნიკური საშუალებების მეტი განვითარება, რათა მომხდარიყო ჩვენი ცივილიზაციაზე გადასვლა.

განხილვებით მრავალი ძველადმოსავლური ცივილიზაციისაგან და მსგავსად ევროპის მრავალი ცივილიზაციისა, ქართული ცივილიზაციის წარმოშობა დაკავშირებული იყო რაინა მეტალურგიასთან. ფ. ენგელსის სიტყვებით რაინა უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი იყო სველია იმ ნედლეულთან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში". რაინის მეტალურგიის წარმოშობა საქართველოში მოხდა ადგილობრივ ნიადაგზე, ბრინჯოს მეტალურგიის განვითარების საფუძველზე, ხაერთოდ, სხვადასხვა ლითონების მადნებით სუბზე კარგ საფუძველს იძლეოდა მეტალურგიის განვითარებისათვის. ერთოდ ასევე მოხდა რაინის მეტალურგიის ჩასახვა-გავრცელებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ბუნებასაც მიუძღვის გარკვეული როლი იმაში, რომ ჩვენი წინაპრები ვახდენენ რაინის მე-

ტალურგიის ერთ-ერთი შემქმნელი კომპლექსურად რაინის დნობის ტექნოლოგიის დაფუძნება ჩვენში შოდის II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებზე, ხოლო ახალი მასალისაგან შექმნილი იარაღების ფართოდ გავრცელება — I ათასწლეულის პირველ საუკუნეებზე.

ახლა ვნახოთ თუ როგორ იჩინა თავი გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებმა საქართველოს აღნიშნული ხანის ევოლუციაში. შევადაროთ ამ მხრივ საქართველოს ცალკეული რეგიონების ბედი.

მიუხედავად ბუნების ძალეზე გაბატონების ისეთი მძლავრი საშუალებისა, როგორცაა რაინის იარაღები, ეს აღმოჩენაც კი უძლური გახდა ამისათვის, რომ საქართველოს სხვადასხვა ნაწილები ერთგვაროვანი გამხდარიყო მეურნეობის ახალი საფეხურისათვის. მიწათმოქმედების ფართოდ გავრცელება კვის მიწათმოქმედების პირობებშიც კი დასაუღუთ საქართველოში. ერთოდ კოლხეთში, აწყდებოდა დიდ ბუნებრივ დაბკოლებებს, როგორცაა მწირი ნიადაგები, შავის სინოტივი, დაღბლებულობის გამო ქვეყნის ერთ ნაწილში ჭაობების არსებობა. პურეულის სახეებმა (ხორბალი, ქერი) კოლხეთში მხოლოდ ძალზე შეზღუდულ ადგილებში ჰყოვა გავრცელება, რადგან ქვეყნის ბუნებრივი პირობებისათვის ისინი არაოპტიმალურ კულტურებს წარმოადგენდნენ. მსგავს პირობებში პურეულთაგან ოპტიმალური იყო ხაინდი. შავრამ პურეულის ამ სახეობამ, როგორც ცნობილია, ვერც ამ პერიოდში და ვერც გვიან დიდი ხნის მანძილზე, აქ ვერ შეძლო გავრცელება. გვიან გავრცელდა აქ ბრინჯიც, რომლისთვისაც აქაური ეკოლოგიური პირობები ბევრად უკეთესი იყო. ვიდრე ხორბლისა და ქერისათვის. ძირითადად სუხდენდნენ ღობს, რომელიც მოსავლელად ძნელი კულტურაა და შიანდამაინაც არც მაწიერებით გამოირჩევა. როგორც ამას ხაერთოდ შენიშნავდა ჯერ კიდევ ილია ქვეყანაში, აქაური „საკომლო“ პურეულის ნალები გავრცელების გამო ბევრად უფრო მეტი ზომისა იქნებოდა, ვიდრე ქართლში (მეხაქონლეობის პროდუქტების მეტი ხვედრითი წონა კვების რაციონში).

კოლხეთში ჭაობები უფრო ძნელი გადასახლავი აღმოჩნდა ვიდრე ქართლში შხრალი ჭაობა, რომელიც აქ ირიგაციის განვითარებით გადალახეს. მდინარე რაინის მართალია მოჰქონდა ნაყოფიერი შლამი ზემო დინებიდან, მაგრამ ჯერ ერთი შავის სინოტივის და მეორეც ამ მდინარის მიერ დაბალი კალაპოტის გამო შეუძლებელი გახდა აღნიშნული ბუნებრივი სიმდიდრის ფართოდ გამოყენება (სუსტ სახელმწიფოს არ შეეძლო რაინის დამორჩილება არხებისა და დამბების მეშვეობით).

* კ. მარკსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწილები. ტ. II, გვ. 374.

ყოველივე აღნიშნულის გამო კოლხეთი მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლების ტიპების სიდიდით და ა. შ. ჩამორჩეობა და ქართლის რაიონებზეა ზღვასთან მდებარეობის ფაქტორს, ისევე ვერ იქნა კოლხური საზოგადოების მიერ ფართო მასშტაბებით გამოყენებული შავი ზღვის ჩვენი სანაპირო ნაკლებ დიფერენცირებულია, ენქნულების გარეშე, რაც ართულებს ზღვასწინაპრს ამ მიზეზთა გამო მით უმეტეს საქმად მშფოთვარე შავი ზღვის დამორჩილება უფრო ძნელი იყო, ვიდრე ეგეოსისა — ბერძნების მიერ. შავი ზღვის როლმა კოლხეთის და მით საერთოდ საქართველოს ისტორიაში თავი იჩინა ბერძნების მიერ მის სანაპიროდ ათვისების შემდეგ. ბერძნების ჩვენს სანაპიროს დაუფლებისათვის უბიძგებდა არა მიწები, არამედ ვაკობის ინტერესები. ამან გარკვეული ადგილები როლი ითამაშა კოლხეთის განვითარებაში. მზხდა შრომის დანაწილება მასსა და ბერძნულ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ, ცხადია, ამას არ შეეძლო ისეთი ზომები მიეღო, რაც რადიკალურად გარდაქმნიდა ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებას. შესაძლოა გაცვლას, თანამედროვე ტერმინით რომ ექცვათ, არაეკვივალენტური ხასიათის ჰქონდა მაგრამ საერთოდ შავი ზღვის ნაპირას მდებარეობამ დადებითი როლი შეარქულა ამ ქეიოსის კოლხეთის განვითარებაში. მსგავსი პროცესის განახლება მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყო.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ კოლხები ამ პერიოდში ასახლებდნენ ჭაობიან ადგილებსაც. მიპოკრატეს მიერ თხრობა ამ ფაქტისა ისე ნათელია, რომ მასში დაეკვება შეუძლებელია. აქაურ მცხოვრებთ სახმელეთო გზების ნაცვლად აურჩევითი არხებზე ნავების შესვვებით ურთიერთობა. ბუნებრივია, რომ ამ ადგილების ჰავას, ცუდ სახელე წყალს თავისი დიდი დაუსვამს მათთვის; ჩვეულებრივად ძალზე ტემპერამენტინი კოლხები (მათი შთამომავლობით თუ ვიშჩელებით) დუნენი და მოუქნენი გამხდარან რაკი ჭაობების წინააღმდეგ ბრძოლა ამ დროის საშუალებებით არ შეიძლებოდა [არ იცოდნენ ისეთი საშუალებების გამოყენებაც კი, როგორცაა ევკალიტად და თევზი გამბუზია], მოსახლეობა საერთოდ გაურბოდა ამ ადგილებს იგი სახლდებოდა კოლხეთის დაბლობის ამადლებულ ადგილებზე.

უკეთესი პირობები არსებობდა ქორსოხის აუზსა და მტკვრის სათავეებში, რომელთა მოსახლეობამაც უფრო მოგვიანებით, — აგრეთვე მოწინავე ისტორიული გარემოს — ბიზანტიის ზეგავლენის გამოც, — თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში.

ბევრად უკეთესი პირობები არსებობდა ქართლში, რომლის ნაყოფიერი ნიადაგები.

შედაებით მშრალი ჰავა, სწორი რელიეფი ირიგაციისათვის", საფუძვლად დაედო საზოგადოების მაღალ განვითარებას. ცნობილია, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობამ უწინ და შემდეგაც საქართველოს სხვა რეგიონებს შორის უველაზე მეტი გააერთა ქართული კულტურის, ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საქმეში და ამ პროცესში თავისი წვლილი მიუძღვის ქართლის ბუნებრივ პირობებსაც.

უკვე აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს დაბლობ ნაწილებს საგრძნობლად ჩამორჩა მთიანეთი, რომლის მოსახლეობა ახლაც და დიდ ხანს კიდევ უკლასო საზოგადოების პირობებში ცხოვრობდა.

თუ საგარეო საფრთხის თვალსაზრისით უკეთხადეთ საქმეს, მაშინ დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა უკეთესი იყო. ტრაპიზუნტიდან აღმოსავლეთით ზღვის სანაპიროზე დასახლებული ლაზები დაცული იყვნენ ერთის მხრივ ზღვით და მეორეს მხრივ ლაზისტანის მაღალი ქედით. შესხებით ქედის, სურამისა და დიდი კავკასიონის ქედები ხაში მზრიდან იცავდნენ კოლხებს, ხოლო დასავლეთიდან ამ ფუნქციას ასრულებდა შავი ზღვა. რომლის აუზში დიდ ხანს არ გარჩენა რეაქციული სახელმწიფო. რომის მარცხენა ნაპირიდან მოკლებული ჩრდილოეთით საქმად დიდ მანძილზე ზღვის ნაპირას მისდევდა ჭაობების ზოლი, რაც აადვილებდა ქვეყნის თავდაცვას.

დასავლეთ საქართველოსაგან განხვავებით, ქართლი საგარეო საფრთხისაგან უსაფრთხოობის აზრით უფრო ნაკლებად იყო დაზღვეული. თუ ჩრდილოეთიდან ამ მხრივ საქმე კარგად იყო, — კავკასიონის ზეგარებზე ვიწრო

ქართლში ამ პერიოდში, ტყვეთა მასივების შეტი გაუკაცლები პირობებში, ნაღებები აღბთ ვეტი რაოდენობით მოდიოდა, რის გამოც პურეულის მოყვანა მორწყვის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი ირიგაციის გამოყენებოდა აღბთ ბოსტნეულისა და ვაზის კულტურის მოსაწყევად აბი. გამო ჩისი მასშტაბები მცირე იქნებოდა და სულაც ვერ დაეუბოდა საფუძვლად ქართლის სახელმწიფოს მიერ აღმოსავლური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის — ირიგაციის შესრულების სპორიობას სახელმწიფოს როლმა ირიგაციის განვითარებაში (ალაზხის დიდი არხის, სამგორის არხის გაყვანა) თავი იჩინა XII საუკუნეში. სხვა დროს ცენტრალურბული სახელმწიფოს დაშლილობამ, ქართლ-კახეთის პოლიტიკური ხელისუფლების სიღარიბემ განაპირობა სორიგაციის მიწოდებისუფლებითაი. გამოსადეგი დიდი მასივების აუთვისებლობა.

ბურამ შორანაშვილი
ბუნება და ისტორია

გაღმოსავლელეები ანდელბენდენ მომთაბარეთა ფართო მასის შემოქმად და თანაც მათი დაცვა ქართლის სახელმწიფოს მიერ ადვილი იყო, — სამხრეთიდან და მით უმეტეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სიტუაცია აღნიშნულისაგან ბევრად განსხვავდებოდა. ამ მხარეებიდან ქართლი არაერთხელ გამხდარა თავდასხმის ობიექტი აგრესორ სახელმწიფოთაგან. ახვე ითქმის მის აღმოსავლეთ ნაწილზეც, რომელიც შემდგომში კახეთის სამეფოს საბით ჩამოყალიბდა.

საერთოდ რომ ვთქვათ, საქართველოს დაცულობა ბუნებრივი საზღვრებით საქმოდ კარგი იყო იქაც კი, სადაც იგი უფრო ნაკლები იყო. კერძოდ ქართლსა და მერმინდელ კახეთში, ჩვენებისა და მთების სიახლოვე ადვილდებდა ქერ სამხედრო საქმის წარმოებას და შემდეგ, დამარცხების შემთხვევაში, მოსახლეობის გაიზუნახ მიუდგომელ ადგილებში. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს ადვილდებდა აგრეთვე მისი შედარებით დაშორებულობა წინააღმდეგ აგრესიული ცენტრებისაგან.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან მცირე ხანს იყო ცენტრალიზებული, მან მაინც, თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად, შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფლობა თავით ფეოდალური დაშლილობის პირობებშიც კი. ამასიც თვალსაჩინო როლი შეეკუთვნება ქვეყნის ბელსაყრელ ბუნებრივ პირობებს (რელიეფს).

დახასრულს, თუ ძველი საქართველოს ორივე მხარის შეკადრებით განვითარების პერსპექტივების ახრით, შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად ზღვისაგან დაშორებულობისა და მოწინავე საზოგადოებებთან (ბერძნულთან, რომულთან) უფრო ნაკლები კონტაქტებისა კოლხეთთან შედარებით, პროგრესის გზაზე მეტად წავიდა და კიდევ მეტად წასულა შექმლა ქართლს მისი უფრო განვითარებული მიწათმოქმედება, მოსახლეობის მეტი სოშიდროვი წახამდვარები იყო ეკონომიკის და საერთოდ საზოგადოების მეტი განვითარების გზით. ამ მოკლენის მიზეზთაგან მხოლოდ იმაზე შევჩერდებით, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ბუნებრივ პირობებთან. ზღვისაგან დაშორებულობა, მოწინავე საზოგადოებებისაგან სტიმულების ნაკლებობა, მტერთაგან შემოსევები, წონაწირობა მოსახლეობის რაოდენობისა და ბუნებრივ სპარტოო ძალების შორის — ნაწილობრივ ხსნის ქართლის საზოგადოების განვითარებულობას ანაკურთის მონათმფლობელობის გზით. უკანასკნელი უფრო მეტად ითქმის კოლხეთზე, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

მომთაბარეთაგან განუწყვეტელი შემოსევების საფრთხის, დიდი სიარჩავიო საშუალების საკიროების არარსებობა, ბუნებრივი

პირობების გამო ქერ წვრილი, შემდეგ მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის განჩენა, მსხვილ შესაკურთეთა დაცულობა ცენტრალური ხელისუფლებისაგან — ყველაფერი ეს ხელს უწყობდა აზიისათვის (რაიონის გარდა) ტრადიციული საზოგადოების დაშლის საქართველოში, მის (საზოგადოების ამ ფორმის) შეცვლას ფეოდალურით.

ფეოდალური საზოგადოება თავისი წარმოების პირობებით ჩვენში ბევრად არ განსხვავდებოდა განვითარების წინა საფეხურისაგან. ამიტომ ბუნებრივი პირობების თავისებურებებს ახლდებოდა არ უჩინია თავი. ეს ითქმის, როგორც საზოგადოების მიმართ საერთოდ, ისე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ცალ-ცალკე. ამიტომ წინა პარაგრაფში ნათქვამს ახალს თითქმის ვერაფერს დავუმატებთ. ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან საქართველოში ამ პერიოდში გავრცელდა თუთის ხე, ბრინჯი, ბამბა. (თუთის ხე ჩვენთან უწინაც იყო, მაგრამ ახლა აბრეშუმის ქონის გავრცელებასთან დაკავშირებით უფრო ფართოდ გავრცელდა ახალი სახმარი ღირებულების გამო). I ათასწლეულის ბოლოსათვის, ჩვენში (7-8 საუკუნის მოგვიანებით) გავრცელდა მძიმე გუთანი. მაგრამ ამ იარაღის გავრცელების არეალი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონით შემოიფარგლა. ძნელად და ღრმად სახენდის ნიადაგები არის საქართველოს ამ რეგიონში. ასე რომ მძიმე გუთანი 8-10 უღელი ხარ-კამერით, შრომის შედარებით რთული ორგანიზაციით, დასავლეთ საქართველოს პირობებში ზედმეტი იყო. კიდევ მეტი, თვით აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ხოფეთში, რომელსაც საწნავ-სათვის ბარშიც უკონდა და მთაშიც, შრომის ეს იარაღი გამოიყენებოდა პირველ შემთხვევაში, ხოლო მეორეში — კავი. უფრო მოგვიანებით ჩვენში გავრცელდა ციტრუსოვანი კულტურები.

ფეოდალიზმის არსებობის დროის მანძილზე ჩვენში ადვილი ჰქონდა სახელმწიფო საქმის შემდგომ განვითარებას. ვაზის და მრავალნარი სხვის ზეილის, ბოსტნეულის და ა. შ. ჯიშები უნდა ვთვლილსწოთ. რომ ამ პერიოდში გავრცელდა ეს გარემოება ქართველი კლასიკის აქტივობის გარდა. არხნენა ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებით, თუ ჩვენში მარცხელეული სახეების ამდენი ჯიშო, 400-მდე ვაზის ჯიშო და ა. შ. გავრცელდა, შეხანამისად მრავალფეროვარი იყო ღვინის დაყენების წესები, ამაში, ვიმეორებთ, საქართველოს ბუნებასაც მიუძღვის თავისი წილი.

მაგრამ ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათი სხვადასხვა ჯიშების გავრცელება იმდენად გადამწყვეტი არ უოფილა ფე

ოდლოური ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება. თუ პირველი გარემოებით საქართველო თავისი ბუნებრივი პირობების გამო ბევრად უსწრებდა წინ დასავლეთ ევროპის ბევრ საზოგადოებას, მეორე გარემოების აზრით იგი მას საგრძნობლად ჩამორჩნებოდა, განსაკუთრებით XII-XIII საუკუნეებიდან მოყოლებული. ამიტომ არ მიგვაჩინა საფუძვლიანად ნ. ბერძენიშვილის აზრი, რომლის თანახმად ამ საუკუნეებში ფეოდალიზმმა საქართველოში ამოსწურა თავისი განვითარების შესაძლებლობანი და კაპიტალიზმის განვითარების წიგნობლზე დადგა. ხელისნობის განვითარების ფარგლებში მანუფაქტურის სტადიაზე ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, რაც საქართველოში არ მომხდარა. საქართველომ ბევრი რამ თვით აღმოსავლეთის ქვეყნებში შექმნილიც კი ვერ შეითვისა, თუმცა გეოგრაფიული მდებარეობის გამო მას ეს ბევრად უფრო ადრე და ადვილად უნდა გაეკეთებინა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ამაში ჩვენს ქვეყანას ხელი შეუშალა მტრულმა ისტორიულმა გარემოცვამ.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სიმინდის კულტურის გავრცელება დასავლეთ საქართველოში, რაც ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მე-17 ს-ის დამდეგს მოხდა (ი. ი. დასავლეთ ევროპაში გავრცელებიდან ერთი საუკუნის შემდეგ), ხოლო ფართოდ გავრცელდა ამ საუკუნის პირველი წლებიდან. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ იმ თავისებური „არეოლოგიის“ მნიშვნელობა, რაც სიმინდის ფართოდ გავრცელებას მოჰყვა დასავლეთ საქართველოში. ბუნებრივი პირობების გამო, სწორედ ეს მარცვლული კულტურა იყო აქ ოპტიმალური, საპირიობდა რა მტრ ატმოსფერულ ნალექებს და არ იყო მომთხოვნი ნაყოფიერი ნიადაგებისაღმისი, როგორც ხორბალი. ამერიკიდან მეორე კულტურის — ლობიოს გავრცელება საუკეთესო გამაროვირებული საშუალება გახდა ნიადაგისა (იგი ითვებოდა სიმინდთან ერთად). სიმინდის კულტურა ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ერთ ოჯახს მისი დიდიხეხას ბევრად უფრო ნაკლები მიწა სჭირდებოდა, ვიდრე ხორბლის თესვის პირობებში. აქნებ უკვლავდრ ამოიხსნება ის გარემოება, რომ მიუხედავად ტუვის სუიდევის

ფართოდ გავრცელებისა დასავლეთ საქართველოში, მოსახლეობა მე-17, მე-18 საუკუნეებში აქ საერთოდ მინც მრავლდებოდა.

თუ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, სიმინდის კულტურამ თითქმის გამოაძევა ღმში, ხოლო ზემო იმერეთში — ხორბალი, აღმოსავლეთ საქართველოში ეს კულტურა მოგვიანებით გავრცელდა და თანაც იშვიათად.

სიმინდზე მოგვიანებით საქართველოში გავრცელდა კარტოფილი, მაგრამ ფართოდ არა. ამ კულტურის თავისებურებამ (ყვი ადგილებში ვარგისიანობა) მისი გავრცელების არეული უაღრესად შეზღუდა.

ფეოდალიზმის შიგნით ქალაქების, სასაქონლო წარმოების ფაზის ნაკლები განვითარებულობის გამო ჩვენი ისტორიის ამ პერიოდში შავი ზღვა არ გამხდარა დამაჩქარებელი ფაქტორი, თუმცა ამის მიზეზი მის აუზში მოწინავე საზოგადოებების არარსებობაც იყო. პირიქით, XV საუკუნეში შავი ზღვის აუზში თურქეთის გაბატონებამ ამ ზღვის მნიშვნელობა ჩვენთვის დიდი ხნის განმავლობაში უარყოფითი გახადა.

ერთი სიტყვით, მოხდა ისე, რომ ქართული ფეოდალიზმის განვითარების იმანენტურად არ წარმოუშვია კაპიტალიზმი. ეს საზოგადოება ჩვენში ჩაისხა მოწინავე ცენტრების ზემოქმედებით. ახალ და უახლეს ხანებში ქართული საზოგადოების მიერ მოწინავე წარმოებითი პრაქტიკის შეთვისების საფუძველზე ბუნების რაღმა ჩვენს ისტორიაში ახლებურად იჩინა თავი.

ასეთი იყო მოკლედ გეოგრაფიული გარემოს როლი ჩვენს განვლილ ისტორიულ პროცესში. თუმცა ამ გარემოს ზემოქმედება ჩვენს ისტორიაზე უშუალო კი არ იყო, არამედ გაშუალებული კულტურით, ცივილიზაციით, მაინც, როგორც ეს შევეცადეთ გვეჩვენებინა, ამ როლის უფლებდელყოფა არ შეიძლება. სტატიაში ჩვენ ძირითადად ვაჩვენეთ გეოგრაფიული გარემოს როლი ჩვენი საზოგადოების წარმოებისა და სოციალური სტრუქტურის განვითარებაში. გარდა ამისა ეს როლი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ხალხის ეროვნული ხასიათის, სულიერი კულტურის და ა. შ. განვითარებაში, რაც სპეციალურ განხილვას საჭიროებს.



პორტრეტები ჟურნალ „ციცქერისთვის“ დახატა მხატვარმა იურბ გარნიჰვილმა.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 49-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-80, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ციცქერის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 23. 4. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 6. 82 წ., ქალღმრთის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. ობიექტი 15.85. შეკვ. № 1091. უკ 06316. ტირაჟი 53.500.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



67/119



ფანდი 60 კპპ.

0523360 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ